როზეტა დანელია

# სალი აზრის ზეობა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

ნაშრომი შეეხება გერმანიის უახლეს ისტორიაში ყველაზე კრიზისულ ხანას, რომლის სირთულემაც განაპირობა პუბლიცისტიკაში ისეთი დიდი მოაზროვნეების, ფილოსოფოსების, მწერლების, ლიტერატორების და ჟურნალისტების აქტიურად ჩაბმა, როგორიც არიან, ერთი მხრივ ჰერბერტ მარკუზე, თეოდორ ადორნო და იურგენ ჰაბერმასი, ხოლო, მეორე მხრივ, ჰაინრიხ ბიოლი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, მარტინ ვალზერი, გიუნთერ ვალრაფი, პეტერ ვაისი და სხვები. ისინი ამ უაღრესად რთულ პერიოდში საგანგებოდ დაარსებული გამოცემების საშუალებით ებმებიან გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და უკომპრომისოდ უპირისპირდებიან მმართველ წრეებს. მკაფიოდაა წარმოჩენილი თითოეულის პროფესიული სიმაღლე, მათი აზროვნების თვალსაწიერი მასშტაბურობა. ისინი მსჯელობენ პროცესებზე, რომლებიც არა მხოლოდ გერმანიის, არამედ მსოფლიო გარდაქმნების თანმხვედრია. საქმე ისაა რომ მათი უმრავლესობა დღესაც აქტიურად მოქმედებს. ისინი უწინდებური შემართებით ემსახურებიან და იცავენ მსოფლიოში უმაღლესი ზნეობრივი და ჰუმანური ფასეულობების დამკვიდრებას. ამდენად, ნაშრომი წარმოაჩენს არა მარტო თემატიკის აქტუალობას, არამედ უმნიშვნელოვანეს გლობალურ საკითხთა არსს.

წიგნი უთუოდ შეავსებს იმ ხარვეზებს, რომლებიც ინფორმაციის ნაკლებობითაა განპირობებული როგორც გერმანისტიკის, ისე ჟურნალისტიკის სფეროში და დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი: ***გ. მარუაშვილი***
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი

© რ. დანელია, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-256-9

# შინაარსი


შესავალი ... 5

თავი I. მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების გერმანია და აზრთა ჭიდილი ... 6

ჰერბერტ მარკუზე და ფრანკფურტის სკოლა ... 15

მარქსიზმისადმი განახლებული ინტერესი ... 29

იურგენ ჰაბერმასის შემოქმედებისზოგიერთი ასპექტი ... 36

თავი II. პუბლიცისტები ... 52

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი ... 52

გიუნთერ ვალრაფი ... 76

ჰაინრიხ ბიოლი ... 93

მარტინ ვალზერი ... 97

თავი III. ბრძოლა დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად ... 107

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები — „კურსბუხი" და "კიურბისკერნი" ... 107

საგანგებო კანონები, პროფესიის აკრძალვა, ვიეტნამის თემა ... 166

ნეოფაშიზმისა და ნეონაციზმის პრობლემა ... 180

კომუნიკაციის მასობრივი საშუალებების კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის პროცესი და მათი შედეგები ... 195

ამერიკანიზაციის პრობლემა ... 203

დასკვნა ........ 212
შენიშვნები ........ 220
პერიოდული გამოცემები ........ 233
რეცენზია ........ 238
RESÜMEE ........ 243

# შესავალი

გასული საუკუნის შუა წლებში გერმანიის მრავალრიცხოვან პერიოდულ გამოცემათა შორის, რამდენიმე თუ გამოირჩეოდა ჯანსაღი აზრითა და გამოკვეთილი აქტუალობით. თანადროული და მიზანმიმართული სიტყვა ყოველთვის ახდენს გავლენას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი კი იდეათა ჭიდილში შობილი აზრთა აზრია. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში ერთდროულად (1965 წ.) და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საფუძველი ეყრება ორ თითქმის ერთი და იმავე მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს: „ქიურბისკერნს" — მიუნხენში, ხოლო „კურსბუხს" — მაინის ფრანკფურტში (შემდეგ რედაქცია გადადის მაშინდელ დასავლეთ ბერლინში) — გერმანიის ისტორიაში ეპიცენტრად მიჩნეულ ქალაქებში. ჟურნალების სიღრმესა და თანადროულობაზე მეტყველებს ისიც, რომ მათში მონაწილეობას იღებენ გერმანიის ყველაზე გამოჩენილი ინტელექტუალები — მწერლები, ფილოსოფოსები, პუბლიცისტები. მათ სახელს უკავშირდება მემარცხენე ძალთა ბრძოლა დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად. გამოცემების ყურადღების ცენტრშია ყველა ის პრობლემა და თემა, რომელთა გარშემოც იყო გაჩაღებული უცხარესი დისკუსიები და დებატები. ისინი დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხთა ის წრე, რომელიც ეხება „მესამე სამყაროსთან" დაკავშირებულ მსოფლიო-პოლიტიკურ კონფლიქტებს, ნეოფაშიზმს, ვიეტნამის თემას და სხვა კრიტიკულ პუბლიკაციებს. საგანგებოდაა განხილული და წარმოჩენილი აშშ ინფორმაციულ-პროპაგანდისტული მონოპოლიების საერთაშორისო საქმიანობა, ის მასალებიც, თუ როგორ უპირისპირდება ადგილობრივი ინტელიგენცია გფრ-ის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ამერიკული მზა მოდელების მექანიკურ გადმოტანას, საკუთარ ქვეყანაში მასობრივი კულტურის იმპორტს.

აქტუალურ და გლობალურ საკითხებს მოიცავს მსოფლიოში განთქმული თეორეტიკოსისა და კომუნიკატივისტის ი. ჰაბერმასის სტატიები და მისი საჯარო გამოსვლები. დემოკრატიის პრინციპებზეა დამყარებული ყველა მისი ძირითადი პოსტულატი.

# თავი I. მე-20 საუკუნის 60-70 წლების გერმანია და აზრთა ჭიდილი

როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიის ომის შემდგომი პერიოდი კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის სწრაფ აღმავლობასთან ერთად, არნახული ეკონომიკური აღმავლობითაც ხასიათდება, რომელიც „ეკონომიკური სასწაულის" ტერმინითაა ცნობილი. 60-იანი წლებიდან მას შემდეგ, რაც „ეკონომიკური სასწაული" რეგრესს განიცდის, ქვეყანაში რადიკალურად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, მძაფრდება უთანხმოება მმართველ წრეებსა და დემოკრატიულ ფენებს შორის, რაც აშკარად წარმოაჩენს კლასთა შორის ანტაგონიზმს.[1]

კაპიტალისტური სამყაროს განვითარების კანონზომიერებამ საზოგადოებრივი ურთიერთობების ნამდვილი ხასიათი წარმოაჩინა, უაღრესად დაძაბა ვითარება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ საზოგადოების ახალი ძალები, რომლებიც მოითხოვდნენ ცვლილებებს სოციალურ სფეროებში, თავიანთი უფლებების დასაცავად ახალი ძალით იფეთქა მშრომელთა უკმაყოფილებამ, ამბოხისა და გაფიცვების ძლიერი ტალღა დასავლეთ გერმანიის საწარმოებს მოედო, რამაც გამოააშკარავა ის, რომ კლასობრივი ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა.

დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ იდეოლოგიაში დგება კრიზისი, რაც კლასობრივი ჰარმონიის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ილუზიების მსხვრევაზე მეტყველებს და რაც ბურჟუაზიულ კრიტიკაშიცაა ფიქსირებული. კრიზისის გაჩენას კიდევ უფრო აძლიერებს გერმანიაში ნეონაცისტების გააქტიურება და 1964 წელს დასავლეთ გერმანიაში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაცია.

პროგრესულად მოაზროვნე ხალხის მთელი იმედები

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე იყო დამყარებული, მაგრამ პარტიის იდეოლოგთა რეფორმისტულმა დადგენილებებმა და 1965 წელს მმართველი პარტიების — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის — დიდმა კოალიციამ საბოლოოდ გააქარწყლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესულ ძალთა რწმენა[2]. ამ პირობებში გამწვავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება. დაიგმო სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობები, სავსებით გამოირიცხა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების დამყარება. გდრ-სა და გფრ-ს შორის ურთიერთობების ნორმალიზაცია მხოლოდ 60-იანი წლების დასასრულს, ვილი ბრანდტის მთავრობის დროს გახდა შესაძლებელი, რომელსაც სოციალისტური ქვეყნების მიმართ უფრო დიპლომატიური პოზიცია ეკავა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დასავლური ყაიდის ეტალონ ქვეყანაში, სასტიკად იდევნებოდნენ ის პირები, რომლებიც თავიანთი მოქალაქეობრივი მრწამსიდან გამომდინარე, აშუქებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს. მმართველი წრეები ყველა საშუალებას მიმართავდნენ ოფიციოზის საპირისპიროდ მოაზროვნე ინტელიგენციის ხმის ჩასახშობად და მათი კრიტიკული გამოსვლების თავიანთი მიზნებისა და ინტერესებისათვის დასაქვემდებარებლად. მხოლოდ ერთი-ორი გამოცემა თუ ბედავდა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას. მაგრამ მსგავს მცდელობებს, როგორც წესი, თან სდევდა ჟურნალისტებზე მკაცრი ზეწოლა.

გავლენიანი რეაქციული წრეების მხრიდან შექმნილი დაბრკოლებების მიუხედავად, დასავლეთ გერმანიაში ძალას იკრებს პროგრესული, დემოკრატიული ტენდენციები. ფედერაციული გერმანიის სინამდვილეში არსებული მძაფრი წინააღმდეგობრიობა, სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, „ცივი

ომის“ პროპაგანდა, რომელსაც წლების მანძილზე ეწეოდა ქდკ/ქსკ-ის ბლოკი — ეს ის ფაქტორებია, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაზე. იწყება მუშათა კლასის და სტუდენტების გამოსვლები „ისტებლიშმენტის“ წინააღმდეგ, გფრ-ის პოლიტიკურ არენაზე ჩნდებიან „ახალი მემარცხენეები“, საღად მოაზროვნე მწერალთა და ჟურნალისტთა შორის სულ უფრო ძლიერდება ინტერესი სოციალური და პოლიტიკური სინამდვილის მიმართ. ამ პერიოდის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხდება თანამედროვეობის პრობლემებზე ყურადღების კონცენტრაცია, კაპიტალისტური სისტემის კრიტიკა. გფრ-ის ლიტერატურულ არენაზე გამოდის „დორტმუნდის ჯგუფი-61“, რომლის პოზიციაც, მართალია, პოლიტიკური სიმკვეთრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჯგუფის წევრები ძალისხმევას არ იშურებდნენ დასავლეთ გერმანიაში კლასობრივი ჰარმონიის ილუზიების გასაქარწყლებლად. რეალისტური ტრადიციების აღორძინება გფრ-ში სწორედ „ჯგუფი-61“-ის მოღვაწეობას უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე სინამდვილისადმი კრიტიკულად განწყობილი მთელი პროგრესული ინტელიგენცია ირაზმება ანტიდემოკრატიული მოვლენების წინააღმდეგ. მწერლები, კრიტიკოსები და ინტელექტუალები მართავენ ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკუსიებს. მსჯელობები იმართება სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე, იკვეთება კულტურის პოლიტიზაციის პროცესი. ხოლო იდეოლოგიის სფეროში ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება საზოგადოებრივ აზრთა დიფერენციაციას იწვევს. ყოველივე ეს 1965 წელს ორი მემარცხენე მიმართულების ლიტერატურული ჟურნალის — „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ დაარსებით გაცხადდა.

ორივე ჟურნალი, როგორც რადიკალურად მემარცხენე

„კურსბუხი“, ასევე მემარცხენე „კიურბისკერნი“ ერთსულოვნად უპირისპირდება მემარჯვენე პრესას და ლიტერატურას სწორედ იმ პერიოდში, როცა ოფიციალური პრესა[3] დუმილით უვლის გვერდს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ორივე ჟურნალი მიზნად ისახავდა დემოკრატიული პრინციპების პროპაგანდას და „დემოკრატიული საზოგადოების განათლებისა და მოვლენებში გათვითცნობიერების“[4] აუცილებლობას.

ჟურნალების დაარსების პერიოდში დისკუსიებში ლიტერატორთა ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება პოლიტიკურ მოვლენებზე. გახშირებულ დისკუსიებში აქცენტი ლიტერატურის როლზეა გადატანილი, რაც შემდგომ საფუძვლად ედება დასავლეთ გერმანიაში ლიტერატურის პოლიტიზაციის პროცესს.

პოლიტიზაციის პროცესის ნათელი გამოხატულებაა ერთი და იმავე პოლიტიკური მიმართულებისა და მსგავსი კონცეფციის მქონე ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის მოღვაწეობა. მათი მსოფლმხედველობა ისტორიულ რეალობაზეა დამყარებული. რიგი საკითხებისა და მოვლენებისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, ორივეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქვეყანაში შექმნილი ვითარების გაჯანსაღებაში.

ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში გამოირჩეოდა მხოლოდ ერთეული პერიოდული გამოცემები, რომლებიც საზოგადოებრივ ცნობიერებას წარმართავდნენ და საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდნენ.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული როლი მიენიჭა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალებს. თუმცა ზოგი ჟურნალი წმინდა ლიტერატურული ხასიათისა იყო და მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა გამოქვეყნებით შემოიფარგლებოდა („აქცენტე“, „დერ მონატ“, „ლიტფას“, „ლიტერატ“ და სხვ.). ასევე გამოდიოდა წმინდა თეორიული, მეცნიერული ხასიათის ჟურნალები. მაგ-

რამ ისეთი, რომელიც ლიტერატურულიც და თეორიულიც იქნებოდა და იმავდროულად საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემატურ საკითხებსაც ობიექტურად გააშუქებდა, თითქმის არ არსებობდა. ამ კუთხით, თამამად შეიძლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ დასახელება, ვინაიდან ეს მებრძოლი მემარცხენე ორგანოები მოწოდებულნი იყვნენ ქვეყნის დემოკრატიული წინსვლისათვის და გარკვეულწილად კიდეც მართავდნენ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. ამიტომაცაა, რომ მათ განსაკუთრებული ადგილი უკავია თითქმის ყველა სპეციალურ გამოცემაში, როგორც ლიტერატურის ისტორიის, ასევე კრიტიკის სფეროში.

უკვე აქსიომაა, რომ დემოკრატიული ბეჭდვითი ორგანოს გაჩენა დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი, განპირობებული და იგი ხშირ შემთხვევაში კიდეც ქმნის პოლიტიკურ კლიმატს.

არსებობს ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალები, რომლებიც კმაყოფილდებიან საკუთარი მკითხველთა წრით და არც გააჩნიათ პრეტენზია, რომ ხმა მიაწვდინონ მთელ საზოგადოებას. მათგან განსხვავებით გაცილებით მასშტაბურ მიზანს ემსახურებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები. მაგრამ ხდება ისეც, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები მიზეზთა და მიზეზთა გამო, დასახულ მიზანს ვერ აღწევენ. ცხადია, ჟურნალის ფურცლებიდან მოწოდებული აზრი თუ დებულება წმინდა ღაღადისად რჩება, თუკი აუდიტორიას ვერ მიწვდება.

აღნიშნულ პრობლემებს აწყდებიან ის პერიოდული გამოცემები, რომლებიც შუალედურ პოზიციას იკავებენ ინტელიგენციასა და მმართველ წრეებს შორის. არა სახელმწიფოებრივად, არა სოციალურად, არამედ ინდივიდუალურად აზროვნებენ და ვერ მიჯნავენ, ვერ აშორიშორებენ ოფიციოზისა და ჯანსაღი აზრის გამომხატველი ძალების პოლიტიკას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები „კურსბუხი“ და „კიურბისკერნი” ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ, ისინი გამოირჩეოდნენ კრიტიკული თვალთახედვით, გამუდმებით ადევნებდნენ თვალყურს სახელმწიფოსა და საზოგადოების წიაღში მიმდინარე პროცესებს და გამოხატავდნენ და იცავდნენ უმრავლესობის ინტერესებს. ჟურნალების ავტორთა მოღვაწეობა მუდმივი შფოთვის, მოუსვენრობის, მასშტაბური პრობლემების გათავისების ნიშნით იყო აღბეჭდილი და საჭიროების შემთხვევაში მათ განგაშის ზარებისათვისაც შემოუკრავთ მთელი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად.

თუ რა რთული პერიოდი იყო იმდროინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და რამდენად აუცილებელი იყო ინტელექტუალების გამოფხიზლება, კარგად ჩანს გაზეთ „შტუტგარტენ ნახრიხტენიდანაც“ (1965 წ. №179): „ჩვენი დღევანდელი დემოკრატიის ყველაზე სერიოზული მტრები ის რამდენიმე გიჟი კი არ არის, საპირფარეშოების კედლებზე სვასტიკას რომ ათხაპნიან, ან იგივე ტერორისტი, მოძალადე, მოურიდებელი დოგმატიკოსი და ვირთხა დემაგოგები! უნდა გვესმოდეს, რომ ნამდვილი საშიშროება ეშმაკის იმავე სამოსში, იმავე სვასტიკიანი (SA) პერანგით არასოდეს გვევლინება. ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას ახალი, სრულიად უცნობი საფრთხე ემუქრება... ეკონომიკურ სასწაულში ინტეგრირებული ინტელექტუალებისაგან, რომლებიც თავიანთ რიტორიკულ ჰაბიტუსსა და სიმართლეს ერთმანეთში ურევენ, ხოლო კერძო ინტერესებს – დემოკრატიის ინტერესებში“.

„კურსბუხის“ 1991 წლის 104-ე ნომერში დაბეჭდილი სტატია შესანიშნავად წარმოაჩენს ჟურნალების დამსახურებასა და რედაქციის განსაკუთრებულ წვლილს. სტატიაში ნათქვამია: „დასავლეთ გერმანიის ინტელექტუალებმა დიდი სამსახური გასწიეს. ადვილი შესაძლებელია, სრულიად სხვაგვარად წარმართულიყო ფედერაციული რესპუბლიკის განვითა-

რება იმ „განწყობით“, რასაც ისინი მასმედიის საშუალებით ამკვიდრებდნენ. თუნდაც იმგვარად, როგორც ადენაუერის ხანაში ხდებოდა. ამას წინ აღუდგა 60-იანი წლები! ამას მოჰყვა 60-იანი წლების ამბოხი! სწორედ ინტელიგენცია ზრუნავდა ყველაზე მეტად, რომ არ დაეშვათ ქვეყანაში ფესვი გაედგა ნაციონალიზმსა და რევანშიზმს. სხვა შემთხვევაში 1990 წელს გერმანია ვერც გაერთიანდებოდა“.[5]

ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ დღევანდელი გერმანიის პოლიტიკური რეალობა საშუალებას გვაძლევს ვირწმუნოთ, რაოდენ დიდი წვლილი შეიტანეს ინტელექტუალებმა და პრესამ ქვეყნის სწორი გეზით წარმართვაში, სახელმწიფოს სრულყოფასა და კეთილდღეობაში.

„კურსბუხის“ 20 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალის რედაქტორების – ინგრიდ კარსუნკესა და კარლ მარკუს მიხელის მიერ გამოცემულ ორტომეულში – „მოძრაობა რესპუბლიკაში 1965 წლიდან 1984 წლამდე. „კურსბუხის“ ქრონიკა“,[6] – ჟურნალის მესვეურები მათთვის ჩვეულ ირონიულ სტილში წარმოაჩენენ 60-70-იან წლებში გფრ-ის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და იმდროინდელი მოვლენებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას. ერთ-ერთ ქვეთავში – „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სახელმწიფოში“[7] – ისინი „უდიდესი მასშტაბის“ საზოგადოებრივ ექსპერიმენტად მიიჩნევენ კოლონიური ქვეყნებისათვის ვითომდა დამოუკიდებლობის მინიჭებას. თუმცა ირონიული შედარებისათვის უფრო დიდ ექსპერიმენტად თვლიან გერმანიის ორ ნაწილად დაყოფას – „იქ სოციალისტური, აქ კაპიტალისტური წყობით“, ხოლო აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ გერმანიის ექსპერიმენტის გეგმა მათ უფრო „გაბედულ“ გადაწყვეტილებად მიაჩნიათ. ფაშიზმის შემდეგ ქვეყანას დემოკრატიული თავისუფლება უნდა „შეერგო“ და უარი ეთქვა თავის ისტორიაზე, მართვის ავტორიტარულ ხასიათზე, გერმანულ არსზე,

ყველაფერზე, რამაც ქვეყანას ტოტალიტარიზმის პირობებში გაუგონარი, წარმოუდგენელი ბოროტება ჩაადენინა. წარსული უნდა ჩაკლულიყო როგორც „თვითგანწმენდის“ ხელისშემშლელი წინაპირობა. ამას ემსახურებოდა წარსულის ტაბუირება და შეგნებული დავიწყება, მისი მეხსიერებიდან აღმოფხვრა. ცხოვრების ახლებურად დაწყება იყო განწესებული. დემოკრატიზაცია, ავტორების აზრით, ისეთივე შემოგდებული იმპორტი იყო, როგორც საღეჭი რეზინი. „ჩვენ, „რეედუკაციისა“[8] და რესტავრაციის მარჯვე პირმშოები“, ორივეს ვღეჭავდით და ჩვენმა ექსპერიმენტმა დიდი წარმატებითაც ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში — ეკონომიკური \იგულისხმება ე.წ. “ეკონომიკური სასწაული”, რ.დ.\... და მაინც საოცრად მორჩილი, დამყოლი, აპოლიტიკური და პროვინციულნი დავრჩით. ძლევამოსილ ამერიკას ისე ავეკარით, როგორც ძმას და მისი მტერი (იგულისხმება საბჭოთა კავშირი — რ.დ.) ჩვენსავე მტრად ვაქციეთ, რომელიც დაუხმარებლადაც შეიძლებოდა ასეთად დარჩენილიყო ჩვენთვის. განა ამაში ვინმეს ჭკუის სწავლება გვჭირდებოდა?!.. ასე ვირაზმებოდით ანტიკომუნიზმით შეიარაღებულნი და მას ჩვენს ეკონომიკურ სასწაულთან ერთად ექსპორტში ვუშვებდით“.[9] ავტორები გულისხმობენ იმ არნახულ ეკონომიკურ აღმავლობას, რომელიც „ეკონომიკური სასწაულის“ ტერმინითაა ცნობილი და, რომელმაც 60-იანი წლებიდან რეგრესი განიცადა, გულისხმობენ ასევე იმ ანტიკომუნისტურ ისტერიას, რომელიც ამერიკამ თავს მოახვია გერმანიას. ჟურნალის რედაქტორების აღშფოთებას ისიც ემატება, რომ კულტურის განვითარება საზოგადოებრივი ექსპერიმენტით გათვალისწინებული არ იყო. ნონკონფორმისტები — უკმაყოფილო ინტელიგენცია და ხელოვნების დარგის მუშაკები — იხსენიებდნენ რა კანცლერ ერჰარდს „პინჩერად“, ხაზგასმით წარმოაჩენდნენ თავიანთ შეურიგებელ პოზიციას.

„კურსბუხის“ რედაქტორები შესავლის ბოლოს მეტად მწარე, სარკასტულ დასკვნას აყალიბებენ: „ასე ვუფრთხილ-

დებოდით გერმანულ ზნეკეთილობას: მუყაითობას, სისუფთავეს, დისციპლინას და ძლიერ ლტოლვას სიმყუდროვისადმი. მყუდროებამ კი ბარბაროსობის ზღვარს მიგვაყენა. რა თქმა უნდა, წმინდა, უზადო და ღვთისმოსავები ვიყავით, განსაკუთრებით კი ბალიშზე თავმიდებული. თანაც იმდენად დემოკრატიულები, რომ ოპოზიციის, ისიც პარლამენტსგარე ოპოზიციის არსებობას ვერ ვგუობდით. ალბათ, ყველაფერი მოგვარდებოდა, რომ ამ პინჩერებს, ყველაფერზე ხელისმომწერებს, საკუთარი კერიის შემრყვნელებს, ამდენხანს ოსვენციმსა და ვიეტნამზე, საგანგებო კანონებსა და თუნდაც, გდრ-ის აღიარებაზე ელაპარაკათ..."[10] აქ ავტორების მიერ უკვე იკვეთება ის ძირითადი თემატიკა, რომელიც ჟურნალების დაარსებიდანვე ხდება განსჯის საგანი.

# მარკუზე და ფილოსოფიური საფუძვლები

XX ს. 60-70-იანი წლების ოპოზიცია „ახალ მემარცხენეთა“ იდეურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობითაა გამსჭვალული და უმთავრესად ემყარება ფრანკფურტის სკოლის ნეომარქსიზმის იდეოლოგების თეოდორ ადორნოს, მაქს ჰორკჰაიმერისა და ჰერბერტ მარკუზეს ფილოსოფიურ შეხედულებებს. მემარცხენე რადიკალურ ფილოსოფიას, ანუ როგორც მას უწოდებენ, ნეომარქსისტულ იდეოლოგიას საფუძველი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო იქიდან გავრცელდა მთელ ევროპაში და სრულიად შეცვალა ევროპის ინტელექტუალთა მსოფლმხედველობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში „ახალ მემარცხენეთა“ იდეური წინამძღოლის, „კრიტიკული თეორიების“ ავტორის, კალიფორნიის სან დიეგოს უნივერსიტეტის პროფესორის, გერმანული წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსის ჰერბერტ მარკუზეს ნეომარქსისტულმა თეორიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპაში სტუდენტური მოძრაობის აღმავლობაზე. ეს აისახა გფრ-ისა და დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტების სტუდენტთა ანტიავტორიტარულ საპროტესტო გამოსვლებზე, დევიზით „გათავისუფლება გათავისუფლებამდე“.

„კრიტიკული თეორიების“ ავტორი თეოდორ მარკუზე (დაიბადა 1898 წ. ქ. ბერლინში, გარდაიცვალა 1979 წ. სან დიეგოში) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში „ახალ მემარცხენეთა“ სულისჩამდგმელადაა ცნობილი.

1917 წლიდან თეოდორ მარკუზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია, ხოლო როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის დახვრეტის შემდეგ, პარტიის პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად სდპ-ს ტოვებს. პროლეტარული რევოლუციის წარუმატებლობით იმედგაცრუებული მარკუზე

საბოლოოდ შორდება პოლიტიკას და ბერლინსა და ფრაიბურგში იწყებს ფილოსოფიის შესწავლას. 1923 წელს ის იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1927 წლიდან ჰაიდეგერთან ფრაიბურგის უნივერსიტეტში აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას, სადაც მას სადოქტორო დისერტაცია უნდა დაეცვა. მაგრამ მარკუზესა და ჰაიდეგერს შორის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, კერძოდ მარკუზეს მარქსიზმის მიმართ საგრძნობმა სიმპათიებმა და ჰაიდეგერის პოლიტიკური შეხედულებების მარჯვნივ გადახრამ, გარდაუვალი გახადა მათი დაშორება. ამიტომაც მარკუზე ფრანკფურტში გადადის ჰორკჰაიმერთან. ამ დროს ჰორკჰაიმერი უკვე ფრანკფურტის სოციალური ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო. 1930 წელს ისინი მთელ ინსტიტუტთან ერთად ამერიკაში, ნიუ-იორკში მიემგზავრებიან ემიგრაციაში. მარკუზე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, სულ უფრო მეტად შორდებოდა საბჭოთა კავშირს. 1958 წელს დასტამბულ წიგნში, რომელიც საზოგადოებათმცოდნეობას შეეხებოდა, მან მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას სპეციფიკური საბჭოთა ფილოსოფიის კვალიფიკაცია მისცა.

1965 წლიდან მარკუზე კალიფორნიის სან დიეგოს პროფესორია და იქიდან ახდენდა ზეგავლენას იმ წლებში აზვირთებულ სტუდენტთა გამოსვლებზე. ფედერაციულ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტებში დროგამოშვებით პროფესორად მოწვეული მარკუზე ასევე ზემოქმედებდა იქაურ სტუდენტურ მოძრაობაზე, რომლის დევიზი იყო „გათავისუფლება გათავისუფლებამდე“. ეს იყო ანტიავტორიტარული პროტესტი.[11] მაგრამ მარკუზესათვის არა მარტო კაპიტალის გაბატონება იყო ავტორიტარული, არამედ მუშათა კლასისა და მისი პარტიის მიერ აშენებული რეალური სოციალიზმიც. ის მათში ბევრ მსგავსებას ამჩნევდა. მისი აზრით, პროგრესული ინდუსტრიალიზაციის შედეგად, ორივე სისტემაში მოხდა წარმოების წესისა და საზოგადოებრივი

ურთიერთობის განვითარების პროცესის შეცვლა. ორივეგან ძალაუფლება უპყრია აპარატს, რომელიც მართავს და აწესრიგებს საზოგადოებრივ შრომას. თავისუფლებაზე წარმოდგენა კი, როგორც ასეთი, თითქოს გაქრა[12] თანამედროვე კაპიტალისტურსა და სოციალისტურ სახელმწიფოებში.

კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მსგავსება, მისი აზრით, ხშირად ტერმინებითაც გამოიხატება, როგორიცაა „ტექნოლოგიური საზოგადოება" ან „განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოება". საწარმოო პროცესში ჩაბმული ტექნიკა, ორივეგან ბატონობის საშუალებად იქცა.

მარკუზეს მიხედვით, მარქსიზმმა ვერ გადაჭრა თავისუფლებისა და ბატონობის პრობლემა. მას მხედველობაში არ ჰქონია და არ გაუცნობიერებია არც ჩვენი და არც სხვების ჩაგვრა — ის, რაც ძევს თითოეული ინდივიდისათვის დამახასიათებელ სტრუქტურაში.[13]

მარკუზეს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად და ადამიანის გასათავისუფლებლად, მარქსისაგან განსხვავებით, მუშათა კლასის — პროლეტარიატის ნაცვლად აქცენტი ძირითადად ინდივიდსა და ინტელიგენციაზე გადააქვს. მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით, ინტელიგენცია ისტორიული ცვლილებების აგენტად ვერ გარდაიქცევა და რევოლუციურ კლასადაც არ მიიჩნევა ინტელექტუალებს გადამწყვეტი ფუნქცია აკისრიათ მხოლოდ „გზის მოსამზადებლად. არც მეტი და არც ნაკლები.

ფილოსოფოსი ინტელიგენციის ამ ჯგუფში მეცნიერების, ტექნიკოსების, ინჟინრების გარდა, ფსიქოლოგებსაც გულისხმობს. რადგან ფსიქოლოგიას საზოგადოების განვითარების სფეროში მონობისაგან თავის დახსნის აუცილებელ ინსტრუმენტად მიიჩნევს. ამ ინტელიგენციას უწოდებს მარკუზე ახალ მუშათა კლასს. მისთვის ეს ის ხალხია, რომელსაც არსებული სისტემა ლობირებს და რომლებიც სისტემის შიგ-

ნით კარგად არიან შეფარებული. თუმცა ამავე დროს ისინი ყბადაღებულ წინააღმდეგობაში ეფლობიან. ერთი მხრივ, ეს არის მეცნიერების განმათავიუსფლებელი როლი და შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, რეპრესირებული და დამონებული მომხმარებლები. „ეს ჩაკარგული და მიმალული წინააღმდეგობა უნდა გაირღვეს ინტელიგენციის კატალიზატორად მობილიზებისათვის. ეს არის დღევანდელი ოპოზიციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და არსებითად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა“,[14] — ამბობს ავტორი.

ამ საქმეში ჰერბერტ მარკუზე უდიდეს როლს ანიჭებს განმანათლებლობას, ანუ ხალხის განათლებას. მისთვის თეორიული და პრაქტიკული მომზადება პოლიტიკურ პრაქტიკასთან შერწყმით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე დისკუსია. ასეთმა აღზრდამ უნდა მოიცვას სული და სხეული, გონება და ფანტაზია, ინტელექტის მოთხოვნილება-მისწრაფებანი, ხანამ ობიექტი კოლეჯის, სკოლისა და უნივერსიტეტის კედლებს გასცდება. ამ შემთხვევაში, მარკუზე არ გულისხმობს სკოლებისა და უნივერსიტეტების განათლების სისტემის პოლიტიზაციას. მისი აზრით, განათლების სისტემა ისედაც პოლიტიზირებულია და მაგალითად მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც არაერთი უნივერსიტეტია მთავრობის უზარმაზარ კვლევით ცენტრებში ჩაბმული და სხვადასხვა დავალებებით დაკავებული. ამიტომაც მოითხოვს იგი არსებული პოლიტიკის კონტრპოლიტიკას. მონობის ინდოკრინაციის[15] დაპირისპირებას თავისუფლების ინდოკრინაციასთან.

მარკუზე „ჭარბმწარმოებელი საზოგადოების“[16] გაკრიტიკებისას და ამ საზოგადოების შეცვლის აუცილებლობაზე მსჯელობისას ერთმანეთს უპირისპირებს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოების შეცვლის ობიექტურ აუცილებლობასთან ერთად, შეცვლის სუბიექტური მოთხოვნილება მხოლოდ უმცირესობაში ძევს. ეს არ შეინიშნება განსაკუთრებით მოსახლეობის იმ

ნაწილში, რომელიც ტრადიციულად განიხილებოდა ისტორიული ცვლილებების აგენტად. რის მიზეზადაც იგი, ერთი მხრივ, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ასახელებს, ხოლო მეორე მხრივ, მასობრივ ფსიქოლოგიურ მანიპულაციას მიიჩნევს, ანუ საზოგადოების მიერ ადამიანის არა მარტო ცნობიერის, არამედ ქვეცნობიერის სისტემატურ კონტროლს. კონტროლი კი, მისი აზრით, ხორციელდება მეცნიერთა მიერ ფსიქოლოგიაში, კერძოდ, ფსიქოანალიზსა და ფსიქოთერაპიაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებების ზემოქმედებით.

საზოგადოების შეცვლის ობიექტური აუცილებლობისა და სუბიექტური მოთხოვნილების ერთმანეთისგან გამიჯვნის საფუძველზე მარკუზეს შემოაქვს ახალი ტიპის ადამიანის ცნება, რომლის ახალი მოთხოვნილებები მკვეთრად განსხვავდება ადრე არსებული აგრესიული და რეპრესიული მოთხოვნილებებისაგან. ამავე დროს, ახალი ტიპის ადამიანში ის გულისხმობს ადამიანს, ცოცხალი, ბიოლოგიური ძალით თავისუფლებისაკენ მისწრაფებითა და იმ ცნობიერებით, რომლითაც ის ჭარბმწარმოებელი საზოგადოების როგორც მატერიალურ, ასევე იდეოლოგიურ მხარესთან დაპირისპირებას შეძლებს. მარკუზესათვის შესაძლო განთავისუფლება აშკარადაა დამოკიდებული ადამიანის სიღრმისეული მასშტაბების გამოვლენასა და გააქტიურებაზე. მას აღელვებს, რომ საზოგადოება ინდივიდუალური ყოფის ყველაზე დიდ სიღრმეებში შეიჭრა, თვით ადამიანის ქვეცნობიერშიც.

მაგრამ ჭარბმწარმოებელი საზოგადოებიდან განთავისუფლების ალტერნატივად იგი სოციალიზმს არ ასახელებს, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ სოციალიზმი საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განვითარებით და რესურსების რაციონალიზაციით გამოირჩევა, რაც შემდგომში განთავისუფლების წინაპირობადაც შეიძლება ჩაითვალოს. თანაც თვლის, რომ ჯერ უნდა მოხდეს ადამიანში მგრძნობელობისა (მგრძნობელობაში გულისხმობს შემოქმედებითი ფანტაზიისა და ოპერი-

რების უნარს) და გონითი აღქმის დაბრუნება, რაც ჭეშმარიტი სოციალიზმის ძირითადი მიზანია. მაშინ მოგვეცემა მარკუზეს აზრით, საზოგადოების ხარისხობრივი მაჩვენებელი, მას მოჰყვება ღირებულებათა სრული გადაფასება, ახალი ანთროპოლოგია. ის შექმნის ადამიანის ახალ ტიპს, რომელიც უკუაგდებს არსებული საზოგადოების სამოქმედო პრინციპებს. ადამიანის ახალი ტიპი განთავისუფლებული იქნება არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანმხვედრი აგრესიულობისა და თავდასხმებისაგან. იგი განთავისუფლდება ფარისევლური, პურიტანული მორალისაგან. ეს იქნება ადამიანის ტიპი, რომელიც ბიოლოგიურად უძლური იქნება ომების საწარმოებლად და ტკივილების მისაყენებლად, რომელსაც ნათელი წარმოდგენა ექნება სიხარულსა და სასიცოცხლო მუხტზე და, რომელიც ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად, იმუშავებს ისეთი სოციალური და ბუნებრივი გარემოს შესაქმნელად, სადაც შესაძლებელი გახდება არსებობა. მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიური ძლიერება გაქრება და კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის დესტრუქციული ძალა მოიშლება, ასეთი ადამიანები, როგორც საწარმოო ძალები, ისევ შექმნიან ახალ ქალაქებს, თავიდან ააშენებენ თავისუფალ ქვეყანას, ხელახლა გააღვიძებენ სურვილს, ბუნებაში დაბრუნებისა. მარკუზეს სჯერა, რომ მარქსს სოციალიზმზე თავის კონცეფციაში, სწორედ ასეთი სამყარო წარმოედგინა.[17]

გვიანი კაპიტალიზმის ეპოქაში თავისუფლების შესაზღუდავად სისტემის თანმხვედრ ძალისმიერ მეთოდებზე მსჯელობისას მარკუზე თვლის, რომ ვიეტნამის საკითხი, კაპიტალის ძალაუფლების საბოლოო გარანტიაა, რომ ის, სამხედრო ძალისა და დიქტატურის მეშვეობით, კიდევ უფრო მეტად გააფართოებს თავისი ინტერესების არეალს და ასეთი გზით სოციალისტურ ქვეყნებსაც მოუღებს ბოლოს. ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ ეს მართლაც მოხდა.

არსებულ პოლიტიკაზე ზემოქმედების მოსახდენად, მარ-

კუზე იმედებს ამერიკელ ახალგაზრდულ ოპოზიციაზე ამყარებს. მარკუზეს დახასიათებით ეს ის ახალგაზრდობაა, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი იდეოლოგიისაგან, უნდობლობას უცხადებს ქვეყანას. ეს არის ერთ მთელში გაერთიანებული სექსუალური, მორალური, ინტელექტუალური და პოლიტიკური ამბოხი. ის მიმართულია ყოველგვარი არსებული სისტემის, — როგორც მთელის წინააღმდეგ. ეს არის ზიზღი, „ჭარბმწარმოებელი საზოგადოების" მიმართ, ცხოველი მოთხოვნილება იმისა, რომ სიცრუეზე დამყარებული და სისხლით მოპოვებული თამაშის წესები დაირღვეს. მარკუზეს არ უკვირს, რომ ეს ახალგაზრდობა ზიზღით შეხედავს მოთხოვნილებათა მზარდი დაკმაყოფილების არსებულ სისტემას. „იმიტომ, რომ მან (ახალგაზრდობამ — რ.დ.) იცის, არ გამოეპარება, ყოველდღიურად რამდენი მსხვერპლია, რაოდენ სისასტიკე და უგუნურებაა გამეფებული სისტემის შიგნით. ეს ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები წინ აღუდგებიან ახალ რეპრესიებს ბატონობისა და კეთილდღეობის უსაფრთხოებისათვის.[18]

მარკუზეს ფილოსოფიური მოძღვრება მიმართული იყო ავტორიტარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მისთვის არა მარტო კაპიტალის გაბატონებაა ავტორიტარული მართვის მანიშნებელი, არამედ მუშათა კლასის მიერ უკვე „აშენებული" რეალური სოციალიზმი, რომლის ძალისმიერ, დიქტატორულ ბუნებაში მარკუზე კაპიტალისტური სისტემის ნეგატიურ მხარეებს ხედავდა.[19] ეს მსგავსება მარკუზეს თეორიაში სპეციალური ტერმინებითაც გამოიხატება, ვთქვათ, „ტექნოკრატიული საზოგადოება" ან „განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოება",[20] რაც ნიშნავს, რომ ორივე სისტემაში ბატონობის საშუალებად ტექნიკა იქცა. აქედან გამომდინარე, მარკუზე მიიჩნევს, რომ სისტემათა დიფერენციაციისთვის გადამწყვეტია არა ტექნიკა, არამედ საწარმოო ძალთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. თავისუფალი

საზოგადოების არსებობა უთუოდ გულისხმობს ინდივიდის გათავისუფლებას ქვენა ინსტინქტებისაგან. მარკუზეს აზრით, მარქსმა ვერ გადაჭრა ვერც თავისუფლებისა და ვერც ექსპლუატაციის პრობლემა, ვინაიდან ვერ ჩაწვდა ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრის ფენომენს, ანუ იმას, რომ სხვაზე გაბატონების ინსტინქტი ღრმად ძევს თითოეული ინდივიდის ფსიქიკურ სტრუქტურაში. მარკუზეს კონცეფციის დედააზრი ისაა, რომ როგორც „ჭარბმწარმოებელი საზოგადოება", ასევე ტოტალიტარული სოციალისტური საზოგადოება ყოველივე ინდივიდუალურს სპობს. თუ საზოგადოებასთან დაპირისპირება ოდესღაც „ინდივიდის სუბსტანციას შეადგენდა", ახლა ეს უნარი გაქრა და მასთან ერთად, როგორც სუბსტანციური საწყისი, ინდივიდიც დარჩა მხოლოდ ხელისუფლებისაგან დათრგუნულ და სულიერად დამახინჯებულ სუბიექტად. ფილოსოფოსის დასკვნით, ადამიანის „მეს" ფროიდისეული ფსიქოანალიზის მეთოდით შესაძლებელია მარქსისტული თეორიის სრულყოფა, ხოლო საზოგადოების ჭეშმარიტი გათავისუფლება ინდივიდის ფსიქიკური სტრუქტურის რევოლუციური ცვლილებითაა შესაძლებელი, ხოლო განმსაზღვრელი მნიშვნელობა პიროვნების ფსიქოლოგიის ძირეულ გარდატეხას ენიჭება. მაგრამ რევოლუციურ ძალად მარკუზე საზოგადოებაში უკვე არსებულ ფენებს როდი მიიჩნევს, გამოარჩევს მხოლოდ ინტელიგენციას, და იმასაც მარტო „გზამკვლევის" როლს აკისრებს, რადგანაც მიაჩნია, რომ სწორედ ინტელექტუალებმა უნდა შეასრულონ რევოლუციის კატალიზატორის ფუნქცია.[21] თანდათან, წარმოების პროცესში მეცნიერების აქტიურ დანერგვას ინტელიგენციის საზოგადოებრივი მისიის მასშტაბების ზრდა მოჰყვება. ამ უკანასკნელში მარკუზე მეცნიერებთან და ტექნიკურ ინტელიგენციასთან ერთად ფსიქოლოგებსაც გულისხმობს. ამასთან, საზოგადოების გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სახავს განმანათლებლობას, რაც პრაქტიკულად მოამზადებს ინდივიდს და შესაბამისად

მთელ ახალ თაობას, რომლის სხეულს, სულს და გონებას სავსებით სრულყოფს აღზრდის ინტელექტუალური, დახვეწილი სისტემა.

საზოგადოების შეცვლას ობიექტური აუცილებლობისა და სუბიექტური მოთხოვნილებების გამიჯვნის საფუძველზე მარკუზე ამკვიდრებს ახალი ტიპის ადამიანის ცნებას, რომლის მოთხოვნილებები მკვეთრად განსხვავებულია ადრინდელი აგრესიული და რეპრესიული მოთხოვნებისგან. ახალ ადამიანში ფილოსოფოსი ჭვრეტს პიროვნების გაცნობიერებულ სწრაფვას თავისუფლებისაკენ, რის შედეგადაც იგი შეძლებს ჭარბმწარმოებელი საზოგადოების მატერიალურ ყოფასა და იდეოლოგიურ მრწამსთან შეჭიდებას და ინდივიდში მგრძნობელობისა და გონითი აღქმის გააქტიურებას და პიროვნულ გარდაქმნას. ცნობიერების ახალ ხარისხს კი მოჰყვება ანთროპოლოგიური ძვრები და ღირებულებათა სრული გადაფასება. ახალი ტიპის ადამიანი გათავისუფლდება არსებული საზოგადოებრივი სტრუქტურების თანმხვედრი აგრესიულობისაგან, გათავისუფლდება ფარისევლური პურიტანული მორალისაგან. ახალი ადამიანი ბიოლოგიურად უძლური აღმოჩნდება ძალადობისთვის, იგი მიდრეკილი იქნება ბედნიერებისაკენ და დაამკვიდრებს ჭეშმარიტ ფასეულობებს. მარკუზეს მრწამსით, მარქსს თავის სოციალისტურ კონცეფციაში სწორედ ასეთი სამყარო წარმოედგინა.

მარქსიზმისა და ფსიქოანალიზის სინთეზის გზით ფილოსოფოსი ეძებს ინდივიდის სოციალური ემანსიპაციის ვარიანტებს, ხოლო პიროვნულ თავისუფლებას მისი ფსიქიკურ-ბიოლოგიური არსის შეცვლას უკავშირებს.

არსებულ პოლიტიკაზე ზემოქმედების იმედს მარკუზე ამერიკის ახალგაზრდულ ოპოზიციაზე ამყარებს, რადგან თვლის, რომ ეს ახალგაზრდობა უკვე თავისუფალია ნებისმიერი იდეოლოგიისაგან, უნდობლობას უცხადებს მმართველ წრეებს და მასში, როგორც ერთ მთელში, იფეთქებს სექსუა-

ლური, მორალური, ინტელექტუალური და პოლიტიკური ამბოხი – მიმართული „ჭარბმწარმოებელი საზოგადოების“ წინააღმდეგ. „ეს ქალიშვილები და ჭაბუკები აღუდგებიან რეპრესიებს ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ძალადობით უზრუნველოფს საკუთარ კაპიტალსა და უსაფრთხოებას“.[22]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადორნოსთან ერთად მარკუზეს კრიტიკული თვალთახედვა იმპერიალისტური იდეოლოგიისა და მისგან „მასობრივი კულტურის“ თავსმოხვევის მიმართ არსებით წინაპირობას წარმოადგენდა 60-იანი წლების მეამბოხე ინტელიგენციის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ მასობრივი კულტურის კრიტიკა სოციალური დისპროპორციის კონტექსტს მოკლებული იყო.

ახალ მემარცხენეთა (ნეომარქსისტების, როგორც თვით უწოდებდნენ თავიანთ თავს) თეორიული წყაროები არაერთგვაროვანია. მარქსიზმთან მათი სიახლოვე სხვადასხვა თეორეტიკოსთა, მათ შორის: ახალგაზრდა მარქსის, გეორგ ლუკასის, ზიგმუნდ ფროიდის, ვილჰელმ რაიხის, თეოდორ ადორნოს, ჰერბერტ მარკუზეს, ლევ ტროცკის, ფრანც ფანონის, ჩე გევარასა და სხვათა შეხედულებების ათვისებაში გამოიხატება. გარდა ამისა, არსებით თეორიულ წყაროებს წარმოადგენს ბარანსის მემარცხენე-რევიზიონისტული პოლიტიკური ეკონომია, ასევე ერნესტ მანდელასა და სხვათა თეორიული შეხედულებანი, ხოლო სოციალური აქციების მოსაწყობად უფრო მისაღები აღმოჩნდა მარკუზეს „მემარცხენე“ რადიკალიზმი. ძალზე დიდი იყო მისი თეორიების ზეგავლენა კაპიტალისტური ქვეყნებისა და მესამე სამყაროს ახალგაზრდობასა და ინტელიგენციაზე. მარკუზე ფსიქოანალიზის საშუალებით მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო სისტემიდან გამოაცალკევებს „ადამიანურს“, რითაც ესთეტიკა ხდება მისი ფილოსოფიის განმსაზღვრელი ასპექტი.

დებატები ლიტერატურის თეორიასა და ესთეტიკაზე, ეპოქისადმი მიმართებით, თავისთავად მოიცავდა პრინციპული

პოზიციების შეჯახებას. რისი შედეგიც იყო ესთეტიკაში ურთიერთსაპირისპირო მხარეთა პოლიტიზაცია: ერთი მხრივ, აკადემიური ბურჟუაზიული ესთეტიკის რადიკალური კრიტიკა, ხოლო ესთეტიკური და სოციალური ურთიერთობების რეალობასთან მჭიდრო კავშირში განხილვა. მეორე მხრივ, ესთეტიკა იქცა „მესამე გზის" თეორიის — დემოკრატიული სოციალიზმის მოდელის — იდეოლოგიურ ქვაკუთხედად, რაც გულისხმობდა კლასთა ბრძოლის გარეშე ექსპლუატაციის მოსპობას. წარმოების საშუალებებზე საკუთრებისა და კლასებს შორის ანტაგონიზმის ნაცვლად ანალიზის საგანი ხდება გაუცხოების ფენომენი მოხმარებისა და დისტრიბუციის სფეროებში.

„თვრამეტ ბრიუმერზე"[23] მსჯელობისას მარკუზე ცდილობს ბურჟუაზიის ბატონობის პოლიტიკური ფორმის — პარლამენტურ რესპუბლიკასა და მის საზოგადოებრივ შინაარსს შორის კონფლიქტის მანიფესტირებას. ის ამბობს, რომ პარლამენტური რესპუბლიკა ისეთ სიტუაციაში ვარდება, რომ ბურჟუაზია არჩევანის წინაშე დგება — დესპოტიზმი ან ანარქია. ის, რა თქმა უნდა, დესპოტიზმს ირჩევს. ასეთ სიტუაციაში, როცა ავტორიტარული მართვა, თავისუფალი ნების დამთრგუნველი ძალა, გამყიდველობა და გამცემლობაა გამეფებული, მარკუზესათვის ძნელი წარმოსადგენია, ბურჟუაზიული საზოგადოების ლიბერალური დაპირებების შესრულება და ინსტიტუტების შენარჩუნება.

აკრიტიკებს რა კაპიტალისტურ წყობას, მარკუზე იმასაც აღნიშნავს, რომ მოგებასა და რენტაბელობისაკენ სწრაფვა და ყველა ის მანკიერება, რაც კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობიდან უწყვეტად მოედინება, დიქტატზეა დამყნობილი. რამდენადაც უკეთ მუშაობს ჭარბმწარმოებელ საზოგადოებაში რეპრესიული აპარატი, მით უფრო კლებულობს მონობიდან თავისუფლებაში თანდათანობითი გადასვლის ალბათობა. ამიტომაც საზოგადოების გარდასაქმნელად ეს ესთე-

ტიკური მიზნები და მოთხოვნილებები თავიდანვე უნდა იქცეს განმსაზღვრელ ფაქტორად და არ უნდა იქნეს ახლო თუ შორეულ მომავალში გადატანილი.

მაშინ, როდესაც ზოგიერთი მემარცხენე ინტელექტუალი ისევ მუშათა კლასის წამოტივტივებასა და მათთვის ისტორიული როლის დაკისრებაში ხედავდა გამოსავალს, მარკუზე განმარტავს, რომ რევოლუციის ცნება, როგორც ეს მარქსთანაა ფორმულირებული, გათვლილი არ იყო ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ამიტომაც ის თანამედროვე პირობებში ანაქრონიზმად იქცა, რადგანაც რევოლუციას ადრესატი არ ჰყავს. მუშათა კლასი, რომელსაც მარქსი მომავალი სოციალური გარდაქმნებისათვის ისტორიულ სუბიექტად მიიჩნევდა, როგორც კლასი, აღარ არსებობს. ამ ვითარებაში ხარისხობრივად სხვა საზოგადოებრივი წყობის შექმნის სურვილის ჩანაცვლება ხდება უკეთესი სამუშაო პირობების, მეტი თავისუფალი დროისა და მატერიალური დოვლათის დაგროვებისაკენ სწრაფვით. ამიტომაც რევოლუციის თეორია[24] მარკუზესათვის გონიერებას მოკლებულია. ის სინამდვილესთან ზურგშექცეულია. თუმცა რევოლუციის იდეა არასოდეს არ ყოფილა მისთვის მისტიფიკაცია.

ყველაფრის მიუხედავად, მარკუზე განთავისუფლების შანსს წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებაში ხედავს. თან იმასაც დასძენს, რომ სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური ეკონომია მშვიდობისათვისაა მოწოდებული და არა აგრესიული ექსპანსიისათვის. ხოლო თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, მისი აზრით, პოლიტიკური ეკონომია თვით პოლიტიკის ფუნქციას შეადგენს და არა პოლიტიკური გადაწყვეტილებების ბაზისს, რასაც ნათელყოფს აქამდე უცნობი ფორმა ტოტალიტარიზმისა. ამავე დროს, გვიანი კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია „ფსიქოლოგიური ეკონომიაცაა".[25] ის ხელმძღვანელობს და წარმართავს სისტემიდან მომდინარე მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, მარკუზე აქ ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებას ხედავს ერთი მხრივ, „ძველ“, სტაბილურ, ტექნიკურად განვითარებულ ინდუსტრიულ სოციალისტურ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, „ახალ“, ღარიბ ქვეყნებს შორის. პირველები, გაბატონებულთა კატეგორიაში გამოდიან. მაგრამ მათ, სავსებით შესაძლებელია, საფრთხე გაუჩნდეთ საზღვრებს იქით, ღარიბთა რევოლუციური კომუნიზმის მხრიდან, რევოლუციის ახალი ფორმით – „რევოლუცია ქვემოდან“. აქვე მარკუზე ხაზს უსვამს, რომ იგივე საფრთხის წინაშე დგას „ჭარბმწარმოებელი საზოგადოებაც“, თუნდაც ამერიკის ბრძოლა „კომუნიზმის წინააღმდეგ“, რომელიც დიდი ხანია „ღარიბების კომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლად იქცა.[26]

როგორც მარკუზესთან ინტერვიუთი ვიგებთ, მან ჯერ კიდევ 1965 წელს გამოთქვა აზრი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების შესახებ და მის მანიპულაციურ სისტემაზე.[27] მას მიაჩნია, რომ გვიანი კაპიტალიზმის წინააღმდეგობების მანიპულირებას საკუთარი დინამიკა გააჩნია, რომლის დამანგრეველ ძალაზეც მეტყველებს ვიეტნამში ომის ესკალაცია და ამერიკის კაპიტალის ექსპანსია ევროპასა, სამხრეთ ამერიკასა და აზიაში. ის ამ ტენდენციაში კაპიტალისტურ ძალაუფლებათა შორის შეიარაღებული კონფლიქტის ჩანასახს ხედავს, რადგანაც საერთო მოწინააღმდეგის მიმართ ერთობლივი ინტერესი შუღლს ბადებს. ერებს შიგნით კი, პარტიკულარული კერძო ინტერესები იჩენს თავს ამერიკული კაპიტალის განსადევნად. ერებს შიგნით კერძო ინტერესები ნაციონალურ დამოუკიდებლობასთან ერთად, კვლავაც პროგრესულ ფაქტორად რჩება. თუმცა მარკუზე მეორე მხარესაც ხედავს და აქ რამდენიმე ვარიანტს მიიჩნევს შესაძლებლად. პროგრესული ავტომატიზაციის ეპოქაში არსებული უმუშევრობის ზრდას. პარალელურად ამერიკის ანტაგონისტური ძალების გააქტიურებასთან ერთად, ის არც ნეო-

ფაშისტური ძალების ინტენსიურობას გამორიცხავს, რომელსაც, მისი აზრით, შეიძლება მუშათა უმრავლესობაც მიმხრობოდა.

მარკუზეს იდეურ-ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ დიდი როლი შეასრულა ახალ მემარცხენეთა იდეოლოგიური მრწამსის ჩამოყალიბებასა და მათი ხელმძღვანელობით სტუდენტურ გამოსვლათა აზვირთებაში. ევროპის ინტელექტუალთა ძირითადი ბირთვი მყარად ეფუძნებოდა ამ ფილოსოფოსის სრულიად ახალ მოძღვრებას, რომლის ძირითად დებულებებს ჯერაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და დღესაც იჩენს თავს მარკუზეს თეორიის მოდიფიკაციის მცდელობა.

# მარქსიზმისადმი განახლებული ინტერესი

ეს ის პერიოდია, როცა ფართოდ იშლება დისკუსიები მარქსისტული მოძღვრების გარშემო, როცა მარქსიზმს ისევ მიუბრუნდნენ და არა მარტო გერმანიაში.[28]

მარქსისიზმისადმი ინტერესი არათუ მინელდა, არამედ გაცხოველდა და დაიწყო კიდეც მარქსიზმის იდეებისა და პოლიტიკის ხელახალი შესწავლა და გადასინჯვა.[29] კერძოდ, გაირკვა, რომ თავის დროზე ვერც ერთი მარქსისტი ვერ დაუშვებდა, რომ კაპიტალიზმი ასე მყარად მოიკიდებდა ფეხს. ზოგ მათგანს კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების ხალხთა გათავისუფლება ილუზიადაც მიაჩნდა. ამასობაში კი აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის ელასტიური ფორმით მართვისათვის მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ კმარა და არც ის, რასაც მარქსისტები ნაკლებ ელოდნენ, რომ სამყაროს უდიდეს ნაწილში პოლიტიკური ძალთა თამაში ძირფესვიანად შეიცვლებოდა.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გერმანიაში მარქსიზმი ყოველთვის ისე არ ესმით, როგორც ეს სოციალისტურ ქვეყნებში და თუნდაც საბჭოთა კავშირში იყო დაკანონებული. განსხვავებულად აღიქვამდნენ მარქსისტის ცნებასაც. მართალია, მარქსისტების უმეტესობა კომუნისტები, კომუნისტური პარტიის წევრები და მრწამსით ახლოს მდგომი პირები იყვნენ, მაგრამ მემარცხენე ჟურნალების აზრით, კომუნისტი ყოველთვის მარქსისტს როდი ნიშნავს. შეიძლება კომუნისტური პარტიის რიგებში იყო გაერთიანებული, მაგრამ მარქსისტი არ იყო. და ეს, ძირითადად, მაშინ გაირკვა, როცა 1956 წელს ბევრი მარქსისტი გამოვიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. ხოლო ისინი, ვინც დარჩნენ, აღმოჩნდა, რომ სრულებით არ ყოფილან მარქსისტები და მარქსთან არაფერი ჰქონიათ საერთო. ამიტომ გახდა მარქსიზმი მარქსიზმის თეორეტიკოსებისათვის ხელახლა გადასახედი ძირი-

თადად სოციალისტურ ქვეყნებში. მარქსიზმისადმი ხელახალი ინტერესი სტალინის ეპოქას მიეწერება. მარქსისტების უმრავლესობა იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში მარქსიზმის იდეების განხორციელებას კი არ ხედავდა, არამედ მის დამახინჯებას.

ჟურნალ „კიურბისკერნში“ სტალინის ეპოქის კრიტიკულ აღქმასთან ერთად ლენინის პერიოდში მარქსისტული იდეების გაყალბებასა და მანიპულაციაზეა ხაზი გასმული. სტატიაში „დიალოგი მარქსიზმის გარშემო“ ავტორი მაგალითისათვის პლეხანოვს, ტროცკისა და კაუცკის მოღვაწეობას ეხება. „პლეხანოვი, რუსული მარქსიზმის მამამთავარი იყო და მის ნაწარმოებებს ისეთივე აღფრთოვანებით ვკითხულობდით, როგორც ადრე ლენინისას. ამ ნაწარმოებებში მისი შეხედულებები ლენინის თვალსაზრისს არ ემთხვეოდა, რასაც, მარტივად რომ ვთქვათ, ადრე ნაწილობრივ ისევე გვიმალავდნენ, როგორც კაუცკის ბოლო ნაშრომებს. ამიტომაც ღრმად გვწამდა, რომ ეს ავტორები ცდებოდნენ, რადგან თვით ისტორია სხვას გვისაბუთებდა. მეორე მხრივ, დარწმუნებული ვიყავით, თუ ვინმე კომუნისტური პარტიის სახელით წერდა ან გამოდიოდა, მაშასადამე, მარქსისტი იყო, რაც არ გამოდგა სწორი. ასე რომ, ორმაგად ვცდებოდით“.[30]

მარქსისტული ფილოსოფიისაკენ მიბრუნებით, მასზე მსჯელობის დროს, მთავარი იყო ამ მოძღვრების მეცნიერული მეთოდის დანახვა, რაც პრობლემებზე ჩაფიქრების, მათი გააზრების საშუალებას იძლეოდა. „ურთულესი ამოცანების გადაწყვეტას ჭეშმარიტი მეცნიერული მეთოდით უნდა მივუდგეთ. აღვნიშნოთ როგორც ჩვენი წარმატებები, ასევე ნაკლი“,[31] — მოწოდებასავით გაისმის ჟურნალში.

რუდოლფ ბაროს წიგნის — „ალტერნატივას“ — რეცენზიაში ნათლად ჩანს ავტორის მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულება და უკიდურესად შეურიგებელი პოზიცია: „სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო აპარატი მთლიანად დასან-

გრევია, საბჭოთა სისტემა „რევოლუციის გზით“ უნდა გათავისუფლდეს, რათა არსებული სისტემა არათუ გარდაიქმნას, არამედ მისი სოციალური არსი შეიცვალოს, ძირშივე მოისპოს“.[32] ჟურნალის რედაქციის აზრი აღნიშნულ საკითხში გამოკვეთილად უკვე 70-იანი წლების ბოლოს ჩანს, რასაც ის „კიურბისკერნის“ დახურვის პერიოდში, მისი არსებობის 22 წლის შემდეგ განავითარებს: „უნაკლო სისტემა არ არსებობს. ასე რომ, უცილობელია პროგრესულ და რეაქციულ ძალთა შორის ჭიდილი“.

ჟურნალი „კურსბუხი“ მძაფრი კრიტიკით წარმოაჩენს საბჭოთა კავშირის სახეს. ეს განსაკუთრებით შეინიშნება 60-იანი წლების სტუდენტური მოძრაობის დაწყებიდან, რაც უკავშირდება საბჭოთა კავშირის ნეგატიური მხარეების წარმოჩენას. იგი მთლიანად ნომრებსაც უძღვნის ამ თემას, სადაც კრიტიკულადაა განხილული პირველი სოციალისტური ქვეყნის ისტორია — ბოლშევიკებიდან დაწყებული ხრუშჩოვის პერიოდის ჩათვლით.

„კურსბუხის“ რედაქცია საგანგებოდ ათავსებს თავის ფურცლებზე 50-იანი წლების საბჭოთა კავშირში მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, უნგრელი ევგენი ვარგას წიგნის ერთ-ერთ თავს — „რუსული გზა სოციალიზმისაკენ და მისი შედეგები“.

საბჭოთა ეკონომისტ ვარგას წიგნი, როგორც მას უწოდებენ — „პოლიტიკური ანდერძი“, „სამიზდატმა“ გამოსცა მოსკოვში 1968 წელს. ხოლო სხვა ქვეყნებში, კერძოდ, პარიზსა და ლონდონში 1970 წელს გამოიცა.

ვარგა თავის წიგნს 1917 წლის სოციალური კრიზისების განხილვით იწყებს, როგორ მწვავდება ვითარება და რამ განაპირობა ოქტომბრის რევოლუცია, ყურადღებას ამახვილებს რევოლუციისა და შემდგომი პერიოდის სავალალო

ეკონომიკურ პრობლემებზე; ამ განუვითარებელ, შიმშილითა და ქაოსით მოცულ, ქვეყანაში ბოლშევიკების მიერ სოციალიზმის აშენების პერსპექტივაზე. როგორც ვარგა აღნიშნავს, ლენინმა იმთავითვე საჭიროდ ჩათვალა სამხედრო ძალისა და სამოქალაქო არმიის ინსპექტორების, კონტროლიორების, ჩინოვნიკებისა და დამბეზღებლების მეშვეობით ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერება. ამით ავტორი ხაზს უსვამს მუშათა სახელმწიფოს ბიუროკრატიულ დეფორმაციას. თუმცა ლენინი ყოველივე ამას გარდამავალ ფაზად მიიჩნევდა. ამ იმედების გამო ვარგა ლენინს „კრემლის მეოცნებეს" უწოდებს.

რაც შეეხება სტალინს, ვარგა მას მეტად მწარე და მოუზომავი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს, მაგრამ, ერთგვარ გამართლებასაც უძებნის: „სტალინიზმის ფესვები სწორედ „სოციალიზმის რუსულ გზაშია" საძებნი – ლენინიდან რომ მოდის, რაც ჭეშმარიტი მარქსიზმიდან გადახვევას ნიშნავდა და რეალობასთან უშუალო შემგუებლობა იყო".[33]

თუმცა სტალინის პერიოდის გაკრიტიკებისას, ვარგა ბევრ შეკითხვას უპასუხოდ ტოვებს. კერძოდ, მოიქცა თუ არა სწორად სტალინი, როდესაც ქვეყნისათვის მართლა საშიშროების მომტანი მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიცია მოსპო. ის მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, რომ 1936 წლიდან თვითნებური რეპრესია გავრცელდა და მთელი ქვეყანა მოიცვა: მასობრივი ჟლეტა ძველი ბოლშევიკებისა, პროცესები, რომლებიც ზეწოლის შედეგად მიღებულ და სხვადასხვა გზით გაყალბებულ საჩივრებს ექვემდებარებოდა, რომ შიშისა და ცილისწამების გაბატონებამ მთავრობის ავტორიტეტი შეარყია, რომელიც სტალინის ხელმძღვანელობის დასაწყისში სუფევდა მოსახლეობაში. ვარგას აზრით, „პიროვნების კულტი" მოსახლეობაში შელახული ნდობის აღდგენა იყო.

რუსეთის დიქტატორული ბიუროკრატიის ხელში მუშათა კლასის მოქცევას ვარგა სტალინისდროინდელი სახელ-

მწიფოს ბიუროკრატიული აპარატისა და კომპარტიის არნახული გაძლიერებით ხსნის, რომელიც ერთადერთი დასაყრდენი იყო სახელმწიფოსათვის.

რუსეთში სოციალიზმის აშენებისა და სტალინის დევიზის — „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ — გაკრიტიკებისას, ჟურნალი „კურსბუხი“ გვამცნობს, თუ ნამდვილად რა ხდებოდა მაშინ ბოლშევიკური პარტიის შიდა წრეებში. იქ, იმის ნაცვლად, რომ ემსჯელათ საკითხზე, შესაძლებელი იყო თუ არა რუსეთში სოციალიზმის აშენება, სოციალიზმის აშენების პერსპექტივებზე კამათობდნენ. „ხატოვნად რომ ვთქვათ, კამათი იმაზე კი არ იყო, შესაძლებელია თუ არა სახლის აგება, არამედ იმაზე, სახურავი ექნება თუ არა“.[34]

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია საზოგადოებრივ მორალს მოკლებულ ქვეყნად, რომლის იდეოლოგიასაც რიგი ქვეყნებისა სოლიდარობას არ უცხადებდნენ. სსრკ ხელმძღვანელობამ მასებს „მარქსიზმ-ლენინიზმის გაყალბებული გაგება მოახვია თავს, რაც ჭეშმარიტი მარქსიზმისაგან ზურგშექცევას ნიშნავდა და, ვინაიდან საშიში იყო საზოგადოების მხრიდან ჭეშმარიტი გრძნობების გამოხატვა, იგი მასობრივმა აპათიამ შეიპყრო, გულგრილობასა და ცინიზმში ჩაიძირა. გაბატონებული ბიუროკრატია თავისი მრავალრიცხოვანი პრივილეგიიდან თუნდაც ერთზეც არ აპირებდა უარის თქმას. ნომენკლატურა — ე.ი. ბიუროკრატიული ოლიგარქია არაერთგვაროვანი იყო იმისათვის, რომ ჰომოგენური კლასი შექმნილიყო. შიდა სოლიდარობა მოისუსტებდა, ხოლო ახალ-ახალ პრივილეგიებისაკენ, უფრო და უფრო მაღალი სასიცოცხლო სტანდარტებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა მძაფრად იკვეთებოდა. ამ კატეგორიაში შემავალთ შორის იბუდებს კორუფცია და გარყვნილება, რასაც ისინი კრიმინალურ ქმედებამდე მიჰყავდა.

ჟურნალ „კურსბუხის“ გამომცემელი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი ვარგას წიგნზე დართულ კომენტარში სათაუ-

რით — „ჩიხის დიალექტიკა“ — შედარებით მოზომილად საუბრობს და მარქსისტული მეთოდოლოგიით ცდილობს წიგნში გამოთქმულ მოსაზრებათა იდეოლოგიურ და მეცნიერულ ანალიზს, თუმცა არც ობიექტური კრიტიკისაგან იკავებს თავს. ენცენსბერგერის აზრით, საზოგადოებრივი სინამდვილე წარმოდგენილია არა მარტო კორუმპირებული ფუნქციონერებითა და წვრილბურჟუაზიული ფენით, არამედ მუშათა კლასითაც, რომლის იმედები სკკპ-ს აპელატიური დაპირებების კედელს შეეჯახა. საბჭოთა პროპაგანდა მიზანს ვერ აღწევს. ის არა მარტო მობილიზებას უკეთებს ნაციონალურ და რასისტულ სიძულვილს, არამედ რესპუბლიკათა კავშირს უზარმაზარ საპროექციო ნიღბად იყენებს და სტალინიზმს ხელახლა ატრიალებს მასების შესაშინებლად.

ხრუშჩოვის პერიოდის გაკრიტიკებისას ენცენსბერგერი აღნიშნავს, რომ მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ მოიპოვა ძალაუფლება იმ ფენამ, რომელმაც მეთოდად გამოიყენა რევიზიონიზმი, ისევ კაპიტალიზმის დასამკვიდრებლად.. ენცენსბერგერი ყველა პოლიტიკურ პრობლემას და იმდროინდელ სსრკ კონფრონტაციას, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიასთან, ხრუშჩოვს მიაწერს. საერთოდ კი ამბობს, რომ „რევიზიონიზმი ჩიხია. აქედან თავის დაძვრენას კი მოხერხება და უკან დასაბრუნებელი გზის გამოძებნა სჭირდება“.[35]

ენცენსბერგერის, როგორც „ახალ მემარცხენეთა“ წარმომადგენლის, პოზიცია შესანიშნავად ჩანს, როცა თავისი კომენტარების ბოლოს ის, თითქოს წინასწარმეტყველურად დასძენს: „გაერთიანება, რომელიც მის (საბჭოთა კავშირის — რ.დ.) დასამხობადაა საჭირო, დიდხანს არ გვალოდინებს“.[36]

ვფიქრობთ, ჟურნალ „კურსბუხში“ ვარგას წიგნის ძირითადი პუნქტების გაშუქებითა და გამოთქმული მოსაზრებებით ჟურნალი არა მარტო თავის პოზიციას აფიქსირებდა, არამედ მიზნად ჰქონდა დასახული, თვალი აეხილა ზოგიერთი მემარცხენე ინტელექტუალისათვის. საქმე ისაა, რომ მე-

მარცხენე ინტელიგენციის ერთი ნაწილი (მათ შორის ჟურნალი „კიურბისკერნიც“), დაბეჯითებით მოითხოვდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემის სოციალიზმით შეცვლას და ამის საილუსტრაციოდ საბჭოთა კავშირსა და მის მონაპოვრებს უწევდა პროპაგანდას, რაც თავისთავად მიუღებელი და, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელიც იყო ინტელიგენციის იმ დანარჩენი ნაწილისათვის, ვისაც ესმოდა, რომ ეს პრობლემის გადაწყვეტის მცდარი გზა იყო. უდავოა, რომ „კურსბუხის“ მიერ საკითხის მსგავსი სიმძაფრით დასმას საფუძვლად ედო ადგილობრივი ინტელიგენციისათვის მიჩუმათებული სიმართლის მთელი სიცხადით, ზედმიწევნით მიუკერძოებლად წარმოჩენა, რითაც სინათლეს შეიტანდნენ „საბჭოთა სოციალიზმის“ ჭეშმარიტ არსში.

# იურგენ ჰაბერმასის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი

თანამედროვეობის გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის, საზოგადოების კრიტიკული თეორიების ავტორისა და კომუნიკაციის თეორეტიკოსის იურგენ ჰაბერმასის აზრები და შეხედულებები დიდი ხანია გასცდა საკუთარი ქვეყნის ფარგლებს. ჰაბერმასს ყურს უგდებენ არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკაშიც. ფილოსოფოსის, მეცნიერისა და თეორეტიკოსის შრომები მოვლენების ღრმა შინაარსობრივი წვდომით ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. მისი გამოკვლევები ბევრი დასავლელი მეცნიერისათვის იქცა სახელმძღვანელოდ. კომუნიკაციის თეორიაში სულიერ მამად წოდებული და აღიარებული ფილოსოფოსი დღესაც, ისევე როგორც ბოლო ათწლეულებში, აქტიურ და ნაყოფიერ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევა. მისი სტატიები და საჯარო გამოსვლები ყველაზე აქტუალურ და გლობალურ საკითხებს მოიცავს.

ჰაბერმასის მიმდევარ ახალგაზრდა ფილოსოფოსთა აზრით, რომ არა მათი მოძღვარი, საუკეთესო ტრადიციების მქონე გერმანულ ფილოსოფიას არათუ არ ეყოლებოდა ინტერნაციონალურ არენაზე უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, არამედ ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ კულტურას საგრძნობლად დააკლდებოდა მთელი წყება მორალურ-ეთიკური თემატიკის დისკუსიებისა, რომლებიც ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ასაზრდოებდა საზოგადოებას.

მართალია, თვლიან, რომ ჰაბერმასს ბევრი რამ აქვს საერთო მეოცე საუკუნის დიდ მოაზროვნე ინტელექტუალებთან, რომელთა შორის არიან ჟან-პოლ სარტრი, ბერტრან რასელი, თეოდორ ვ. ადორნო, ჰერბერტ მარკუზე და მიშელ ფუკო, მაგრამ იმასაც დასძენენ, რომ ჰაბერმასი თავისი სპეციალური თეორიული შეხედულებებით მაინც დიდად განსხვავდება მათგან. ჰაბერმასი დარწმუნებულია, რომ აუცილებელია

ფილოსოფიური მოძღვრებისა და პოლიტიკური აქტიურობის შერწყმა. თუმცა იგი არ შემოიფარგლება პოლიტიკისა და თეორიის ერთობის იდეით. მისი პროგრამის ძირითადი შინაგანი მამოძრავებელი ძალა საზოგადოების ნორმატიული თეორიის შექმნაში გამოიხატა.

ჯონ დევეის აზრით, ჰაბერმასმა ჰეგელის მემარცხენე შეხედულებები მე-19 საუკუნიდან მე-20 ს-ის გავლით ოცდამეერთეში გადმოიტანა. „კიდევ თუ შემოგვრჩა შეგნება, რომ გონი პრაქტიკულად უნდა გაცხადდეს, მაშინ პატივი უნდა მივაგოთ მის (ი. ჰაბერმასის — რ. დ.) მცდელობას, რომ ჩვენი ყურადღება მიმართა თანამედროვე ფილოსოფიური კრიტიკის შეზღუდულ, დამახინჯებულ და შერყვნილ რაციონალიზმზე"[37]. ამ ვითომ რაციონალიზმის გასაღები ჰაბერმასმა სწორედ კომუნიკაციური გონების იდეაში პოვა. კომუნიკაციური გონი უნდა ყოფილიყო არა მარტო ფილოსოფიური კრიტიკის საყრდენი, არამედ ისტორიული დანიშნულების ამოცანაც, რომელიც თავის დროზე ჰეგელმა აბსოლუტური გონის კონცეფციას დააკისრა.

ჰაბერმასის განათლება მრავალმხრივ წარიმართა. 1949 წელს იგი გიოტინგენის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას, გარკვეული ხნით აგრძელებს ციურიხში, რათა შემდეგ ისევ ბონს დაუბრუნდეს და იქ დაამთავროს ფილოსოფიის ისტორიის, ფსიქოლოგიისა და გერმანული ლიტერატურის კურსი.

ომის დამთავრებას ჰაბერმასი აღიქვამდა, როგორც შანსს დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისათვის. მაგრამ იმ პერიოდში იგი გატაცებული იყო ანთროპოლოგიისა და დიდი მოაზროვნის მარტინ ჰაიდეგერის იდეებით, რომლებსაც იმდროინდელ პოლიტიკურ თვითშეგნებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მასწავლებლის მიმართ მოკრძალებული დამოკიდებულება ხანმოკლე აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც 1953 წელს ჰაიდეგერის ლექციების კურსი „მეტაფიზიკის შესავალი" გამოიცა, რომელშიც იგი თავიდან იცილებს

პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ზნეობაზე სიტყვასაც არ ძრავს, ჰაბერმასი ეჭვქვეშ აყენებს ჰაიდეგერისეული ფილოსოფიის უმანკობას. 24 წლის ახალგაზრდა მოხსენებით გამოდის ჰაიდეგერის ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ. მოკლე და საკმაოდ მკვეთრი კრიტიკული გამოსვლით იგი მთლიანად იპყრობს დარბაზს. ეს გახდა თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელობისა და მათ შორის სისტემატური კავშირის არსებობის ნათელი დადასტურება.

1956 წელს ჰაბერმასს ფრანკფურტში იწვევს ემიგრაციიდან დაბრუნებული თეოდორ ვ. ადორნო მის მიერ ხელახლა დაარსებულ სოციალური კვლევის ინსტიტუტში ასისტენტად. ეს პერიოდი ითვლება ჰაბერმასის ინტელექტუალური წრთობის განმსაზღვრელ ეტაპად. იგი იწყებს ემპირიულ სოციალურ კვლევას და აყალიბებს საზოგადოების კრიტიკის თეორიას. მანამ, 1954 წელს, იცავს საკანდიდატო დისერტაციას შელინგის ფილოსოფიაზე. სადისერტაციო ნაშრომში მან პირველად განავითარა იდეა ისტორიული უსამართლობის პრაქტიკული დაძლევის შესაძლებლობაზე. მისი ფუნდამენტური ნაშრომის „საზოგადოების სტრუქტურული ცვლილების“ არსი მდგომარეობს ისტორიულ-სოციალური განვითარების რეკონსტრუქციაში, რაც დაშლის საფრთხეს უქმნის ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ დაპყრობილ სფეროებს, სადაც სწრაფი ტემპებით ხდება კაპიტალისტური იმპერატივების დანერგვა. ფრანკფურტის სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტში ჰაბერმასს ეძლევა შესაძლებლობა თავისი წარმოდგენები დემოკრატიაზე ემპირიულად გადაამოწმოს. აქ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ნაშრომში მითითებულია, რომ „სტუდენტი და პოლიტიკა“, იგი პირველად აყალიბებს აზრს ნებაყოფილობით დაფუძნებულ დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოზე.

1961 წელს სადოქტორო დისერტაციის — „საზოგადოების სტრუქტურული ცვლილება“ — წარმატებით დაცვის

შემდეგ, ჰაბერმასს იწვევენ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის პროფესორად, ხოლო სულ მალე, 1964 წელს, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში, სადაც იგი ჰორკჰაიმერის კათედრას ჩაიბარებს.

ჰაიდელბერგში ერთ-ერთ რიგით მოქალაქესთან კამათისას ჰაბერმასი სწვდება იმ აზრს, რომ გაგებინება მაშინ ფერხდება, როცა სარწმუნოობის ბუნებრივ (არაიძულებით) არტიკულაციას სოციალური მდგომარეობა უშლის ხელს. იგი ავითარებს ინტერსუბიექტური პრაქტიკის ანთროპოლოგიურ კონცეფციას, რომელიც მიმართულია იძულებისა (ზეწოლის) და ბატონობის გადალახვისაკენ. ასევე ეუფლება ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზს, რათა გაიაზროს და ჩაწვდეს ფალსიფიცირებული ინტერაქციის იდეას.

1982 წელს გამოცემული ორტომეული „კომუნიკაციური ქმედების თეორია“ სპეციალისტების მიერ აღიარებულ იქნა საეტაპო ნაშრომად თანამედროვე საზოგადოებამცოდნეობის თეორიაში. მასში პირველად გამოიკვეთა იდეა, რომ საზოგადოებრივი განვითარება მარტო ტექნიკური და ფუნქციონალური რაციონალიზმის აღმავლობით როდი განისაზღვრება, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული. მათ წინაპირობად კომუნიკაციური გონის განვითარების პროცესი სახელდება, ხოლო ენობრივი გაგებინების ნორმატიული მინიშნების ანალიზისას ეს პროცესია მოწოდებული ისევ და ისევ ბატონობისა და შეზღუდულობის დასაძლევად.

ნაშრომში მითითებულია, რომ აზროვნებისა და მოქმედების ერთობლიობისას პოლიტიკური პრაქტიკა უნდა იქცეს კოოპერატიული გონის რეალიზაციად. ავტორის ეს შემოთავაზება ცოცხალი სამყაროს კოლონიზების სურათის შექმნას ემსახურება, რათა პოლიტიკასა თუ კერძო სფეროებში არსებული კომუნიკაციური გონის მოქმედი სახეები ბიუროკრატიზმისა და კომერციონალიზმისაგან იხსნას და მათი გაჯანსაღების გზა დასახოს.

შტარნბერგის მაქს-პლანკის ინსტიტუტიდან ფრანკფურტის უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ, 1983 წლიდან ჰაბერმასი ცდილობს თვითონ გადალახოს თავის მიერ შემოთავაზებული მოთხოვნები. როგორც ინტელექტუალი, იგი კიდევ უფრო აქტიურად გამოდის სარბიელზე პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტატიებით, რომლებშიც ნეოკონსერვატიზმის საფრთხეზე მიუთითებს, რაც საზოგადოებას პოლიტიკურ-ეთიკურ კონფლიქტებს უქადდა. ჰაბერმასი თავის სათქმელს სისტემატურად აქვეყნებს პრესის ფურცლებზე და კიდევ უფრო ავითარებს კომუნიკაციური რაციონალურობის ცნებას როგორც ზნეობრივი, ისე იდეური კუთხით. სტატიების კრებულებით იგი ეხება „დისკურსის ეთიკას“, რასაც შემდეგ „მოდერნის დისკურსი“ მოსდევს.

80-იანი წლების II ნახევრიდან ჰაბერმასის პოლიტიკური პუბლიცისტიკა ხელიდან ხელში გადადის. მან თითქოს საკუთარ თავში შეძლო თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა, რასაც იმთავითვე, „საზოგადოების კრიტიკული თეორიის“ შექმნიდანვე, ისახავდა მიზნად. დროის შესატყვისად ჰაბერმასი უღრმავდება უახლეს სამართლებრივ ფილოსოფიას და ამუშავებს სოციოლოგიურ ლიტერატურას დემოკრატიის თეორიის განსავითარებლად. ამის შედეგად შეიქმნა სამართლის დისკურსის თეორია, რომელიც აისახა 1992 წელს გამოცემულ წიგნში „ფაქტები და მნიშვნელოვნება“. ი. ჰაბერმასი ამ წიგნში წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმატიულ თეორიას. მისთვის მთავარია ის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოში სამართლით იქნეს დაცული ის წინაპირობები, რაც მოქალაქეებს თანასწორად მისცემს დემოკრატიული ნების გამოვლენის შესაძლებლობას.

ჰაბერმასი წინა პლანზე აყენებს ენის ფილოსოფიას და მის მნიშვნელობას, შეიმუშავებს სრულიად ახალ მოსაზრებებს. კომუნიკაციური თეორიის არსი ურთიერთგაგების პროცესის ჰუმანურ-სპეციფიკური საფუძვლების გაშუქებაში

მდგომარეობს. ჰაბერმასის ანალიზისათვის ცენტრალურ ობიექტს წარმოადგენს ენა — კომუნიკაციის მიზნით გამოყენებული ენობრივი ქმედება თუ საუბარი. თუმცა მისთვის არაენობრივი გამოხატვის ფორმებიც — ჟესტი, მიმიკა და სხვ. სპეციფიკური მედიუმია გაგებინებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ნონვერბალური კომუნიკაციის ყველა ფორმა ენობრივი ბუნებისაა და თავის მხრივ ისევ ენაზე დაიყვანება. როგორც ფილოსოფოსი აღნიშნავს, ჩვენ ყველანი ვფლობთ ინტუიციურ, თეორიამდელ ცოდნას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ურთიერთგაგება და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ მხრივ. ამის თეორიული დასაბუთებით იგი ენობრივი ქმედებების სტრუქტურაში გვახედებს. ენის შესაძლებლობების არსებით ხასიათს ჰაბერმასი ორმხრივი მეტყველების, საუბრის ან ენობრივი კომუნიკაციის დიალოგურ სტრუქტურაში ხედავს. მისი მოსაზრებით მეტყველებისა თუ ენობრივი კომუნიკაციის არსი „აშკარად იმაში მდგომარეობს, რომ სულ ცოტა ორი მოსაუბრე, მსმენელი რაღაცაში თანხმდებიან“[38]. სხვებთან ერთად იგი იმ მოსაზრებამდე მიდის, რომ ენა და გაგებინება უძველესი დროიდანვე ერთმანეთის შემვსები ცნებებია. ყოველივე ამას მიჰყავს ჰაბერმასი იმ ცენტრალურ თეზისამდე, „რომ ენობრივ კომუნიკაციაში ჩადებულია ურთიერთგაგების ტელოსი“[39]. ჰაბერმასი იმ ფაქტსაც აღიარებს, რომ კომუნიკაციურ რეალობაში ურთიერთგაგებისაკენ სერიოზული სწრაფვაც კი არ შეიმჩნევა. განსაკუთრებით კრიზისული პერიოდის მოვლენებში, ერთი მხრივ, გაუგებლობასა და გაუგებრობას — გამიზნულ და უნებლიე უზუსტობას, ბუნდოვან და ღია შეუთანხმებლობას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, წინასწარ შეთანხმებასა და მიღწეულ გაგებინებას შორის[40].

გამოდის, რომ გაგებინებაზე ორიენტირებული კომუნიკაცია ჰუმანური კომუნიკაციის განსახიერებაა. არგაგებინებაზე ორიენტირებული კომუნიკაცია კი ადამიანთაშორისი კომუნიკაციის დეფიციტური ფორმა.

გაგებინების ნორმატიულ ცნებად ჩამოყალიბებისთვის, მით უფრო, რომ სიტყვა „გაგებინებას“ გერმანულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ჰაბერმასი ტერმინის დასაზუსტებლად განსაკუთრებულ გზას ირჩევს. უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაციაში მონაწილე სოციალიზირებულმა პირებმა ინტუიციურად იციან, ფაქტობრივად რას ნიშნავს გაგებინება. ჰაბერმასი ამ იმპლიციტურად არსებული ცოდნის ექსპლიციტურ გამოსახვას იძლევა. ბოლოს დგინდება, რომ სიტყვა — გაგებინება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ენობრივი გამოთქმის იდენტურ გაგებას. იგი არ ამოიწურება სხვისი აზრისა თუ შეხედულებების შიშველი გაგებით. ეს არის კომუნიკაციის უნარმქონე სუბიექტების ერთიანობის პროცესი, სადაც მიზანი თანხმობის მიღწევაა, ხოლო ეს თანხმობა რეალურად აღიარებული თანხმობა რომ იყოს, იგი უნდა ემყარებოდეს ნებაყოფლობითსა და ერთობლივად მისაღებ რწმუნებებს. ეს ნიშნავს არაიძულებით გაერთიანებულ, არგუმენტირებული გამონათქვამებით კონსენსუსის დამამყარებელ ძალას, როდესაც სხვადასხვა მონაწილე თავდაპირველად თავის სუბიექტურ მოსაზრებას გადალახავს და გონივრულად მოტივირებული რწმუნებების ერთობლიობის წყალობით სამყაროს ობიექტურ ერთიანობასა და ცხოვრებასთან კავშირში ინტერსუბიექტურობით ეცდება სარწმუნოობის მოხმობას. ამით ჰაბერმასს სურს გამოკვეთოს, რომ გაგებინება ნორმატიული ცნებაა. პრაქტიკულად ეს არ არის „საუბარში არაძალისმიერი გაერთიანების“ შესაძლებლობა, რის საფუძველზეც გამოჰყავს მას გაგებინების ტელოსის თეზისი. „ენობირვი კომუნიკაცია ძველთაგანვე კონსენსუსის შექმნაზეა გათვლილი და არა ხელოვნური ზეგავლენის მოხდენაზე“[41], — აღნიშნავს იგი.

აქედან გამომდინარე, ჰაბერმასი გამოყოფს გაგებინებაზე ორიენტირებული კომუნიკაციისაგან, რომელიც ენობრივი კომუნიკაციის ორიგინალურ მოდუსს ქმნის, სტრატეგიული კომუნიკაციის დეფიციტურ ფორმებს. მაშასადამე, გაგებინებაზე

ორიენტირებული კომუნიკაციის დროს მონაწილე პირები ერთობლივი სარწმუნოობის საფუძველზე ცდილობენ რაციონალურად მოტივირებული თანხმობის მიღებას, მაშინ, როცა სტრატეგიული კომუნიკაციის მიზანია „წარმატების მისაღებად ოპონენტის შეხედულებაზე ზეგავლენის მოხდენა“[42]. ჰაბერმასი აქაც ერთმანეთისაგან გამოაცალკევებს ღია და ფარულ სტრატეგიულ კომუნიკაციას. ღია სტრატეგიული კომუნიკაციის დროს ზეგავლენის მოხდენა შეიძლება მუქარის ან საცდურის გზით. ასეთ შემთხვევებში თანხმობა ხორციელდება არა ერთობლივი რწმუნებების საფუძველზე, არამედ ძალის გამოყენებით ან გრატიფიკაციით, ხოლო, რაც გარე ზემოქმედებით ხორციელდება, ჰაბერმასის მიხედვით, თანხმობად ვერ ჩაითვლება. ის მიიჩნევა მხოლოდ იძულებით ან მოსყიდულ შეთანხმებად.

ფარული სტრატეგიული კომუნიკაციის დროს ჰაბერმასი ერთმანეთისაგან განასხვავებს შეგნებულ და უნებლიე სიცრუეს. შეგნებული სიცრუის შემთხვევაში, რაც მანიპულაციის ანალოგიაა, ურთიერთგაგების ინტერესის სიმულირება ხდება. უნებლიე სიცრუის დროს თუნდაც ერთ-ერთ მონაწილეთაგანს ჰგონია, რომ გაგებაზე ორიენტირებულ პოზიციას იკავებს. მსგავსი თავის მოტყუება მიჩნეულია ნორმიდან გადახრად ან ეს არის იდეოლოგიურად ფალსიფიცირებული კომუნიკაცია[43].

კომუნიკაციის ეს განსხვავებული ფორმები შეიძლება სქემატურად შემდეგნაირად გამოისახოს:

| ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული კომუნიკაცია | | ერთობლივი რწმუნებები | რაციონალურად მოტივირებული თანხმობა |
|---|---|---|---|
| სტრატეგიული კომუნიკაცია | ღია სტრატეგიული | მუქარა საცდური | იძულებითი თანხმობა მოსყიდული თანხმობა |
| | ფარული სტრატეგიული | შეგნებული სიცრუე (მანიპულაცია) ინსტინქტური სიცრუე (გეგმურად ფალსიფიცირებული კომუნიკაცია) | შენიღბული თანხმობა მაცდუნებული თანხმობა |

ენობრივი კომუნიკაციისა და გაგებინების აქამდე წარმოდგენილ მოდელში საქმე ეხებოდა „კომპეტენტურ მოლაპარაკეთა თეორიამდელ ცოდნას, რომელთაც თავად ინტუიციურად შეუძლიათ განასხვავონ, როდის მოახდინონ ზემოქმედება სხვაზე და როდისაა შესაძლებელი გაგებინება, ამასთანავე ისინი გრძნობენ, როდის შეიძლება ჩაიფუშოს გაგებინების მცდელობები“[44]. საკომუნიკაციო გაგებინების ამ უნარს ჰაბერმასი კომუნიკაციურ კომპეტენციას უწოდებს, ანუ ეს არის უნივერსალური პრაგმატიზმი. იგი ასაბუთებს, რომ ეს კომპეტენცია წესთა უნივერსალურად ვარგისი სისტემის ცოდნაზეა დაფუძნებული, ხოლო წესთა ეს სისტემა კომუნიკაციის ენობრივ სტრუქტურებში იმპლიციტურად შედის. უნივერსალური პრაგმატიზმის იგივე კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიის ამოცანაა „შესაძლო გაგებინების უნივერსალური პირობების იდენტიფიცირება და რეკონსტრუქცია“, რაც გულისხმობს გაგებინებაზე ორიენტირებული ენობრივი საშუალებების ანალიზით იმის გარკვევას, თუ როგორაა შესაძლებელი რაციონალურად მოტივირებული თანხმობის მიღება.

ჰაბერმასის დებულებათა ამოსავალი წერტილია მეტყველების აქტის თეორია[45]. სამეტყველო აქტი „უბნობის ელემენტარულ ერთიანობას“ ქმნის, რასაც იგი ადასტურებს მაგალითებით: „მე გპირდები, რომ მოვალ. მე გირჩევ, თავი გაანებო ამას. მე გეტყვი, როგორ უნდა იარო და ა.შ.“[46]. მეტყველების ამ აქტში, ჰაბერმასის მიხედვით იკვეთება „ყოველდღიური სალაპარაკო ენის ორკეცი სტრუქტურა“[47]. სამეტყველო აქტი შედგება ერთი დომინირებული (პერფორმაციული ან ილოკუციური წინადადებისაგან, რითაც ურთიერთობა მოლაპარაკესა და მსმენელს შორის მყარდება (მაგ.: მე შენ გპირდები,...) და მასზე დამოკიდებული პროპოზიციური წინადადება, რომლითაც გამოიხატება გამოთქმის შინაარსი (...,

რომ ხვალ მოვალ“). სასაუბრო სიტუაციებში უბნობის აქტის შეთავაზებისას მისი მიღება თუ უარყოფა მსმენელზეა დამოკიდებული. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების აქტის ილოკუციურ ნაწილს, ვინაიდან ამ ნაწილით უცხადებს მოლაპარაკე მოთხოვნას მსმენელს, რითაც მას უბიძგებს მეტყველების აქტით შემოთავაზების მიღებას ან არმიღებას.

კომუნიკაციის თეორიაში ცალკე გამოიყოფა მნიშვნელოვნების მოთხოვნები (Geltungsansprüche). ურთიერთგაგებაზე ორიენტირებულთათვის ჰაბერმასს შემოაქვს სამი მოთხოვნა, რომლებიც უნდა შეასრულოს მოლაპარაკემ. თავდაპირველად მსმენელმა მეტყველების აქტის შეთავაზების მიღება რომ შეძლოს, საჭიროა შესრულდეს გასაგებობის მოთხოვნა. სანამ კომუნიკაცია შეუფერხებლად მიდის, გასაგებობის პრეტენზია, ფაქტობრივად, შესრულებულია, ვინაიდან კომუნიკაცია გაუგებრობისგან დაზღვეულია. გარდა ამისა, მოლაპარაკემ, რომელიც გაგებინებაზეა ორიენტირებული, შემდეგი სამი მოთხოვნა უნდა დაიცვას: ჭეშმარიტება, სისწორე და გულწრფელობა. ამით მოლაპარაკე იმავდროულად ამყარებს ურთიერთობებს გარესამყაროსთან. ურთიერთგაგების პროცესში ეს მოთხოვნები იმისდა მიხედვით წამოიჭრება, თუ მონაწილეები ობიექტურ სამყაროში, საერთო სოციალურ სამყაროში ან საკუთრივ სუბიექტურ სამყაროში რამეს ემყარებიან.

როცა მეტყველების აქტის შეთავაზება საკამათო ხდება, ზემოქმედებისთვის მრავალი შესაძლებლობა ჩნდება. მაგალითად, ავტორიტეტების მოზიდვა, ტრადიციების მოხმობა ან ძალის გამოყენება. ყველაზე მთავარი, რაზედაც ჰაბერმასი ამახვილებს ყურადღებას, არის ის, რომ მნიშვნელოვნების მოთხოვნები რაციონალურად უნდა იყოს მოტივირებული.

კომუნიკაციურ ქმედებაში გაგებინების ძირითადი კონცეფცია ჰაბერმასისეული საზოგადოების თეორიის მთავარი შემადგენელი ნაწილი ხდება. გაგებინების პროცესი არც თვით-

მიზნად აღიქმება და არც გაგებინების თავისთავად აქტად, არამედ მეტ წილ შემთხვევაში, როგორც საშუალება ინტერესთა რეალიზებისა. როგორც ჰაბერმასი მიიჩნევს, ასეთი გაგებინების პროცესში მონაწილეები არ გულისხმობენ თავიანთი ინტერესების უპირობო დამკვიდრებას, არამედ მათი მიზანია, თავიანთი ინტერესები სხვა მონაწილეთა ინტერესებს შეუსატყვისონ. ამგვარად გაგებული კომუნიკაციური ქმედების მიზანია, ინდივიდუალურ ზრახვათა ურთიერთშეჯერება, „მოქმედებათა კოორდინირება“. ამრიგად, ყველა სახის კომუნიკაციის საყოველთაო მიზანი თანაცხოვრების ორგანიზაციაში, სასიცოცხლო ურთიერთობების დამყარებაში მდგომარეობს და სწორედ ამ მიზნისკენ უნდა მიემართებოდეს გაგებინების პროცესები, რომლებშიც თანასწორად იქნება გათვალისწინებული პარტიკულარული ინტერესები. მიზანი, რომელიც დემოკრატიულად ორგანიზებულ საზოგადოებათა პრინციპებს კომუნიკაციურ პრინციპებად წარმოაჩენს.

ჰაბერმასი „საზოგადოების თეორიაში“, კერძოდ „მოდერნის თეორიაში“, იმასაც ასაბუთებს, რომ ეს პრინციპები არსებობს, თუნდაც როგორც ნორმატიული პრინციპები, მაგრამ მათ თანდათანობით საფრთხე ემუქრებათ. მოდერნის თეორიის ამოსავალი წერტილია ასეთი კითხვა: „პარადოქსად ხომ არ იქცევა ცოცხალი სამყაროს რაციონალიზება თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლით. — რაციონალიზებული სამყარო ხომ არ წარმოშობს და ხელს ხომ არ უწყობს სუბსისტემების ზრდას, რომელთა განკერძოებული იმპერატივები თვით მათ დათრგუნავს დესტრუქციული ძალით[48]. როგორც აღვნიშნეთ, ის მსჯელობს „სამყაროს კოლონიზებაზე“ და ამით გულისხმობს ურთიერთობაზე ზეწოლის მექანიზმს, რაციონალურად გამიზნულ, მხოლოდ საკუთარ წარმატებებზე ორიენტირებულ სუბიექტთა მხრიდან. ამას კი შედეგად მოსდევს პათოლოგიური განვითარება. ის მიიჩნევს, რომ სამყაროს ძირითადი სასიცოცხლო სფეროების (კულტურა, ტრადიცია,

საზოგადოებრივი სოლიდარობა და სხვ.) რეპროდუქცია მხოლოდ ურთიერთგაგებაზე ორიენტირებითაა შესაძლებელი.

თავისთავად ცხადია, რომ ვერც ერთი აქტუალური საზოგადოების თეორია გვერდს ვერ უვლის მასმედიას. პუბლიცისტიკისა და კომუნიკატივისტიკის პერსპექტივიდან საინტერესო ხდება, თუ რამდენად შეიძლება კომუნიკაციური ქმედების თეორიის მოხმობა მასობრივი კომუნიკაციის პროცესის ანალიზისათვის. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, პირველ რიგში, საჯაროობის ცნება, რადგან მედია თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში პირდაპირ ის ინსტანციაა, რომელიც წარმოადგენს სივრცეს, საერთოდ რომ განაპირობებს საჯაროობას.

სასიცოცხლო ურთიერთობების დამყარების პროცესში საჯაროობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. იმავდროულად ეს არის საზოგადოებრივი ადგილი, სადაც ყველა არსებით პოზიციასა და ინტერესს უნდა შეეძლოს არტიკულაცია. აქედან „საჯაროობა“ ყოველთვის უამრავი ცალკეული ნაწილისაგან შედგება, რომლებშიც მასმედიის მხარდაჭერით განისაზღვრება ზრახვათა და შეხედულებათა განხორციელების შანსი, ჭეშმარიტად ზეგავლენის მქონე შესაძლებლობათა ხარისხი. ამ საჯარო კომუნიკაციის ცენტრალური ასპექტი ჰაბერმასისთვის გონივრული დისკუსიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამონათქვამები, განსაკუთრებით მტკიცებულებანი, თვალსაზრისები და ა.შ. დამაჯერებელ არგუმენტებს საჭიროებს, თუ მიზანი თანხმობის მიღწევაა.

ჰაბერმასი ტელეოლოგიური პრინციპებიდან იხილავს თანამედროვე მსოფლიო მოვლენებს, კომუნიკაციური პრინციპების ცხოვრებაში გატარებას დემოკრატიის მთავარ პოსტულატად მიიჩნევს. იგი მკაცრად აკრიტიკებს თანამედროვე საზოგადოებაში ამ პრინციპების უგულებელყოფას, რის შედეგადაც ხდება კომუნიკაციური ქმედების სტრატეგიული კომუნიკაციის ფორმებით ჩანაცვლება. კომუნიკაციური ქმედების მი-

ზანია თანაცხოვრების ორგანიზაცია და არა ურთიერთგაგებაზე ზეწოლის მექანიზმების ამოქმედება.

დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან კომუნიკაციური პრინციპების შეზავებით იხილავს ჰაბერმასი ამერიკის თემას ერაყის ომთან მიმართებით. იგი გმობს საკუთარი ინტერესების უპირობო გატარებას სხვათა ინტერესების ხარჯზე. ამით ირღვევა დემოკრატიის პრინციპები, რამაც საბოლოოდ ეჭვქვეშ კიდეც დააყენა ამერიკის, როგორც მსოფლიოში წარმმართველი დემოკრატიული ძალის, იმიჯი. ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკელებს ქვენა მატერიალური მოტივები ამოძრავებთ. ისინი ეძებენ მოგებას, თუმცა კრინტსაც არ ძრავენ პირადულ ინტერესებზე.

ჰაბერმასი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამერიკის თვითნებურ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებს სცდება[49]. იგი ამერიკის ჩარევას ერაყელების ცხოვრებაში ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების უხეშ ხელყოფად მიიჩნევს. ერაყში სამხედრო ძალის გამოყენებას ვითომდა ხალხის ტერორისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების მიზნით ილეგალურ ომს უწოდებს. ილეგალური ომი კი, როგორც ვიცით, საერთაშორისო სამართლის კოდექსს ეწინააღმდეგება. სამხედრო ძალის სამართლებრივი ლეგიტიმურობისათვის საჭირო ნებართვა ამერიკას გაეროს უშიშროების საბჭოსგან არ ჰქონდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია აშშ პრეზიდენტისათვის, რომ განეცხადებინა: აუცილებლობის შემთხვევაში მას გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშეც შეუძლია იმოქმედოს.

პუბლიცისტის აზრით, ბუშის ადმინისტრაციას ისედაც არ ჰქონდა დამაჯერებელი არგუმენტი სამხედრო ძალის პრევენციული გამოყენებისათვის, ვინაიდან, ე.წ. „ომი მშვიდობიან დროში“, ვერ თავსდება სახელმწიფო ომების კატეგორიაში. ჰაბერმასი ეჭვქვეშ აყენებს ზესახელმწიფოს, როგორც

გარანტის, იმიჯს, როცა ნიუ-იორკში ჯერ კიდევ ტერორისტულ აქტამდე შემუშავებული ერთ-ერთი დოქტრინის არსებობას ხდის ფარდას. საქმე ისაა, რომ დოქტრინის ამუშავებას მხოლოდ ხელსაყრელი ატმოსფერო სჭირდებოდა. და აი, 11 სექტემბრის შოკის და მასობრივი ფსიქოზის პირობებში გახდა შესაძლებელი ჩანაფიქრის რეალიზაცია. იმდროინდელმა ვითარებამ დოქტრინას მხოლოდ ვერსია შეუცვალა და მას „ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ“ ეწოდა მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლამდე ერაყი არც სამხედრო და არც ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით საფრთხეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, ამერიკისათვის. დოქტრინა კი უკვე შემუშავებული იყო. ჰაბერმასი ნორმატიული პრინციპიდან გადახვევად მიიჩნევს ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობას, მათ აქტიურ როლს დეზინფორმაციის გავრცელებაში. კერძოდ, სადამ ჰუსეინსა და „ალქაიდას“ დაჯგუფებას შორის კონტაქტების არსებობაზე და მის შედეგებზე. გავრცელებული დეზინფორმაციების წარმატებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ერაყში რეჟიმის შეცვლას 11 სექტემბრის ჯავრის ამოსაყრელად ამერიკელების 60 პროცენტმა დაუჭირა მხარი. ცივილიზებული სამართლის გაგებას კი არანაირი შურისძიება არ მიესადაგება. საბოლოო ჯამში ამერიკის სახით იკვეთება არა მარტო აგრესორი, რომლის ქმედება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს არის მოკლებული, არამედ ამერიკის ხელისუფლების მორალური მხარეც.

ჰაბერმასი ასევე საჭიროდ მიიჩნევს საზოგადოებას შეახსენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობა და უფლებები, მისი ფუნქციები საერთაშორისო თანამეგობრობისა და მშვიდობის დამყარების, ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. მისი აზრით, გაეროს არ შესწევს უნარი, დაიცვას დემოკრატიული და სახელმწიფო-სამართლებრივი წესრიგი. კრიტიკულად აფასებს რა მის მოვალეობას, აღნიშნავს, რომ

გაეროს ბევრ შემთხვევაში უწევს გენოციდზე თვალების დახუჭვა.

ჰაბერმასის კრიტიკის ძირითად საგანს სამყაროს ახალი წესრიგი წარმოადგენს. მოვლენათა განზოგადებით იგი მიიჩნევს, რომ ერაყის ომი მსოფლიო წესრიგის დამყარების პოლიტიკური ფარისევლობის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. ამით იგი ხაზს უსვამს ჰეგემონურ უნიტარიზმს. ეჭვქვეშ აყენებს აშშ მისიას ლიბერალურ იდეებთან მიმართებით სამყაროს გაუმჯობესების საქმეში. ჰაბერმასისათვის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უნივერსალური არსი, უპირველეს ყოვლისა, კრძალავს დემოკრატიის უნიტარულ დამყარებას ძალადობით, ცეცხლითა და მახვილით. მას არაფერი უნდა ესაქმებოდეს იმპერიულ ზრახვებთან და მათ „უნივერსალურობასთან“.

მასშტაბურად მოაზროვნე ფილოსოფოსი საჯაროდ აცხადებს, რომ „ამერიკის ნორმატიული ავტორიტეტი შეირყა“ და არამარტო საერთაშორისო სამართლით დადგენილი ნორმებიდან გადახვევების გამო. იგი იმასაც დასძენს, რომ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებას ამერიკა თავისებურ დემოკრატიულ თავისუფლებას ახვევს თავს ისე, როგორც ამერიკის მთავრობას მოესურვება.

ზნეობრივი თვალსაზრისით ძალზე ნიშანდობლივი და საგულისხმოა სამყაროში ახალი წესრიგის დამყარების ჰაბერმასისეული პოსტულატი არა ერთი რომელიმე ქვეყნის საზოგადოებასთან მიმართებით, არამედ თითოეული ადამიანის შემეცნებისა და სიღრმისეული აზროვნებისთვის.

ფილოსოფოსს განსაკუთრებული წარმოდგენა აქვს თანამედროვე ადამიანის აზროვნების სიღრმეზე. იგი თანაბარი უნივერსალურობით განისაზღვრება და აიძულებს საკუთარი პერსპექტივის დეცენტრალიზაციას, საკუთარი თვალსაზრისის სხვათა თანასწორი უფლებების მქონე შეხედულებებთან გათანაბრებას. პუბლიცისტის გაგებით, „თანამედროვე რაციონა-

ლური სამართლის რაციონალურობა გამოიხატება არა უნივერსალურ „ფასეულობებში“, რომელთა დასაკუთრება, განაწილება ან გატანა შეიძლება ნებისმიერი საქონლის მსგავსად მთელ მსოფლიოში. არამედ ჭეშმარიტი რაციონალურობა არსებული ცხოვრების წესით, კულტურის ნორმატიული პრინციპების პრაქტიკული გაცხადებით უნდა განისაზღვრებოდეს“[50].

თუ ენცესბერგერი აშშ ძალმომრეობითი პოლიტიკის განზოგადებით ასკვნიდა, რომ ყოვლად მიუღებელია საკუთარი და სხვისი პრობლემატიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ჰაბერმასი მოითხოვს, რომ დაცული იყოს თითოეული ქვეყნის ცხოვრების წესი, კულტურა, ტრადიცია. მხოლოდ თანასწორ ურთიერთობებში წარმოუდგენია მას ურთულესი პრობლემების გადაჭრა და მოგვარება. მისი მსოფლმხედველობა თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებისა და აზროვნების ამაღლებით განისაზღვრება და ხალხების თავისუფალი განვითარებისა და იდენტურობის პრინციპის დაცვას ემსახურება.

# თავი II. პუბლიცისტები

## ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მწერალი და პუბლიცისტი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში ქვეყნის ყველა საჭირბოროტო საშინაო თუ საგარეო პრობლემას ეხმაურება. მისი პუბლიცისტური ესეისტიკა, დაწყებული გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, დასავლეთ გერმანიის თითქმის ყველა აქტუალურ თემას მოიცავს, მათ შორის, საერთო გერმანულ საკითხს, „ოსვენციმის პროცესებს“, ნეონაციზმის აღზევებას, ვიეტნამის თემას, საგანგებო კანონებს, ეკოლოგიურ პრობლემებსა და სხვა მრავალს. დასავლეთ გერმანიის რეკონსტრუქციის პერიოდის დამთავრების შემდეგ ენცენსბერგერს საბოლოოდ უყალიბდება მსოფლმხედველობა, რომლის პრიორიტეტი პოლიტიკური პრობლემატიკაა.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი დაიბადა 1929 წელს ბავარიის პატარა ქალაქ კაუფბოირენში, წვრილბურჟუაზიულ ოჯახში. მან ბავშვობა ნიურნბერგში გაატარა. ახალგაზრდობის წლებში ირიცხებოდა „ფოლკსშტურმეს“ რიგებში. ომის შემდეგ, როგორც სხვები, ისიც სხვადასხვა საქმიანობას ეწევა — ბარმენადაც კი მუშაობდა ინგლისის საოკუპაციო არმიის ბანაკში.

1949 წლიდან ენცენსბერგერი გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში, აგრეთვე, სორბონის უნივერსიტეტშიც ეუფლება სწავლა-განათლებას ფილოლოგიისა და ფილოსოფიის განხრით. 1955 წელს ის უკვე დისერტაციას იცავს თემაზე — „კლემენს ბრენტანოს პოეტიკა“. გერმანიის გარდა მან სხვა ქვეყნებშიც დაიდო ბინა, კერძოდ, ნორვეგიაში, იტალიაში, ხშირად მოგზაურობს ამერიკის შეერთებულ შტატებში,

მექსიკაში, კუბაში და სხვ. 1965 წელს საჭირო გახდა ენცენსბერგერის ჩამოყვანა ნორვეგიიდან, რათა სათავეში ჩადგომოდა „ახალ მემარცხენეთა“ იდეოლოგიით გამსჭვალულ, მემარცხენე ორიენტაციის ორგანოს — ჟურნალ „კურსბუხს“. ამ დროისთვის ენცენსბერგერი საკმაოდ პოპულარულია, როგორც თავისი ლექსებით, ასევე პუბლიცისტური ესეების კრებულებით. იგი დასავლეთ ბერლინში სახლდება. ინტენსიურად მოგზაურობს. ბოლო ათწლეულს ორჯერ ესტუმრა საქართველოსაც.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის შემოქმედების განხილვისას ყურადღებას იქცევს მისი პუბლიცისტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც, ძირითადად, აიხსნება საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებულობითა და მისი პერმანენტული ცვლილებებით. ენცენსბერგერის ტრანსფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა მის შეხედულებებში ლიტერატურასა და მის დანიშნულებაზე. თავდაპირველად ენცენსბერგერი ლიტერატურას ცნობიერების, თვითმყოფადი გამოცდილებისა და შემეცნების მედიუმად აღიქვამდა და პოეტურ სიტყვას განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას სძენდა.[51] მაგრამ გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდში „ანგაჟემენტის“ გარშემო დაწყებულ მწერალთა დებატებში თანდათან იკვეთება აზრი, რომ ლიტერატურამ ფუნქცია დაკარგა და პოლიტიკური ქმედებებისა და მიზნების განმხორციელებელ ინსტრუმენტად იქცა. ლიტერატურის არსის შესახებ ჟურნალ „კურსბუხში“ წამოჭრილი პრობლემა 1968 წლის მე-15 ნომერში დაგვირგვინდა ენცენსბერგერის მოწოდებით — „სიკვდილი ლიტერატურას“, რამაც დიდი დაბნეულობა გამოიწვია. ზოგმა ის „ბურჟუაზიული ლიტერატურის გარდაცვალების მოწმობად მიიჩნია, ზოგმა სტუდენტურ მოძრაობაში ჩართულ ანტილიტერატურულ აქციად ჩათვალა, ხოლო სხვათათვის მემარცხენეთა წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტი გახდა. თვითონ ენცენსბერგერმა კი მხოლოდ რამდენიმე

წლის შემდეგ უარყო თავისი თეზა და საჯაროდ თქვა, რომ „არ გამოუცხადებია ლიტერატურის გარდაცვალება, მით უმეტეს, არ მოუთხოვია“ და რომ „ლიტერატურის გარდაცვალება“ დიდი ხანია მეტაფორას წარმოადგენს, მან მხოლოდ „გარდაცვალების ამ რიტორიკას დასცინა“.[52]

გერმანიაში ენცენსბერგერის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ლოზუნგის შემდეგ ბევრმა შეწყვიტა ლიტერატურული საქმიანობა. „ეს სირთულეები იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს, რევოლუციიდან შინ მოსულთ, სადაც ასე მოგველოდა ჩვენი საწერი მაგიდა, მოულოდნელად ხელი მოგვეცარა, რადგან უკვე აღარ ვიცოდით, რა კავშირში იყო ის, რაზეც ვწერდით, იმასთან, რაც მაშინ ქუჩაში ხდებოდა და ჩვენ ერთბაშად შევწყვიტეთ წერა“,[53] — იხსენებს პოეტი რაინჰარდ ლეტაუ 1975 წლის გადასახედიდან.

საქმე ისაა, რომ ლიტერატურის მიმართ განაჩენის გამოტანისთანავე ენცენსბერგერი იქვე ალტერნატივად დოკუმენტურ გზას ირჩევს და აქტუალურ ფორმად ერიკა რუნგესა და გიუნთერ ვალრაფის რეპორტაჟებს მიიჩნევს. ამრიგად, მწერლებს წერა კი არ შეუწყვეტიათ, არამედ ტექსტი „ლიტერატურას“ რომ არ დამსგავსებოდა, მხატვრული ხერხები უარყვეს და დოკუმენტურად დაიწყეს წერა. მაგალითად, პოეტი რაინჰარდ ლეტაუ, კალიფორნიის უნივერსიტეტში გადადის და იქიდან აქტიურად უგზავნის „კურსბუხს“ სტატიებს „ყოველდღიური ფაშიზმის“ სახელწოდებით. იმ პერიოდში კი თვით ენცენსბერგერი კუბაში მიდის და იქ ქმნის „სასცენო დოკუმენტაციას“ სახელწოდებით — „დაკითხვა ჰავანაში“ (1970 წ).

ამრიგად, ენცენსბერგერის მოწოდება — „სიკვდილი ლიტერატურას“, რომელიც მთელი რიგი წლები მუსირებდა დასავლეთ გერმანიის რადიოში, ტელევიზიასა და პრესაში, ერთი მხრივ, მიმართული იყო ბურჟუაზიული ლიტერატურის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, გულისხმობდა საზოგადოებაზე ეფექტურ ზემოქმედებას დოკუმენტალიზმის აშკარა

პრიორიტეტით. ეს კი ლიტერატურაში პოლიტიკური რეალობის უშუალო გადატანასა და დამკვიდრებას განაპირობებდა.

ჟურნალ „კურსბუხის" დაარსების პირველივე დღიდან ენცენსბერგერი განმანათლებლის როლში გვევლინება და აქტიურად ებმება დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ის ყველა აქტუალურ საკითხს ეხმაურება.

საერთო გერმანული საკითხის განხილვისას, როდესაც დასავლეთი გერმანია წლების მანძილზე იჩემებდა მთელი გერმანიის სახელით წარსდგომოდა მსოფლიოს, ენცენსბერგერი ობიექტურად უდგება ორად გახლეჩილი ქვეყნის ერთიანობის თემას და დასავლეთ ბერლინის საკითხშიც პოლიტიკურ წინდახედულებას იჩენს. პუბლიცისტისათვის გერმანიის პრობლემა, პირველ რიგში, ომის წაგებიდან იწყება. გერმანული რეიხის განადგურების შედეგად მოხდა ქვეყნის ხელოვნურად გაყოფა და ქალაქ ბერლინის მოკავშირე ძალთა თავშესაფრად გამოცხადება. მისი აზრით, ფედერალური მთავრობის პოლიტიკური დოქტრინები გფრ-ის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს და ამ თანაფარდობის ცალმხრივად შეცვლას ემსახურება, კერძოდ, მიზნად ისახავს გდრ-ის უპირობო მიერთებას ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ენცენსბერგერი თვლის, რომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ფედერალურ მთავრობას თავისი პოლიტიკის გადასინჯვა და შეცვლა მოუწევს. მან უარი უნდა თქვას თავის პოლიტიკურ, იურიდიულ დოქტრინებზე და პატივისცემით მოეკიდოს გდრ-ის სტატუსს, აღიაროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვინაიდან ამ ეტაპზე ასეთი ტიპის მოთხოვნები მხოლოდ დააზარალებს საერთო გერმანულ საქმეს.

ენცენსბერგერი პოლიტიკის შეცვლას გდრ-ისაგანაც მოითხოვს. გდრ-მა უნდა აღიაროს ქალაქ ბერლინის არსებული სტატუსი, აღადგინოს გზები და ის დოქტრინა უარყოს, რომ-

ლის მიხედვითაც გდრ-ის ტერიტორიაზე ბერლინი მთლიანად მდებარეობს. პუბლიცისტი ორივე მთავრობას შეხვედრისაკენ, მჭიდრო ოფიციალური კონტაქტებისაკენ მოუწოდებს.

ეს საკითხი მაშინ უაღრესად აქტუალური იყო. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოების წინაშე არსებულ უამრავ საკითხთა შორის გერმანიის საკითხი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის გარშემოც მემარცხენეთა და მემარჯვენეთა უმეტეს წილ დაჯგუფებებს შორის სრული თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა. ამის დასტურია „კატეხიზმო გერმანულ საკითხზე",[54] რომლის შედგენაშიც არაერთი ავტორი იღებს მონაწილეობას. მასალის დაბეჭდვის შემდეგ, ჟურნალმა თხოვნით მიმართა მკითხველებს, მიეღოთ მონაწილეობა საკითხის განხილვაში და ჟურნალისთვის თავიანთი აზრი თუ რეცენზია მიეწოდებინათ. საკითხს ფართო საზოგადოება გამოეხმაურა და კატეხიზმოში გამოთქმულ მოსაზრებებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ენცენსბერგერი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგია და პროტესტს გამოთქვამს არა მარტო ატომური და წყალბადის იარაღის, არამედ საერთოდ ნებისმიერი იარაღის წინააღმდეგ, შექმნილი სიტუაციის გამო იძულებული ხდება ჩაერიოს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მას შემდეგ, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა პრეზიდიუმის წინაშე დააყენა საკითხი დასავლეთ გერმანიის ატომური იარაღის წარმოებაში ჩართვის უფლების მოსაპოვებლად იმ მოტივაციით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპა რუსეთს ჩაბარდებოდა, ენცენსბერგერი მიმართვის ბარათს უგზავნის ქვეყნის თავდაცვის მინისტრს. მიმართვაში პუბლიცისტი მინისტრს 1919 წლიდან მოყოლებული, გერმანიის მიერ არაერთი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს ახსენებს. პარიზის ხელშეკრულების თანახმად გერმანიას თავის მხარეში საერთოდ ეკრძალებოდა ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოება.[55] ენცენსბერგერი თავს მოვა-

ლედ თვლის თავისი მხრივ მინისტრს კონსტრუქციული წინადადებები შესთავაზოს. მიმართვაში პუბლიცისტი ყურადღებას ამახვილებს სამხრეთ აფრიკაში მდებარე პრეტორიის ტერიტორიაზე, სადაც აშენდა პირველი ატომური რეაქტორი, რომელიც სინამდვილეში სამშვიდობო მიზნებისათვის იყო გათვალისწინებული. იმ პერიოდში პრეტორიაში დასავლეთის დიდ ქვეყნებთან ერთად, ატომური იარაღის გამოკვლევაში ჩაბმული იყო მეცნიერთა საუკეთესო ჯგუფი იაპონიასა და რუსეთიდან, რომლებიც ცდილნენ იარაღს. პუბლიცისტი დაზუსტებული ინფორმაციით, იმაზეც მიუთითებდა, რომ ორივე მხარეს შორის ხელშეკრულებით გათველისწინებული თანასწორი უფლებების დაცვის შემთხვევაში, მათ ადგილობრივ მთავრობასთან არც შეექმნებოდათ დაბრკოლება. ამით ენცენსბერგერი ცდილობდა ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინა ამ საკითხთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა და შესაძლო უარყოფითი გამოძახილი.

მიუხედავად იმისა, რომ ენცენსბერგერი ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას წინააღმდეგობაში ვარდება, მას არაერთი შორს გათვლილი და წინასწარმეტყველური აზრი აქვს გამოთქმული. მას ალღო არ ღალატობს და ორად გაყოფილ ქვეყანას ურჩევს იმ აზრთან შეგუებას, რომ გარკვეული დროით სახელმწიფოს გამთლიანება გამორიცხულია. ბერლინს კი განსაზღვრული პერიოდით ორივე სახელმწიფოს კოოპერაციის ცენტრად დარჩენას უწინასწარმეტყველებს. ეს იყო ენსცენსბერგერის მხრიდან დიპლომატიური ნაბიჯი, რათა გერმანიაში კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო ისედაც უკიდურესად დაძაბული ვითარება.

ენცენსბერგერი, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, ყოველთვის განსაკუთრებულ გულმტკივნეულობას იჩენს გერმანიის სვე-ბედის განმსაზღვრელი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი, ხოლო, როგორც ჭეშმარიტი პუბლი-

ცისტი, დაუყოვნებლივ ეხმაურება და სოლიდური წვლილიც შეაქვს ამა თუ იმ პრობლემის წარმოჩენის, გააანალიზებისა და, შეძლებისდაგვარად, პრაქტიკულად გადაწყვეტის საქმეში. მაგრამ, როგორც მასშტაბური მოაზროვნე, იგი განკერძოებულად, გლობალური პოლიტიკური კონტექსტიდან ამოგლეჯილ და გამოცალკევებულ მოვლენად არასოდეს განიხილავს, ერთი შეხედვით, „წმინდა გერმანულ“ პრობლემატიკას. იგი მსოფლიო განვითარების ზოგადი კანონების მოქმედების ლოგიკურ ჯაჭვში მოაქცევს თავისი ქვეყნის სატკივარს, ვინაიდან ყოველივეს ზოგადის კერძო გამოვლინებად ჭვრეტს. ამიტომაც ენცესბერგერი თავის პუბლიცისტურ წერილებში ძალიან ხშირად განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს და გერმანიის განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესების ფესვების სიღრმისეული წვდომის შედეგად გერმანულ საკითხს, ერთიან საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში მოაქცევს და ქვეყანას ამ თვალსაწიერიდან უსახავს გამოსავლის ძიების გზებს.

სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მოქცეული მსოფლიო ქვეყნების განვითარების წინააღმდეგობრიობა ენცენსბერგერის გამახვილებული ინტერესის ცენტრშია. მისი რწმენით, შიდასაზოგადოებრივ თუ გარესამყაროს ძალთა მწვავე დაპირისპირების მიზეზებს ყველაზე მძაფრად კაპიტალისტურ სისტემაში მოქმედი კანონები განაპირობებს.

კაპიტალისტური საზოგადოების კრიტიკისას ენცენსბერგერი აღნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა მეტროპოლიებში უმრავლესობის პოლიტიკური შეგნების გაღლობა და მოსპობა შეძლო. „ის, რაც ჩვენს საზოგადოებაში სუფევს, უკვე თავისუფლებაზე ზეწოლის ნიშანია“,[56] — ამბობს იგი. პოლიტიკური შეგნება, მისი აზრით, უმცირესობის პრივილეგიად იქცა და ამ პრივილეგიით უმცირესობის უმცირესობა სარგებლობს. ენცენსბერგერი ყურადღებას ამახვილებს ტოტალიტარულ იდეოლოგიაზე, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ

ასაღებს თავს მონოპოლისტური ძალაუფლება სოციალურ საბაზრო ეკონომიკად, მუშათა კლასის მიერ აშენებულ ეკონომიკას — „სასწაულად“, ხოლო ის პროტესტი, რომელიც ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების წინააღმდეგაა მიმართული, აპოლიტიკურად შეირაცხება. პუბლიცისტი ასკვნის, რომ „...გაბატონებული კლასი, რომელსაც უნარი შესწევს, ერი ხელის ერთი მოსმით დაანგრიოს, და ეს უდრტვინველი ერი ისევ მართოს, ამავე დროს კი მოითხოვს, რომ ყველამ სერიოზულად აღიაროს ერის წინამძღოლად, მხოლოდ ყველა ცინიკოსის აღფრთოვანებას იმსახურებს“.[57] ენცენსბერგერს არც ის აოცებს, რომ არიან ისეთებიც, ვინც აღზევებულ ძალას წარმატებად უთვლის ყოველგვარ ქმედებას. ისინი კმაყოფილნი არიან მისი გააზრებული სტრატეგიით, შორსმჭვრეტელობით, გადაწყვეტილების მიღების უნარით, ფართოდ გაშლილი პერსპექტივით და ა.შ. თუმცა გაბატონებულთა მოწინააღმდეგე მხარე მშვენივრად ხედავს მათ შეზღუდულობას, უნიათო ტაქტიკას, პროვინციულ გაქანებას, არაკაცობას, დაქსაქსულობას და ა.შ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრად გადაქცევის, ხოლო ვიეტნამის ომის პოლიტიკურ მოვლენად აღიარების შემდეგ, ენცენსბერგერი ასკვნის: „გასათვალისწინებელია, რომ ძალმომრეობა ინტერნაციონალური მასშტაბით გაიზრდება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში გამეფებული მშვიდობა მეტროპოლიების ფიქციაა. სინამდვილეში, ჩვენ ვიმყოფებით პერმანენტული ომის მდგომარეობაში“.[58] ენცენსბერგერი ძალიან განიცდის, რომ თეორია, რომელიც ამ მდგომარეობას ახსნის და გამოსავალზე მიუთითებს, არ შექმნილა; რომ არ არსებობს რევოლუციური მეცნიერება მეტროპოლიებისათვის. გასული საუკუნის კლასიკოსები ლენინი, ტროცკი, ასევე თეორიები შორეული აღმოსავლეთიდან თუ ლათინური ამერიკიდან და მარკუზეც თანამედროვე საზოგადოების შეც-

ვლისათვის მეცნიერულად დასაბუთებულ გზას ვერ უთითებენ. მაგრამ ენცენსბერგერი კითხვებს მაინც სვამს, თუნდაც სამომავლოდ: „თვითმმართველობის როგორი ვარიანტი არსებობს ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში? როგორ და რა გზითაა შესაძლებელი საწარმოო და სადისტრიბუციო სისტემების დეცენტრალიზაცია? რა შესაძლებლობებია საზოგადოებრივი კონფლიქტების მოსაგვარებლად? სახელმწიფო აპარატის რომელი ნაწილია დაუყოვნებლივ მოსაშლელი, რომელი გადასაკეთებელი? საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის მიზნით, რა უნდა გააკეთონ სკოლებმა და უმაღლესმა სკოლებმა, რათა სასწავლო პროცესი შრომის პროცესს შეერწყას?"[59]

მიუხედავად იმისა, რომ ენცენსბერგერი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგია და პროტესტს გამოთქვამს არა მარტო ატომური და წყალბადის იარაღის, არამედ, საერთოდ, ნებისმიერი იარაღის წინააღმდეგ, შექმნილი სიტუაციის გამო პუბლიცისტი იძულებული ხდება ჩაერიოს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მას შემდეგ, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა პრეზიდიუმის წინაშე დააყენა საკითხი დასავლეთ გერმანიის ატომური იარაღის წარმოებაში ჩართვის უფლების მოსაპოვებლად იმ მოტივაციით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპა რუსეთს ჩაბარდებოდა. ენცენსბერგერი მიმართვის ბარათს უგზავნის ქვეყნის თავდაცვის მინისტრს. მიმართვაში პუბლიცისტი მინისტრს 1919 წლიდან მოყოლებული, გერმანიის მიერ არაერთი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებს ახსენებს. პარიზის ხელშეკრულების თანახმად, გერმანიას თავის მხარეში საერთოდ ეკრძალებოდა ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების წარმოება.[60] ენცენსბერგერი თავს მოვალედ თვლის თავისი მხრიდან მინისტრს კონსტრუქციული წინადადებები შესთავაზოს. მიმართვაში პუბლიცისტი ყურადღებას ამახვილებს სამხრეთ აფრიკაში მდებარე პრეტორიის მიდამოზე, სადაც დაარსდა პირველი რეაქ-

ტორი, რომელიც სინამდვილეში სამშვიდობო მიზნებისათვის იყო გათვალისწინებული. იმ პერიოდში, პრეტორიაში, დასავლეთის დიდ ქვეყნებთან ერთად, ატომური იარაღის გამოკვლევაში, ჩაბმული იყო მეცნიერთა საუკეთესო ჯგუფი იაპონიასა და რუსეთიდან. ისინი წყალბადის იარაღის გამოცდას აწარმოებდნენ. პუბლიცისტი დაზუსტებულ ინფორმაციასთან ერთად, იმაზეც მიუთითებდა, რომ ორივე მხარეს შორის ხელშეკრულების თანასწორი უფლებების დაცვით გაფორმების შემთხვევაში, მათ არც ადგილობრივ მთავრობასთან შეექმნებოდათ დაბრკოლება. ამით ენცენსბერგერი ცდილობდა ქვეყნისათვის თავიდან აეცდინა ამ საკითხთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა და შესამლო უარყოფითი გამოძახილები.

თავის პუბლიცისტურ ესეებში ენცენსბერგერი კაპიტალისტური საზოგადოების კრიტიკასთან ერთად განიხილავს სტალინიზმს, საბჭოთა კავშირში გატარებულ სოციალიზმის კურსს და მოჰყავს არგუმენტები, რითაც თავის პოზიციას გაბედულად აფიქსირებს.[61] საბჭოთა კავშირში არსებული ნეგატიური პროცესების გამოაშკარავებით, მართალია, ის ზოგიერთი მემარცხენის გულისწყრომასაც იმსახურებს, მაგრამ რეალობაზე თვალის დახუჭვა მისთვის ისევე მიუღებელია, როგორც თვით რეალობა. მას არ შეუძლია თვალი აარიდოს მოსკოვსა და პეკინს შორის არსებული უთანხმოების გამწვავებას და საბჭოთა მთავრობის პოზიციას ვიეტნამის ომში. ენცენსბერგერი მკითხველს მოუთხრობს ჩინელი და აფრიკელი სტუდენტების 1964-65 წლებში მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართული დემონსტრაციის შესახებ, რომელიც იქ წარმოთქმული პოლიტიკური და იდეოლოგიური ლოზუნგების გამო ცხენოსანი პოლიციის მიერ სასტიკად იქნა დარბეული, რასაც დემონსტრანტების აღშფოთება და მათი შეურაცხმყოფელი შეძახილები: „ფაშისტებო, ფაშისტებო!“ მოჰყვა.[62] სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირმა ცირკულარული განკარგულების თანახმად, ყველა მოძმე პარტიას აუწყა, რომ ჩინეთი

საბჭოთა კავშირს ემუქრება აზიის საზღვრების დარღვევით და საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის შეიარაღებული შუღლის ჩამოგდება სურს, რათა პეკინი მსოფლიოს ორი ძლევამოსილი სახელმწიფოს განადგურების „სანახაობით დატკბეს"; და რომ მისი საბოლოო მიზანი მთელი მსოფლიოს დაუფლებაა. მსგავს მანიპულაციებზე ყურადღების გამახვილებით, პუბლიცისტს ეჭვი შეაქვს რეალურად არსებული სოციალიზმის არსში.

თუ ენცენსბერგერი ლიტერატურულ პრობლემებთან მიმართებაში საკმაოდ რადიკალურია და ლიტერატურის დოკუმენტურობის სასარგებლოდ იხრება, პოლიტიკური ცხოვრების განსჯისას იგი თანაბრად აკრიტიკებს როგორც კაპიტალიზმს, ისე სოციალიზმს. იგი საკმაოდ ობიექტურად აფასებს ორივე სისტემის დადებით თუ უარყოფით მხარეებს და გამოსავალს იმ გზაში ხედავს, რომელშიაც ორივე სისტემის დადებითი მომენტები გაერთიანდება.

ნიშანდობლივია, რომ ენცენსბერგერმა კრიტიკული განსჯის სფეროდ ამერიკა აირჩია, მსოფლიოში უძლიერესი, სამაგალითო, მისაბაძი ქვეყანა და მისი საზოგადოებრივი სისტემა, რაც თავისთავად უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივი სისტემის კრიტიკასთან ერთად, მთლიანად კაპიტალისტური სისტემის კრიტიკულ ჭრილში განხილვას ნიშნავდა. „იმპერიალიზმი და ყველა რეაქციონერი „Papiertiger"-ები[63] არიან – ეს არის მათი არსი და ამას ემყარება ჩვენი სტრატეგიული აზროვნება. სხვა მხრივ კი ისინი ცოცხალი ვეფხვებიც არიან, რკინის ვეფხვები, ნამდვილი ვეფხვები: ისინი ადამიანებს ჭამენ. ამაზეა დაფუძნებული ჩვენი ტაქტიკური აზროვნება",[64] – საჯაროდ აცხადებს პუბლიცისტი.

გერმანელების თვალში ამერიკული სისტემა XX ს. 20-იანი წლებიდან ეკონომიკაში მიღწეული ალმავლობით, მისი

სწრაფი ზრდით, მასების სრული დასაქმებითა და შიდაპოლი-ტიკური სტაბილურობის გარანტიით იყო გამორჩეული. ევროპის მომავლისათვის ამერიკის ხატი ეიფორიულ იმედებს ბადებდა.[65] ვერც ერთი ქვეყანა თავისი საზოგადოებრივი სტრუქტურით ვერ გაუტოლდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით მიიწევდა ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ეკონომიკის განვითარებისაკენ. წიაღისეული სიმდიდრით, კარგი სამიმოს-ვლო გზებით, წარმოებაში რაციონალიზაციის დანერგვითა და დასაქმებული სამუშაო ძალით — ამერიკა გერმანელებისათვის საუკეთესო მერმისის თითით საჩვენებელი მაგალითი იყო.

თუმცა რესტავრაციის პერიოდში და შემდგომ, განსაკუთ-რებით კი 60-იანი წლებიდან, მატულობს ამერიკის საზოგა-დოებრივი სინამდვილის, მისი პოლიტიკის მიმართ კრიტიკუ-ლი დამოკიდებულება, სადაც აშშ უკვე წარმოდგენილია, რო-გორც დეკადენტური კაპიტალისტური სისტემის განსაკუთრე-ბით დაწინაურებული ნიმუში.

ამერიკის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კრიტიკული შეფასება ენცენსბერგერის პუბლიცისტიკაში მესამე სამყაროს პრობლემების განხილვასა და ვიეტნამის ომის თემას უკავ-შირდება. პირველ რიგში, ეს აიხსნება ენცენსბერგერის მიერ ჩაგრულთა მხარდაჭერით, მესამე სამყაროს ადამიანების მდგომარეობის გათავისებით. თანაგრძნობით აღსავსეა სიტყვე-ბი, როცა პუბლიცისტი მათ ყოფას გადმოგვცემს: „კოლონი-ურმა ბატონობამ ღარიბი ხალხის დეფორმაცია მოახდინა. დაამახინჯა მათი იერი და აზროვნება. მათთვის ყოველ დღეს ახალი იარა მოაქვს. ნაიარევი კი სამუდამოდ რჩება, რაც მხოლოდ სულელს გაუკვირდება“.[66] მესამე სამყაროს ქვეყნე-ბის პრობლემატიკას მთლიანად ეძღვნება „კურსბუხის“ მეო-რე ნომერი, სადაც ენცენსბერგერი თავის ვრცელ სტატიასაც ათავსებს. მის ყველაზე გახმაურებულ სტატიაში — „ევროპის პერიფერიაში“ დასმული საკითხების განხილვას წინ უძღოდა

ამერიკის ინტერვენცია და ანექსია ვიეტნამში (ნომერი გამოვიდა, როცა ამერიკელების საჰაერო თავდასხმები ვიეტნამში სულ ცოტა ნახევარი წლის დაწყებული იყო). მიიჩნევს რა დროის ყველაზე ცენტრალურ კონფლიქტად ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ოპერაციებს, პუბლიცისტი ამ კონფლიქტს განიხილავს მდიდრებისა და ღარიბების, ანუ მდიდარი და ღარიბი ქვეყნების დაპირისპირების ნათელ ილუსტრაციად. მისთვის ამოსავალი წერტილია ის, რომ მდიდრები ღარიბების ექსპლუატაციით თავიანთი ბატონობის გამყარებას ახდენენ. ენცენსბერგერი ამავე სტატიაში იშველიებს მაღალი რანგის ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატის სიტყვებს, რომ ვიეტნამი ამერიკელებს არც პოლიტიკურ ბაზად და არც სტრატეგიული მიზნებისათვის აინტერესებთ. ეს ქვეყანა მათ პრაქტიკული გამოცდილებისათვის სჭირდებათ, პირველ რიგში კი იმ მეთოდების დასახვეწად, რომლებსაც შემდგომ ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს — აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ წარმატებით გამოიყენებენ.[67]

აქვე ენცენსბერგერი შეფასებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ურთიერთობას, როგორც დასავლეთის ინდუსტრიული სამყაროს ინტერესებიდან ნაკარნახევ, თავსმოხვეულ დამოკიდებულებას. პუბლიცისტი პასუხისმგებლობას აკისრებს არა მარტო ამერიკელებს, არამედ გამორჩენის სურვილით შეპყრობილ ევროპელებსაც, რომლებიც მესამე სამყაროში განხორციელებულ ექსპლუატატორული პოლიტიკის მონაპოვრებს „შეგნებულად" უთმობენ ამერიკელებს. სწორედ ევროპელებისა და ამერიკელების ინტერესთა გადაჯაჭვულობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირი უდევს საფუძვლად ენცენსბერგერის მეცნიერულ-პუბლიცისტურ სტატიას.

„ევროპის პერიფერიის" მნიშვნელობა ორი ასპექტით განისაზღვრება: ერთი მხრივ, ეს არის ნაციონალურ კლასთა

ბრძოლის[68] ცნების შეცვლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის ინტერნაციონალური წინააღმდეგობებით: „ინტერნაციონალურ კლასთა ბრძოლა... ეს ლოზუნგი ყველა ქვეყნის პროლეტარებს კი არ აერთიანებს საბრძოლველად, არამედ ყველა პროლეტარულ ქვეყანას... ახალი კლასთა ბრძოლის ხაზი ყოფს ღარიბებს მდიდარი კომუნისტებისაგან, ღარიბ ნეიტრალებს მდიდარი ნეიტრალებისაგან, „თავისუფალი სამყაროს" ღარიბ წევრებს მდიდრებისაგან. კლასთა შიდა ბრძოლა მიყუჩდება, მაგრამ ინტერნაციონალური გამწვავდება".[69] ხოლო მეორე ასპექტია, სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დაპირისპირებულობის შეცვლა სამყაროს არატრადიციული დაყოფით — მდიდარ და ღარიბ ქვეყნებად: „მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა... ღარიბთა თვალში მდიდარი სამყაროს ქვეყნებს შორის მორიგებაზეა დასული... როგორც მდგომარეობის სტაბილურობა, რომელიც მდიდარი ქვეყნებისთვისაა ხელსაყრელი, ხოლო ღარიბთათვის აუტანელი".[70]

მაშასადამე, სტატიაში დაყოფა ხდება არა პოლიტიკური დაჯგუფებების მიხედვით — კომუნიზმსა და ანტიკომუნიზმს, ფაშიზმსა და ანტიფაშიზმს, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, არამედ, ენცენსბერგერის მიხედვით, „სადემარკაციო ხაზს იქით — კოლონიები, ექს-კოლონიები, კოლონიური ნარჩენები და ანკლავები არიან, ხაზს აქეთა მხარეს მეტროპოლიები, მდიდარი, „მაღალგანვითარებული" ინდუსტრიული საზოგადოებებია, პიტსბურგიდან ტოკიომდე და პრაღიდან ირკუტსკამდე".[71] პუბლიცისტი ვერც კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმში ხედავს სხვაობას: „...რაც შეეხება წინსართ — ნეოს-, რითაც კოლონიალიზმია დღეს შემკული, — მეთოდებში განსხვავებას ნიშნავს და არა შინაარსობრივს",[72] — აღნიშნავს ავტორი.

კოლონიალიზმსა და მის ბუნებაზე მსჯელობისას, ენცენსბერგერს ყურადღება გადააქვს მაღალგანვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან დამოკიდებულებაზე. კერძოდ,

კოლონიური ბატონობისაგან რევოლუციური ბრძოლებით თავდახსნის შემდეგაც, ეს ქვეყნები მდიდარი პარტნიორების მხრიდან მაინც მუდმივი პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფებიან და კოლონიური ბატონობის მოშლა მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული. ასე რომ, „მეზობელ ლათინურ ამერიკასთან შეერთებული შტატების დამოკიდებულება დღესაც კოლონიურია",[73] — აღნიშნავს პუბლიცისტი და დასძენს, რომ საფრანგეთის ურთიერთობა ადრე მის მფლობელობაში მყოფ აფრიკის ქვეყნებთან დღესაც სპეციფიკური კოლონიური ნიშნების მატარებელია. უფრო მეტიც, ენცენსბერგერის აზრით, ფაქტობრივად კოლონიებია არა მარტო ჩრდილოეთი ბორნეო და კონგო, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და ფილიპინები, არამედ კოლონიური დამოკიდებულება შეინიშნება თვით სახელმწიფოს საზღვრებს შიგნითაც, როგორც, მაგალითად, სამხრეთი იტალია რჩება ინდუსტრიული ჩრდილოეთის კოლონიად.

ამრიგად, სტატიაში გამოვლენილია ამერიკის პოზიცია მესამე სამყაროს მიმართ, როგორც ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის არსებული ინტერნაციონალური ექსპლუატატორული დამოკიდებულების ძირითადი ასპექტი, რაც, ენცენსბერგერის შეფასებით, ევროპული კოლონიური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი დანაშაულებრივი და ბარბაროსული ქმედებებია.[74]

შემთხვევითი როდია, რომ ენცენსბერგერი საზოგადოებას შემდეგ კითხვებს უსვამს: „1. არის თუ არა ჩვენი სიმდიდრე სხვების სიღარიბეზე აგებული? 2. ვის აძლევს ხელს ის, რასაც ჩვენ ამა თუ იმ „განვითარებადი ქვეყნის დახმარებად" ვნათლავთ — „ჩვენ" თუ „იმათ"? 3. ზნეობრივია, თუკი ყოველივე ემსახურება ჩვენი ბრალეულობის თავიდან აცილებას, ფაქტობრივად, გამომძალველობას, ჩვენი სიძლიერის, პოზიციების გამაგრებას, ჩვენი ექსპლუატაციის შენიღბვას, ჩვენი საკუთარი საექსპორტო ინდუსტრიის სუბსიდირებას?.."[75] ამ

კითხვებით ენცენსბერგერი ნათლად გამოხატავს მთელი კაპიტალისტური სისტემის არსს.

როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, პუბლიცისტი მხარეების დასახელებას ახდენს პირის ნაცვალსახელებით — „ჩვენ“ და „ისინი“, სადემარკაციო ხაზი გადის „ჩვენსა“ და „მათ“ შორის, რითაც კიდევ ერთხელაა ხაზგასმული სამყაროს არატრადიციული დაყოფის პრინციპი. ენცენსბერგერს ხშირად უკიჟინებდნენ, რომ ის გარე სამყაროთი უფროა დაკავებული, ვიდრე საკუთარი ქვეყნის პრობლემებით. იმას კი ვერ ხედავდნენ, რომ „ჩვენში“ პუბლიცისტი უწინარესად სწორედ თავის ქვეყანას გულისხმობდა. ის არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული მემარცხენეების მიერ, როგორც ზემოთ ხსენებული პოსტულატების, ასევე ღარიბ ერებთან მიმართებაში საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ფარული გარიგებების გამოაშკარავების გამოც.[76]

საერთოდ კი სტატიას „ევროპის პერიფერია“ უდიდესი გამოხმაურება ხვდა წილად. გერმანიის პრესაში უმრავლესობამ ასეთი შეფასება მისცა სტატიასა და მის ავტორს: „მან გერმანიის სულიერი ელიტა განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს აზიარა და სამართლიანობას იცავს“[77].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ევროპის პერიფერიაში“ გამოთქმულ მოსაზრებებს მემარცხენეთა მხრიდან საწინააღმდეგო რეაქციები მოჰყვა. ყურადღებას შევაჩერებთ ცნობილ დრამატურგ პეტერ ვაისსა და ენცენსბერგერის პაექრობაზე,[78] სადაც ნათლად გამოიხატა ორივე მხარის პოზიცია, რაც ერთგვარად მემარცხენეთა და ახალ მემარცხენეთა შორის დაპირისპირებულობის ერთ-ერთ მაგალითადაც გამოდგება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალ „კურსბუხში“ პეტერ ვაისის „ენცენსბერგერის ილუზია“ და ენცენსბერგერის „პეტერ ვაისსა და სხვებს“ ერთმანეთის გვერდით დაიბეჭდა საერთო სათაურით - „პაექრობა“.

საგულისხმოა, რომ პეტერ ვაისი ენცენსბერგერის აღნიშ-

ნულ სტატიაზე „ევროპის პერიფერიაზე“ თავის გამოხმაურებას სათაურშივე „ენცენსბერგერის ილუზიას“ უწოდებს, ვინაიდან ენცენსბერგერი სოციალისტური ძალებისადმი მიმხრობას გმირულ ილუზიად მიიჩნევდა. მას სჯეროდა, რომ ეს, ადრე თუ გვიან, იმედგაცრუებაში გადაიზრდებოდა.[79] პეტერ ვაისი მიუღებლად მიიჩნევს სამყაროს არატრადიციულ დაყოფას, ასევე საყვედურობს პუბლიცისტს ნაციონალური კლასობრივი ბრძოლის უარყოფას და კატეგორიულად გამორიცხავს აღმოსავლეთის სოციალისტური ქვეყნების ფარულ კავშირს დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ვაისი არასწორ პოზიციაში სდებს ბრალს ენცენსბერგერს: „ვის მხარეზე ვდგავართ? იმათ მხარეს, ვისი ძალებიც ილევა და ლამის ბოლო მოეღოს (როგორც უმწეოთ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში), რომელთაც უარი ეთქვათ კეთილდღეობაზე და განათლების მიღებაზე, რომელთაც მოსვენება არა აქვთ და თავსდატეხილი უბედურებებისაგან თავის დაღწევას იძულებითი გაქცევით ლამობენ. თუ იმათ მხარეს ვდგავართ, რომლებიც ჩაგრულთა მოთმინების ფიალის ავსებას ბრბოთა ამბოხს უწოდებენ ან ტერორისტულ ქმედებად ნათლავენ და მოუწოდებენ კეთილგონიერებისაკენ, რადგან არ უნდათ, რომ არსებულ წყობას რაიმე საფრთხე შეექმნას“.[80]

რა თქმა უნდა, ენცენსბერგერი უპასუხოდ არ ტოვებს მსგავს ბრალდებებს და ჩვეულ ირონიულ სტილში მიუგებს: „...სოციალური ბრძოლის რა მიზნები ამოძრავებთ პეტერ ვაისსა და სხვებს — გაუგებარია. იქნებ ამაში ძევს წარმოების საშუალებების განსახელმწიფოება ან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია... თუ ბუნდესვერის დაშლა იგულისხმება ამ ბრძოლაში ან პროლეტარიატის დიქტატურა?“[81] ენცენსბერგერი პეტერ ვაისს ნორმატიული მსჯელობის მსხვერპლს უწოდებს, რაც მას სინამდვილის დანახვაში ხელს უშლის. პუბლიცისტისათვის გაუგებარია, როცა ვაისი მას „სინამდვილის გაყალბებაში“ ადანაშაულებს, ბრმა მიამიტობას სწამებს

მაშინ, როდესაც სისხლხორცეულ საკითხებზეა საუბარი. „აქ რაზეცაა ლაპარაკი — ხალხი ეწირება, ამაშია საქმე და არა გულუბრყვილობაში. ამიტომაც უნდა ეწოდოს უფსკრულს — უფსკრული, სიმდიდრეს — სიმდიდრე, ინტერესს — ინტერესი და პირდაღებულ საშინელ ნაპრალს — ნაპრალი.[82]

ენცენსბერგერი, აქვე, ჩინეთის დამოწმებით, კიდევ უფრო მკაფიოდ განმარტავს საბჭოეთის ფარულ კავშირს დასავლეთის სახელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირი, ჩინეთის აზრით, ამერიკას თანაარსებობისა და ეკონომიკური კონკურენციის ნიშნით დაუახლოვდა, რითაც ტვირთად დააწვა განვითარებად ქვეყნებს. ჩინელებმა მარტო ის კი არ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი გარიგებებს აწარმოებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ღარიბი ქვეყნების ზურგს უკან, ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის აღდგენას მისდევდა, რის გამოც ჩინეთი მას სოციალისტურ ქვეყნად აღარ სცნობდა".[83]

რაც შეეხება ამერიკის თემას, ვიეტნამის ომისა და ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის დაპირისპირების წარმოჩენით ენცენსბერგერი მარტო ამერიკული სისტემის საგარეო-პოლიტიკურ ფენომენს არ წარმოგვიდგენს. ის ასევე ულრმავდება ქვეყანაში გატარებულ საშინაო პოლიტიკას. სარწმუნო დოკუმენტებზე დაყრდნობით პუბლიცისტი ადგენს, რომ ამერიკაში სათანადო უწყებების მხრიდან შიდა პოლიტიკური ღონისძიებების განმტკიცება შეინიშნება, რაც მიმართულია ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დასაცავად, სამხედრო ვალდებულთა და ოპოზიციურ ძალებში დისციპლინის დასამყარებლად, რომელთა წინააღმდეგ „მთავრობა, ...ომიც რომ არ დაწყებულიყო, დიდ სიმკაცრეს გამოიჩენდა".[84]

ენცენსბერგერისათვის აქ ყურადსაღები ფაქტორია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის არსებული კონფრონტაცია, რაც პოლიტიკური მოსაზრებით სამხედრო ვალდებულთა უა-

რის განცხადებაში გამოიხატა. ამერიკის კომისარიატი კი ვიეტნამის ომში გაწვეულთა გათავისუფლებას თავის მიზნებს უქვემდებარებდა და შეგნებულად ერეოდა წვემამდელთა პროფესიისა თუ განათლების სფეროს არჩევაში, რაც სამეურნეო აპარატის ორგანიზაციასა და მისი ეფექტურობის უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. „სამხედრო სამსახურის სამოქალაქო სამსახურით შემცვლელი უწყებები გამოყენებულია პოლიტიკური ბატონობის ინსტრუმენტად ამერიკის საზოგადოების მანიპულაციისათვის", — დასძენს პუბლიცისტი.[85]

ენცენსბერგერი დიდ იმედებს ამყარებს ამერიკის ოპოზიციურ მოძრაობაზე, მასში პოლიტიზაციის პროცესისა და რადიკალიზმის გაძლიერებაზე და აფასებს, როგორც საზოგადოების რეაქციას გამალებულ მილიტარიზაციაზე, იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებზე.

ენცენსბერგერი „დოსიეში" აღწერს „არა მარტო ომის, არამედ მთლიანობაში იმპერიალისტური სისტემის წინააღმდეგ"[86] ამერიკული ოპოზიციის მზარდ წინააღმდეგობას. ამერიკის ოპოზიციონერთა უმრავლესობა გამოთქვამს პროტესტს ამერიკის კონსტიტუციის, 1949 წლის ჟენევის კონვენციისა და ვიეტნამში ამერიკელი სამხედროების მიერ 1954 წლის ჟენევის ხელშეკრულების დარღვევის, სამხედროვალდებულთა ამორალურად და უსამართლოდ მიჩნეულ ომში გაწვევის წინააღმდეგ. ომის თითოეული მოწინააღმდეგე, დარწმუნებული თავისი პოზიციის სამართლიანობაში, ენცენსბერგერის მიერ ციტირებული დოკუმენტის მიხედვით უპირისპირდებოდა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ, საკონტროლო და აღმასრულებელი ორგანოებისაგან შემდგარ ბლოკს, რომლის გაერთიანების მიზანი ომი იყო, რაც დანაშაულებრივ ქმედებასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების აშკარა დარღვევას წარმოადგენდა.

ენცენსბერგერმა ამერიკის სისტემაზე ვიეტნამის ომის უშუალო ზეგავლენით, ქვეყნის შიდა ერთიანი პოლიტიკური ფრონტის რღვევა იწინასწარმეტყველა და სხვა მოსალოდნელი შედეგებიც გათვალა. კერძოდ, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამერიკის ძალისმიერ პოლიტიკას მესამე სამყაროს ქვეყნების უკუქმედების შემთხვევაში არა მარტო თავად ამერიკისათვის, არამედ სხვა ინდუსტრიული ზესახელმწიფოთათვის. ერთ მხარეს — მაღალი ტექნიკური განვითარების, მაგრამ ნედლეულის დეფიციტის მქონე ინდუსტრიული სამყარო და მეორე მხარეს — ტექნიკურად მწირი შესაძლებლობის მქონე, მაგრამ ნედლეულით მდიდარი განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ერების თვითგამორკვევის საფუძველზე თანდათანობით უპირისპირდებიან მათი კუთვნილი ნედლეულის დამტაცებლებს, საბოლოო ჯამში ძალთა თანაფარდობის ადრე დაკანონებულ ბალანსს დაარღვევენ და თავიანთი უფლებებისათვის აღსდგებიან. როდესაც ენცენსბერგერი აღნიშნავს, რომ „ფაქტობრივად ჩვენი ეკონომიკის სუბსიდირება ჩვენს მიერ გაკოტრებული ქვეყნების ხარჯზე ხდება“,[87] წინასწარ ამახვილებს ყურადღებას იმ მოსალოდნელ შედეგებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს განვითარებადი ქვეყნების თვითგამორკვევის სურვილს, თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლას. მომავალში ისინი გადაწყვეტდნენ არა მარტო საწარმოო იარაღებისა და ინდუსტრიის ხელში ჩაგდებას, არამედ ტექნიკური ცოდნის დაუფლებასთან ერთად, პირველ ყოვლისა, კუთვნილი ნედლეულის თავის მფლობელობაში გადატანას.

ამერიკის საზოგადოებრივი სისტემის საშინაო და საგარეო კონფლიქტების განხილვის შემდეგ, 70-იანი წლებიდან ენცენსბერგერს ამ სისტემის დესტრუქციულობა ეკოლოგიის სფეროში[88] გადააქვს. მისთვის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა თანადროულობის ცენტრალური პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს ჩარევას. ეკოლოგიური სიტუა-

ციის გამწვავება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არა მარტო ადამიანის არსებობას დასავლეთის ქვეყნებში, არამედ, საერთოდ, საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალს. პუბლიცისტის აზრით, დასავლეთი, თავისი სისტემის გამყარების მიზნით, მესამე სამყაროს ნედლეულის გაჩანაგებით, ბუნებრივი ნედლეულის ზღვარგადასული მოხმარებით ახდენს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას და საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალს.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას ვიეტნამის ომის პერიოდიდან ენცენსბერგერი, „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ არა მარტო „შემზარავ ქმედებად“, არამედ ამავე დროს „ბრიყვულ... წინდაუხედავად და თვალებაბმულ“[89] პოლიტიკად მიიჩნევს. ვიეტნამის ომის მოვლენებისა და აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში აშშ ძალმომრეობითი პოლიტიკის განზოგადებით ენცენსბერგერი ხაზგასმით ასკვნის, რომ შესაძლოა ძალმომრეობა მდიდარ ქვეყნებს ავად შემოუბრუნდეს. პუბლიცისტისათვის ყოვლად მიუღებელია საკუთარი და სხვისი პრობლემების ერთმანეთისაგან გამიჯვნა: „უგუნურია ის, ვინც თავის პოლიტიკას აგებს სხვაგან კატასტროფულ შიმშილზე და შინ მშვიდ ცხოვრებაზე, შორეთში გენოციდზე და შინ ლიბერალურ ტოლერანტობაზე, გარეთ ბრმა ძალის გამოყენებაზე და შიგნით დემოკრატიულ ურთიერთობებზე“,[90] — დასძენს იგი.

დაბოლოს, ამერიკული მოდელის მძაფრი კრიტიკით ენცენსბერგერი, აზოგადებს რა კაპიტალისტური სისტემის ნეგატიურობას, გამოსავალს კაპიტალისტური სისტემის სტრუქტურულ ცვლილებებში,[91] რეპრესიებისაგან თავისუფალი საზოგადოების, „ახალი ტიპის ადამიანის“[92] ჩამოყალიბებაში ეძიებს. მაგრამ პუბლიცისტი აქვე აღიარებს, რომ პრობლემატიკის სირთულე და არსებული თეორიების სიმწირე მას საშუალებას არ აძლევს დღის წესრიგში დააყენოს და, მით უმეტეს, პრაქტიკულად გადაჭრას ცვლილებების მომტანი

კონკრეტული წინადადებები. „ჩვენ გვჭირდება კვლევა, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადასაწყვეტად რევოლუციურ ალტერნატივას განავითარებს; კვლევა, რომელიც ჩვენს მოთხოვნილებებს გააცნობიერებს და ჩვენს წადილს დაეფუძნება...“[93] – აცხადებს პუბლიცისტი.

ენცენსბერგერის კონცეფცია, როგორც უკვე ითქვა, ყველა არსებული საზოგადოებრივი სისტემის კრიტიკას მოიცავს. ის ვერც ერთ სისტემაში ვერ პოულობს დასაყრდენს.

მემარცხენეთა მხრიდან შემოტევებს ენცენსბერგერი ასე უპასუხებს: „მე იდეალისტი არა ვარ. ბრმად აღიარებას არგუმენტებს ვამჯობინებ. რეალისტობა მირჩევნია სენტიმენტალობას. რევოლუციური ლაყბობა მძულს. წინააღმდეგობებისაგან დაცლილი სამყაროს სურათები არ მჭირდება. დაეჭვების შემთხვევაში სიმართლე სინამდვილემ გადაწყვიტოს“.[94] ეს ციტატა უკვე უკომენტაროდ მიუთითებს მის ურყევ პოზიციაზე, რასაც შეიძლება დროდადრო შეცდომებიც ახლდეს თან.

აღსანიშნავია, რომ ენცენსბერგერი და მისი ჟურნალი „კურსბუხი“ ბრმად და დოგმატურად კი არ მისდევს ახალ მემარცხენეთა“ იდეურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს, არამედ გააზრებულად და ცხოვრების პერმანენტული ცვლილების შესაბამისად განიცდის ტრანსფორმაციას. არსებობს ისეთი ასპექტებიც, როცა ენცენსბერგერი „ახალ მემარცხენეთა“ იდეოლოგიას, კერძოდ კი მარკუზეს ფილოსოფიას ერთგვარად კიდეც სცილდება.

მარკუზეს აზრით, რევოლუციას ადრესატი არ ჰყავს, რადგან მუშათა კლასი, რომელსაც მარქსი მომავალი სოციალური გარდაქმნების ისტორიულ სუბიექტად მიიჩნევდა, როგორც კლასი, აღარ არსებობს. ამიტომაც ისტორიული ცვლილებების კატალიზატორად, გზის გამკვლევად“ მარკუზე ინტელიგენციას აკისრებს გადამწყვეტ ფუნქციას.[95] არსებულ

პოლიტიკაზე ზემოქმედების მოსახდენად ფილოსოფოსი ასევე ამერიკის ახალგაზრდულ ოპოზიციაზე ამყარებს იმედებს მაშინ, როდესაც ენცენსბერგერისათვის „რევოლუციური სუბიექტი“ არც სტუდენტებია და არც ინტელიგენცია. პუბლიცისტს მიაჩნია, რომ „საბოლოო გადაწყვეტის უფლება, როგორც ადრეულ რევოლუციებში, მაინც მასებს ეკუთვნის“.[96] აქედან გამომდინარე, ის არც კლასთა ბრძოლას უარყოფს და თავის მემარცხენე ოპონენტებს კითხვითვე უპასუხებს: „ვისთვის უნდა იყოს ეს ახალი, ვის ეპარება ამაში ეჭვი?!“[97]

იმის გამო, რომ „მდიდრებში“ ენცენსბერგერი კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს აერთიანებს და მათ ღარიბი სამყაროს წინააღმდეგ მოკავშირეებად მიიჩნევს და ამასთან, ააშკარავებს საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ფარულ გარიგებებს, პუბლიცისტს არაერთხელ დასტყდომია თავს რისხვა და თანაც არა მარტო მემარცხენეთა მხრიდან[98] რომელთა მოსაგერიებლად და თავისი სიტყვების დასადასტურებლად უფრო მეტი არგუმენტის მოხმობა უხდება.

რაც შეეხება გარკვეულ საკითხებში ენცენსბერგერის ტრანსფორმაციას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოვრების პერმანენტული ცვლილებებით აიხსნებოდა, უთუოდ უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს მის პუბლიცისტურ სტატიებს. განა შეიძლებოდა აზრი, შეხედულება უცვლელი დარჩენილიყო, როდესაც ცხოვრება გამუდმებულ ცვლილებებს განიცდის და წინ მიიწევს? მაშინ ხომ ერთხელ ნათქვამისა და ნააზრევის ჯიუტი ერთგულება მის დოგმაში გადაზრდის საფრთხეს წარმოშობს.

არსებული საზოგადოებრივი სისტემების სტრუქტურული ცვლილებების მოთხოვნას, მართალია, კაცობრიობის საუკეთესო მერმისის შექმნა ედო საფუძვლად, მაგრამ იარაღისა და ძალისმიერი მეთოდების გარეშე საზოგადოებრივი წყობის შეცვლა ანაქრონიზმად შეფასდა. ენცენსბერგერის მესამე

გზის პერსპექტივა, როგორც თავადვე მოგვიანებით ალიარებს, ალბათ უტოპიურ იდილიურ ოცნებად თუ დარჩება.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცნობილმა პუბლიცისტმა მიმდინარე მოვლენებში ბევრი რამ ნათლად დაინახა და მომავალი იშვიათი ალღოთი განჭვრიტა. მან იწინასწარმეტყველა როგორც საბჭოთა კავშირის დაშლა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიოში გაბატონებისკენ მისწრაფება და მის მიერ ჩაგრული ერების ექსპლუატაციის შესაძლო შედეგები.

# გიუნთერ ვალრაფი

გიუნთერ ვალრაფი დაიბადა 1942 წელს, კიოლნის მახლობლად. 1966-67 წლებში იგი სატირული ჟურნალის „პარდონის" რედაქტორია. მომდევნო წლებში თანამშრომლობს ჟურნალ „კონკრეტთან" და სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებთან, დასავლეთ გერმანიის ტელე და რადიოარხებთან. მისი წიგნების მიხედვით იდგმება სატელევიზიო და მხატვრული ფილმები შვეციაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა წიგნმა „სულ ქვევით, ფსკერზე" (1985 წ). მისი ტირაჟი ოთხი მილიონი ეგზემპლარი იყო და 33 უცხო ენაზე იქნა გადათარგმნილი. წიგნს არნახული წარმატება და გამოხმაურება მოჰყვა. წიგნით — „სულ ქვევით, ფსკერზე" ვალრაფი ისევ ინდუსტრიულ თემას უბრუნდება, იგი მაშინდელი გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას „გასტარბაიტერების" (უცხოელი მუშების) თემას ეხება. 49 წელს გადაცილებული ვალრაფი წიგნში 27-30 წლის თურქი ალის როლში გვევლინება — მუქი საკონტაქტო ლინზების, ულვაშებისა და პარიკის მეოხებით შენიღბული ვალრაფ-ალის ეფექტი გრანდიოზული აღმოჩნდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ბევრად გაუმჯობესდა უცხოელ მუშათა მდგომარეობა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვალრაფი, ბუნდესვერში სამხედრო წვრთნის დროს უარს აცხადებს იარაღის ხმარებაზე და სამხედრო ხელმძღვანელობას უმტკიცებს, რომ სამშობლოსა და ხალხის სამსახური შესაძლებელია იარაღის გარეშეც, რასაც შემდეგ მოსდევს რელიგიური მოტივით სამხედრო სამსახურზე უარისთქმა. იგი სამხედრო ვალდებულების მოხსნის შესახებ განცხადებებით მიმართავს მაღალჩინოსნებს, ხოლო სხვა გაწვეულთა ანალოგიური განცხადებე-

ბის შემდეგ ვალრაფს სხვების წაქეზებაში ედება ბრალი. მართალია, ეს ვერ უმტკიცდება, მაგრამ მას კათოლიკე მღვდელთან აიძულებენ შეხვედრას. მღვდელი პუბლიცისტს კათოლიკური ეკლესიის მორალით მოძღვრავს და მოვალეობაზე მიუთითებს. ვალრაფს არ უკვირს ეს, ვინაიდან ახალ გაწვეულებს მისვლისთანავე ურიგდებათ „ჯარისკაცის ბიბლია", რომელიც მთელ რიგ პუნქტებს შეიცავს.[99] ახალგაზრდა უმტკიცებს სასულიერო პირს, რომ იგი თავისი მოთხოვნის დამადასტურებელ არგუმენტად ეკლესიას ვერ გამოიყენებდა, ვინაიდან ეკლესიამ ჯვაროსნულ ომებითა და ინკვიზაციით რჯულის ისტორიაში საკმაოდ შესცოდა. „მე კი, — ქრისტეს მოძღვრებას ვეყრდნობი. მან იარაღი კი არ გამოიყენა, არამედ ჯვარზე გაეკრა",[100] — დასძენს ვალრაფი.

ვალრაფმა უკვე 60-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურული წრეების პროგრამაში შეიტანა შრომითი სამყაროს განათლებისა და მუშა-მოსამსახურეთა შემეცნების გაფართოების დებულებებთან ერთად დაქირავებული მუშის მდგომარეობაში გათვითცნობიერების აუცილებლობის საკითხი.

„კურსბუხისა" და „კიურბისკერნის" დაარსების პერიოდში ვალრაფს მჭიდრო ურთიერთობა აქვს „დორტმუნდის ჯგუფ-61"-თან, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონაა, ხშირად ესწრება შეხვედრებს და თავის ახალ-ახალ რეპორტაჟებს პირველად ჯგუფის წევრებს უკითხავს და აცნობს. ორივე ჟურნალი დიდ პროპაგანდას უწევს პუბლიცისტის შემოქმედებას, ფართო ინტერესს ამჟღავნებს მისი რეპორტაჟებისადმი. ჟურნალების ფურცლებზე მაღალი შეფასება ეძლევა არა მარტო ვალრაფის მოღვაწეობას, არამედ მოქალაქეობრივ მრწამსსა და სიმამაცესაც.

ჟურნალ „კიურბისკერნისათვის" უაღრესად ღირებულია ვალრაფის შემოქმედება და ყოველმხრივ უწყობს ხელს მის პოპულარიზაციას, ვინაიდან რეპორტაჟებში ჟურნალი გერმანიის 20-30-იანი წლების ჭეშმარიტი დემოკრატი, რევოლუ-

ციური მწერლების (ბრეხტი, კიში) ტრადიციების გაგრძელებას ხედავს. ვალრაფი ჟურნალისტური გამოძიების მეთოდისა და მოვლენის „სიღრმეში შეჭრის“ პრინციპით იწყებს კონსერვატორებზე თავდასხმას.

თავდაპირველად იგი უპირისპირდება გფრ-ის სამრეწველო თუ ფინანსურ მაგნატებს — ფორდს, კრუპს, ტისენს, შემდეგ შპრინგერს, გერლინგს და სხვ. სოციალური რეალობის გამოსაკვლევად იგი შეგნებულად გამოცდის თავის თავზე მშრომელ ადამიანთა საარსებო პირობების გაუსაძლისობას. იწყებს რა მუშაობას დასავლეთ გერმანიის ტერიტორიულად დაშორებულ სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში, ვალრაფი სხვებთან ერთად იწვნევს კონვეირთან მრავალსაათიანი მუშაობის გამომფიტავ სიმძიმეს.

სხვადასხვა საწარმოსა თუ დაწესებულებაში, სხვადასხვა თანამდებობაზე პუბლიცისტს ხანგრძლივი დროით უხდება სხვისი ცხოვრების, ბედ-იღბლის, განცდებისა და კოლიზიების გათავისება და ამ პროცესში ხან უსახლკაროთა თავშესაფარში ათევს ღამეს, ხან, როგორც ალკოჰოლიკი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება და ხანაც ციხეში. ამ დროს იწყება ავტორის მიერ საკუთარი „მეს“, ერთდროულად თანამსხვერპლისა და თანამონაწილის შემეცნება, რაც შემდგომში ცხადად აისახება მის რეპორტაჟებში, როგორც დაუდევრობის, უყურადღებობის, პრაქტიკაში ადამიანების ინტერესების გათელვის ფაქტები.[101]

ვალრაფის ერთ-ერთი რეპორტაჟის „ბატონი გიუნთერ ვალრაფი გემთსაშენზე“ დაწერის მიზეზი გახდა დასავლეთ გერმანიის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში გამოკრული პლაკატი — „შენ ჩვენ გვჭირდები“, რომელიც ბლუმისა და ფოსის რეკლამაა მუშების ქარხანაში მოსაზიდად. სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა, ეს ხალხის აბუჩად ასაგდები სატყუარაა. ადგილზე მისულ სამუშაოს მსურველს ან უარით ისტუმრებენ ან უმძიმეს სამუშაოზე ამწესებენ. რეპორტაჟში

დაწვრილებითაა აღწერილი ადამიანების დამამცირებელი, ღირსების შემლახავი პირობები, რომელიც უნდა აიტანოს მუშამ ქანცგამწყვეტი სამუშაოს საფასურად.

ვალრაფმა თავისი პირველი რეპორტაჟების კრებულს საგანგებოდ უწოდა ბლუმისა და ფოსის რეკლამის ანალოგიით, — „შენ ჩვენ გვჭირდები“,[102] რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ წიგნში დაფიქსირებულია, რაოდენ დაშორიშორებულია სიტყვა და საქმე ამ სამყაროში.

ჟურნალ „კიურბისკერნთან“ ერთად, რომელიც სისტემატურად აშუქებდა ვალრაფის მოღვაწეობას, „კურსბუხი“ და დასავლეთ გერმანიის ბევრი კრიტიკოსი პუბლიცისტს მხარს უმაგრებდა და სტიმულს მატებდა. მის გვერდით იდგნენ ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორებიცაა ჰაინრიხ ბიოლი, ჰაინარ მიულერი, გიუნთერ გრასი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. ენცენსბერგერი თავის ჟურნალში უმაღლეს შეფასებას აძლევს ვალრაფის რეპორტაჟებს და ლიტერატურის მიმართ განაჩენის გამოტანისთანავე ალტერნატივად დოკუმენტურ გზას ასახელებს და ვალრაფის რეპორტაჟებს თანადროულობის ყველაზე აქტუალურ ფორმად მიიჩნევს საზოგადოების შესაცვლელად.[103]

ვალრაფი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დასავლეთ გერმანიის მაშინდელი სინამდვილის ნეგატიური ფაქტების გამოაშკარავებაში. „ვისაც დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ სიტუაციებში ჩაწვდომა სურს, საკმარისია, გაეცნოს გიუნთერ ვალრაფის რეპორტაჟებს“, — სამართლიანად აღნიშნავს ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ურზულა რაინჰოლდი.[104] მართლაც, მისი შემოქმედება მთელი ეპოპეაა დასავლეთ გერმანიის 60-80-იანი წლების ცხოვრებისეული სინამდვილისა.

ვალრაფი საჭიროდ არ მიიჩნევს თავის ნაწარმოებებში ფანტაზიისა და განსაკუთრებული მხატვრული ხერხების მოშველიებას აუდიტორიაზე ზეგავლენის მოსახდენად. საზო-

გადოების მანკიერი მხარეების გამოსავლენად მისი ამოსავალი წერტილი ზუსტი მონაცემები, შემოწმებული ფაქტებია.[105] თანაც არა მხოლოდ შიშველი ფაქტები, არამედ ანალიზი ფაქტებიდან გამომდინარე მოვლენისა, რომელსაც სოციალური მიზეზები უდევს საფუძვლად. პუბლიცისტი არც ხელისუფლებაში მოქმედი პირების დანაშაულებრივ საქმიანობას მიანიშნებს ქვეტექსტებით, რადგან იმთავითვე არქმევს ყველაფერს თავის სახელს. სწორედ ამიტომაც აღიქმებოდა ელიტარული საზოგადოებისათვის ასე მწარედ და სკანდალურად ფაქტებზე დაყრდნობილი სინამდვილის საქვეყნოდ გაცხადება და ყოველი მისი ახალი წიგნი ყუმბარის გასკდომის ტოლფასი იყო.

ვალრაფი მუდამ იქ არის, სადაც მას არ ელიან, აქტუალური და სკანდალური თემების მოკვლევისას არაერთხელ იგდებს თავს საფრთხეში. ყოველი დოკუმენტური მასალის მოპოვებას, ფაქტების ძიებასა თუ მათ გამოქვეყნებას უდიდესი დაძაბულობა ახლავს თან.[106] პუბლიცისტისთვის დოკუმენტური მასალის მოპოვებისას არ არსებობს გადაულახავი წინააღმდეგობა. ხშირად სხვის გასათავისუფლებლად მებრძოლი ჟურნალისტი თავად ებმება მახეში. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, ქარხანა იქნება ეს თუ ციხე, ვალრაფი ყველგან ახერხებს მამხილებელი საბუთების მოპოვებას; ის ისეთი ფაქტების საქვეყნოდ გამომზეურებასაც ახერხებს, რომლებიც საგულდაგულოდაა ხელისუფლების მიერ მიჩქმალული და შენიღბული. „ვინც საფრთხეს გაურბის — იღუპება“, — ასეთია ვალრაფის შემოქმედებითი ძიების პრინციპი. მას დევნიან, თავს ესხმიან, ლანძღავენ, ავიწროებენ, მაგრამ საქმისადმი თავდადება ვალრაფს გზიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევს. არადა, როგორ გაიუმჯობესებდა თავის მატერიალურ მდგომარეობას, მსხვილ მაგნატთა სარფიან წინადადებებს რომ დაჰყოლოდა და უარი ეთქვა თავის რეპორტაჟებზე.

დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებისათვის უდიდესი

პოლიტიკური სკანდალის ტოლფასი იყო, როცა 1968 წელს ვალრაფმა ვესტფალიის ხელისუფლების მიერ მინიჭებული კულტურის პრემია უკან დააბრუნა.[107] თანაც იმ მოტივით, რომ ასეთი ხელისუფლებისაგან პრემიის მიღება მისთვის შეურაცხმყოფელია. აღსანიშნავია, რომ მაშინ მას სოლიდარობა გამოუცხადეს გფრ-ის სახელგანთქმულმა მწერლებმა ჰაინრიხ ბიოლმა[108] და გიუნთერ გრასმა.

თავისი ქვეყნის მიმართ უდიდესი სიყვარულით გამსჭვალული პუბლიცისტისათვის მიუღებელია სენსაციისათვის წერა. მისი შემოქმედების ამოსავალი წერტილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაა. ვალრაფის ძირითადი პრინციპია, აამოქმედოს და სწორად წარმართოს საზოგადოებრივი ძალები, შეძრას მკითხველი და არავინ დატოვოს გულგრილი. პუბლიცისტი არ მალავს, რომ მისი სიმპათიები აშკარად დაბეჩავებულთა მხარეზეა, იმ ხალხისა, რომელიც მაღალგანვითარებული ქვეყნის იერარქიული კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება.

ვალრაფი არც ერთი პარტიის წევრი არ არის და სრულებითაც არ სჭირდება რომელიმე პარტიის მიმხრობა, რათა ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის სამართლიანი, პროგრესული და დემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელოს. მისი მიზანია ანტიდემოკრატიული ტენდენციების წარმოჩენა და იმ ინფორმაციული ხლართების გარღვევა, სადაც მოჩვენებითი დემოკრატია სუფევს. ჟურნალისტმა იცის, რომ ეს გზა: ჩანაფიქრი — რეალიზაცია — შედეგი რთული სავალი, მაგრამ განხორციელებადია.

საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითის მოყვანა, კერძოდ, როგორი დიდი სირთულე და დაძაბულობა სდევდა თან წიგნის, „ბრალდების მოწმის", დასტამბვას. ამ წიგნით ვალრაფი უპირისპირდებოდა „პრესის მეფის" შპრინგერის გამორჩეულ გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგს", რომელსაც ყოველდღიურად 11 მილიონი მკითხველი ჰყავდა. იმისდა მიუხედავად, რომ წიგნი

საზღვარგარეთ იბეჭდებოდა. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, წიგნის გამოცემა რომ არ დაბრკოლებულიყო და არც სტამბას შექმნოდა სირთულე, აუცილებელი იყო უსაფრთხოების დაცვა. გამომცემლობას კონსპირაციისათვის ზუსტი დასახელების ნაცვლად „ევროპა" ეწოდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ „ბრალდების მოწმის" გამოსვლის შემდეგ „ბილდის" ავტორიტეტი ეცემა. მისი პუბლიკაციები უნდობლობას იწვევს და ბევრი მწერალი, მეცნიერი თუ ბუნდესტაგის პარლამენტარი გაზეთს ბოიკოტს უცხადებს. შპრინგერი იძულებული ხდება ბევრ კითხვას გასცეს პასუხი, მისი რეპუტაცია თანდათან ილახება.

უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სასამართლოებში ვალრაფის წინააღმდეგ მრავალჯერ აღიძრა საქმე. მას ბრალს სდებენ გაიძვერობაში, პროვოკაციაში, საწარმოო საიდუმლოებების გათქმასა თუ აღსარების საიდუმლოთა დარღვევაში, მაგრამ არა ცილისწამებაში. და ეს იმიტომ, რომ მის ხელთ მუდამ უტყუარი დოკუმენტებია, ხოლო პროვოკაციაში დადანაშაულებას ავტორი ასე უპასუხებს: „არც მე ვამართლებ ჩემს მეთოდებს, მაგრამ საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებული ვითარების გამოსამზეურებლად ეს აუცილებელია".[109]

ვალრაფის ინტერესების სფერო ქვეყნის ფარგლებს სცილდება. ის არ შემოიფარგლება მარტო თავისი ქვეყნის ლოკალური პრობლემებით. პუბლიცისტს აინტერესებს, რა ხდება საბერძნეთში, ნიკარაგუაში, პორტუგალიაში, რაც მის ჭეშმარიტად მოქალაქეობრივ თვითშეგნებასა და საზოგადოებრივი მოვალეობის აღსრულებაზე მეტყველებს.

როგორც აღვნიშნეთ, ვალრაფის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთ გერმანიის მწერლობაში დოკუმენტური ჟანრის დამკვიდრება. ვალრაფმა პუბლიცისტიკის მწვერვალს უთუოდ თავისი რეპორტაჟებითა და ნარკვევებით მიაღწია. ჩვენ წინაშეა იშვიათი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, რო-

მელშიაც ჰარმონიულადაა შერწყმული სიმართლის დამამკვიდრებლისათვის აუცილებელი ბრეხტისეული ხუთი მონაცემი — გამბედაობა, ჭკუა, ტალანტი, საკუთარი აზრი და ჟურნალისტური ეშმაკობა. პროგრესულად მოაზროვნე მკითხველის თვალში მან „მოუსყიდავი“ ბრალმდებლისა და უანგარო ჟურნალისტის იმიჯი მოიპოვა. მას სამართლიანად შემოაქვს ლიტერატურათმცოდნეობაში „ვალრაფის ფენომენის“ ცნება. ზოგიერთ ქვეყანაში, იქნება ეს შვეცია, ჰოლანდია თუ ფინეთი, „ვალრაფობა“ უკვე ტერმინად მკვიდრდება, რაც გარკვეულ პროცესში უშუალო თანამონაწილეობით მოპოვებული ფაქტებით გამოაშკარავებას გულისხმობს.

რეპორტაჟების კრებულმა — „შენ ჩვენ გვჭირდები“ (1966), „13 არასასურველი რეპორტაჟი“ (1969), „საწარმოო რეპორტაჟები“ (1970), „ახალი რეპორტაჟები. გამოკვლევები და მაგალითები“ (1972), „თქვენ მაღლა ხართ — ჩვენ აქ, დაბლა“ (1973), „რეპორტაჟები“ (1976); ასევე წიგნებმა — „ადამიანი, რომელიც „ბილდში“ ჰანს ესერად მუშაობდა“ (1977), „ბრალდების მოწმე. „ბილდის“ აღწერა გრძელდება“ (1979) და სხვა, ის უხილავი კედელი გაარღვია, რომელიც პროგრესულ პუბლიცისტიკას ბურჟუაზიული ყოფისა და აზროვნებისაგან მიჯნავდა.

„ვალრაფის ფენომენს“ სათავე უძევს პერიოდში, როცა ახალგაზრდა ვალრაფი უკვე დორტმუნდის „ჯგუფი-61“-ის აქტიური წევრია და ამ ჯგუფის მიზანი „თანამედროვე მუშის პრობლემის კრიტიკული გააზრება“[110] პუბლიცისტის შემოქმედების მამოძრავებელ მუხტად იქცევა.[111] ის მუშაობას იწყებს დასავლეთ გერმანიის ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებულ სხვადასხვა უმსხვილეს სამრეწველო საწარმოებში დაქირავებულ მუშად. მას თავად უნდა გამოეცადა ის არაადამიანური, სიქაგამძვრელი შრომა, რომელიც მუშის მორალურ და ფიზიკურ ძალებს შრეტდა, თავად უნდა დარწმუნებულიყო მეპატრონეების თვითნებობასა და მათ მიერ

მუშების სასტიკ ექსპლუატაციაში. ფაბრიკა-ქარხნებში, საშუალო თუ მსხვილ საწარმოებში ორი წლის მუშაობის შედეგად მიღებული გამოცდილება თანდათანობით რეპორტაჟებისა და ნარკვევების სახეს იღებს და რეგულარულად იბეჭდება პროფკავშირების გაზეთ „მეტალში“,[112] რომელიც ორ მილიონზე მეტი ტირაჟით გამოდის. ამ მასალებით დასავლეთ გერმანიის მუშა ეცნობოდა არა შეთხზულ და გამოგონილ ისტორიებს, არამედ შეუფერადებელ სიმართლეს თავის გვერდით მომუშავე ამხანაგებზე. მკითხველს აოცებდა ავტორის სიმამაცე, რომელიც ხელმძღვანელ პირებს ანონიმურობის დაუცველად ამხელდა სამარცხვინო მაქინაციებში. რეპორტაჟებისა და ნარკვევების ავტორი, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, ვინმე გიუნთერ ვალმანია. მხოლოდ მოგვიანებით, 1966 წელს, როცა ეს რეპორტაჟები ცალკე წიგნად გამოიცა, ყველასათვის ცნობილი ხდება ავტორის ვინაობა. გამოგონილ გვარებს კი კონსპირაციისათვის გიუნტერ ვალრაფი საჭიროების შემთხვევაში შემდგომშიაც არაერთხელ მიმართავს.

პუბლიცისტი ბუნდესტაგში მთავრობის მიერ დადგენილების გამოტანამდე ამხელს „საგანგებო კანონებს“, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და უკიდურესი ანტიდემოკრატიულობით გამოირჩევა. ასევე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს „პროფესიის აკრძალვას“. ამ კანონის მიხედვით იზღუდებოდა სახელმწიფო სამსახურებში ე.წ. „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ მიღება. სამსახურიდან ათავისუფლებდნენ არა მარტო მემარცხენე შეხედულების მოქალაქეებს, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც. „პროფესიის აკრძალვა“ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისაგან აღიქმებოდა ისევე მძაფრად, როგორც „ბლიტცკრიგი“ და საკონცენტრაციო ბანაკი.

ვალრაფმა იცის, რომ გფრ-ში სუპერდემოკრატების ნიღბის ქვეშ მშვიდად მოქმედებენ იარაღისა და ცრუ პროპა-

განდის ფაბრიკანტები, ყოფილი გესტაპოელები და თანამედროვე ნეონაცისტები. მან იცის, რომ ის წიაღი, საიდანაც ფაშიზმი აღმოცენდა, ნეოფაშიზმის სახით ახალ საფრთხეს შობს. „ჩემი ამოცანაა — ამბობს ვალრაფი, — თანამიმდევრულად და კონკრეტულად გამოვავლინო ჩვენს სახელმწიფოში არსებული რეაქციული ტენდენციები".[113]

ვალრაფს ნარკვევისათვის მასალის შესაგროვებლად ხან ბუნდესვერის ჯარისკაცის ფარაჯის მორგება უხდება, რათა იქ ფარულად ნაწარმოები დღიურების მეშვეობით ახალგაწვეულთა აბუჩად აგდებისა და დამცირების მრავალრიცხოვან ფაქტს ახადოს ფარდა, ან მსხვილ მეწარმედ თავის გასაღება, რათა გამოააშკარაოს დასავლეთ გერმანიის ეკლესიის მჭიდრო კავშირი მილიტარიზმთან, სამხედრო-საწარმოო კომპლექსთან — „ჭუჭყიანი ვიეტნამელების" გასაჟლეტად ამერიკული ხელისუფლების მომგებიან შეკვეთაზე, ნაპალმის ყუმბარის დამზადებაზე რომ მუშაობს.

პუბლიცისტი არაერთი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ ახერხებს ბუნდესვერის რელიგიურ კურსებზე დასწრებას. იქ ეცნობა სულიერ მამას, ჰიტლერის ყოფილ ოფიცერს, რომელიც სიამოვნებით იხსენებს ომის წლებს და სხვადასხვა საბრძოლო სიუჟეტებს მოუთხრობს მსმენელთ. იგი თავისებური „ქრისტიანული" მორალითა და რევანშისტული სულისკვეთებით მოძღვრავს ახალგაწვეულთ. „ღმერთს უნდა მიმართო და შეიცნო შენი მხედრული ვალი ამქვეყნად" — შთააგონებს სულიერი მამა ახალგაზრდა ჯარისკაცებს. — ქრისტე ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე თუნდაც ჰიტლერი".[114] არსებული სიტუაციის შემზარავი ცინიზმი და რევანშისტული სულისკვეთებაა სწორედ მხილებული ვალრაფის ნარკვევში — „მოკალი ღვთის გულისათვის".

დიდი გამოხმაურება ხვდა წილად ვალრაფის ნარკვევს — „ვაი, მათ თუ მიუსევენ", რომელიც ქარხნებისა და მსხვილი საწარმოების „დამცველი რაზმების" მომზადებას ეძღვნე-

ბა. მსგავსი სამხედრო ფორმირებები ქარხნების შიგნით გამიზნული იყო საწარმოებში მეამბოხეთა დასასჯელად და მუშების დასაშინებლად.[115] ამ თემაზე მასალის მოსაპოვებლად ვალრაფი იძულებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არარსებული სამოქალაქო დაცვის კომიტეტის მრჩევლად გაასაღოს თავი. „მე ერთადერთი გამოსავალი მრჩებოდა, — მოგვითხრობს ვალრაფი, — თავი უნდა გამესაღებინა „საიდუმლოს თანამზრახველად“, ვთქვათ, ხელმძღვანელი ინსტანციის თანამშრომლად, რისი გამოგონებაც ჩემთვის არც არასოდეს წარმოადგენდა სირთულეს“. გამოგონილი ტიტული კი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ფირმისა და კონცერნების თანამშრომლებზე და ასეთი გზით მწერალიც ბევრ რამეს წამოატივტივებდა განსასჯელად. ასე მოიპოვა მან ინფორმაცია სპეციალური სკოლების არსებობის შესახებ, სადაც საწარმოებში „მრისხანე და გადამწყვეტი დარტყმებისათვის“ მზადდებოდა გასამხედროებული საიდუმლო ჯგუფების კადრები.

ვალრაფის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ქვეყანაში სუფევს დაკანონებული გულმოწყალება მემარჯვენეთა მიმართ, და ასევე დაკანონებული შეუწყნარებლობა „სხვაგვარად მოაზროვნე“ მემარცხენეთა მიმართ. იმ ხანებში პიროვნებისა და მისი საქმიანობის დასადგენ საზომად კეთილსაიმედოობის გარკვევა ითვლება: ნეონაცისტებს ყოველგვარი ცოდვები მიეტევებათ, მემარცხენეებს კი იმთავითვე ანათემას გადასცემენ.

მანკიერების გამოსავლენად და სიმართლის დასადგენად, პუბლიცისტი ყველა ხერხს მიმართავს. რეპორტაჟისავის — „სუფთა ბერლინი“ — ინფორმაციულ წყაროდ იქცა ცნობა, რომ სტუდენტური მღელვარებისას, რაც იმ პერიოდში დასავლეთის სხვა ქვეყნებსაც მოედო, დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა დემონსტრანტების მიმართ მომწამვლელი გაზის გამოყენებასა და მათ დახვრეტას მოითხოვდა, რომ ხშირად გაისმოდა შეძახილი — „საჭიროა ახალი ჰიტლერი“. ვალრა-

ფი მეორე დღესვე ჩადის ბერლინში და სოციოლოგიურად იკვლევს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა განწყობილება-დამოკიდებულებას დემონსტრანტების მიმართ. მაგრამ იმისათვის, რომ ძირფესვიანად გაარკვიოს, რა უდევს საფუძვლად მსგავს მოთხოვნებს, ის ფიქტიურად აყალიბებს „სუფთა ბერლინის" კომიტეტს — „ბერლინის მოქალაქეთა თავდაცვით საზოგადოებას".

მოსახლეობის ანალოგიური მოთხოვნებითა და შპრინგერის პრესიდან ამოღებული რეაქციული მოწოდებების გამოყენებით, ვალრაფი ადგენს საზოგადოების გადაწყვეტილებათა პუნქტებს. ამ საბუთით ამყარებს ის კავშირს სხვადასხვა ინსტანციებში მომუშავე პირებთან, „თანაუგრძნობს" მათ ურჩი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ გატარებულ ღონისძიებებში. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ მართლაც აღმოაჩენს სინამდვილეში არსებულ „სუფთა ბერლინის" მსგავს კომიტეტს, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დეპუტატის, ადვოკატ მანფრედ როდერის მიერაა ჩამოყალიბებული. მანფრედ როდერი მიესალმება ვალრაფის კერძო ინიციატივას და მზადაა ითანამშრომლოს მასთან. ამის შემდეგ ჟურნალისტი მკერდზე აფარებული მოზრდილი პლაკატით — „დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტი ეძებს ოთახს და ნებისმიერ სამუშაოს" — დასავლეთ ბერლინის ქუჩებში გადის. რეპორტაჟში ზედმიწევნითაა გადმოცემული, როგორ ხვდებიან მის პლაკატს გამვლელ-გამომვლელები. მათი მხრიდან დამცირების, შეურაცხყოფისა და დაცინვის მიუხედავად, ნაწარმოების სტრიქონები გაჟღენთილია სიბრალულითა და თანაგრძნობით იმ „უბრალო ბერლინელების" მიმართ, ვინც ბონის პროპაგანდისა და შპრინგერის პრესის ზემოქმედებითაა გაბრუებული. ხოლო რეპორტაჟის ფინალურ ეპიზოდში, როცა გამძვინვარებული ბრბოს მხრიდან ჟურნალისტს ფიზიკური გათელვის საშიშროება დაემუქრება, მას

ჩვეული პროფესიული ოსტატობით თავად მკითხველი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ გერმანიის ქალაქების ქუჩებში „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ ბოგინობს, რომ გუშინდელი კატასტროფა დღესაც მომავლის საფრთხედ ქცეულა.

„შავი პოლკოვნიკების“ რეჟიმის დროს, როცა მიკის თეოდორაკისი[116] მთელი ბერძენი მოსახლეობის სახელით გერმანიისა და ევროპის პროგრესულ საზოგადოებას დახმარებისკენ მოუწოდებდა, ვალრაფი საბერძნეთში ჩადის. ათენის მოედანზე პროტესტის ნიშნად ბოძზე გაიკრავს თავს და ხელისუფლების საწინააღმდეგო მოწოდებებს გაიძახის. რა თქმა უნდა, მას შეიპყრობენ, კარგადაც შეალამაზებენ და სამხედრო ტრიბუნალს გადასცემენ. 14 თვიით პატიმრობამისჯილი ვალრაფი „შავი პოლკოვნიკების“ ბუნაგში უამრავ მამხილებელ დოკუმენტურ მასალას კრებს. ხოლო პატიმრობის დასრულებისთანავე მკითხველს წარუდგენს წიგნს — „ჩვენი ფაშიზმი ჩვენ გვერდითაა, საბერძნეთი გუშინ — ხვალის გაკვეთილია“. მასში აღწერილი ფაშისტურ გარემოცვაში გადატანილი წამება, ცხადად გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძვირად უჯდება პუბლიცისტს საქმის არსში ღრმად ჩაწვდომის სურვილი.

ჟურნალისტური „მასკარადის“ შემწეობით, ასაღებს რა თავს „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ მომხრედ, ვალრაფი პორტუგალიის ერთ-ერთ არალეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციაში შეაღწევს და პორტუგალიის ყოფილი პრეზიდენტის, გენერალ დე სპინოლასთან შეხვედრაზე გამართულ საუბრებს ფირზე იწერს. 1976 წლის გაზაფხულზე ჟურნალი „შტერნი“ აქვეყნებს რეპორტაჟს პორტუგალიის მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერებსა და პორტუგალიის ყოფილი პრეზიდენტის ანტონიუ დე სპინოლასთან საიდუმლო შეხვედრებზე. ერთმანეთს ხვდებიან სამი პორტუგალიელი შეთქმული და ოთხი გერმანელი — იატაკქვეშა ნეოფაშისტური ორგანიზაციის წევრები; რომელთა შორის ერთი ვალრაფია. დიუსელდორფის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროსა

თუ ძვირფას რესტორანში საუბრის ძირითადი თემაა დასავლეთგერმანელ თანამოაზრეთაგან იარაღის მსხვილი პარტიის მოთხოვნა. გენერალი თანამონაწილეებს უზიარებს თავის ზრახვებსა და გეგმებს პორტუგალიაში სამხედრო გადატრიალების თაობაზე. აქვე ამხელს ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის ლიდერთან, შტრაუსთან მისი შეხვედრების არსს. გადატრიალების მარცხით დამთავრების შემთხვევაში შტრაუსი მას პოლიტიკურ თავშესაფარს ჰპირდება.

რეპორტაჟის გამოქვეყნებას გაუგონარი რეზონანსი მოჰყვა. შტრაუსი იძულებული ხდება სახალხოდ აღიაროს პორტუგალიის ექს-პრეზიდენტთან საიდუმლო მოლაპარაკება. შვეიცარიის ხელისუფლება კი გენერალ დე სპინოლას ქვეყნიდან აძევებს იმ კანონის დარღვევის გამო, რომლის მიხედვითაც ემიგრანტებს პოლიტიკური საქმიანობა ეკრძალებათ.

გიუნთერ ვალრაფი ნიღაბს ხდის კონსერვატული პრესისა და ჟურნალისტის „თავისუფლების" მითს. ამხელს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციურ სისტემას, ფაქტების წინასწარგანზრახულად დამახინჯების ტენდენციებს. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია შპრინგერის მონოპოლისტური საგაზეთო კონცერნის წინააღმდეგ გამუდმებული ბრძოლა. პუბლიცისტს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი აზრის გიგანტური ფაბრიკის მამამთავრის აქსელ შპრინგერის პრესა მკითხველის დეზორიენტაციას ისახავს მიზნად და ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებას ემსახურება. მისი პრესა დეზინფორმაციისა და ფალსიფიკაციის გზით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

ვალრაფი შპრინგერის წინააღმდეგ ბრძოლას მაგნატის ყველაზე გამორჩეულ ყოველდღიურ გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგზე" თავდასხმით იწყებს. „ბილდის" სტატიების უმრავლესობა წმინდა წყლის გამონაგონზე აგებული და უხეში ფალსიფიკაციაა", — აცხადებს პუბლიცისტი ახალი რეპორტაჟების წიგნში — „ბილდ-ცაიტუნგის" საპირისპირო ისტორია". ავ-

ტორის აზრით, შპრინგერის „პირმშოს“ მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს სიძულვილი შთააგონოს ყველა იმ პროგრესულისადმი, რაც მსოფლიო მასშტაბით ხდება. „აქსელ შპრინგერი ძლიერია. იმდენად ძლიერი, რომ ყოველდღე შეუძლია მოგვევლინოს უმაღლესი სასამართლოს მსაჯულად იმ სახელმწიფოში, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, სამართლებრივ სახელმწიფოდ ითვლება. მის ხელდასმულ „ბილდ-ცაიტუნგს“ თავისებურად გამოაქვს განაჩენი მილიონობით მკითხველისათვის — მკაცრი, შეუბრალებელი განაჩენი“, — ასკვნის ვალრაფი.

სენსაციის მოყვარულ მკითხველ საზოგადოებაზე აშკარად არნახული ეფექტი მოახდინა 1977 წელს დასტამბულმა წიგნმა — „ადამიანი, რომელიც „ბილდში“ ჰანს ესერად მუშაობდა“. ვალრაფი აქ თავისი შემოქმედებითი მეთოდის — „შიგნით შეღწევის“ — გამოყენებით იწყებს „ბილდის“ ერთ-ერთ განყოფილებაში მუშაობას ჰანს ესერის სახელით. მართალია, მას ამ დროისათვის გფრ-ში ყველა იცნობს, მაგრამ მაინც არავის მოსვლია აზრად, რომ ჰანს ესერი შეიძლება თავად ვალრაფი ყოფილიყო. „ბილდის“ რედაქციაში ოთხი თვის მუშაობის მანძილზე ვალრაფმა შეისწავლა მთელი საგაზეთო საქმიანობის სამზარეულო — თუ როგორ ხდებოდა სინამდვილის ფალსიფიცირება, მკითხველთა ფართო მასების თვალის ახვევა. წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ეს წიგნი შეეხება ძალადობას, მის განსაკუთრებულ ზემოქმედებას სულიერ სფეროზე, რომელსაც არც ბომბი სჭირდება და არც ქვემეხი. მისი მსხვერპლია ადამიანები, მათი აზრები, განცდები, მათი ღირსებები“.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა ვალრაფის პუბლიცისტიკის განსაკუთრებულობაზე, მისი რეპორტაჟების სპეციფიკაზე:

მრავალი თეორეტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის[117] შეხედულებით, ვალრაფის წარმატების საიდუმლო მის მეთოდში მდგომარეობს, რომელიც მეტად გამჭვირვალეა. სი-

მართლის მოსაკვლევად პუბლიცისტი იმ ადამიანების მდგომარეობაში იგდებს თავს, რომლებზედაც აპირებს წერას, ოღონდ არა მხოლოდ ჭვრეტისეული, წარმოსახვითი თვალთახედვით, არამედ ფაქტობრივად, რეალურად. აქედან გამომდინარე, გამოყენებულია სოციოლოგიურ გამოკვლევათა შემოქმედებითი მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს მოვლენის „შიგნით, სიღრმეში შეჭრის" პრინციპი. მაგრამ თუ დავუკვირდებით, ვალრაფისეული მეთოდი არაერთგვაროვანია. შემოქმედებითი აღმასვლის გზაზე ის შესაბამისად იცვლებოდა და ვითარდებოდა. თავდაპირველად ავტორი საკუთარი, უშუალო გამოცდილებიდან კრებდა საჭირო ეპიზოდებსა და შემთხვევებს. მკითხველზე ინტენსიურ ზემოქმედებას პუბლიცისტის სწორი ხედვა და მოვლენის სკრუპულოზური აღწერა ახდენდა. ამ პერიოდში მისი შემოქმედებითი სტილის ამოსავალი წერტილია თავგადასავალი. შემდგომში კი ის თავად ქმნის თავგადასავალს და ძიების, სოციოლოგიური კვლევის მეთოდის გამოყენებითა და გარდასახვის საშუალებით წარმოაჩენს არსებულ სინამდვილეს. კონკრეტული საზოგადოებრივი სიტუაციის გამოსააშკარავებლად, პუბლიცისტი გამიზნულად ესხმის თავს ობიექტს სახელებისა და მისამართების მითითებით. მაგრამ მისი ნაწარმოებების დამაჯერებელი ძალა არა მარტო ცალკეული ფაქტების ზუსტ აღწერაშია, არამედ მიწოდების მეთოდშიც, რაც მკითხველს სიტუაციის უშუალო თანამონაწილეს ხდის.

დასავლეთ გერმანიის სინამდვილის გასაშუქებლად ვალრაფი უჩვეულო ხერხებს მიმართავს: პროვოკაციას, ავანტიურას, სხვადასხვა ინსტანციებში თავისივე გამოგონილი თანამდებობებით „შეჭრას". პუბლიცისტი ამ მეთოდით მოწინააღმდეგეს აიძულებს გული გადაუშალოს, გაუმხილოს თავისი ზრახვები. ამდენად, მოვლენის უშუალო დამკვეთი თუ შემსრულებელი სხვა განმსაზღვრელ, მოქმედ ელემენტებთან ერთად, რეპორტაჟის სუბიექტი ხდება.

ხშირ შემთხვევაში იმისათვის, რომ სასურველი შედეგი მიიღოს, ყველა მეთოდი ერთმანეთზე გადაჯაჭვული და გაერთიანებულია. ყველაფერი ერთად კი, უშუალოდ განცდილი და დაგროვილი გამოცდილება, ემპირიული ცოდნა და შეგნებული იდეური სწრაფვა საბოლოო მიზანს ემსახურება — მკითხველი ააფორიაქოს და მისი ძიების თანამონაწილე გახადოს.

# ჰაინრიხ ბიოლი

ჰაინრიხ ბიოლი მთელ მსოფლიოში ცნობილი მწერალია, მაგრამ მის პუბლიცისტურ ნააზრევს ნაკლებად თუ იცნობს ვინმე.

დასავლეთ გერმანიის თითქმის ყველა მწერალი (ერთიორის გამოკლებით) ჩაება იმ მოძრაობაში, რომლის დევიზი იყო ქვეყანაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება და ბრძოლა მთავრობის პოლიტიკასთან. ბიოლმა განმსაზღვრელი როლი შეასრულა ამ ბრძოლაში. „ჩვენს ქვეყანაში ორივე პარტიამ მზაკვრული დავალება შეასრულა: ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა ამ ქვეყანაში ქრისტიანობა მოშალა, ხოლო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სოციალიზმს მოუღო ბოლო“.[118] ბიოლის სიმწრით ნათქვამი ეს სიტყვები აშკარა გამოძახილია იმ კატაკლიზმებისა, რომელსაც მოეცვა 60-იანი წლების გერმანია.

განსაკუთრებით კარგად ჩანს ჰ. ბიოლის მოქალაქეობრივი პოზიცია და მისი დამოკიდებულება იმდროინდელ გერმანიაში გამეფებული უსამართლობისადმი გ. ვალრაფთან მიმართებით.

ვალრაფის პირველი წიგნს — „დღიურები ბუნდესვერიდან 1963-64“, საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობა დაურთო ჰაინრიხ ბიოლმა სათაურით — „წერილი არაკათოლიკე ახალგაზრდას“.[119] აქ ბიოლი 20 წლის ვალრაფის კეთილშობილურ მისწრაფებებს წარმოაჩენს პოლიტიკოსთა და მათთან მიტმასნილი კლერიკალური ეკლესიის ცრუსინდისიერების ფონზე.

როდესაც ვალრაფი ბუნდესვერში სამხედრო წვრთნის დროს იარაღის ხელში აღებაზე უარს აცხადებს და მის ნაცვლად ჯოხს იკავებს და მას მინდვრის ყვავილებით რთავს ნიშნად იმისა, რომ სამშობლოსა და ხალხის სამსახური იარაღის გარეშეც შესაძლებელია, მას ფსიქიატრიულ საავად-

მყოფოში ათავსებენ.

ბიოლი კი ამ ფაქტს სხვაგვარად ხედავს და აფასებს: „თქვენ თქვენი სინდისის საჩვენებლად მოგიჟიანება დაგჭირდათ: ყვავილებით გამოჩნდით! მსგავსი სიგიჟე ჩაპლინს თუ ეპატიებოდა და ისიც მხოლოდ ფილმში. სიგიჟე ხელოვნებაა და ხელოვნება ნებადართულია. თქვენი მოგიჟიანება ფსიქიატრიულ კლინიკაში დასრულდა, რითაც ბუნდესვერს მოსცილდით, სანაცვლოდ კი თქვენი თავი მთელი შემართებით პუბლიცისტიკას მიუძღვენით“.[120]

იმდენად დიდია ჟურნალ „კურსბუხის“ დაინტერესება როგორც ვალრაფით, ასევე ბიოლით და მისი სარკასტული ირონიით აღსავსე წერილით, რომ ის მთლიანად ბეჭდავს ამ მასალას. ბიოლი აღშფოთებას გამოთქვამს როგორც კათოლიკური ეკლესიის, ასევე მასთან მჭიდროდ შეკრული კოალიციის მიმართ — ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების სახით. იგი პოლიტიკას, როგორც თვით პოლიტიკოსებს ხშირად სჩვევიათ ხოლმე, ბინძურს უწოდებს და მას პროსტიტუციას ადარებს. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკოსების მოჩვენებით გამოთქმას, რომ მათი „საქმე ბინძურია“, მიაჩნია, რომ ეს მათ მორალური თავდაცვისათვის სჭირდებათ, თუმცა ბიოლი პოლიტიკოსების ამ გამოთქმას კეკლუცობის იაფფასიან ხერხად აღიქვამს. ბიოლისათვის ამ სამყაროში მრავალი საქმიანობაა ბინძური: ნახშირით თუ ახალი ამბებით ვაჭრობა, ლიტერატურა თუ ტელევიზია. პოლიტიკოსები დიდად ვერ იამაყებენ თავიანთი ზნეობით, ვერც იმას დაიჩივლებენ, რომ მსხვერპლად ეწირებიან საქმეს და, როგორც წესი, „ბინძურდებიან“. ასეთი სენტიმენტალობა მხოლოდ მეძავს თუ შეეფერება და „გააკეთილშობილებს“ მის პროფესიას, — დასძენს ავტორი.

სარეცხი ფხვნილის რეკლამის ფონზე — ჯერ ჭუჭყიანსა და მერე სუფთა სარეცხს რომ გვანახვებენ, ჰ. ბიოლი გფრ-ის მთელ პოლიტიკას სუფთასა და ბინძურის სარკასტუ-

ლი ურთიერთმიმართებით განიხილავს.

პირველ ყოვლისა, ბიოლის აღშფოთება გამოწვეულია კათოლიკეების მონაწილეობით გერმანიის შეიარაღებასა და ბუნდესვერთან თანამშრომლობით. „ჩვენში მღვდელი სუფთა ხელებით იწყებს ღვთისმსახურებას და მისთვის ხელის დაბანა საგანგებო რიტუალადაა ქცეული. მე გული მწყდება, რომ ჩადენილ საქმეებთან შედარებით მათ ხელები იმდენად სუფთა აქვთ, ხელის დასაბანად მიწოდებული წყალიც კი შესაძლოა ვინმეს ბინძურად ეჩვენოს“,[121] — ირონიულად შენიშნავს ავტორი. ბიოლისათვის ვალრაფის ტექსტში ყველაზე სამარცხვინო ფიგურა — კათოლიკე მღვდელია, რომლის სიტყვებზე, გამოთქმებსა და ქცევაზეც მიუთითებს.

ბიოლისათვის აბსურდულია და სავსებით გაუგებარი სულიერი მამების მონაწილეობა სამხედრო კომისიაში. მწერალს შესანიშნავად ესმის, როგორი შეუსაბამო, აუტანელი და ფარისევლურია ახალგაზრდა თაობისათვის სიტყვა „ქრისტიანის“ ჩართვა გერმანიის მმართველი კოალიციის სახელწოდებაში. მწერალი საჭიროდ მიიჩნევს გერმანელ კათოლიკთა და პროტესტანტ თეოლოგთა შეხვედრას, რათა საბოლოოდ გადაწყდეს და ჩამოეხსნას ქრისტიანულ-დემოკრატიულ და ქრისტიანულ-სოციალისტურ კავშირებს ზედსართავი „ქრისტიანული“.

ჰაინრიხ ბიოლს როდი უკვირს, თუ როგორ ართულებდნენ და ამძიმებდნენ პოლიტიკოსები ვითარებას, როცა ახალგაზრდები უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურზე. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მსგავს შემთხვევებს ჯოჯოხეთურ პროცედურად აქცევდნენ, რადგან განსაზღვრული მიზანი ამოძრავებდათ — გერმანელი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ გფრ-ის შეიარაღება, — განმარტავს მწერალი. აქ ბიოლი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკოსთა გათვლილ ხერხებზე, როცა ისინი აცხადებდნენ, რომ შეიარაღება მხოლოდ თავდაცვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის იყო გა-

მიზნული. სინამდვილეში კი თავიანთ მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებდნენ. გამოყენებული იყო ყველა მეთოდი და საშუალება: ტერორი, ფული, პროპაგანდისტული საშუალებები, თვით ოპოზიციის ჩართვაც, ყველა მოწინააღმდეგეთა ცილისწამება და რეპუტაციის შებღალვა.

როგორც დიდი მოაზროვნე და ჰუმანისტი, ჰაინრიხ ბიოლი განზე ვერ გადგებოდა და გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ არადემოკრატიული პროცესების მიმართ, რომლებიც იმჟამად მიმდინარეობდა გერმანიაში. მან დაუფარავად, ხმამაღლა განუცხადა პროტესტი „ძლიერთ ამა ქვეყნისა“ და თავისი იდეალების, ზნეობრივი მრწამსის ბოლომდე ერთგული დარჩა, ხოლო მისი პუბლიცისტიკა საზოგადოების ჭეშმარიტ ორიენტირად იქცა.

## მარტინ ვალზერის პუბლიცისტიკა

გასული საუკუნის 80-იან წლებში, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში, როცა მარტინ ვალზერს ჰკითხეს, შესაძლებელია თუ არა პუბლიცისტმა ზოგჯერ იძულებითი ნაბიჯი გადადგას, ანუ ვინმეს ნებას დაჰყვეს ან გარემოებას დაემორჩილოს, მან უპასუხა: „არის შემთხვევა, როდესაც იძულებული ხარ წერო ისეთი სტატიები, რომლებსაც საერთოდ არ დაწერდი, რადგან არ გინდა ვიღაცის თვალში უქნარა ან მშიშარა გამოჩნდე“.[122] თუმცა იქვე დასძენს, რომ 1968 წელი გულგრილად ვერც ერთ ავტორს ვერ დატოვებდა და ნებისმიერ ადამიანს ჩაითრევდა მიმდინარე პროცესებში...

მარტინ ვალზერი თავისი პუბლიცისტიკით ბოლომდე ადასტურებს, რომ იგი დემოკრატი და, როგორც თავად თვლის, ჭეშმარიტად სოციალისტი მწერალია. თუმცა იმხანად სოციალისტი ჩამორჩენილობის მანიშნებელი და აბუჩად ასაგდები ცნება იყო. და მაინც, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალი პუბლიცისტიკაში მოსვლისთანავე საზოგადოების დემოკრატიზაციის, თავისუფლების, ადამიანთა უფლებების დაცვის სამსახურში ჩადგა. იგი სტუდენტობიდანვე თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოტელევიზიაში. მისი მოთხრობების პირველი კრებული 1966 წელს დაისტამბა, რამაც იმთავითვე სახელი მოუხვეჭა.

მარტინ ვალზერის ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება ორივე ჟურნალში. იგი აქვეყნებს ლექსებს, ჩანახატებს, ნაწყვეტებს რომანებიდან და, რა თქმა უნდა, სტატიებს, პუბლიცისტურ ესეებს.

ვალზერი გფრ-ის იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თავგამოდებით უცხადებდა სოლიდარობას ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას, ხოლო კალმოსნებს მოუწოდებდა ანტიმონოპოლისტურ კავშირში გაერთიანებას, რეალისტური ლიტერატურის აღორძინებას. დასავლეთ გერმანიაში ანტიიმპე-

რიალისტური, ანტიმონოპოლისტური ბრძოლის გასაშლელად ვალზერს საჭიროდ მიაჩნდა მწერალთა კავშირის პროფკავშირებში გაერთიანება.

ვალზერი არასოდეს ყოფილა გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში, მისთვის პარტიულობა გაიგივებულია შემოქმედებით კრედოსთან — რეალიზმთან და იმ პროცესების შედეგია, რაც ლიტერატურაში რეალურ ცხოვრებას უკავშირდება. მაგრამ ოფიციალური წრეები მას ალიქვამდნენ, როგორც კომუნისტ მწერალს და ეჭვქვეშ აყენებდნენ უკეთესი მერმისის შექმნის მისეულ კონფეცეფციებს. მაგრამ ოფიციოზისაგან განსხვავებით, პუბლიცისტი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების განვითარების საკითხებს და სწორედ აწმყოში ეძიებს იმ ფესვებს, რომელზეც დაშენდება უკეთესი მომავალი. „უნდა შეგეძლოს პოლიტიკური მოვლენების შეფასება; ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, მშრალი ინფორმაციის მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელი ვიყო“,[123] — ამბობს ვალზერი. და მან მართლაც არაერთხელ გამოავლინა პოლიტიკური მოვლენების სწორად შეფასების უნარი. ჭეშმარიტ ჰუმანისტსა და დემოკრატს ყოველთვის გულწრფელად აწუხებდა გერმანიის ბედი, ის, თუ რა გზით წარიმართებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი.

კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კოლიზიებზე ვალზერის შეხედულებებმა ნათელი გამოხატულება პოვეს მის პუბლიცისტიკაში. პუბლიკაციებში ვალზერი აშკარად მიუთითებდა თანამემამულეებს იმ საფრთხეზე, რაც შეიძლება მოჰყოლოდა რეაქციული წრეების ავანტიურისტულ კურსს. ვალზერი თავისი სტატიებით მკვეთრად უპირისპირდებოდა იმ აზრს, რომ ხელოვნების დარგის მსახურთ არ ევალებათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. მისთვის კი „ანგაჟირება“ მოქალაქეობრივი მოვალეობაა სამართლიანობისა და დემოკრატიული

უფლებების დასაცავად. ამ პოზიციაზე მდგომი პუბლიცისტის გამოსვლები არაერთხელ გამხდარა საბაბი ელიტარული წრეების თავდასხმებისა. თუმცა იგი ამის გამო არასოდეს შეჰპუებია მათ და არც არასოდეს უცდია მამებლურ პოლიტიკაზე გადასვლა.

უაღრესად მკვეთრი იყო ვალზერის გამოსვლები ლიტერატურის ამოცანებზე გამართული პოლემიკების დროსაც. პუბლიცისტი მწვავედ დაუპირისპირდა ამერიკელ პროფესორს ლესლი ფიდლერს, რომლის ნაშრომშიც „ლიტერატურის ახალი ერა“ საჯაროდ ცხადდებოდა, რომ ბურჟუაზიული მოდერნიზმი უნდა შეიცვალოს „პოპ-ლიტერატურით“, რომელსაც შეერწყმება „ვესტერნის“, „საინსფიკშენისა“ და პორნოგრაფიის ელემენტები.[124] ვალზერი, ილაშქრებს რა „კულტურის ინდუსტრიის“ წინააღმდეგ, ალტერნატივას ხედავს ლიტერატურის კონსტრუქციულ წვლილში, რომელსაც ძალუძს საზოგადოების გარდაქმნა.

ვალზერი თავის ბრწყინვალე პაროდიებში ააშკარავებს აზროვნების ფსევდოთავისუფლებას, რომელიც ფაქტობრივად სულიერი დეგრადირების ფორმას წარმოადგენს. მწერალი გვიჩვენებს ფარსად ქცეულ საჯარო დისკუსიებს, რომლებსაც არაფრისმთქმელ, უაზრო ლაყბობად მიიჩნევს. ყოველივეს მიღმა კი იგრძნობა პუბლიცისტისა და მწერლის მთავარი წუხილი დაბნეულ, ყოველგვარ ორიენტირსა და კრიტერიუმებს მოკლებულ ადამიანზე, რომელსაც სისტემა კონფორმისტად აქცევს. მაგრამ პუბლიცისტისათვის უცხოა სასოწარკვეთილება, მისი კრედოა ამ მახინჯი გამოვლინებების წინააღმდეგ ერთიანი ძალებით ბრძოლა: „რითაც შეიძლება დავიწყოთ და რასაც მოვიპოვებთ, ჩვენია და უჩვენოდ არ მოხდება!“[125] ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, ახალი აზროვნებისა და ცნობიერების ფორმირებისათვის ერთი ადამიანი გადაულახავ სირთულეებს შეეჯახება. ამიტომაც იხმობს იგი საზოგადოებრივ ძალებს და ამ მოძრა-

ობასთან აქტიური თანამშრომლობით ცდილობს მიზნის მიღწევას, მთლიანობაში საზოგადოების გარდაქმნას. მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებას ვერ განავითარებ დაჭაობებულ გარემოში, თუნდაც უკიდურესი შემოქმედებითი ძალისხმევის ხარჯზე.[126] ვალზერი საკითხს ძალზე სპეციფიკურად, მწერლებთან, ლიტერატურის ფუნქციასა და მის დანიშნულებასთან მიმართებაში სვამს. მისი აზრით, ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის ზუსტი განსაზღვრით ხდება შესაძლებელი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და დამოკიდებულების გაანალიზება, რაც ლიტერატურაში დაამკვიდრებს ობიექტურობასა და რეალიზმს.

ამ სამყაროში, სადაც განივთებულია გრძნობები და ტალანტი, ვალზერი მრავალასპექტიან ჭრილში წარმოსახავს და განიხილავს თანამედროვე კაპიტალიზმის არსს. პუბლიცისტი ავლენს საზოგადოების გონებრივი მანიპულირების მექანიზმს, რომელიც ადამიანზე მასობრივი ინფორმაციისა და რეკლამის ზეწოლით პიკს აღწევს 60-იან წლებში. აზროვნების ერთიანი სტანდარტიზაცია და უნიფიცირება ცენტრალური პრობლემა ხდება ლიტერატურისათვის. მწერალი მიუთითებს, რომ სავაჭრო აგენტები და რეკლამის სპეციალისტები კაპიტალისტურ სამყაროში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფიგურებია, რომელთა გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ფუნქციონირება. მონოპოლისტური კაპიტალიზმი „მომხმარებელთა ექსპლუატაციას“ ეფუძნება. ის ხელოვნურად უღვიძებს მომხმარებლებს ინტერესს და ამ თავსმოხვეული ინტერესების მეშვეობით თავის მონებად აქცევს“.[127]

ასევე მონებად იქცევა საზოგადოების ის ნაწილი, ანუ ლიტერატორები, რომლებსაც, წესით, საზოგადოების იდეური ფლაგმანის მისია ეკისრებათ. მათ ეცლებათ თავიანთი ისტორიული როლი და დამკვეთის ნების მორჩილ აღმსრულებლად იქცევიან, რაც თავისთავად იწვევს ფსევდოლიტერატურული სუროგატების ფესვგადგმას. ვალზერს მიაჩნია, რომ ასეთი

ტიპის მწერლები სინამდვილეს განიხილავენ, „თითქოს საქმე ეხებოდეს შესაფუთი მასალის დამზადებას მორიგი საქონლისათვის, რომელიც შეფუთვის გარეშეც უკვე არსებობს, მაგრამ ფიქრობენ, რომ საფუთავით უკეთ მიეწოდება ადამიანს",[128] ვალზერი ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, ლიტერატურის ფუნქციაზე, კერძოდ, რეალისტური ლიტერატურის შემეცნებით დანიშნულებაზე. იგი დარწმუნებულია, რომ ლიტერატურას შეუძლია ადამიანის ცნობიერების შეცვლა, მაშასადამე, შეუძლია წვლილი შეიტანოს სინამდვილის შეცვლაში.

ვალზერი იმ ინტელექტუალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც „დაინტერესებული იყვნენ საზოგადოების შეცვლით...", რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „ლეთარგიის საწინააღმდეგო საპროტესტო და საგანმანათლებლო აქციებში".[129] თუმცა ოფიციოზის მიერ ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად თუ კომუნისტურ მოძრაობად ინათლებოდა. მაგრამ ვალზერისა და მისი თანამოაზრეებისათვის საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა, ლიტერატურის მეშვეობით საზოგადოების გააქტიურება და ამ გზით დემოკრატიული გარდაქმნების მიღწევა მოღვაწეობის ძირითადი ნიშანსვეტი იყო. ვალზერი ითვალისწინებდა ლიტერატურის ზემოქმედებას საზოგადოებაზე. ამიტომაც ლიტერატურის ამოცანად თვლიდა პოლიტიკური ვითარების ასახვას და სწორედ ეს მიაჩნდა პარტიულობის ცნებად.

ლიტერატურის ფუნქციის გაგება ვალზერთან უკავშირდება მასალის თანადროულობასა და ასახვის მეთოდს, რითაც მაღლდება ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულება. ამასთან უმთავრესია სინამდვილით დაინტერესება, კერძო პრობლემატიკით ზოგადობიექტური წინააღმდეგობების წარმოჩენა-გაანალიზება. თავის პუბლიცისტურ სტატიებში ვალზერი მიუთითებს ხელოვნების ფსევდოდემოკრატიულ კონცეფციებსა და

სახელმწიფო მონოპოლისტური ძალაუფლების ფაშისტურ ტენდენციებს შორის კავშირზე,[130] რაც რეალური დემოკრატიის არარსებობას ნიშნავს. მწერალი ამხელს მათ, ვინც ადამიანის კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უშინაარსო, გამოშიგნული ფსევდოხელოვნების ნიმუშების დამკვიდრებით ცდილობს.

რეალიზმზე მსჯელობისას, ვალზერი განამტკიცებს თავის მოსაზრებას, რომ რეალისტური ლიტერატურა დასაყრდენს პოულობს არაილუზორულ, ჭეშმარიტ რეალობაში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ რეალობა ლიტერატურამ სარკესავით აირეკლოს. მისთვის რეალისტური ლიტერატურის ტენდენცია არსებული სინამდვილის კრიტიკული ასახვაა.

ვალზერს აღელვებს არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ გლობალური პრობლემატიკა. იგი შეუპოვრად იბრძოდა ამერიკის მიერ ვიეტნამის ანექსიის წინააღმდეგ. აქტიურად გამოდიოდა საგანგებო კანონების, პროფესიების აკრძალვის, ფაშიზმისა და ნეონაციზმის წინააღმდეგ. 1966 წ. 30 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტში გამართულ კონგრესზე — „დემოკრატია საგანგებო მდგომარეობაშია“, მან განაცხადა: „საგანგებო მდგომარეობას, რომლის დაკანონებასაც აპირებენ, უნდა დავუპირისპირდეთ ერთადერთი გზით: წინააღმდეგობით, გაფიცვითა და საბოტაჟით“.[131]

არ შეიძლებოდა ისეთი დიდი მწერალი და პუბლიცისტი, როგორიც მარტინ ვალზერია, არ გამოხმაურებოდა ფრანკფურტში გამართულ ოსვენციმის პროცესებს. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია მისმა წერილმა — „ჩვენი ოსვენციმი“,[132] სადაც ის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის. იგი შეძრა პრესაში გამოქვეყნებული ცინიკური ტონალობის წერილში ფაშიზმის სისასტიკეების გაიგივების მცდელობამ დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“. ერთ-ერთი ესესელი ჩინოსანი, რომელიც ბუხენვალდისა და საქსენჰაუ-

ზენის დოკუმენტებს განაგებდა, წერდა: „ალბათ, დანტეს ფანტაზიამ, ჯოჯოხეთის წამებათა აღწერამ თუ უბიძგა და მიიყვანა ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში დანაშაულებათა რეალიზაციისაკენ“.[133] ვალზერი აღშფოთებულია ამ თავხედობით და ჩადენილი სისასტიკეების გვერდით დანტეს ხსენებით, მისი ფილოსოფიური წიაღსვლების გაყალბებითა და მანიპულირებით.

ვალზერი ანალიზს ნიუნბერგის პროცესიდან იწყებს, სადაც ეგრეთ წოდებულ მესამე რეიხის დანაშაულებრივ ქმედებებზე შემზარავი სიმართლის შეტყობა შეიძლებოდა. ოსვენციმის პროცესისაგან განსხვავებით, როცა მხოლოდ ჩინოსნები ისხდნენ საბრალდებო სკამზე, ნიურნბერგის პროცესი თითოეული პირისა თუ ორგანიზაციის ქმედებების გარკვევასა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენას ისახავდა მიზნად. მაგრამ მაშინ აღნიშნულ პროცესს საზოგადოებაზე ისეთი ზეგავლენა არ მოუხდენია, როგორც შემდეგში ოსვენციმის პროცესმა. ალბათ, გამომდინარე იქიდან, რომ „ჩვენ საკუთარი ფიურერების გასამართლება უცხოელების ხელით არ გვსურდა. ან იქნებ იმიტომ, რომ მაშინ ამისათვის ჯერ კიდევ მოუმწიფარნი, ასოციალურნი ვიყავით“,[134] — ამბობს პუბლიცისტი.

საზოგადოება შოკში იყო. ოსვენციმის პროცესზე უკვე თითოეული მოქალაქე თვლიდა თავს დამნაშავედ, პირად დანაშაულად აღიქვამდა ყოველივე მომხდარს. ასეთი მასშტაბური რეზონანსი უთუოდ განაპირობა ინტელექტუალების თვალთახედვამ, რომლებმაც პროცესზე გამოვლენილ დანაშაულთა სისასტიკეში გერმანული სული დაინახეს, საერთო გერმანული ხასიათის ფენომენი.

„თუ ოსვენციმი ტიპური გერმანული მოვლენაა, გერმანული წამოწყებაა და ამასთან ოსვენციმი მე არ მეხება, მაშ, ჩემში გერმანული რაღაა“,[135] — სვამს კითხვას ვალზერი და იქვე აგრძელებს: „მე ნამდვილად არავითარი წვლილი არ მი-

მიძღვის ოსვენციმის ამბებში. მაშასადამე, რამაც სირცხვილის გრძნობა აღძრა, რამაც სინდისის ქენჯნა გამოიწვია, არ მეხება, არაფერ შუაში ვარ. იმავეს თქმა შეუძლია სხვასაც". მაგრამ ვალზერი ოსვენციმს გერმანიის საერთო დანაშაულად აღიქვამს. მას მიაჩნია, რომ ეს არ არის მხოლოდ დამნაშავეთა საქმე. ის, ვინც ახალგაზრდობა მკვლელად აქცია, მომხდარზე ისეთივე პასუხისმგებელია, როგორც თავად მკვლელი. შემდეგ მწერალი ირონიულად დასძენს, რომ მას, ვინც ამ მკვლელობებით უამრავი ფული მოიხვეჭა, ახალი კონცერნები დააფუძნა და დღესაც ფაბრიკებს ხელმძღვანელობს, თურმე არ მიუძღვის ბრალი გაუგონარ ხოცვა-ჟლეტაში.

ვალზერი არ იზიარებს მავანთა აზრს, რომელთაც სურთ დაამტკიცონ, თითქოს კოლექტიური დანაშაული არ არსებობს. იგი სატირულად აფასებს იმ ბიურგერებს, რომლებიც თავმომწონედ ასახელებენ საკუთარ თავს გოეთეს, კანტისა თუ ჰეგელის თანამემამულედ, შეიძლება მარქსიც მოიხსენიონ. ხოლო გებელსთან, გერინგთან, ჰეიდრიხთან და ჰიმლერთან კი არაფერი აქვთ საერთო.

ვალზერმა პირველმა დასვა სტატიაში საკითხი კოლექტიური დანაშაულის ცნებისა. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიცისტი მეორე თაობის წარმომადგენელია და მის სინდისზე ნაკლებადაა ფაშიზმის დანაშაულებრივი ქმედებები, იგი არ გაურბის პასუხისმგებლობას. პირიქით, საკუთარ დანაშაულადაც აღიქვამს მომხდარს. მწერლის აზრით, თუ ხალხი და სახელმწიფო კრებსითი სახელია და მის წიაღში მოიაზრება მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მაშასადამე, კოლექტიურია ის, რაც ისტორიაში ხდება და ამიტომაც ამ კოლექტივითაა განპირობებული სამართალი სრულდება თუ ირღვევა. ყველა მიზეზი სწორედ კოლექტივში უნდა ვეძებოთ და მაშინ არც ერთი დანაშაული არ იქნება სუბიექტური. ოსვენციმი — საერთო გერმანული პრობლემაა, თითოეულმა უნდა აგოს პასუხი ჩადენილზე, თუნდაც ის ესესელი არ ყოფილიყო.

ვალზერის სტატიას — „ჩვენი ოსვენციმი", რომლის სათაური უკვე მიგვანიშნებს, რომ პრობლემის არსი ყველასათვის საერთოა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მორალისტი მწერალი საოცარ დამაჯერებლობას სძენს სისასტიკით აღსავსე საჩოთირო თემას და ნაციზმის, როგორც მოვლენის, სრულ ანალიზს იძლევა. არცაა გასაკვირი, რომ სტატიამ საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

ვალზერის თითოეული სტატია ზნეობის უზენაესობის აღიარებაა. თანამედროვე სამყაროს მორალი მისთვის შემაშფოთებელია. საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი მანკიერების გაანალიზებას იგი დაუნდობელ კრიტიკამდე მიჰყავს. ვალზერს უამრავი მაგალითი მოჰყავს ზნეობრივ გაკოტრებასა და მსხვილი სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემის მოშლაზე.

საეტაპო სტატიაში — „მორალის არქიტექტურის შესახებ" — ყურადღება მახვილდება ხელისუფალთა მიერ ჰიტლერისა თუ გებელსის გამონათქვამებზე დაშენებული მორალის არქიტექტონიკაზე. მაშინ, საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის მიზნით, გებელსმა მოიშველია დევიზი — „მარცხენა იგივეა, რაც მარჯვენა". გებელსის ეს ცინიკური გამონათქვამი, რომელიც სტერეოტიპად იქცა, მოწოდებული იყო ყველა დემოკრატიული მისწრაფებების სათავეშივე დასათრგუნად. ამისათვის ხდებოდა ტერმინების შეგნებულად აღრევაც — „მემარცხენე", „ულტრა-მემარცხენე", „ფსევდო-მემარცხენე" და ა.შ. ასევე დამკვიდრდა ტერმინები — ანარქისტები, ანარქისტების ნადირობა, ანარქისტი ტერორისტები, რომელთა ისტერიულ გამოყენებას გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა და ფაქტობრივად უმთავრესიდან საზოგადოების ყურადღების გადატანას ემსახურებოდა. ამავე დანიშნულებით იქმნებოდა „მტრის ხატი", რათა მმართველ წრეებს უფრო ეფექტურად მოეხდინა საზოგადოებაზე ზეწოლა.

ვალზერი განაცხადებს, რომ ასეთი ხერხებით დაკანონ-

და პროფესიების აკრძალვა, გატარდა სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიებები დემოკრატებისა და კომუნისტების წინააღმდეგ და თანამედროვეობაში გებელსის დევიზის, ანუ ერის ხსნის საბაბით ისტერიის გავრცობილ ანალოგიაზე მიუთითებს. ასეთივე ისტერიად მიიჩნევს იგი პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცემულ განკარგულებას, რომელიც პრაქტიკულად პროფესიების აკრძალვით გამოიხატა. სტატიაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მკვიდრდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მორალი და როგორ აისახება პრესაში. „სიტყვის თავისუფლება სისტემის კონფორმისტული ნაყურია, რომელიც მას ესალბუნება", — ამბობს ვალზერი და ამით ხსნის პრესაში მემრაცხენეების მისამართით ნასროლ ბრალდებებს, რომლის მიხედვითაც ისინი დემოკრატიის წინააღმდეგნი არიან. ვალზერი ამას აღიქვამს, როგორც 1933 წლის ინდოკრინაციას: „დემოკრატია იქაა, სადაც ჩვენ ვართ, ვინც ჩვენ წინააღმდეგაა, მაშასადამე, დემოკრატიის წინააღმდეგაცაა..."[136]

ზნეობრივი თვალსაზრისით ვალზერისათვის უბედურება იმაშია, რომ სწორედ მაშინდელი ვაიდემოკრატებია ახლაც ყველაზე გალაღებული, იმდროინდელი მსხვერპლი კი შერაცხილია დემოკრატიის ხელმყოფ ბრალდებულებად. დღესაც ისევ და ისევ ცილისწამება და დევნა იძენს ლეგიტიმურობას და საზოგადოება ისე ყალიბდება, როგორც ლუდვიგ ერხარდს სურდა, — ამბობს ვალზერი და დასძენს, — თუ ძალაუფლება ხელთ გიპყრია, ასეთ დევიზსაც აამოქმედებ: „თეთრი იგივეა, რაც შავი", „ცივი — ცხელია", „კეთილი ბოროტია"[137] და ა.შ. — მაგრამ ყველაზე სამწუხარო მისთვის ისაა, რომ ამ ნაბიჯზე არაერთი ინტელექტუალიც წასულა ხელისუფლებისაგან „ზნეობრივი კრედიტის" მისაღებად.

# თავი III. ბრძოლა და დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები „კურსბუხი“ და "კიურბისკერნი"

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულიერების დაქვეითებამ, სოციალურმა დისონანსებმა და სიტყვის გაუფასურებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი ჟურნალის დაარსება, რომლის მიზანიც გახდებოდა დემოკრატიული საზოგადოების განათლება და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში გათვითცნობიერება, ქვეყნის მთელი ოპოზიციური ძალების გაერთიანება. ეს მისია დაეკისრა ელიტარულ ჟურნალ „კურსბუხს“, რომლის დამაარსებელი და გამომცემელია გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. „კურსბუხი“ სულ მალე იქცა კულტურულ და პოლიტიკურ დისკუსიათა ფორუმად და „ახალ მემარცხენეთა“ მოძრაობის პლაცდარმად. ჟურნალი თავისი იდეოლოგიური და ფილოსოფიური პლატფორმით „ახალ მემარცხენეთა“ მოძრაობასთან დაარსებიდანვე იდენტიფიცირდება. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ „ახალი მემარცხენეების“ პოლიტიკური, იდეოლოგიური, თეორიული და ესთეტიკური თვალსაზრისი საკმაოდ განსხვავებულია. ამ მოძრაობის აღმავლობა 60-იანი წლების შუა პერიოდში იწყება და საერთაშორისო მასშტაბებს იღებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, ძირითადი სოციალური წინააღმდეგობების გამწვავებისა და მესამე სამყაროს ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის შესაბამისად. თავისი სოციალური ბაზა მან, პირველ ყოვლისა, ანტიიმპერიალისტურად განწყობილ ინტელექტუალთა ოპოზიციაში, უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ხელოვნების სფეროში მომუშავეთა შორის პოვა.

მემარცხენე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „კურსბუხის“ მოღვაწეობა იმდროინდელი გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ჟურნალი თითქოს ლიბერალური მიმართულებისაა, მაგრამ მის ფურცლებზე ზოგიერთი ავტორის პოზიცია მკვეთრად რადიკალურია და პოლიტიკური სიმძაფრით გამოირჩევა. კერძოდ კი ის კონცეფციები, რომლებიც შეეხება გერმანულ საკითხს, მესამე სამყაროსა თუ ე.წ. „უენო ინტელიგენციის“ პრობლემებს. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ გამართულ დისკუსიებში, დებატებსა და პოლემიკურ სტატიებში ხშირად თავს იჩენს სრულიად ახალი თეორიული მოსაზრებები და იკვეთება ახალი ინტერნაციონალური ორიენტაცია, რაც გარკვეული პოლიტიკური წრეების დიდ გაღიზიანებას იწვევს.

ჟურნალი „კურსბუხი“ დაარსდა მაინის ფრანკფურტში, ზიურკამფის გამომცემლობის ბაზაზე 1965 წლის ივნისში. ჟურნალის გამომცემლად ნორვეგიიდან იქნა მოწვეული დასავლეთ გერმანიაში უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი და ესეისტი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, ვინაიდან მანამდე, შესაძლო კანდიდატებმა, გამოჩენილმა მწერლებმა — მარტინ ვალზერმა და უვე ჯონსონმა — ან არ მოინდომეს, ან თავი ვერ გაართვეს ამ საქმეს, ხოლო გაზეთ „ცაიტის“ კრიტიკოსის დიტერ ე. ციმერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „ენცენსბერგერს სახელთან ერთად ისეთი გავლენიანი ნაცნობების ფართო წრე ჰყავს, რაც სასიკეთოდ წაადგება ჟურნალს. ეს ის ადამიანია, რომელმაც იცის, რა უნდა, და აშკარად ხალხის მხარეზეა“.[138] თუმცა სტატიის ავტორის პროგნოზით „კურსბუხი“ ერთ სეზონში ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და მაკულატურა გახდება“... კრიტიკოსი იმასაც დასძენს, რომ „ახალი ჟურნალის დაარსება არავის არაფერს შემატებს და მისი ფილოსოფია არავის სჭირდება“.[139]

დადებითად გამოეხმაურა ჟურნალის დაარსებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე პოპულარული

გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“. იმავე რიცხვით დათარიღებული „ფაციც“ (1965 წ. 2 ივლისი, №150) არ ანთხევს გესლს. ხოლო გაზეთი „შტუტგარტენ ნახრიხტენ“ და ჰანს იურგენ ჰაიზე მაღალი აზრისა არიან და იმედოვნებენ, რომ ენცენსბერგერი გააკეთებს იმას, რასაც მისგან მოელიან და ამისათვის ვაჟკაცობაც ეყოფა. „ისეთი ჟურნალის გამოცემა, როგორიც „კურსბუხია“, მისასალმებელია დღევანდელ ვითარებაში, როდესაც უფრო და უფრო მატულობს განუკითხაობა და წესად ხდება საზოგადოებრივი აზრის გაყალბება. მას (იგულისხმება ენცენსბერგერი — რ.დ.) შესაძლებლობა ექნება სულიერი სფერო იხსნას თაღლითებისა და ლობისტებისაგან“,[140] — ნათქვამია გაზეთში.

ენცენსბერგერისათვის პირველი ნომრის დაკომპლექტებისთანავე გახდა გასაგები, თუ რას ნიშნავდა გამომცემლობასთან ერთად ჟურნალის გამოშვება. ის პირველი ნომრის შედგენისთანავე შეეჯახა სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ მასალების შესარჩევად მას კონტრაქტით სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული, გამომცემლობის დირექტორმა უნზელდმა ამ ნომრისათვის განკუთვნილი გიუნთერ გრასის ახალი პიესა — „პლებეების აჯანყების რეპეტიცია“ — დაიწუნა. უნზელდმა პიესა შეუფერებლად მიიჩნია იმ მოტივით, რომ 1953 წლის მუშათა აჯანყებაში, რასაც ეხებოდა გრასის პიესა, დასავლეთ გერმანიაში იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ აკრძალული მწერლის ბრეხტის ხელი ერია და გამომცემლობას ბრეხტის სახელის ამოტივტივება ხელს არ აძლევდა.

ენცენსბერგერს ფრიად უმძიმდა გამომცემლობის მიზეზით გრასთან დადებული პირობის დარღვევა. უმტკივნეულოდ ჩაივლიდა ყველაფერი, თუ გრასი თავად, საკუთარი სურვილით, დაიბრუნებდა პიესას. საქმის გასახერხებლად მარტინ ვალზერსა და უვე ჯონსონს მისი ლუდზე დაპატიჟება მოუხდათ. საუბრის დროს გაირკვა, რომ გრასს ერიდებოდა რე-

დაქციიდან მასალის წამოღება, არადა პიესაში გარკვეული ეპიზოდები ჩასწორებას ითხოვდა. ამით თავიდან იქნა აცილებული ყოველგვარი უხერხულობა და „კურსბუხის“ პირველი ნომერი გრასის პიესის გარეშე გამოვიდა.

ჟურნალ „კურსბუხის“ პირველი რედაქტორია კარლ მარკუზ მიხელი, ფართოდ გახმაურებული სტატიის — „უენო ინტელიგენციის“[141] — ავტორი, სადაც ის ინტელიგენციის მდგომარეობას აღწერს განმანათლებლობის ეპოქიდან დღემდე. მიხელი „დიდი მოლოდინის“ წინაშე მდგომ და „ძლიერი თავდაჯერებულობით“ გამორჩეულ ინტელიგენციას დიაგნოზს უსვამს, რომელიც ჯერ კიდევ ისევ იტყუებს თავს და სათანადოდ ვერ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარს.

1975 წლიდან, ენცენსბერგერის წასვლის შემდეგ, კარლ მარკუზ მიხელი ხდება „კურსბუხის“ გამომცემელი. მას ამ საქმიანობაში 1974-1980 წლებში უერთდება ჰარალდ ვიეზერი, ხოლო 1980 წლიდან — ტილმან შპენგლერი. ჟურნალის მთავარი რედაქტორი კი 1970 წლიდან ინგრიდ კარსუნკეა, ჟურნალ „კიურბისკერნის“ ერთ-ერთი გამომცემლის, იაკ კარსუნკეს მეუღლე.

„კურსბუხი“ არარეგულარული ჟურნალია. ის წელიწადში ხან ოთხჯერ, ხან ექვსჯერ, ხან შვიდჯერ გამოდის. „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის“ თქმით, ენცენსბერგერი მაშინ უშვებს ჟურნალს, როცა მას ნომრის დასაკომპლექტებლად საჭირო, გამოსადეგი მასალა უგროვდება. ჟურნალის თითოეული ნომერი საშუალოდ 190-200 გვერდს შეიცავს და განსაკუთრებული გაფორმებით არ გამოირჩევა, რადგან რედაქციისთვის მთავარი შინაარსი და თემატიკაა, გარეკანი კი ხშირად იცვლის ფერს. სახელწოდება „Kursbuch“-ი — ნიშნავს სარკინიგზო ცნობარს და ასევე მიმართულებასაც, თუმცა კურსბუხელები „საზოგადოებას პოლიტიკურ მიმართულებას კი არ კარნახობენ, არამედ პრობლემების ურთიერთკავშირში გარკვევის საშუალებას აძლევენ.

მათ ასე ესმით თავიანთი აქტუალობა".[142]

ჟურნალ „კურსბუხს" ჩამოყალიბებული პროგრამა არ გააჩნია, რაც გამოცემის მესვეურებს არც მიაჩნიათ საჭიროდ, რადგან, მათი აზრით, პროგრამები იმას ადასტურებენ, რაც უკვე არის, რაც უკვე მოხდა. პროგრამების არსებობა, მათი შეხედულებით, შემეცნებას ვერ შეცვლის, ხოლო ის, რაც უკვე მოხდა, ჯერ უნდა აიხსნას, მეცნიერულად გაანალიზდეს და მხოლოდ შემდეგ გამოეტანოს „განაჩენი". „ფაცის"[143] მიხედვით, ჟურნალის, როგორც მემარცხენე პოლიტიკური ორგანოს, ნომრები თავისი სოციალურ-სამეცნიერო გამოკვლევებითა და ახალი ლიტერატურით, მუდამ სავსეა საპროგრამო მასალებით: „ვისთვის წერს სარტრი?", „ჩვენი ოსვენციმი", „ძალმომრეობა", „კატეხიზმო გერმანულ საკითხზე" და სხვა მრავალი. ჟურნალის მესვეურებს სწამთ, რომ ცხოვრების დინება თავისთავად წამოატივტივებს მწვავე თანადროულ პრობლემატიკას, რაც სათანადოდ აისახება ჟურნალში.

*

ჟურნალ „კურსბუხის" ნომრები ეძღვნება პოლიტიკურ თემებს, სტუდენტურ მოძრაობებს, „მესამე სამყაროს", ფსიქოანალიზს, სექსუალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. ჟურნალის დაარსების პერიოდში აქტუალური თემებია: გდრ-ის საკითხი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულება, ოსვენციმისა და ვიეტნამის თემები. მით უმეტეს, რომ გფრ-ში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 1962-65 წლებში გამართულ ოსვენციმის პროცესებზე ბურჟუაზიულ მედიაში ფაშიზმი დანახული იყო მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ჩინოსნების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. გერმანიის საზოგადოების წინაშე მწვავედ დგას ფაშიზმის გადმონაშთებისა და ნეონაციზმის პრობლემა, რომელიც ინტენსიურად შუქდება ჟურნალის პირველი წლების ნომრებში.

რაც შეეხება ვიეტნამის საკითხს, ჟურნალში ეს თემა განხილულია, როგორც გვიანი კაპიტალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ექსპლუატაციის აგრესიული, ექსპანსიური აპარატისა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის აშკარა გამოვლინება. აქედან გამომდინარე, დგინდება და განისაზღვრება საერთოდ ადამიანის ბედი. ყურადღება გამახვილებულია სისტემის თანამდევი თავისუფლების აღსაკვეთი და შესაზღუდავი ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე. ვიეტნამის ბრძოლის ველი ჟურნალში აღიქმება ჯოჯოხეთად, იარაღი კი — ჯოჯოხეთისათვის შექმნილად.[144]

ჟურნალი „კურსბუხი" ხმას იმაღლებს ბუნდესტაგის მიერ მიღებული „საგანგებო კანონების", დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკის რევანშისტული ტენდენციების წინააღმდეგ. ის ორივე გერმანულ სახელმწიფოს მოუწოდებს ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე ყველა კონფლიქტისა და წინააღმდეგობების მოგვარებისაკენ.

როდესაც ოფიციალურ განცხადებებში ფედერალური მთავრობა ერთადერთ თავისუფალ და სამართლებრივ პრინციპებზე დამყარებულ გერმანულ მთავრობად მოიხსენიებოდა, რომელიც მხოლოდ თავის თავს თვლიდა უფლებამოსილად, ემოქმედა მთელი გერმანიის სახელით, ხოლო გდრ-ის ხსენებასაც კი მაშინ, როგორც ცნობილია, საერთოდ კრძალავდა. ჟურნალი „კურსბუხი" ამ დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარებისათვის არაერთი რაციონალური წინადადებით გამოდის. მის მიერ შემოტანილი პოლიტიკური წინადადებები მიზნად ისახავენ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკის რევიზიას, თუნდაც ადენაუერის პოლიტიკური დოქტრინის[145] გადახედვას. „კურსბუხისათვის" ფრიად მნიშვნელოვანია გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა და ევროპაში ნორმალური, აქტიური თანაარსებობისათვის შესაბამისი პოლიტიკური კურსის გატარება.[146]

ცნობილია, რომ ჟურნალის დაარსების პერიოდში დასავლეთ გერმანიის პრესა საჭირბოროტო თემებზე საყოველთაო დუმილს ამჯობინებდა. და თუკი მაინც ჟურნალ-გაზეთებში რაიმე პრობლემატური საკითხი გაშუქდებოდა, კონსტრუქციული წინადადებები მას ნაკლებად ახლდა. ჟურნალი „კურსბუხი" ფედერაციული რესპუბლიკის პრესის გაკრიტიკებისას ამხელს შპრინგერის პრესის ანტიდემოკრატიულ ხასიათს, ვერ ურიგდება, რომ დასავლეთ გერმანიის პრესა საერთოდ გვერდს უვლის საზოგადოებრივ პრობლემებს და მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. ის თავს ესხმის არა მარტო შპრინგერის პრესას, რომელიც დემაგოგიასა და ფალსიფიკაციას ეწევა, არამედ დასავლეთ გერმანიის მთელ გამოცემებს უცხადებს უნდობლობას. ჟურნალის აზრით, „ამ ქვეყანაში არ მოიძებნება საგაზეთო მასალა, რომელიც გაკვრით მაინც ეხებოდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თუნდაც უსაშველოდ გაწელილ სვლას დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისაკენ".[147]

სტატიაში „ადამიანებზე მონადირე ჟურნალისტიკა" ავტორი რაინჰარდ ლეტაუ დასავლეთ ბერლინის რვავე გაზეთის განხილვის შედეგად ასკვნის, რომ ისინი შინაარსით თითქმის იდენტურია. მსგავსი ვითარებაა ჰამბურგის ყოველკვირეულ გაზეთ „ცაიტში", ხოლო შპრინგერის პრესაში მოყვანილი ფაქტები, რაინჰარდ ლეტაუს აზრით, ან არ მოწმდება, ან კიდევ შეგნებულად იჩქმალება. გერმანიის პრესაში ძირითადად ლაპარაკია მკვლელობაზე, თვითმკვლელობასა და დანაშაულებრივ სამყაროზე, სადაც გაფეტიშებულია ბარბაროსობა, არაადამიანურობა, ტერორი და ადამიანებზე ნადირობა.

„კურსბუხში" მოყვანილია ფაქტები, როცა არ ხდება ჟურნალისტური მორალის დაცვა, როცა ჟურნალისტები ამორალურად მოქმედებენ, მხარს უჭერენ და თითქმის მოუწოდებენ კიდეც „დამნაშავეთა" ლინჩის წესით გასამართლებისაკენ,

ცდილობენ საკუთარი აზრი საყოველთაოდ მიღებულ აზრად გაასაღონ, როცა ჟურნალისტს თითქოსდა სიამოვნებას ანიჭებს თავისი თანამემამულის დასჯა. ჟურნალში უამრავი მაგალითია მოყვანილი პრესის ანტიდემოკრატიულობის შესახებ, ფაშისტურ გადმონაშთებზე, რომლებიც სუსტებისადმი სიძულვილით, უმცირესობისადმი ზიზღით საზრდოობენ.

„ადამიანებზე მონადირე ჟურნალისტიკაში“ ერთ-ერთი ასეთი ფაქტია მოყვანილი „ბერლინერ ცაიტუნგის“ 1966 წლის 21 მარტის ნომერში დაბეჭდილი სტატიიდან: ორმოცდაათი წლის მედდა მოხუცებულთა თავშესაფრის ხელმძღვანელ პირს, ვილმერსდორფის ექიმს საჯაროდ ამხელს მძიმე დანაშაულში. პასუხად ექიმი მედდას მაშინვე ცილისწამებაში სდებს ბრალს. გამოდიოდა, რომ ორივე მხარე ბრალმდებელი იყო. და როგორ მოქმედებს ამ შემთხვევაში „ბერლინერ ცაიტუნგი“? მიუხედავად იმისა, რომ საქმის გამოძიებამდე ჟურნალისტს მორალური უფლება არა აქვს, ვინმეს მიემხროს, „კურსბუხის“ ავტორის აზრით, უკვე სათაური მიანიშნებს აშკარა მიკერძოებაზე — „მთავარი მომჩივანი საკუთარი წარსულით: ყოფილი კატორღელი მძიმე დანაშაულში ბრალს სდებს მოხუცებულთა სახლის ხელმძღვანელობას“. „კურსბუხში“ ავტორის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ სტატიაში დადანაშაულების მოტივი კი არ არის ახსნილი, არამედ მხოლოდ მეორე მხარის ცილისწამებაა. უმთავრესად ლაპარაკია არა იმაზე, თუ რის საფუძველზე მოხდა ექიმის დადანაშაულება, არამედ ეგრეთ წოდებული ექსპატიმრის ეგრეთ წოდებულ წარსულზე“. ბოლოს კი ასეთი ფრაზაა: „ცხადია, ექიმის წინააღმდეგ ამ ქალის საჩივარი... დღეს კრიპოს (კრიმინალური პოლიცია) მიერ ჩაითვლება წინასწარგანზრახულ, აკვიატებულ ჩანაფიქრად“.

ბოლო ფრაზის კომენტარისაგან სტატიის ავტორი თავს იკავებს. მხოლოდ იმას დასძენს, რომ ვინაიდან ჟურნალისტი სასამართლოს ასწრებს დასკვნების გამოტანას, ეს უკვე ადა-

მიანებზე მონადირე ჟურნალისტიკაა და თავის გამოკვლევას რიტორიკული კითხვით ამთავრებს: „რა მოხდებოდა, ასეთივე სიმკაცრით შპრინგერის სამსახურის ყველა ასაკოვანი თანამშრომლის წარსული რომ გამოეძიათ“.

დასავლეთ გერმანიის პრესის მიმოხილვასთან ერთად „კურსბუხი“ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს ამერიკის პრესის თავისებურებებსაც. პოეტი რაინჰარდ ლეტაუ კალიფორნიის შტატში გადასვლის შემდეგ „კურსბუხს“ სისტემატურად უგზავნის სტატიებს „ყოველდღიური ფაშიზმის“ სახელწოდებით. ეს არის ჩრდილოეთ ამერიკის გაზეთებში ხუთი თვის განმავლობაში მოწოდებული ინფორმაციის – იქნება ეს კორესპონდენცია, სტატია თუ კომენტარი – დოკუმენტური წყაროები. როგორც სათაური მიგვანიშნებს, ამ დოკუმენტაციის ძირითადი აზრი გაბატონებულთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მხილებაში მდგომარეობს. კერძოდ, რა დანაშაული მზადდება, რა დანაშაულს სჩადიან და რომელია გამოტანილი საზოგადოების სამსჯავროზე. ირკვევა, რომ გაზეთები არაფერს ამბობენ ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ ქმედებებზე კამბოჯაში, კენტში, ოჰაიოში, მისისიპიზე და სხვ., სადაც ამერიკელი ჯარისკაცებისა და პოლიციის მიერ არაერთი სტუდენტია მოკლული. სამაგიეროდ, ლეტაუს მიერ გამოქვეყნებულ ჩრდილოეთ ამერიკის 1969 წლის სექტემბერ-თებერვლის პრესის დოკუმენტური მასალებში შეინიშნება ტენდენცია, რომ დანაშაული წარმოსდგეს, როგორც ბუნებრივად აუცილებელი მოვლენა და როგორც მტკიცება განმეორებადი ისტორიული პროცესებისა. ავტორის აზრით, პრესის ეს ინფორმაციები პროფაშისტური ხასიათისაა და კარგად ნაცნობია ფაშიზმის წინა პერიოდის რეჟიმის მსხვერპლთათვის.

„კურსბუხში“ ლეტაუს ავტორობით გამოქვეყნებულ დოკუმენტაციებში აშკარად ჩანს ამერიკის საზოგადოების გულგრილი, ზოგჯერ კი მძაფრად აგრესიული განწყობა ობი-

ექტური რეალობის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „მორნინგ ნიუს“ რეპორტიორზე განხორციელებული თავდასხმები იმის გამო, რომ რეპორტიორმა, ფრედ სედალმა, გაზეთში ვიეტნამის ომის ვეტერანის მიერ მოწოდებული მასალა გამოაქვეყნა. ტექსტში ასახული იყო ვიეტნამში სამხედრო მოსამსახურის მიერ საკუთარი თვალით ნანახი სისასტიკე, ამერიკელები ყოველ ნაბიჯზე რომ სჩადიოდნენ. „სავანა, ჯორჯია (უპი)“ იტყობინება, რომ სტატიის გამოსვლის შემდეგ, რეპორტიორი ტელეფონის ზარებით აიკლეს, გაისმოდა სხვადასხვა სახის მუქარა“, ერთ-ერთი გამოქვეყნებული ფაქტის გამო, რომლის მიხედვითაც ვიეტნამელი პატიმარი ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისთვის ვერტმფრენიდან იქნა გადმოგდებული, ფრედ სედალს ტელეფონში ეუბნებიან: „კარგი იქნება ვერტმფრენში ჩემთან ერთად მოხვდე, რადგან ზუსტად ვიცი შენნაირ ტიპებს როგორ მოვეპყრო – უნდა აიყვანო ზევით და იქიდან გადმოუძახო“;[148] მეორე – სახლის გადაწვით ემუქრება და ა.შ.

ლეტაუ, გარდა იმისა, რომ ამერიკის სხვადასხვა გაზეთებიდან მოტანილი ტექსტებით გერმანიის საზოგადოებას ამერიკული პრესის ხასიათს აცნობს, მკითხველს ორივე ქვეყნის პრესის ურთიერთშეჯერების საშუალებასაც აძლევს და ნათელჰყოფს, რომ ამერიკის გაზეთებში პროფაშისტური ხაზი იკვეთება, თუმცა, ლეტაუს აზრით, გერმანულ პრესასთან შედარებით ისინი მაინც უფრო მაღალი ჟურნალისტური დონისაა. გერმანული პრესა კი შედარებით დილეტანტური, უპასუხისმგებლო და პროვინციულია, რადგან არასოდეს გამოირჩევა ინფორმაციების სისრულითა და დეტალების სიზუსტით. ამიტომაც ვერასდროს შეედრება ლოს-ანჯელესის „ტაიმსსა“ თუ პარიზის „ჰერალდ ტრიბუნს“. აქ კიდევ ერთხელ ჩანს „კურსბუხის“ დამოკიდებულება გერმანიის პრესის მიმართ, რომელიც ჟურნალის მიერ მხოლოდ სათაურების პრესად აღიქმება.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ „კურსბუხს“ თავიდანვე მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულება, რატომღაც მხატვრულ ლიტერატურას ნაკლები ადგილი ეთმობოდა. დასავლეთ გერმანიაში ეს არის კლასიკური შემთხვევა, როდესაც პუბლიცისტიკით ხდება მწერლობის ჩანაცვლება. პირველ წლებში ჟურნალი თავის ფურცლებზე, მართალია მწირად, მაგრამ მაინც აქვეყნებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს: დასავლელ თუ აღმოსავლეთგერმანელ მწერალთა ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს. აქ შეხვდებით უვე ჯონსონის, იურგენ ბეკერის, პეტერ ო. ხოტევიცის, ფოლკერ ბრაუნის, გიუნთერ ჰერბურგერის, მარტინ ვალზერის, გიუნთერ გრასის, ჰაინერ მიულერის, ინგებორგ ბახმანის, გიზელა ელსნერის ნაწარმოებებს, ნაწყვეტებს სამუელ ბეკეტის რომანიდან. 1967-68 წლების ამბოხის შემდეგ კი, როცა სტუდენტთა გახმაურებულმა საპროტესტო გამოსვლებმა კულმინაციას მიაღწია და რაც აშკარად მეტყველებდა იმდროინდელი საზოგადოების კრიზისზე, ჟურნალში ლიტერატურა უკანა პლანზე გადადის და ასპარეზი მთლიანად პოლიტიკას ეთმობა. ეს ის პერიოდია, როცა საჭირო ხდება ადენაუერისდროინდელი პატრიარქალიზმისა და კონფორმიზმის დაძლევა, რომელიც იმ დროს ტექნოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს უკვე აღარ ესადაგებოდა. „კურსბუხს“ დიდხანს გაჰყვება ის თემები, სადაც ძირფესვიანად შუქდება სტუდენტური გამოსვლები, ამ მოძრაობის გამომწვევი მიზეზები არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ რიგ ქვეყნებში.

სწორედ ეს პერიოდი გახდა გადამწყვეტი, რათა რადიკალურად დასმულიყო ლიტერატურის არსის საკითხი. და აი, 1968 წლის ნოემბრის მე-15 ნომერში „კურსბუხის“ სადისკუსიო მასალებში ეჭვქვეშ დგება ლიტერატურის, როგორც კაპიტალისტური კულტურის ინდუსტრიის პროდუქტის, საზოგადოებრივი დანიშნულება. გამომსვლელები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ბურჟუაზიულ წიაღში შობი-

ლი ლიტერატურა არასოდეს დაუპირისპირდებოდა ბურჟუაზიულ წყობას. ჟურნალის ამ ნომერში ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი განაჩენს გამოუტანს ლიტერატურას. ირონიულ-სარკასტულ სტატიაში — „აღიარებული ჭეშმარიტება"[149] — მოწოდებასავით გაისმის შემდგომში ლოზუნგად ქცეული მისი ფრაზა — „სიკვდილი ლიტერატურას" და იმთავითვე მოარული თემა ხდება. ის დიდხანს ბრუნავს ფელეტონებში (საგაზეთო ლიტერატურული განყოფილება) და ზოგიერთ მემარცხენე მწერალს წერაზეც კი აალებინებს ხელს. ამავე ნომრის დისკუსიებში ხაზი ესმება ლიტერატურისა და კრიტიკის ურთიერთკავშირსაც. იაკ კარსუნკეს აზრით, კრიტიკა გამუდმებით ეწევა საზოგადოებრივი ცნობიერების შერყვნას, რითაც, ფაქტობრივად, ამ ლიტერატურის საყრდენი ხდება", და ბოლოს, მწერალმა ვალტერ ბოელიხმა ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან ერთად ლიტერატურული კრიტიკაც დაასამარა. თავის ცნობილ „აუტოდაფეში".[150] იგი მკითხველს წარუდგენს შემდეგი ფრაზების ჩამონათვალს: „ბურჟუაზიული ლიტერატურისადმი რწმენა დიდი ხანია თვით ბურჟუაზიულ ლიტერატორებშიც აღარაა"; „ბურჟუაზიული სამყარო ანგრევს თავის თავს, როცა ჰგონია, თავს იცავს"; „ვინაიდან ისინი მონოპოლიას ფლობენ, ისეთ სამყაროს წარმოადგენენ, როგორიც ხელს აძლევთ, თანაც იმედი აქვთ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი სამყარო რეპროდუქციის გზით რეალური აღმოჩნდება"; „ის, რაც ცხოვრებას წააგავს, აგონიაა, ხოლო აგონია — სიკვდილია"; „განა არ შეიძლება უარი ვთქვათ იმ კრიტიკაზე, რომელიც ათეული წლით ჩამორჩა პრაქტიკას, რომელმაც ყველაფერი, რაც კი გზად გადაელობა და ხელს უშლიდა, მოისროლა. დროა მივხვდეთ იმას, რაც აქამდე ვერ გაგვიგია. ხომ არ შეიძლება აგონია ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდეს?" და სხვა მრავალი.

ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის „გარდაცვალებას" შედეგად ის მოჰყვა, რომ ჟურნალ „კურსბუ-

ხის“ შემდგომი ნომრები აშკარად დგება პოლიტიკური განათლებისა და ინფორმაციის სამსახურში და სულ უფრო მეტად იქცევა „პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებად“. ამიტომაცაა, რომ შემდგომში ჟურნალი უმეტესწილად შემოიფარგლება რეპორტაჟებით, დოკუმენტაციით, ავტობიოგრაფიული ნარკვევებით, ინტერვიუებითა და პუბლიცისტური ესეისტიკით, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთკავშირების დადგენისა და პოლიტიკური რეალიების ლიტერატურაში გადატანის ყველაზე ხელსაყრელი ფორმით. თუმცა 70-იანი წლების დასაწყისიდან უკვე შესამჩნევი ხდება, რომ ჟურნალის მიერ დასახული მიზანი — საზოგადოების შეცვლა — განუხორციელებელი დარჩება. ამ პერიოდიდან ჟურნალი „კურსბუხი“ უფრო მეტ ადგილს უთმობს საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს, ესთეტიკურ თემებს.

„კურსბუხის“ პირველივე ნომერში, რომელსაც სამუელ ბეკეტის „ცუდი დასაწყისი“ აქვს წამძღვარებული, უდავოდ იგულისხმება გერმანიის აღმშენებლობის დასაწყისი თავისი ნეგატიური გამოვლინებებით. „ძველი მეობა ისევ დაბრუნდა, არც კი ვიცი საიდან, არც ის ვიცი, რას მოიმოქმედებს კვლავინდებურად ასე აზრსმოკლებული, სახეუცვლელი“. მაგრამ დასავლეთ გერმანიის პრესაში ფრაზა „ცუდი დასაწყისი“ უმალ აიტაცეს და ჟურნალთან მიმართებაში უკვე სიმბოლოსავით დიდხანს კიდეც მუსირებს. არაერთი ასეთი გამოხდომის ატანა და „მოთმენა“ დასჭირვებია „კურსბუხს“ თავისი მოღვაწეობის მანძილზე.

პირველ ათეულ წლებში ჟურნალში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს „დოსიეების“ განყოფილებას, სადაც თავსდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემები და მასალები. ამის დასტურია 1965 წლის პირველ ნომერში, დოსიე 2-ში მოთავსებული პეტერ ვაისისა და მარტინ ვალზერის ნარკვევები ოსვენციმის პროცესებზე, ხოლო დოსიე 1-ში ქვეყნდება საყოველთაოდ ცნობილი მწერლის ჟან-პოლ სარტრის ორი ინ-

ტერვიუ ფრანგული პრესიდან და გამოჩენილი ფრანგი მწერლის კლოდ სიმონის წერილი სარტრზე.

შემთხვევითი არ იყო ჟურნალის დაინტერესება სარტრით, ვინაიდან იგი საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი მოაზროვნე და მწერალია, რომელმაც დაამკვიდრა ტერმინი და კონცეფცია „ანგაჟემენტისა“ და რომელიც თავისი ავტორიტეტით გერმანიის ინტელექტუალთა წრეშიც გამორჩეული იყო. მაშასადამე, „კურსბუხის“ მიერ ფრანგული პრესიდან ჟან-პოლ სარტრის ინტერვიუს მოძიება და პრესტიჟულ განყოფილებაში ადგილის მიჩენა ჟურნალის გამომცემლისა და რედაქციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

ბურჟუაზიული ლიტერატურის საპირისპიროდ, მწერლის როლსა და დანიშნულებაზე სარტრისა და კლოდ სიმონის თეორიული შეხედულებების გამოქვეყნებით ჟურნალი „კურსბუხი“ პირველივე ნომრიდან ამკვიდრებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა რეალიზმი, სოციალისტური რეალიზმი, რეალისტური კრიტიკა.

კლოდ სიმონი თავის წერილში — „ვისზე წერს სარტრი?“, ამ მწერლის მოღვაწეობის წარმოსაჩენად იშველიებს როლანდ ბარტის მოსაზრებას მწერლის ორგვარობაზე, რომლის მიხედვითაც არსებობს „მწერალი“ და არსებობს „კალმოსანი“. ერთი ფუნქციას ასრულებს, ხოლო მეორე სამუშაოს. მწერალია ის, რომლის ყველა ქმედებას განაგებს ერთადერთი ინსტრუმენტი — ენა, ხოლო კალმოსანია, ვინც მწერლის ენას პოლიტიკურ მიზნებს უქვემდებარებს და სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნების გამოხატვის საშუალებაა. კლოდ სიმონი ამ მოსაზრებას საკუთარი მაგალითითაც განამტკიცებს და წერის პროცესში წარმოშობილ საოცარ ფენომენზე ამახვილებს ყურადღებას. მას არაერთხელ უგრძვნია, რომ ენას თურმე საკუთარი ძალმოსილების გამოვლენის უნარიც ჰქონია და დამოუკიდებლადაც შეძლებია ჩანაფიქრის ფერადოვანი სურათებით გადმოფრქვევა, თანაც ისე, რომ შე-

იძლება დაგაცილოს კიდეც ადრინდელ ჩანაფიქრს და გადაგისროლოს სხვა სახით სხვა დროში, თანმხვედრი დაბრკოლებებითა და პერსპექტივებით. „მაგრამ ენა, — ამბობს კლოდ სიმონი, — არასგზით არ დაჰყვება მავანთა ნებას, რომელიც ეცდება იგი ბოროტად გამოიყენოს და მისი მოხმარება მოინდომოს. თუმცა, შეიძლება იძულებით კიდევაც დაჰყვეს გაუპატიურებულ გოგონასავით, გახევებული და განადგურებული რომ არის, სიცოცხლესა და ცხოვრების ძალას მოკლებული. ხელოვანსა და მით უფრო მწერალს, თავისი ჩანაფიქრი ეწევა წინ და მართავს".

კლოდ სიმონს ზიზღს ჰგვრის ყველა ის მედროვე, ვინც პირადი გამორჩენისათვის აცოდვილებს კალამს. ეცოდება ისინი, ვინაიდან იმპერატივის მორალიც ხომ სულ იცვლება და თანაც — ძალზე სწრაფად. ამის დასტურად მას საბჭოთა კავშირის მაგალითი მოჰყავს, სადაც „ჯერ კიდევ გუშინ ნაბრძანები იყო ქება-დიდება შეესხათ სტალინისა და სტალინელებისათვის. დღეს ეს ამორალურობად ითვლება, რადგან, როგორც ახლა გვასწავლიან, თვით ეს სისტემა იყო ამორალური". ავტორი იქვე იხსენებს მოსკოვში ერთ საბჭოთა მწერალთან შეხვედრას. როგორ გულმოდგინედ ცდილობდა თარჯიმნის მეშვეობით გაეგებინებინა, რომ ის ანტისტალინელია. კლოდ სიმონი დამცინავი ტონით დასძენს: განა რაში აინტერესებდა მას, სტალინელი იყო თუ არა ეს პიროვნება. მისთვის მთავარი იყო, გაეგო, იგი მწერალი თუ იყო.

ადვილი მისახვედრია, რომ კლოდ სიმონის წერილის შინაარსი ფრიად ესადაგება ჟურნალის რედაქციის პოზიციას. ამ წერილით მთელი რედაქცია მიუთითებდა ყველა ფინია მედროვეზე, ვისაც მწერალთა პოლიტიზაციისა და აზრთა დიფერენციაციის პერიოდში თავისი კალამი პოლიტიკური ქმედებების ინსტრუმენტად გამოუყენებია.

„კურსბუხი" ჟან-პოლ სარტრთან ინტერვიუებითა და მისი შეხედულებების პოპულარიზაციით კიდევ უფრო მეტად

იმყარებს პოზიციას. სარტრისათვის ლიტერატურა, ისევე, როგორც მორალი, საერთო, საყოველთაო მაკავშირებელი რგოლია. მისი აზრით, თუ მწერალს უნდა, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, იგი ორი მილიარდი მშიერი ხალხის მხარეს უნდა იდგეს. სხვა შემთხვევაში ის პრივილეგირებული კლასის მსახურია და ისეთივე მჩაგვრელი. სარტრისათვის ყოვლად მიუღებელია მწერლის მხრიდან რეალობისა და ფუნდამენტური პრობლემების იგნორირება. მსოფლიოში გამეფებული შიმშილი, ატომური ომის საშიშროება, ადამიანის გაუცხოება — ყველაფერი ეს, მისი აზრით, ლიტერატურისათვის ყველაზე საშური თემებია. ნამდვილი მწერლისაგან სარტრს ვერც კი წარმოუდგენია, ამ პრობლემებს განზე გაწუდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სულიერი მღელვარება არასოდეს დაუცხრება.

სიტყვა „რეალიზმი" სარტრისათვის უამრავი წინააღმდეგობებით აღსავსე და მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. ხშირად რეალისტური ნაწარმოები იმას ნიშნავს, რომ მასში სინამდვილე ან ყოფიერების რომელიმე მხარე იკვეთება. „ისეთი მატერიალისტისათვის, როგორიც მე ვარ, — ამბობს სარტრი, — ნაწარმოები აუცილებლად მატერიალურის განსაზღვრულ სექტორს უნდა ემყარებოდეს. იმავდროულად ნაწარმოების მატერიალურობა გულისხმობს წარმოსახვის, ფანტაზიის ღრმა სტრუქტურების არსებობას". სარტრისათვის ყველაზე შინაარსიანი და ესთეტიკური ზეგავლენის მქონე ნაწარმოები ფართოდ უნდა აშუქებდეს ერთ რომელიმე ბუნდოვან მხარეს და მთლიანობაში საგნობრივად იყოს დატვირთული. თუმცა ზოგჯერ ნაწარმოები შეიძლება ღრმაც იყოს, მაგრამ გარკვეულწილად იდეოლოგიის ზეგავლენით დაიჩრდილოს. თავად ის არ თვლის საჭიროდ, რომ საზოგადოებას ექსპლიციტური ფორმით მიეწოდოს სინამდვილე. სარტრი თვლის, რომ ატომური საფრთხის ნათელსაყოფად, მწერალი თუ ატომური ბომბის დეტალურად წარმოსახავით პრობლემას ამძაფრებს,

ამის სანაცვლოდ სრულიად დასაშვებია და ხშირად უფრო მომგებიანიც ეს საფრთხე სულ სხვა ხერხებითა და მხატვრული სახეებით განზოგადდეს.

რეალიზმის თეორიაზე მსჯელობისას ერთადერთი, რაც სარტრისათვის მიუღებელია, არის რეალობის აპრიორული წარმოსახვა. მისი აზრით, ხელოვნების ნაწარმოები ისევე უნდა ქმნიდეს ესთეტიკურ ერთობლიობას, როგორც ფერწერაში ფერები, ფორმები და მოცულობა შეადგენს ესთეტიკურ მთლიანობას.. „ჩემი აზრით, — ამბობს სარტრი, — ხელოვნების ნებისმიერი სიღრმისეული ნაწარმოები გამოხატავს სინამდვილეს, მხოლოდ სხვადასხვა ხედვით... როგორი კუთხითაც არ უნდა იყოს დანახული, ხელოვნება ყოველთვის სამყაროს ასახვაა, თუ მასში ადამიანის თავისუფლების იდეა ძევს".

რაც შეეხება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების სარტრისეულ გაგებას, იგი „ადამიანის მიერ სამყაროს ჭეშმარიტ და არა სიმბოლურ დაუფლებას ასახავს და ასეთ შემთხვევაში ხელოვნება ყოველთვის სოციალისტურ-რეალისტურია", იქ, სადაც აზროვნების ძალისმიერი ფორმებია დამკვიდრებული, თუნდაც რასიზმი, ხელოვნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. აქვე საუბრობს სარტრი კულტურის ანექსიაზე, კულტურის თავსმოხვეულ დიდაქტიკაზე, რასაც იმთავითვე ეწოდა „ტერორიზმი კულტურაში", რაც რეალობის უგულებელყოფას ნიშნავს.

სარტრთან დიალოგში ასევე იკვეთება მისეული გაგება ავანგარდის ცნებისა. მწერალს მიაჩნია, რომ თანამედროვე ხელოვნება უფრო და უფრო ავტონომიური და ირედუციბური ხდება. ამ შემთხვევაში ნაკლებადაა დაცული რეალიზმის ცნება. მართალია, სარტრისათვის მისაღებია ირედუციბურობა, რაც ნიშნავს მხატვრული ნაწარმოების განუსაზღვრელობას, რაც არც რაიმეზე დაიყვანება და არც რაიმე ფარგლებით შემოისაზღვრება. მიუხედავად ამისა, არ იზიარებს ხელოვნებაში

ავანგარდის, როგორც ცნების, შემოტანას. სარტრი წინააღმდეგია სხვა სტრუქტურებიდან, კერძოდ, პოლიტიკიდან ტერმინოლოგიის დასესხებისა, რომელსაც ხელოვნებასთან არაფერი ესაქმება. თანაც დასძენს: „ვისაც მიაჩნია, რომ ხელოვნების რაიმეზე დაყვანა შეიძლება, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ტენდენცია ფსიქოანალიტიკური იქნება თუ სოციოლოგიური — ყველანი იდეალისტები არიან და ტოტალიტარულ კრიტიკას ემსახურებიან“.

სარტრი თვლის, რომ კრიტიკის როლი გადასინჯვას მოითხოვს. მისთვის განმსაზღვრელი როდია, ნაწარმოებში ყველაფერი კარგად იყოს ასახული, მოქმედებდეს დადებითი გმირი და ა.შ., მთავარია ის, თუ რამდენად ღრმაა ნაწარმოები, რამდენადაა მოძიებული სიღრმისეული საწყისები და ძირები, საიდანაც ნაწარმოები იშვა. სარტრი იმასაც უსვამს ხაზს, რომ ნაწარმოები შეიძლება იყოს რეალისტური, სინამდვილეს ასახავდეს, მაგრამ სიღრმით მაინც არ გამოირჩეოდეს.

ვფიქრობთ, ამ საკითხების სარტრისეული ინტერპრეტაცია ნებისმიერი მწერლისა თუ კრიტიკოსისათვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია, ხოლო „კურსბუხის“ პირველივე ნომერში მოთავსებული მასალებით ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჟურნალისათვის სარტრისეული ხედვა, საკითხების სარტრისეული გააზრება.

ჟურნალის განსახილველი პერიოდის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებს, საკითხის უფრო დასაზუსტებლად ან ჟურნალის პოზიციის გამოსაკვეთად და დასაფიქსირებლად ზოგჯერ რედაქციის წევრთა თუ ჟურნალის გამომცემლის კომენტარი ან გამოხმაურება ერთვის. და თუ მსგავსი რამ არ შეინიშნება, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ რედაქცია ჟურნალში მოთავსებული მასალის პრინციპებს უცვლელად იზიარებს. ზემოთ გაანალიზებული მასალა სწორედ ეს შემთხვევაა.

ჟურნალ „კურსბუხს“, როგორც დისკუსიებისა და ინ-

ფორმაციების ცენტრალურ ფორუმს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მემარცხენე ინტელიგენციისათვის. აქ მოთავსებულმა სტატიებმა თავიდანვე მისცა ბიძგი დასავლეთ გერმანიაში მემარცხენე ოპოზიციური ინტელიგენციის ანტიავტორიტარულ პროტესტს.[151] ჟურნალი იმთავითვე იკვლევს და აანალიზებს მესამე სამყაროსთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც უმნიშვნელოვანეს მსოფლიო-პოლიტიკურ კონფლიქტებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსგავსი პრობლემების წარმოჩენამ ხელი შეუწყო სტუდენტების პოლიტიზაციასა და რადიკალიზმს.

1965 წლის აგვისტოს მეორე ნომრიდან, ჟურნალი იწყებს მესამე სამყაროს პრობლემების გაშუქებას, ამ თემის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რაც 70-იანი წლების დასაწყისამდე გაჰყვება. განსახილველ თემებში ერთვება მესამე სამყაროს არაერთი წამყვანი სპეციალისტი და თეორეტიკოსი.

„კურსბუხის“ ანალიზი, რომელიც მესამე სამყაროსადმი ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას შეეხებოდა, დაიწყო ფრანც ფანონის[152] ესეითი, სადაც განიხილება მესამე სამყაროს ხალხთა გათავისუფლებისა და ემანსიპაციის საკითხები. აქვეა კარლოს ფუენტას[153] მოხსენება მესამე სამყაროს ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერვენციით გამოწვეული სისხლიანი რევოლუციების ალბათობაზე. ამავე ნომერში ენცენსბერგერი გახმაურებული სტატიით — „ევროპის პერიფერია“, ბოლომდე იცავს თავის შეხედულებას, რაც გამოიხატება ნაციონალურ კლასთა ბრძოლების ინტერნაციონალურით შეცვლასა და დაბალი განვითარების ქვეყნებთან მიმართებაში დასავლეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობების დადგენაში.

„კურსბუხში“ მწვავედ განიხილება დასავლეთის მაღალგანვითარებული სამრეწველო ინდუსტრიების მიერ მესამე

სამყაროს ქვეყნების ნედლეულის მითვისებისა და ადგილზე დამუშავების საკითხი, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაგრულ ხალხთა საპასუხო აჯანყებათა ფაქტები. ჟურნალი ამ თემაზე აქვეყნებს ვო გუსტაფსონის[154] ვრცელ სტატიას, სადაც ავტორი ძირფესვიანად იკვლევს დასავლეთის ინდუსტრიული სახელმწიფოების — დასავლეთ ევროპისა და ამერიკის — და მესამე სამყაროს ქვეყნების ურთიერთობებს. გუსტაფსონი ამ ურთიერთობას ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მიერ კოლონიური ქვეყნების სისტემატური ძარცვისა და მათი გაღატაკების ჭრილში განიხილავს. ავტორი ასახელებს შვიდ არსებით ფაქტორს, რამაც მიიყვანა განვითარებადი ქვეყნები სიღარიბის ზღვრამდე. მათ შორის: ინდუსტრიულ ქვეყნებში მსოფლიო საბაზრო ფასად საექსპორტოდ ჩაბარებული ნედლეულის თითქმის სრული მითვისება; საზღვარგარეთის მსხვილი კონცერნების ეკონომიკური ინტერვენციის შედეგად ადგილობრივი ინდუსტრიის მშენებლობის შეფერხება; ადგილობრივ ქვეყნებში საზღვარგარეთის ექსპორტზე გათვლილი წარმოების დაბალი ანაზღაურება; პროცენტების, დივიდენდებისა თუ საკომისიოების სახით მსხვილი კაპიტალის გადინება უცხოეთში და სხვ.

გუსტაფსონი კვლევა-ძიების შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ნედლეულის მქონე ქვეყნებში მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთის ინტერესზეა გათვლილი და მესამე სამყაროს გაჩანაგებას ემსახურება. ასეთი დამღუპველი ფაქტორების შედეგად, ღარიბ ქვეყნებს განვითარების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ, მათთვის ისპობა ყოველგვარი საკონკურენციო შანსი. ამიტომაც გუსტაფსონი თავის სტატიაში საჭიროდ მიიჩნევს განვითარებადი ქვეყნების სამეურნეო და პოლიტიკური ფორმის შეცვლასა და კუბისა და ჩინეთის მსგავსი სოციალისტური სამეურნეო სტრუქტურების შემოღებას.

გარდა იმისა, რომ ჟურნალი „კურსბუხი" ქვეყნის შიდა

პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, ამერიკის არსის ჩვენებითა და მესამე სამყაროს მიმართ კოლონიური პოლიტიკის გამოაშკარავებით, ამერიკის საზოგადოების გაკრიტიკებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასაც სწვდება, ანუ ამერიკის პოლიტიკის კრიტიკულ ჭრილში თავისთავად მოიაზრება დასავლეთი გერმანიაც, რითაც ჟურნალი თავის საბოლოო მიზანთან მიახლოებას ცდილობს.

„კურსბუხისათვის" ამერიკის სამოციანი და სამოცდაათიანი წლების დასაწყისის საზოგადოებრივი სისტემა ძირშივეა შერყეული, რომელიც, ერთი მხრივ, ფლობს მხოლოდ თავის კერძო მოგებაზე დამყარებულ სამხედრო ინდუსტრიას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სამხედრო ინდუსტრიასთან მჭიდროდ გადახლართულ ეკონომიკურ კონცერნებს. ხელისუფლება კი ჯეროვან კონტროლსა და კონსულტაციებს ვერ უწევს იმ სპეციალისტებს, რომლებიც რაციონალიზაციისა და ტექნოლოგიების სისტემებს განაგებენ და „კატასტროფული აწმყოს დაფუძნებას ემსახურებიან, ხოლო მომავალს კარს უხშობენ".[155]

ამერიკის საზოგადოებრივი სისტემის გარშემო სამოციანი წლების საერთაშორისო დებატების აზრთა ჭიდილს „კურსბუხი" ცენტრალურ თემებში ეხმაურება. ის ყურადღებას ამახვილებს როგორც ამერიკის, ასევე მთლიანად დასავლეთის საზოგადოებრივი სისტემის წარმმართველ ასპექტებზე. ჟურნალში ეს საკითხები ძირითადად ასე იკვეთება:

— მესამე სამყაროს ნედლეულის საბაზრო მიმოქცევასა და მუშახელთან მიმართებაში დასავლეთის სისტემის დამოკიდებულების გამოაშკარავება.

— დასავლეთის სისტემის სასაქონლო სიმდიდრე, როგორც კაცობრიობის ეკოლოგიური განადგურების წანამძღვარი.

— ამერიკის სისტემისათვის ნიშანდობლივი დესტრუქციული კანონების ფონზე ამ სისტემისაგან მოსალოდნელი საფრთხე, როგორც შედეგი წარმატებული მატერიალური მო-

გებისა და პოლიტიკური ძალისმიერი ექსპანსიისა.

— ამერიკული ცნობიერების კონფრონტაცია ამერიკულ სინამდვილესთან.

— „ადამიანის აპარატით დამორჩილების“[156] შედეგად სუბიექტური მოთხოვნილების დათრგუნვა, რაც განაპირობებს „თავისუფალი საზოგადოების რეალური შესაძლებლობების“[157] ბლოკირებას.

„კურსბუხი“ ამერიკის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განხილვასთან ერთად განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას აშშ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საკითხებზე და თავისი იდეის — დემოკრატიული სოციალიზმის — განსავითარებლად ამ საკითხების იდეოლოგიურ-კრიტიკულ განხილვას იწყებს. როცა „კურსბუხის“ ავტორები ჩრდილოეთ ამერიკის ეკოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას „ანგარებიანი და მოგების ჟინს დაქვემდებარებული საზოგადოების მხრიდან შეუძლებლად მიიჩნევენ“ და გამოსავალს მხოლოდ საზოგადოების რადიკალურ შეცვლაში ხედავენ, ამით იმ გზებსა და დასახულ მიზანს უახლოვდებიან, რაც გულისხმობს რეპრესიებისაგან თავისუფალ საზოგადოებას, „ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების მიღწევას“.[158] ასეთი გზით ცდილობენ კურსბუხელები „მშვიდობიანი სამყაროს“ შექმნას, სადაც ყველა შეძლებს არა მარტო ტოლერანტულ თანაცხოვრებას, არამედ ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით შეკავშირებას“. მათთვის „რევოლუციური ალტერნატივა“ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხის მოგვარებას“[159] ნიშნავს. ეს არის ის, რასაც „კურსბუხის“ კონცეფცია შეესაბამება — კავშირების დადგენა, ნაცვლად მიმართულების კარნახისა.[160]

ამერიკის საზოგადოებრივი სისტემის კრიტიკული განსჯისას როგორც ჟურნალის გამომცემელი, ასევე მისი ავტორები პარალელს ავლებენ საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ

ურთიერთობებთან. ისინი ამერიკის შეერთებული შტატების იერარქიულად დანაწევრებული, ინტერნაციონალურად გადახლართული კაპიტალისტური სისტემის აღწერით მჭიდრო კავშირს ავლენენ მასთან სტრუქტურულად მსგავს ფედერაციულ რესპუბლიკასთან, როგორც „შეერთებული შტატების პროტექტორატთან“.[161] მით უმეტეს, რომ შეერთებულ შტატებს თავისი მძლავრი ტექნიკით დასავლეთის ქვეყნებში განმსაზღვრელი პოზიცია უკავია და კარგა ხანია დომინირებს დასავლეთის კავშირებში, როგორც კაპიტალისტური სამყაროს საჩინო წარმომადგენელი. ასე რომ, ამერიკის შეერთებული შტატების, მთელი ამერიკული საზოგადოების თავისებურებების კრიტიკის ობიექტად შერჩევით შესაძლებელი ხდება ფედერაციული რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოაშკარავება.

„კურსბუხისა“ და მისი ავტორების წინაშე მარტო საკუთარი ქვეყნის რადიკალური შეცვლის ამოცანა როდი დგას. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ დაბალი განვითარების ქვეყნებს შემდგომი არსებობისა და განვითარების საშუალება მიეცეთ. ამასთანავე, ცდილობენ კაცობრიობის მერმისისათვის საშიშროების მომტანი ამერიკული სისტემის შემობრუნებას დემოკრატიული სოციალიზმის მიმართულებით. ამ შემობრუნებისა და საჭირო ცვლილებების გამტარებლად მათ ამერიკული ოპოზიცია ესახებათ, რომელიც იმ პერიოდისათვის საკმაოდ აქტიური იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თუ ჟურნალ „კურსბუხის“ ფურცლებზე საწყის პერიოდში ინტენსიურად შუქდება ამერიკის საზოგადოებრივი სისტემის თავისებურებანი, 70-იანი წლებიდან შედარებით კლებულობს ამერიკის თემასთან დაკავშირებული მასალები. შემდგომ ამერიკის გარშემო 60-იანი წლების დებატების შედეგებთან ერთად იწყება დისკუსიები მთელი დასავლური სისტემის გლობალურ საკითხებზე. აქაც, მსოფლიო პოლიტიკური საკითხების წამოჭრით, „კურსბუხის“ ავტორები საკუთა-

რი ქვეყნის პრობლემებს წარმოაჩენენ, განსაკუთრებით კი ყურადღებას ქვეყნის სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე ამახვილებენ.

ზოგიერთი მემარცხენე ოპონენტის ბრალდებების საპირისპიროდ, რომლებიც ჟურნალ „კურსბუხს" ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ის საშინაო პრობლემებზე მეტად საგარეო პრობლემებით იყო დაკავებული, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამერიკის საზოგადოებრივი სისტემის გაკრიტიკებით „კურსბუხი" კიდევ უფრო მძაფრად მიანიშნებდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკლოვანებებზე. სწორედ ეს იყო მისი ნოვატორობა და ორიგინალურობა. „კურსბუხი" არათუ ერიდება საკუთარი ქვეყნის პრობლემების გაშუქებას, არამედ ხშირად თავისებურად, ირონიისა და სატირული ტონის მოშველიებითაც, ბევრად უფრო მწვავედ ახერხებს დასავლეთ გერმანიის სინამდვილის გამოაშკარავებასა და მის მიმართ მძაფრი კრიტიკის გამოვლენას.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ ფრიად საინტერესო მოსაზრებაზე, რომელიც გფრ-ის კონსტიტუციას შეეხება. მით უმეტეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაზე არსებული მოსაზრება შეიძლება სხვა ქვეყნების კონსტიტუციასაც შეეფარდოს. ენცენსბერგერის აზრით, კონსტიტუციის მუხლები ცალკე, ფორმალურად არსებობენ. „კონსტიტუცია ისევე ცრუა, როგორც მთლიანად სისტემა. მის გარანტიებსა და გაბატონებულ კლასთა ინტერესებს შორის ყბადაღებული წინააღმდეგობაა, რომელიც კარგა ხანს დარჩება. კონსტიტუცია იძლევა პიროვნების უფლების დაცვის გარანტიას, ასევე იძლევა კოალიციის უფლებას, თავისუფალი აზრის გამოთქმის, გაფიცვისა და ურთიერთდაპირისპირების უფლებას, კონსტიტუციის ეს მუხლები კი სისტემის არსებობას უქმნიან საფრთხეს. სახელმწიფოსათვის თვით კონსტიტუციაა საშიში".[162] ენცენსბერგერის მიხედვით, ამითაა გამოწვეული კონსტიტუციაში დროდადრო შესწორე-

ბებისა და ცვლილებების შეტანა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის თემას, მართალია, „კურსბუხი" საბჭოთა სისტემას, რეალურად არსებული სოციალიზმის კურსს გმობს, მაგრამ რუსების მტრის ხატად მონათვლის მომხრე და გამზიარებელი არასოდეს ყოფილა. „ჩვენ ადენაუერთან ერთად ვფიქრობდით, რაც უფრო მჭიდროდ შევეკვრებოდით დასავლეთს, მით უფრო უკეთ გავართმევდით საქმეს თავს, მაგრამ სინამდვილეში, უფრო ღრმად გავითხარეთ საფლავი... ასე გამოვუშვით კბილებამდე შეიარაღებული ანტიკომუნიზმი და ექსპორტში ჩავუშვით ჩვენს ეკონომიკურ სასწაულთან და ბიდერმაიერ ლოკის მრეწველობასთან ერთად".[163]

1970 წლის მე-20 ნომრიდან „კურსბუხი" ძირითადად აშუქებს ესთეტიკურ თემებს. ესთეტიკის ჟურნალისეული პრობლემატიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელოვნების საკითხებით. ის ეპოქის ძირითად საკითხებს მოიცავს, როგორიცაა სოციალური არსი და მისი პერსპექტივა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენა პიროვნებასა და საზოგადოებაზე. ამასთანავე ყურადღება მახვილდება „ხელოვნების სიკვდილზე" და მის პერსპექტივაზე.[164]

„ახალ მემარცხენეებში" გაერთიანებული ინტელიგენციის შემოქმედებას, როგორც უკვე ზემოთ თქმულიდან ჩანს, განაპირობებდა იმპერიალიზმის სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური წინააღმდეგობანი. აქ გაერთიანებული ხელოვნების დარგში მომუშავე ინტელიგენცია ხშირად მიმართავდა საპროტესტო აქციებს ბურჟუაზიული საზოგადოების ხელოვნების, კულტურის წინააღმდეგ, რაც შემდეგ მკაფიოდ აისახებოდა მათ პუბლიკაციებში: ხელოვნების ტრადიციული სოციალური ფუნქციებისა და სტრუქტურების შერყევა, ესთეტიკური გადაფასება, იმპერიალისტურ კულტურაში ესთეტიკის მთავარი პრინციპების გაუფასურება. ამ ბაზისზე მოხდა ნონკონფორმისტული საზოგადოების უკიდურესი პოლიტიზა-

ცია, რომელსაც ანტიიმპერიალისტურ და ანტიკომუნისტურ შეხედულებათა გადახლართვის გამო, ურთიერთსაწინააღმდეგო რეზულტატი ჰქონდა. ესთეტიკა „კურსბუხში" იმ ერთადერთი ჰუმანიტარული მეცნიერების როლში აღმოჩნდა, რომელიც ღიად ტოვებს სოციალურ საკითხებს.

და მაინც, „კურსბუხი" ინტერნაციონალური მასშტაბით აშუქებდა პოლიტიკურ მოვლენებს, ფილოსოფიასა და ესთეტიკაში აზრთა სხვადასხვაობას. ჟურნალის ავტორები მხარს უჭერდნენ ინტერნაციონალური პროლეტარიატის სოციალურ ბრძოლებს, მესამე სამყაროს ქვეყნების წინსვლას. ყურადღების გამახვილება მესამე სამყაროზე იდენტიფიცირდება ამ სამყაროს სიღატაკესთან. მაშინ ბრმად სჯეროდათ, რომ მესამე სამყარო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტს დაძლევდა და კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის საშიშროებისაგან იხსნიდა.

მიუხედავად ჟურნალების განსხვავებული კონცეფციებისა, არსებობს პრობლემები, რომლებიც მათი საერთო ტკივილია. ისეთი თემები, როგორიცაა „ოსვენციმის პროცესები", ფაშიზმი და ნეონაციზმი, ვიეტნამის თემა და სხვა ანტიდემოკრატიული გამოვლინებები, ქვემოთ განიხილება. აქვე აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ ფრანკფურტის თეორეტიკოსებისათვის და, რა თქმა უნდა, ჟურნალ „კურსბუხისთვისაც" ბარბაროსობის განსახიერება იყო არა მარტო ფაშიზმი, არამედ გვიანი კაპიტალიზმის ეპოქა, რომლის წიაღშიც ის იშვა; ეს არის ძალმომრეობისა და ტოტალიტარიზმის ტენდენციების ეპოქა, შესაბამისად, ინდივიდის კვდომისა და კულტურის სრული დაცემის ხანა.

მემარცხენეთა ჟურნალი „კიურბისკერნი" 1965 წლის სექტემბერში დაარსდა ქ. მიუნხენში. იგი წელიწადში ოთხჯერ 10000 ტირაჟით გამოდის და თითოეული ნომერი საშუალოდ 180 გვერდს შეიცავს. ჟურნალი იბეჭდებოდა ჯერ

დამნიცის, შემდეგ კი პლამბეკის გამომცემლობაში. ახალგაზრდა გამომცემელთა — ფრიდრიხ ჰიტცერის, კლაუს კონეცკისა და ჰანეს შტუტცის — გვერდით უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო ცნობილი ლიტერატორი ოსკარ ნოიმანი.

თავდაპირველად ჟურნალის განყოფილებები იყო ლიტერატურა და კრიტიკა, მომდევნო წლებში კი მათ განყოფილებად ემატება კლასთა ბრძოლა.

ახალი ჟურნალის გამოცემით დაინტერესებული ახალგაზრდა ინტელექტუალები ხშირად იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს ჟურნალის დაარსებისა და სხვა მორიგი საკითხების გარშემო. ბოდენზეესთან, ქალაქ ფრიდრიხჰაფენში ერთ-ერთი თავშეყრის დროს, ჟურნალის სახელწოდების საკითხი განიხილებოდა. სათაურის შერჩევაზე ყველა თავს იმტვრევდა, იყო მრავალი წინადადება — ზოგი სათაურად „წინააღმდეგობას“ სთავაზობდა, რასაც მარტინ ვალზერიც ეთანხმებოდა, ზოგისთვის კი ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა თეოდორ ადორნოს გამო.[165] მაშინ ვალზერმა „კლაინბიურგერი“[166] დაასახელა, მაგრამ დამსწრეთაგან არც ეს იქნა მიღებული და ასე გრძელდებოდა გაუთავებლად, რასაც ხან დავა და ხან ოხუნჯობა ახლდა თან. მოულოდნელად კარსუნკემ წამოიძახა: „რა მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ, გაიყიდოს და თუნდაც კვახის თესლი ერქვასო“. ხუმრობით წამოსროლილი ფრაზა ყველას ჭკუაში დაუჯდა და გასაოცარი ერთსულოვნებითაც იქნა მიღებული. ამასობაში ვალზერს კინაღამ ღვინო გადასცდა: — ბიჭებო, ეს ხომ მართლაც ჯანსაღი თესლია გაბერილ გოგრაში! და განსაკუთრებით კარგად ხარობს ნაგავსაყარზე! — შეეშველა ფრიდრიხ ჰიტცერი. უცნაური დამთხვევა კი ის იყო, რომ კვახი ვიეტნამში თაობიდან თაობამდე წინააღმდეგობის სიმბოლოდ ყოფილა მიჩნეული.[167]

ასე შემთხვევით ეწოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურულ ჟურნალს „კიურბისკერნი“. შემდგომში

სხვადასხვა წრეებში ეჭვსაც კი იწვევს ერთი შეხედვით, ეს უწყინარი სახელწოდება, რომელიც კოდი ან რაიმე შენიღბვა ჰგონიათ. ვერ იგებდნენ, რას უნდა მიეყვანა გონიერი ადამიანები იქამდე, რომ ჟურნალისათვის მიწაზე და სიმაღლეზე მცოცავი იმ მცენარის სახელი დაერქმიათ, რომელიც განსაკუთრებით კარგად მოდის ნაგავსაყარზე. და მაინც, რა არის Kürbiskern-ი? სვამს კითხვას და პასუხსაც არ აყოვნებს ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური წევრი რომან რიტერი, რათა დაინტერესებულთ სატირის სტილში განუმარტოს: „დემოკრატიული გროვა, ლიტერატურული სუბვერზია, მშვიდობის, თავისუფლების ომლეტი, მოუზომელი კრიტიკა, კლასთა ბრძოლის გამჩაღებლების ბოროტი, სოციალისტური სულისკვეთების, მშრომელ ადამიანთა სამართლიანი ინტერესების იდეოლოგია. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც თქვენ 'არ მოგეწონებათ".[168]

ჟურნალი „კიურბისკერნი" ინტელიგენციას იმ ამოცანებს უსახავდა, რომელთა გადაჭრა მხოლოდ მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირით იყო შესაძლებელი, მუშათა მოძრაობასთან ინტეგრაციის გზით. „რაში მდგომარეობს ინტელიგენციის ამოცანა?" – დასმულ შეკითხვას თავადვე ასე უპასუხებს ჟურნალი: „იზოლაციის გადალახვასა და იმ ლოზუნგების პრაქტიკულ განხორციელებაში, რომლებიც საზოგადოების შეცვლისაკენაა მიმართული".[169] ეს ამოცანა განპირობებული იყო იმით, რომ „დასავლეთ გერმანიის ინტელიგენციის საზოგადოებრივი პრაქტიკის უმთავრეს ფაქტორად რჩებოდა გაცნობიერება იმისა, რომ ვინც წარმოშობით ბურჟუაზიულ ფენას არ ეკუთვნოდა, ბურჟუაზიულ სისტემასთან მშვიდობიანად ცხოვრებას ვერ შეძლებდა".[170]

„კიურბისკერნის" გამომცემლები ყურადღებით სწავლობენ მუშათა კლასის პრობლემებს. ჟურნალი მჭიდრო კონტაქტს ამყარებს „ჯგუფ-61"-თან, რომელმაც თავის რიგებში

გააერთიანა არა მარტო მშრომელთა ფენებიდან გამოსული კალმოსნები, არამედ ნაცადი მწერლებიც, რომლებიც საკმაოდ ერკვეოდნენ დიდ სამრეწველო საწარმოებში მშრომელთა გაუსაძლის მდგომარეობაში. ჟურნალის მოღვაწეობის პირველ პერიოდში, თითქმის ყველა ნომერში შუქდებოდა მასალები ამ ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერასმუს შეფერის, ვალტერ ფრიჩეს, კლაუს კონეცკის სტატიები, რომლებშიც გადმოცემული იყო მუშების სავალალო მდგომარეობა, განუხორციელებელი მიზნებითა და განცდებით. რა თქმა უნდა, დასავლეთ გერმანიის არც ერთ ჟურნალს არ დაუთმია ამდენი ყურადღება მშრომელთა მდგომარეობის ასახვისათვის.

მაშინ, როცა ბურჟუაზიული იდეოლოგები ირწმუნებოდნენ, თითქოს ხელოვნებას არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო პოლიტიკასთან, ლიტერატურული ჟურნალი „კიურბისკერნი" მძაფრი პრობლემების დასმითა და მწვავე ხასიათის პუბლიკაციებით იქმნიდა თვითმყოფად სახეს, ჭეშმარიტად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანოს იმიჯს. ამაზე მეტყველებს საკითხთა მთელი წყება, რომელიც ოპერატიულად შუქდება ჟურნალში, იქნება ეს დემოკრატიული მოძრაობა და ამ პროცესების ანალიზი, დისკუსიები ფაშიზმის გამოვლინებებზე წარსულსა და აწმყოში, ვიეტნამის პრობლემა, პოლიტიკური ლირიკისა და დოკუმენტური თეატრის ურთიერთმიმართება თუ მრავალი სხვა. ასევე ძალზე საინტერესოდ იკვეთება ჟურნალის პოზიცია, ერიხ ფრიდის პოლიტიკური პათოსით დაწერილი ლექსების კრებულისა თუ პეტერ ვაისის დრამატურგიისა და ბრეხტის შემოქმედების მიმართ. ეს საკითხები უდავოდ ერთიორად მატებდა ესთეტიკურ ღირებულებას ჟურნალს.

„კიურბისკერნი" აქტიურად აქვეყნებს პოლემიკურ სტატიებს, ილაშქრებს „მემარცხენე ექსტრემისტებისა" და დევიზის – „ხელოვნება ხელოვნებისათვის" – მიმდევართა წინა-

აღმდეგ, ომს უცხადებს რეაქციულ პრესას. ამ საკმაოდ რთულ გზაზე წინააღმდეგობების გადასალახავად ჟურნალისტი აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ბრეხტისეული ხუთი ძირითადი ნიშან-თვისებით: ცოდნა, გამბედაობა, ნიჭი, საკუთარი აზრი და რეალობის მახვილი შეგრძნება. სწორედ ამ მონაცემებს გულისხმობდა პეტერ ვაისი, როდესაც აღნიშნავდა: „ჩემთვის ბრეხტის ხუთი პოსტულატი დღესაც ორიენტირად ითვლება. ასე რომ, საქმე ეხება არა ჩემს პირად სიმართლეს, არამედ ობიექტურად არსებულ ჭეშმარიტებას საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლის აუცილებლობაზე“.[171] ჟურნალი თამამად გამოდის რევიზიონისტური შეხედულებების წინააღმდეგ და გამორჩეულად მიუთითებს ბურჟუაზიული პრესის სოციალურ როლზე: „ფედერაციული გერმანიისა და სხვა დასავლეთის ქვეყნების მრავალრიცხოვან ბეჭდვით ორგანოთა არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველის ცნობიერების მანიპულირება მოახდინოს და ასეთი გზით დაუქვემდებაროს ის გაბატონებული ფენის ინტერესებს“.[172]

ჟურნალის პირველი ნომერი სიმბოლურია. იგი იწყება პაბლო ნერუდას ლექსით „დამშვიდობება“, რომელიც ავტორმა ვაიმარის მწერალთა კონგრესზე გადასცა რედაქციას. მასში ომახიანად გაისმის ძველთან გამომშვიდობებისა და ახალი ცხოვრების დაწყების მოწოდება.

საგულისხმოა, რომ ჟურნალ „კიურბისკერნის“ დაარსების აუცილებლობა დროის გამოძახილია და მისი იდეური სახე დემოკრატიული მოძრაობის ახალი ტალღის განფენითაა ნაკარნახევი. ჟურნალი ახლოა მარქსისტულ იდეოლოგიასთან თავისი მიმართულებით და თავის მიზანს მუშათა კლასთან ერთიანობაში ხედავს. „კიურბისკერნი“ იმასაც ათვითცნობიერებს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების შემოქმედებითად გამოყენება და განვითარება. ჟურნალის რედაქციას სწამს, რომ მხოლოდ მარქსისა და მისი საქმის მიმდევრების მოძღვრება იძლევა ქვეყნის ძი-

რითადი პრობლემების გადაჭრის საშუალებას, კაპიტალისტური ექსპლუატაციის წარმატებით დაძლევასა და ყოველგვარი რეაქციის წინაპირობების ლიკვიდაციას. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის სოციალისტურ თეორიასა და მის პრაქტიკას: „გათავისუფლება – მისი მისიაა", – ამბობს ჟურნალის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფ. ჰიტცერი.

„კიურბისკერნის" პროგრამა წმინდა ლიტერატურული საკითხების გარდა მოიცავს მსოფლიოს ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებს. მიზნად ისახავს მწერალთა ახალი თაობის ჩამოყალიბებას, ითვალისწინებს მკითხველთა მზარდ მოთხოვნილებებს.[173] თუმცა, თავდაპირველად, მას არც გააჩნდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა და მხოლოდ თანდათანობით, ვითარებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ძერწავდა საკუთარ პროფილს. 1971 წლიდან მანამდე არსებულ განყოფილებებს – ლიტერატურა, კრიტიკა – ემატება კლასთა ბრძოლა. ჟურნალში პოლიტიკურ საკითხებთან, კრიტიკულ წერილებთან, დისკუსიებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მხატვრულ ნაწარმოებებს, როგორიცაა ნაწყვეტები რომანებიდან, მოთხრობები, ესეები, ლექსები, პამფლეტები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა.

ჟურნალის მოღვაწეობის განხილვისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული საზოგადოების პოლიტიზაცია სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს, რამაც ხელი შეუწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის ლეგალიზებას (1968). ამ პროცესმა იდეოლგიური და პოლიტიკური უთანხმოებები და აზრთა შეჯახება გამოავლინა არა მარტო ჟურნალის მესვეურთა, არამედ დემოკრატიულად განწყობილ ძალთა შორისაც. დემოკრატიულ მოძრაობაში გკპ-ს დაარსებით გამოვლენილი დიფერენციაცია მალე „კიურბისკერნის" რედაქციაში აღწევს და შედეგად რედაქციის შემადგენლობაში ცვლილებებს იწვევს. ეს იმას მოწმობს, რომ წინააღმდეგობები, რომლის გადალახვაც ჟურნალს უხდებოდა, არა მარტო

ობიექტურ სინამდვილეში, არამედ თვით რედაქციის შემადგენლობაშიც იყო. აქ იყო აზრთა სხვადასხვაობა მთელ რიგ საკითხებზე: დემოკრატიისა და სოციალიზმის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები ანტიიმპერიალისტურ სტრატეგიაში; სოციალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართება სოციალიზმის მშენებლობის დროს, პოზიციები სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ეს ის ძირითადი ასპექტები იყო, რომლებიც წარმოშობდა დისკუსიებს დემოკრატიული მიმართულების ძალებს შორის. შედეგი კი ის იყო, რომ ამ ძალების ერთი ნაწილი გკპ-ს რიგებს უერთდება, დანარჩენები კი, ვინც პარლამენტსგარე ბრძოლის მეთოდებს ირჩევს, თავიანთ პოზიციას კიდევ უფრო აძლიერებენ.

60-იანი წლების იდეური კრიზისის გადალახვის შემდეგ ჟურნალი „კიურბისკერნი" პროგრესულად განწყობილ მკითხველ საზოგადოებას შორის თანდათანობით პოპულარობას იძენს და უფრო მეტად აფართოებს არა მარტო პროგრამას, არამედ საგრძნობლად ზრდის თანამშრომელთა რიცხვსაც. ჟურნალის ფურცლებზე გამოდიან მარტინ ვალზერი, პეტერ ვაისი, ერიხ ფრიდი, ჰაინერ კიპჰარდი, დიტერ ზიუვერკრუპი, ფრანც იოზეფ დეგენჰარდი, გერდ ზემერი, ანდრე მიულერი, უვე ტიმი, კლაუს კონეცკი, პეტერ შიუტი და სხვ. ორივე ჟურნალი თავს იწონებდა იმით, რომ ჰაინრიხ ბიოლი მათ გვერდით იდგა.

„კიურბისკერნი" თავის მოვალეობად თვლიდა, მიეთითებინა და გამოეაშკარავებინა არსებული საზოგადოებრივი წყობის კლასობრივი ხასიათი, „სადაც კულტურა და ხელოვნება უმცირესობის ინტერესებს იყო დაქვემდებარებული"[174] და მიანიშნებდა კიდეც ამ წყობის შეცვლის შესაძლებლობაზე: „ჩვენ გზის დასაწყისში ვდგავართ და ეს გვასულდგმულებს. თუმცა მუდმივად გვემუქრება დარბევის საფრთხე. ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი სისტემა თანამიმდევრულად და უწყვეტლივ მიმართავს გასაბრუებელ საშუალებებს. მაგრამ ოდესმე

ბოლო ამ სისტემასაც მოეღება"[175], — მწვავედ გაისმოდა პეტერ ვაისის სიტყვები ჟურნალის დაარსების პირველ წლებში. შემდგომშიაც სისტემატურად ათავსებს ჟურნალი ვაისის თითოეულ გამოსვლასა თუ ცალკეულ ნაწარმოებს. ამ დროს პეტერ ვაისს ოფიციალური პრესა გამუდმებით ესხმოდა თავს და მის თითოეულ გამონათქვამს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა. გფრ-ის ოფიციალური წრეებისათვის პეტერ ვაისის (1933 წლიდან — გერმანელი ემიგრანტი) სოციალისტური პოზიციები განსაკუთრებით ბადებდა ეჭვების საბაბს, რადგან ის შვეციის მოქალაქე იყო, ხოლო შვეციაში სოციალიზმი დადებითად ფასდებოდა.

ჯერ კიდევ გკპ-ს არალეგალურად ფუნქციონირების დროს ჟურნალი დასავლეთ გერმანიის სინამდვილის იმ კუთხე-კუნჭულებს აშუქებდა, რომლებიც შეგნებულად იყო იგნორირებული და უარყოფილი გფრ-ის ოფიციალური პრესის მიერ. ყველა სირთულეების გვერდის ავლით, „კიურბისკერნი" „ფორტეპიანოს ყველა კლავიშს"[176] ეხებოდა, ანუ გერმანიის სინამდვილეს სრულად მოიცავდა. მან პირველმა გაბედა სამართლიანი შეფასება მიეცა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისათვის, თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო: „ჩვენთვის, დასავლეთში მცხოვრებთა და მომუშავეთათვის, იმ სიმართლის გავრცელება, რომელზედაც ბრეხტი მიგვითითებს, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. უწინარეს ყოვლისა, უნდა პირველი სირთულე გადაილახოს — სიმართლის პოვნა, მისი მოპოვების შემდეგ კი საჭიროა პარტიზანული მეთოდით ბრძოლა, რათა ეს სიმართლე ქვეყანას მოედოს",[177] გარდა ამისა, ჟურნალი სისტემატურად ავითარებს იმ აზრს, რომ „კაპიტალისტური ძალაუფლების წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა თავისი სირთულეებით მთელი რიგი საქმიანობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს".[178]

„კიურბისკერნი" სოლიდარობას უცხადებს სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; იგი

მხარს უჭერს ვიეტნამს მაშინ, როცა გფრ-ის პრესა ამერიკის ინტერვენციას ვიეტნამში მოურიდებლად იცავს და ალამაზებს კიდეც; თანაუგრძნობს საბერძნეთს უმძიმეს დღეებში და ბერძენ პატრიოტებს მოუწოდებს წინააღმდეგობისაკენ, ღირსეულად გაუმკლავდნენ პაპანდოპულოს რეჟიმს. არც ისაა შემთხვევითი, რომ საბერძნეთისადმი მიძღვნილ თემებთან ერთად, ჟურნალი აქვეყნებს მიკის თეოდორაკისის ახსნა-განმარტებას[179] არსებულ მდგომარეობაზე.

რედაქციის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია სოციალიზმის იდეები და პრინციპები, ინტერნაციონალიზმის პრობლემები. ის თავის პოზიციას გამოხატავს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მიმართებაში, ინტერნაციონალური და ნაციონალური ამოცანების გადაწყვეტას ცდილობს საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისა და თანამედროვეობის გადმოცემით. ეს დასავლეთ გერმანიის საზოგადოებისათვის სიახლეს წარმოადგენდა, რადგან 60-იან წლებამდე სოციალისტურ ქვეყნებთან პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები არათუ აკრძალული იყო, არამედ იდევნებოდა კიდეც. „კიურბისკერნი“ ასევე აშკარად გმობს ამერიკის სამხედრო ქმედებებს და ამერიკის კინოინდუსტრიის წინააღმდეგაც გამოდის, რომელმაც გფრ-ის კინობაზარი აურაცხელი „ჯეიმს ბონდის“[180] ანტიკომუნისტური ფილმებით გაავსო.

„კიურბისკერნის“ რედაქცია რეაქციისა და ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს ლიტერატურული პროცესის განვითარებაში რეალისტური ტენდენციებისა და მიმართულებების შენარჩუნებას. ის მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლებთან. ჟურნალის ერთი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საბჭოური ლიტერატურის ნიმუშებსა და რუსეთის ცნობილი მწერლების, კულტურისა და

საზოგადო მოღვაწეთა ნაწარმოებებს.[181] ამ ნომერში თავმოყრილია კონსტანტინე სიმონოვის, ევგენი ევტუშენკოს, ვალენტინ რასპუტინის, ალექსანდრე ჩაკოვსკისა და სხვების პოეზიის, პროზის ნიმუშები თუ პუბლიცისტური ესეისტიკა.

ეს, ერთი მხრივ, არცაა გასაკვირი, ვინაიდან გფრ-ის ლიტერატურული ჟურნალი „კონკრეტიც“ არაერთხელ უთმობს თავის ფურცლებზე ადგილს რუს მწერალთა და პოეტთა მხატვრული სიტყვის ნიმუშებს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „კიურბისკერნის“ რედაქტორები და ავტორები — ფრ. ჰიტცერი, ო. ნოიმანი, ჰ. შტუცი და სხვები არაერთხელ არიან ნამყოფი საბჭოთა კავშირში როგორც ქვეყნის, ისე საბჭოთა ხალხის ცხოვრების უკეთ გასაცნობად, ხოლო მათი შთაბეჭდილებები, შეხვედრის შედეგები შემდგომ ვრცლად აისახებოდა ჟურნალში.[182] თუმცა „კიურბისკერნის“ ავტორების ყურადღების ცენტრში საბჭოური სინამდვილის ნეგატიური მოვლენებიც ხვდება, რისი მაგალითიც არაერთია ჟურნალში. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ვინაიდან ჟურნალის რედაქციის პოზიტიური პოზიცია მაინც ყველგან მკაფიოდ ვლინდებოდა. საბჭოთა კავშირის, რეალურად არსებული სოციალისტური წყობის გადაჭარბებული შეფასება, რომლის მიზეზიც შეიძლება საბჭოთა კავშირის მანიპულაციური პოლიტიკაც ყოფილიყო, გფრ-ის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სამართლიან გაღიზიანებას იწვევდა. ფაშიზმის თემის გვერდით ქება-დიდება სსრკ-ზე, ლექსები წითელ არმიაზე[183] ცოტა არ იყოს გადამეტებულად ჟღერდა ჟურნალის ფურცლებზე და ჩრდილს აყენებდა ასეთი ინტელექტუალური ჟურნალის მოღვაწეობას.

ვინაიდან თითოეული საზოგადოებრივი სისტემის სრულყოფა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, ადამიანის ფაქტორს გულისხმობს და ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის დიალექტიკა ცალკეული პიროვნული შეგნების განვითარებას განაპირობებს, რედაქციის ყურადღება განსაკუთრებითაა გა-

მახვილებული ადამიანზე, ინდივიდზე. პუბლიკაციებიც უმთავრესად მშრომელი ადამიანის სულიერი სამყაროს დეტალურ განხილვას მისი შინაგანი გრძნობების წარმოჩენას ეთმობა. ჟურნალის ავტორები თვლიან, რომ ჰუმანიზმისათვის რეალური ბრძოლა მწერლის მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტია, რომ მხოლოდ რეალისტურ ლიტერატურას შეუძლია ორიენტირებული იყოს ნამდვილ ჰუმანიზმზე.[184] მშრომელთა სოციალური უფლებების, პიროვნების ღირსებისა და უკეთესი მომავლის გარანტიის დაცვა, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობებში ობიექტურად ჩაწვდომა, აქედან გამომდინარე, ცხოვრებისეული კონფლიქტების საწყისებისა და თავისებურებების შესწავლა, მათი განვითარების ტენდენციები – ჟურნალ „კიურბისკერნის“ კრედოა.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა „დორტმუნდის ჯგუფი-61“-ის, „ლიტერატურული წრეებისა“ და პროფკავშირული გამოცემების მოღვაწეობას, რამაც დაუდო სათავე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რეალისტური ლიტერატურის განვითარების პროცესს. პუბლიკაციებში მონაწილეობას იღებენ არა მარტო პროფესიონალი მწერლები, არამედ მოყვარულებიც, ანუ მუშა-მწერლები. მათ ნაწარმოებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშათა კლასის ცხოვრების, მშრომელი ხალხის კლასობრივი შეგნებისა და მათი ინტერესების ასახვასა და გამოხატვას. მხარს უჭერს რა ამ ლიტერატურულ ტენდენციას, ჟურნალი ხშირად აქვეყნებს მოწოდებებს მშრომელებისადმი, რათა ისინი შეუდგნენ თავიანთი ცხოვრების აღწერას, აჩვენონ თავიანთი უუფლებო მდგომარეობა კაპიტალისტური წარმოების პირობებში. „კიურბისკერნი“ „ჯგუფი-61“-ის დამსახურებად თვლის „თემატური სიცარიელის“ შევსებას. მით უმეტეს, რომ ამ ჯგუფის გფრ-ის ლიტერატურულ არენაზე გამოჩენა სრულიად ახალი ფენომენი არც იყო. ეს ჯგუფი აგრძელებდა იმ საქმეს, რომელიც ჯერ კიდევ 20-იან წლებში იყო დაწყებული გერმანიის ე.წ. პროლე-

ტარულ-რევოლუციური მწერლების მიერ და რომელმაც მოღვაწეობა ფაშისტური გადატრიალების დროს იძულებით შეწყვიტა. ჟურნალი დიდ დამსახურებად თვლიდა, რომ ახალ ისტორიულ პირობებში „ჯგუფმა-61"-მა ამ გაწყვეტილი ტრადიციის განახლება შეძლო.

„ჯგუფი-61"-ისა და შემდეგ საწარმოებში შექმნილი ლიტერატურული წრეების ძალისხმევით დისკუსიები რეალიზმის გარშემო ისევ განახლდა და „ნაციონალური მოძრაობის გაცილებით მაღალ საფეხურზეც კი ავიდა".[185]

მაგრამ ამ სასიკეთო ძვრებმა ორი სრულიად საპირისპირო ტენდენციაც გამოკვეთა. ერთი მხრივ, აუცილებელი ხდება ჰუმანისტური მონაპოვრებისა და დემოკრატიული კულტურის გავრცელება და მისი გადაქცევა მასების სულიერ მოთხოვნილებად. ამ მიზნით, სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსებისა და კულტურის მოღვაწეთა ინიციატივითაც ხშირად იმართებოდა მასობრივი თეატრალური წარმოდგენები, რომელთა შინაარსი რეკლამის მსხვილ მწარმოებელთაგან განისაზღვრებოდა, რაც იმავდროულად საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიული კულტურის განვითარებას. მეორე მხრივ, კულტურასთან მასობრივი პუბლიკის დაახლოების ნამდვილი შესაძლებლობა იქმნებოდა, მაგრამ უფრო და უფრო თვალნათლივი ხდებოდა, რომ გაბატონებული კლასი ამ მასობრივი კულტურული ღონისძიებებით ფართო ბაზისს უქმნიდა ბურჟუაზიულ ერზაც-კულტურას. გააცნობიერეს რა ეს, დემოკრატიულმა ძალებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს გაბატონებული კლასის მიერ თავსმოხვეული მასობრივი კულტურის წინააღმდეგ და სრულფასოვან კულტურულ მიღწევათა დასამკვიდრებლად.

„კიურბისკერნის" რედაქცია მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკაში ატარებდა ლიტერატურის შესახებ შემუშავებულ საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონცეფციას. 70-იანი წლებიდან ეს კონცეფცია კიდევ უფრო გამოიკვეთა, დაკონ-

კრეტდა და ორიენტაცია აილო მატერიალურ ბაზისსა, პოლიტიკასა და იდეოლოგიას შორის ურთიერთკავშირზე. ჟურნალი მატერიალისტური პოზიციიდან იწყებს კულტურის ცნების განსაზღვრას, როგორც მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთიანობას, რომელიც კაცობრიობის მიერ საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების რთულ პროცესშია შექმნილი.

კულტურის მატერიალისტურად დასაბუთებულ კონცეფციაზე დაყრდნობით, რომელმაც ჟურნალის თემატურად დამუშავებულ ნომრებში პრაქტიკული და პუბლიცისტური სარწმუნოობა შეიძინა, ჩამოყალიბდა ლიტერატურის დანიშნულების ახალი ცნება, რომელიც როდი იფარგლებოდა ლიტერატურის არსის მხოლოდ ესთეტიკური და მხატვრული შეფასებით. „კიურბისკერნის" თეორეტიკოსებისათვის ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი შემდეგში მდგომარეობს: „ის თავის ფუნქციასა და დანიშნულებას ასრულებს, თუკი ემყარება კლასობრივი ბრძოლის კანონებს, რაშიც ჟურნალის გამომცემლები „მუშათა კლასის თვითგანთავისუფლების პროცესს ჭვრეტენ".[186]

რა თქმა უნდა, „კიურბისკერნის" ავტორები არ გულისხმობენ კლასთა შეიარაღებულ ბრძოლას, რომელიც ძალადობასა და აგრესიაზეა დამყარებული. ისინი, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტები, საუბრობენ იდეურ ბრძოლაზე, ორი მსოფლმხედველობის შეჯახებასა და ჭიდილზე, რაც საბოლოოდ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით სამართლიანად უნდა გადაიჭრას.

„კიურბისკერნი" ლიტერატურის სამსახურში ეძიებს თავის ნამდვილ დანიშნულებას და წინააღმდეგობას უწევს იმ ავტორებს, რომლებიც ლიტერატურას აღიქვამენ, როგორც კომერციას. „ლიტერატურულ ნაწარმოებს შეიძლება გამოვაცალოთ ინფორმაცია, აზრი, კონცეფცია, მაგრამ არ შეიძლება ხელოვნურად შექმნა ინფორმაცია, აზრი, კონცეფცია და ლი-

ტერატურად აქციო. არ შეიძლება ლიტერატურა გამორჩენის წყარო გახდეს".[187] მაშინ, როცა გფრ-ის მოსახლოების დიდი ნაწილი ტრივიალურ ლიტერატურას ეწაფებოდა, ჟურნალისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან ბრძოლის საშუალებათა გამოძებნის საკითხს. როდესაც ჟურნალი პოლემიკას მართავს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა: „დოკუმენტაცია თუ ფიქცია", „რეალიზმი თუ მანერიზმი", „ფანტასტიკა თუ მხატვრული ლიტერატურა" და სხვ. ის აკრიტიკებს ახალმოდურ შეხედულებებს, ინარჩუნებს იმ აზრს, რომ ნაწარმოები, რომელიც ფორმალისტურია ან შიშველ დოკუმენტალიზმზეა აგებული, ღარიბდება შეთხზულისა და ავტორის ფანტაზიის გარეშე.

ჟურნალს მუდმივად გასდევს აზრი, რომ რეალიზმისა და რეალისტური პრაქტიკის გაგება, რეალური ისტორიული მომენტის მხატვრულ სახეებში გამოკვეთა, მყარ, დასაბუთებულ თეორიულ საფუძველს საჭიროებს და მხოლოდ მარქსისტულ თეორიაში შეიძლება მოიძებნოს პასუხი იმისა, რეალისტურ მწერლობაში როგორი მოთხოვნებია მისაღები და როგორი — არა. ამ თეორიის ცხოვრებაში გატარების ნიმუშად ჟურნალი ბ. ბრეხტის,[188] ი.რ. ბეხერის შემოქმედებას მიიჩნევს. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალი ზემოთ ჩამოთვლილი მწერლებისა და მათი მიმდევრების ნაწარმოებების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს. კერძოდ, სწორედ „კიურბისკერნში" გამოქვეყნდა პირველად იოჰანეს რ. ბეხერის მანამდე უცნობი ნაწარმოებები.[189]

როგორც უკვე აღინიშნა, „კიურბისკერნის" პუბლიკაციების როლი იმ სალიტერატურო მნიშვნელობის საკითხებით განისაზღვრება, რომლებიც თემატურ საზრდოს აწვდიდა ახალი თაობის მწერლებს გფრ-ის რეალური მდგომარეობის ასასახავად, დემოკრატიულ ძალთა ზეგავლენის გაზრდის ხელშესაწყობად. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს ჟურნალ „კიურბისკერნის" დიდ საზოგადოებრივ როლზე. თუ

იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გფრ-ში დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პირობებში ბურჟუაზიული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმეტესი ნაწილი მკითხველთა დეზინფორმაციისას უკვე სირთულეებს აწყდებოდა,[190] „კიურბისკერნის“ პოზიცია სულ უფრო მყარდებოდა ლიტერატურის დანიშნულების განსაზღვრისთვის გამართულ დებატებში. მით უმეტეს, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში ლიტერატურული ნაწარმოები ისევე ეფუძნება ყიდვა-გაყიდვას, როგორიც სხვა რომელიმე პროდუქცია, რაც თანდათანობით უფრო ართულებს და დაბრკოლებას უქმნის პატარა და საშუალო გამომცემლობების არსებობას. თუმცა, განსახილველ პერიოდში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღინიშნება ტენდენცია იმ ლიტერატურაზე მოთხოვნილების გაზრდისა, რომელიც დასავლეთ გერმანიის საზოგადოებას სოციალისტური პოზიციიდან აკრიტიკებდა. ეს ტენდენცია იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ ისეთი დიდი გამომცემლობა, როგორიც ბერტელსმანია, შემოსავლებისა და პრესტიჟის ამაღლების ცდუნებას ვერ უძლებს და პროგრესული ლიტერატურის გამოცემას იწყებს.

ჟურნალ „კიურბისკერნის“ ლიტერატურული პროგრამის თეორიულ ფუნდამენტს წარმოადგენს ადამიანის, მისი „მეს“, პიროვნების წარმოჩენის კონცეფცია. ამ კონცეფციითაა გამსჭვალული ანალიტიკური სტატიები იმპერიალისტური კულტურის წარმოებაზე. ის ასევე დიდ როლს ასრულებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა ლიტერატურის ფუნქცია თანამედროვე რეაქციული შემოტევების დროს. ანალიტიკურ სტატიებში ნაჩვენებია, თუ რად აქცევს ბურჟუაზიული საზოგადოება ადამიანს და დღითიდღე რაოდენ მეტი სიმძაფრით ეწინააღმდეგება ბურჟუაზიული იდეოლოგია მუშათა კლასობრივი შეგნების ამაღლებას.[191] ეჭვს არ იწვევს, რომ ბურჟუაზია ხელს უწყობს არსებული რეალობისადმი სპონტანურად ნეგატიური კრიტიკული ცნობიერების ჩამოყალიბებას. „კიურ-

ბისკერნის“ სტატიებში მკვეთრად არის გამოყოფილი ბურჟუაზიული კულტურის მასებისათვის განკუთვნილი სტანდარტების იდეოლოგიური ფუნქცია, თანამედროვე ბურჟუაზიული სტერეოტიპის მიხედვით ადამიანები თითქოს ბუნებით არიან აგრესიულები, დეფორმირებულები, ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილები. ჟურნალი სისტემატურად უპირისპირდება ამ წარმოდგენებს და მიუთითებს, რომ სინამდვილეში ბურჟუაზიულ პროპაგანდას ძალზე სურს ისინი ასეთებად აქციოს, რათა ამ გზით უფრო იოლად შეინარჩუნოს კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისტემა.[192]

„კიურბისკერნის“ მრავალ სტატიაში მეცნიერულადაა გამოკვლეული იდეოლოგიის მანიპულაციური ფუნქცია, ნაჩვენებია მანიპულაციის მექანიზმი, რომლის პროდუქტი ბურჟუაზიის ბატონობის სტაბილურობასა და მისი იდეოლოგიის ზემოქმედების გაძლიერებას უწყობს ხელს.

ამ იდეოლოგიური შემოტევის მოსაგერიებლად, მშრომელი მასების შელახული უფლებების აღსადგენად, სოციალური და პოლიტიკური უფლებების დასაცავად გამართულ კლასობრივ ბრძოლაში, მშრომელი მოსახლეობის გამოსვლებში თანდათანობით იკვეთებოდა ტენდენცია ბურჟუაზიის არსის შეცნობისა, რომელიც თავისი ანტიჰუმანური არსით ადამიანის ცნობიერებას ამახინჯებდა და თავისი მიზნების განხორციელებას ინდივიდის დისკრედიტაციის გზით ცდილობდა. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, თუ რატომ ანიჭებდა „კიურბისკერნი“ ადამიანის არსის განსაზღვრას ასე დიდ მნიშვნელობას.

ჟურნალის ლიტერატურულ დისკუსიებში ადამიანის, პიროვნების პრობლემატიკა ვრცლად და ნათლად არის წარმოდგენილი. ადამიანში იგულისხმება მებრძოლი კლასის მსოფლმხედველობისა და ეთიკური ნორმების შერწყმა. აქვეა შეჯერებული აწმყო და მომავალი, რეალური და იდეალური, მოქმედება და იმპულსი. დისკუსიებში ხშირად დგება საკითხი

ახალი პიროვნების ჩამოყალიბების თაობაზე, იმაზე, რომ სწორედ აქტიურად მოქმედ ფიგურათა გამოხატვა წარმოადგენს ლიტერატურის ფუნქციის არსებით მხარეს.[193] იმ წლებში გამართული დისკუსიები ადამიანის პრობლემატიკაზე ლიტერატურის ფუნქციის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა. დისკუსიების მსვლელობის დროს ვლინდებოდა კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და რეალისტური ლიტერატურის ჩამოყალიბების ურთიერთმიმართების უწყვეტი კავშირი, რაზეც იმ პერიოდის ლიტერატურის ახალი ნიმუშები მეტყველებს.

რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, გარშემო დისკუსიებზე იკვეთებოდა ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისი, რომელიც იყოფოდა — ელიტარულ ხელოვნებად, ხოლო მასებისათვის ერზაც-ხელოვნებად. ჟურნალის აზრით, ასეთი დაყოფა შეუძლებელს ხდიდა მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით იმ ობიექტური მოთხოვნილებების უზრუნველყოფას და დაკმაყოფილებას, რაც ცხოვრებაში არსებული რთული პროცესების სწორად აღქმას ითვალისწინებდა.[194]

თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ჟურნალი არცთუ იშვიათად გამოთქვამს პოლემიკურ შენიშვნებს მოკლე ოპერატიული ჟანრების გავრცელებისა და შინაარსის დოკუმენტურობის მოჭარბების გამო, თუმცა ეს როდი ნიშნავდა, რომ რედაქცია ლიტერატურული ჟანრების მრავალფეროვნების წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი მწერლებს მოუწოდებდა მხატვრული გამოსახვითი ფორმების სრულყოფას და ხელოვნების ყველა ჟანრის ისეთ ასპექტში წარმოდგენას, რომელიც ფორმითაც უფრო მისაწვდომი გახდებოდა ხალხისათვის. სწორედ ოპერატიული ლიტერატურული ჟანრების სიჭარბემ, რომელმაც 60-იან წლებში ჰოვა განსაკუთრებული განვითარება, შეუწყო ხელი სინამდვილესთან რეალური კონტაქტის დამყარებას, პირობები შექმნა, რომ ხელახლა დასმულიყო და

გადაწყვეტილიყო კლასობრივ ბრძოლაში ლიტერატურის ფუნქციის საკითხი.

60-70-იანი წლების ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეობას დოკუმენტალისტიკა წარმოადგენს. ასეთი სახის ლიტერატურის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ პერიოდის წამყვან პუბლიცისტებს — გ. ვალრაფს, ე. რუნგეს, ე.ა. რაუტერს, ბ. ენგელმანს. იჩენს რა დიდ ინტერესს მათი ნაწარმოებების მიმართ, „კიურბისკერნი" ამ ავტორთა მოღვაწეობას ფართო პროპაგანდას უწევს. დასახელებულ პუბლიცისტებს შორის ჟურნალი განსაკუთრებით გამოყოფს ვალრაფის რეპორტაჟებს. ჟურნალის უმაღლეს შეფასებას იმსახურებს არა მარტო ავტორის შემოქმედება, არამედ მისი მოქალაქეობრივი მრწამსი და სიმამაცე.

დასავლეთ გერმანიაში ანტირეალისტური და ანტიკომუნისტური ხელოვნების პრინციპებით ნასაზრდოები კრიტიკული გამოხმაურების მიუხედავად, ჟურნალი პირველივე დისკუსიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში ლიტერატურა ვითარდება და ყურადღებას ამახვილებს რეალიზმის დიდ შესაძლებლობებსა და აუცილებლობაზე. თუმცა, მრავალგზის გამართული ლიტერატურული დისკუსიების შედეგად მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში ახერხებს „კიურბისკერნი" ლიტერატურის, როგორც სოციალური მოვლენის, ჭეშმარიტი არსის დადგენას. ავტორ-რეალისტზე მსჯელობისას, ჟურნალი მიიჩნევს, რომ ნაწარმოებში ავტორმა საზოგადოების იმ ფენის კლასობრივი შეგნება უნდა წარმოაჩინოს, რომლის შეხედულებებსაც თავად გამოხატავს.[195]

დემოკრატიული კულტურის, საკუთარი იდეების გავრცელებისა და კლასობრივი შეგნების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში „კიურბისკერნის" რედაქცია მუდმივად ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებაშია. მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ლიტერატურული პროცე-

სის განვითარებას. იგი გვევლინება შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზატორად, რომლებზეც განიხილებოდა თანამედროვე ლიტერატურის საჭირბოროტო საკითხები.

ამ მხრივ, ჟურნალში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუბრიკა — „მრგვალი მაგიდა“ („Literatur im Gespräch“),[196] რომელიც მას სხვა ლიტერატურული ჟურნალებისაგან ფრიად განასხვავებს. „კიურბისკერნის“ რედაქცია ან მისი ავტორები შეხვედრას აწყობენ სხვადასხვა მწერლებთან, ახალგაზრდა ლიტერატორებთან, საუბარი თუ პოლემიკა იმართება თანამედროვე ლიტერატურაზე და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. საუბრის თემებია: სოციალისტური ლიტერატურა, რეალიზმი, ფანტასტიკა თუ მხატვრული ლიტერატურა, „აგიტპროპ“ ლიტერატურის დანიშნულება, როგორ უნდა აისახოს სინამდვილე და მოხდეს მასების პოლიტიკური განათლება, ახალგაზრდობის მოზიდვა ლიტერატურაში და ა.შ. ასეთი დისკუსიები, მართალია, ზოგად ხასიათს ატარებს, მაგრამ ლიტერატურის არსში ჩასაწვდომად ფრიად მნიშვნელოვანია მკითხველი საზოგადოებისათვის. თუმცა ზოგ შემთხვევაში, თუნდაც სოციალისტურ რეალიზმზე მსჯელობის დროს, რედაქციის მხრივ საკუთარი შეხედულებების თავსმოხვევის მცდელობა, საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომაც შეინიშნება, რაც რედაქციის მრწამსთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე მის აკვიატებულ იდეებთან.

ამრიგად, ლიტერატურულ დისკუსიებში ბჭობენ მწერლობაში სწორი მარქსისტული მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, ავტორის პოზიციასა და ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებაზე, მის ეფექტურობაზე მკითხველი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მუშა-ახალგაზრდობის, კლასობრივი შეგნების ამაღლებისათვის.

ქვეყანაში პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფრონტაციის ფონზე, რომელიც უკავშირდება ბურჟუაზიული მედი-

ის მცდელობას — გახლიჩოს, დააქუცმაცოს მემარცხენეები — მსჯელობის საგნად იქცევა, რამდენადაა შესაძლებელი ლიტერატურული კრიტიკის პოლიტიკასთან შეფარდება.

ჟურნალში დადებით და ჯანსაღ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ განსხვავებული თვალსაზრისის პუბლიკაციებში მარქსისტები კი არ გაურბიან კრიტიკას „შიგნიდან", არამედ დისკუსიების გამართვით, თუნდაც საპირისპირო აზრების სამსჯავროზე გამოტანით მკითხველს საშუალებას აძლევენ, უფრო ღრმად ჩასწვდეს საქმის არსს და საბოლოო დასკვნებიც თავადვე გამოიტანოს. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული კრიტიკა ცალმხრივია და მხოლოდ მათ წინააღმდეგაა მიმართული.

ერთ-ერთი ასეთი დისკუსიის მნიშვნელოვან მომენტად იქცა ლიტერატურის პარტიულობის თემა, დაისვა კითხვა, თუ როგორ ესმის კერძოდ ფრანც ქსავერ კრიოცს[197] პარტიულობა, რატომ შევიდა ის კომუნისტურ პარტიაში. კრიოცმა პასუხად განაცხადა, რომ პარტიის წევრი გახდა არა იმიტომ, რომ ის უკვე მარქსიზმის თეორეტიკოსი იყო, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ პარტიასთან ერთად უფრო ნათლად დასახავდა პოლიტიკური ცვლილებების გზებს და თეორიასაც უფრო ღრმად დაეუფლებოდა. და კიდევ მთავარი, რაც ამ შეხვედრებზე გამოიკვეთა, ის არის, რომ ამ პრობლემიდან გამოსავალი არც მარტო საზოგადოებრივი წყობის შეცვლაა. საშიშროება სწორედ იმაშია, რომ შეიძლება წყობა შეიცვალოს, როგორც ეს ისტორიულად კიდეც დამტკიცებულა — მონობა — ფეოდალიზმით, ფეოდალიზმი — კაპიტალიზმით, კაპიტალიზმი — სოციალიზმით, მაგრამ ის ცხოველური ინსტინქტები, რაც ადამიანში ძევს, საუბედუროდ, ისევ რჩება. ამგვარად, წყობის შეცვლით, შესაძლოა, არც არაფერი შეიცვალოს.[198]

აქედან გამომდინარე, „კიურბისკერნის" ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ნაწარმოებში ასახული ადამიანური

დამოკიდებულებისა და ურთიერთობების სიღრმისეულ წვდომაზე, იმაზე, რამაც ადამიანი ცხოველად აქცია, და არა საზოგადოების შეცვლა-არშეცვლაზე. ადამიანში ცხოველურის აღმოფხვრის მცდელობა და მასში ადამიანური შეგნების გაღვივება — აი, რა უნდა მოჰქონდეს ნაწარმოებს.[199]

ეს რაც შეეხება სოციალურ სფეროს, ხოლო „კიურბისკერნის“ პოლიტიკური თვალსაწიერი თანმხვედრია გკპ-ს პოლიტიკისა კულტურის დარგში. მარქსისტული პარტიის — გკპ-ის ლეგალიზებით, როდესაც ფედერაციულ რესპუბლიკაში დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალთა მომწიფების პროცესი იკიდებს ფეხს, ჟურნალის ფურცლებზე ვრცლად იშლება იდეოლოგიური მუშაობა. უკვე საწყის ეტაპზე სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობის პარტიული მუშაობის ჩარჩოებში მოქცევა „კიურბისკერნის“ კომუნისტი მწერლების სალიტერატურო-ჟურნალისტური მოღვაწეობის ქვაკუთხედად იქცევა. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დემონსტრაციაში, თათბირზე, დისკუსიაში, ავრცელებენ კომუნისტურ გაზეთს, არიგებენ ფურცლებს. ყოველდღიურ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება მათი ლიტერატურული და ჟურნალისტური მოღვაწეობის უპირველესი მოთხოვნილება და წამყვანი კომპონენტი ხდება: „იმისათვის, რომ მწერალი-კომუნისტი გახდე, საჭიროა, მთელი ცხოვრება, შეძლებისდაგვარად, მიუძღვნა ლიტერატურას“,[200] აღნიშნავს მიმდინარე პოლიტიკური მუშაობის აქტიური მონაწილე, მწერალი-კომუნისტი პეტერ შიუტი.

იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში მწერალი-კომუნისტები სინამდვილის წარმოსაჩენად სხვადასხვა ფორმას მიმართავენ. ისინი გამოდიან ყველგან, სადაც კი საშუალება ეძლევათ, წარსდგნენ მშრომელი ადამიანების აუდიტორიის წინაშე და თავიანთი ნაწარმოებები გააცნონ დაინტერესებულ მსმენელთ. ამასთან ერთად მუშავდება ლიტერატურული მუშაობის სხვა-

დასხვა მეთოდი. ლიტერატურული განვითარების პროცესში მკვიდრდება მსუბუქი, ოპერატიული ჟანრები, ვითარდება მასობრივი კულტურული ფორმები, კერძოდ „ზონგი“[201] და ბიძგი ეძლევა სხვადასხვა არაპროფესიული თეატრალური ჯგუფების ამოქმედებას.

იდეოლოგიური მიზნით იქმნება ქუჩის თეატრები, რომლებიც საიგიტაციო პროპაგანდას ეწევიან და თანდათანობით მიზანდასახულ პარტიულ ხასიათს იძენენ. ფედერაციულ გერმანიაში პეტერ შიუტის ხელმძღვანელობით მოწყობილი ტურნეს დროს მისი „აგიტპროპთეატრის“ ყოველი გამოსვლის შემდეგ დისკუსიები იმართება. გამოსვლის ტექსტები დროდადრო იცვლება და უფრო მწვავე, კონკრეტული და აქტუალური ხდება. მხატვრული მასობრივი მუშაობის ქმედით ხერხად იქცევა ტექსტისა და სიმღერის შერწყმა ე.წ. „ზონგჯგუფების“ სახით. ამ დროს ტექსტი პრევალირებს მუსიკაზე, რადგან მას მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ამგვარი სინთეზით განსაკუთრებით ეფექტურად ზემოქმედებდნენ მსმენელზე. პოლიტიკური სიმღერის ჟანრში შემსრულებლად სულ უფრო ხშირად ჩნდებიან შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი მონაწილეობას იღებენ ანტისაომარ მოძრაობაში, პროტესტს გამოთქვამენ ნებისმიერი ფორმის რეაქციის წინააღმდეგ, აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის. ინტელიგენციის წარმომადგენლები წარმატებით გამოდიან როგორც ქუჩაში, კრებებზე, ასევე საამქროებში მუშათა აუდიტორიის წინაშე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ცნობილი მწერლები — მომღერალი და კომპოზიტორი ფრანც იოზეფ დეგენჰარდტი და დიტერ ზიუვერკრიუპი, რომელთა გამოსვლა სიმღერისა და პოლიტიკური ლირიკის შერწყმით ხასიათდება. მათთვის სიმღერა გფრ-ის თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი გამოვლინებების წინააღმდეგ მიმართული იარაღია ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენაზე საკუთარი თვალსაზრისის გამოსახატავად. თავდაპირველად ისინი მილიტარიზმის განახ-

ლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, შემდეგ მონაწილეობას იღებდნენ სააღდგომო მარშებში ატომური იარაღის წინააღმდეგ, ასევე აშშ-ს აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში და სხვა მრავალ აქციაში. ფ.ი. დეგენჰარდტი, დ. ზიუვერკრიუპი, პ. შიუტი და სხვები გფრ-ის მშრომელ მოსახლეობას ახალ ძალებს შთაბერავდნენ, უნერგავდნენ მხნეობასა და შემართავდნენ საკუთარი უფლებების დასაცავად.

ჟურნალ „კიურბისკერნი“ „აგიტპროპის ლიტერატურას“ დამსახურებად უთვლის სწორედ პოლიტიკურ აქციასთან მის უშუალო სიახლოვეს. რედაქციის აზრით, ასეთი ლიტერატურის თემატიკა გაბედულად უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უკავშირდება. მსგავსი გამოსვლების დედააზრი და ხასიათი საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლაში მდგომარეობს. ამავე დროს მსგავსი გამოსვლების წყალობით, ლიტერატურის ხანგრძლივი პროპაგანდის გზით იზრდება ფართო მასების ინტერესი წიგნებისა და პუბლიკაციების მიმართ, რაც იწვევს დისკუსიებისადმი მიდრეკილი ხალხის რიცხვის ზრდას და კულტურულ-შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებას.

„აგიტპროპის“ უმთავრეს დამსახურებად ჟურნალი „კიურბისკერნი“ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „აგიტპროპი“ ბურჟუაზიული საკომუნიკაციო საშუალებების გვერდის ავლით აყენებდა საზოგადოებრივი ცვლილებების საკითხს და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებას ემსახურებოდა.

მწერლის მგზნებარე სიტყვა უნდა ემსახურებოდეს მშვიდობას, სიმართლეს, სამართლიანობას, სიკეთეს[202] — ასე ესმის თავისი მისია „კიურბისკერნის“ რედაქციას.

„კიურბისკერნის“, როგორც ლიტერატურული ჟურნალის, მოღვაწეობის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღის სინათლეზე გამოსული ჟურნალის 90 ნომერი თითქმის სრულად მოიცავს გერმანიის ლიტერატურულ პროცესებს, რაც ცალკე კვლევის საგანია. მასში ასახულია გერ-

მანიის ლიტერატურის განვითარების ტენდენციები, დაწყებული 20-30-იანი წლების პროლეტარულ-რევოლუციური თუ ფაშიზმისდროინდელი მწერლობით. ჟურნალი მოქმედებდა ბრეხტის დემოკრატიის, მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების ლოზუნგებით. მთლიანობაში მისი ეგიდით, რომელიც დიდხანს იგნორირებული იყო დასავლეთ გერმანიაში.

„კიურბისკერნი“ გულისყურით ადევნებს თვალს ომისშემდგომ გერმანულ ლიტერატურას, პერიოდების მიხედვით მიმოიხილავს „ჯგუფი-47“-ის, „ჯგუფი-61“-ის, 70-იანი წლების ლიტერატურული წრეებისა თუ „კიოლნის სკოლა – ახალი რეალიზმის“ მწერლების შემოქმედებას, ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ ე.წ. „შინაგან ემიგრაციაში“ თუ სხვადასხვა ქვეყნებში ემიგრირებული მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჟურნალი უხვად ათავსებს ახალბედა ავტორების ნაწარმოებებს და ამით მათ გზას უკაფავს მკითხველისაკენ. ნაწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა გაუსაძლისი, სავალალო მდგომარეობის წარმოსაჩენად ჟურნალის რედაქცია თვით მუშებს მოუწოდებს თავიანთ სამუშაო ადგილებზე არსებული მდგომარეობისა და პირობების აღწერისაკენ. პროპაგანდას უწევს ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენას. საკმარისია დავასახელოთ ყოფილი მუშის – მაქს ფონ დერ გრიუნის, შემდეგში ცნობილი მწერლის მაგალითი.

მართალია, ხშირ შემთხვევაში, მუშა-ავტორთა ნაწარმოებები მაღალი მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მაგრამ ახალგაზრდობის ჟურნალში მიზიდვითა და მათი შემოქმედებითად დასაქმებით „კიურბისკერნი“ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს.

ჟურნალის ფურცლებზე ბოლო წლებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ლიტერატურული ნაწარმოებები – მოთხრობები, ესეები თუ ნაწყვეტები რომანებიდან. უფრო გამოკვეთილ სახეს იძენს ლიტერატურული კრიტიკაც. უაღრესად საინტერესო ლიტერატურული რეცენზიები წონას მა-

ტებს ჟურნალს. რედაქციის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ერთი თანამედროვე გერმანელი მწერლის ღირებული ნაწარმოები. ალბათ, ამიტომაცაა „კიურბისკერნი“ ასე ალიარებული გფრ-ში გამოცემული ლიტერატურის ისტორიის ყველა გამოკვლევასა თუ კრიტიკაში.

ჟურნალ „კიურბისკერნში“ მუშავდება ლიტერატურის თეორიის, ხელოვნების, მუსიკის, კინოსა და ტელევიზიის, ერთი სიტყვით, კულტურის სფეროს ნებისმიერი საკითხები და განიხილება მათი კავშირები პოლიტიკასთან, კლასობრივ ბრძოლასთან. ჟურნალის მიერ წამოყენებული პრობლემები კულტურული ცხოვრებისა და კულტურული მუშაობის მთელ რიგ ასპექტებს მოიცავს.

მთლიანობაში, „კიურბისკერნის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალფეროვანი მასალა სრულ და ობიექტურ წარმოდგენას იძლევა ჟურნალის პოზიციის შესახებ, თუმცა ჟურნალის მოღვაწეობის სავსებით უკრიტიკოდ მიღება შეცდომა იქნებოდა. ზოგჯერ მას ღალატობს შორსმჭვრეტელობა და უჭირს მოსალოდნელი ისტორიული ძვრების გათვლა. მაგალითად, თუ ენცენსბერგერი უკვე 1971 წ. წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის დაშლას, „კიურბისკერნის“ რედაქციამ მხოლოდ 1985 წლის პირველი ნომრის სარედაქციო წერილში მოახერხა, ისიც ორჭოფულად, კითხვის დასმა: „განა საბჭოთა კავშირს შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ სოციალიზმი ურყევია და ისტორიას ჯერ არ ახსოვს უკანდახევა?“ მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცდარი მოსაზრებებისა თუ აშკარა შეცდომების მიუხედავად, ამ ჟურნალმა უზარმაზარი როლი შეასრულა გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მის კულტურულ განვითარებაში. საგანგებო ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ „კიურბისკერნი“ 80-იან წლებში არსებობის ბოლო დღემდე ძალზე აქტიურად წარმართავდა თავის საქმიანობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. ჟურნალის რედაქცია ყო-

ველთვის გამოკვეთილ ჟურნალისტურ პოზიციას და მოქალაქეობრივ მრწამსს ავლენდა ყველაზე აქტუალური საერთაშორისო პრობლემების მიმართ. იგი მსოფლიოს ქვეყნებს განიარაღებისაკენ, ბირთვული იარაღის აკრძალვისაკენ მოუწოდებდა, მტკიცე სოლიდარობას უცხადებდა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობას. ჟურნალი „კიურბისკერნი" მოღვაწეობის ბოლო პერიოდში მთლიანად მსოფლიოს ხალხების მშვიდობიან თანაარსებობასა და დამოკრატიული მონაპოვრების დაცვას ემსახურებოდა.

როგორც „კურსბუხი", ასევე „კიურბისკერნი" ქვეყანაში რადიკალურად შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნაყოფია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში მწერლების ჩანაცვლება ხდება პუბლიცისტიკაში და კალმოსანთა, ასევე ხელოვნების სფეროში მომუშავე პირთა უმრავლესობა ჟურნალების გარშემო ერთიანდება, გასაგები ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ჟურნალებით ფართო საზოგადოების დაინტერესება.

ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები ორივე ჟურნალს, როგორც ყველაზე ინტელექტუალურ ორგანოებს, ხშირად ერთმანეთს ადარებენ: „კურსბუხი", ისევე როგორც „კიურბისკერნი", დასავლეთ გერმანიის „კულტურულ და პოლიტიკურ დისკუსიათა ფორუმად"[203] იწოდებოდა. ასევე ერთად მოიხსენიება ორივე ჟურნალი მიუნხენელი კრიტიკოსის ფიურსტ იოახიმ კაიზერის მიერ: „კიურბისკერნმა", ენცენსბერგერის მემარცხენეთა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალთან ერთად მალე მოიპოვა სახელი" და აქვე ჟურნალს უქებს „საკუთარ სტილსა" და „ინტელექტუალურ დონეს".[204]

გავლენიანი რეაქციული წრეების მიერ შექმნილი დაბრკოლებების მიუხედავად, დასავლეთ გერმანიაში ძალას იკრებს პროგრესული, დემოკრატიული ტენდენციები, გარდატეხა ხდება ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში, იწყება დაუცველი

ფენისა და სტუდენტობის გამოსვლები „ისტებლიშმენტის“ წინააღმდეგ. გფრ-ის კულტურული ცხოვრების არენაზე გამოდიან „ახალი მემარცხენეები“. საღად მოაზროვნე მწერალთა და ჟურნალისტთა შორის სულ უფრო ძლიერდება ინტერესი სოციალური და პოლიტიკური სინამდვილისადმი. ამ პერიოდის ლიტერატურა ხასიათდება თანამედროვეობის პრობლემებზე ყურადღების კონცენტრაციით, კაპიტალისტური სისტემის კრიტიკით. აქედან გამომდინარე, ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველად წამოაყენეს არსებული სისტემის საწინააღმდეგო მოთხოვნები, ლიტერატორების მიერ პირველად იქნა შეცნობილი, გააზრებული და ჟურნალების ფურცლებზე გამოტანილი არსებული ვითარების შეცვლის პერსპექტივის იდეა, რაც დროის შესაბამის ნოვატორულ პოზიციას გამოხატავდა.

ჟურნალები, რომელთა გარშემოც დაირაზმა ქვეყნის მთელი ოპოზიციური ძალები, რიგი საკითხებისა და მოვლენებისადმი განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, ასახვენ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს და არსებული მოვლენების კრიტიკულ განხილვას იწყებენ.

მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, ჟურნალებს ერთმანეთისაგან არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს.

„კურსბუხის“ პირველი თემებია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ფრანკფურტში მიმდინარე ოსვენციმის პროცესები. ჟურნალი „ახალ მემარცხენეთა“ მოძრაობის პლაცდარმს წარმოადგენს და რეალობის კრიტიკულად, მიუკერძოებლად ასახვასთან ერთად გამოსავალს მესამე გზაში ეძებს.

„კიურბისკერნი“ კი ისტორიის თვალსაზრისით გადამწყვეტ პოლიტიკურ საკითხებს თანამიმდევრულად სვამს და პრაქტიკულ გამოსავალს ეძებს. ჟურნალების დაარსების პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დემოკრატების წინაშე იდგა, ვიეტნამის ომია. დასავლეთ გერმანიის გა-

მოჩენილი მწერლები — კარლ ამერი, ჰაინრიხ ბიოლი, გიუნთერ ანდერსი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, ერიხ ფრიდი, ვალტერ იენსი, უვე ჯონსონი, მარტინ ვალზერი, პეტერ ვაისი და მრავალი სხვა, ამერიკას ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ.

ომმა, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმმა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ გააჩაღა და რომლის თანამონაწილედ გფრ-ის მთავრობაც ითვლებოდა, მრავალი ავტორი ჩააფიქრა და კაპიტალიზმის პირობებში თავისუფლებისა და დემოკრატიის არსებობაში ეჭვი შეატანინა, რაც მომდევნო წლებში საბოლოოდ ილუზიად იქნა შერაცხილი. მით უმეტეს, რომ 1962-65 წლებში გფრ-ში გამართული ოსვენციმის პროცესების დროს ბურჟუაზიულ მედიაში ფაშიზმი და ნაცისტური დანაშაულებანი შუქდებოდა როგორც ჩინოვნიკების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ასე იყო ფაშიზმი დანახული და ამიტომაც ლიტერატურულ დისკუსიებზე არ ცხრებოდა მძაფრი მსჯელობა ვიეტნამის ომსა და წარსული თუ თანამედროვე ფაშიზმის გამოვლენის ფორმების გარშემო. თვით „აქცენტეც“[205], რომელიც აქამდე ავტონომიას ინარჩუნებდა და დუმილს ამჯობინებდა, პოლიტიკური ლირიკისა და დოკუმენტური თეატრის შესახებ გამართულ დისკუსიებში ებმება.

ლიტერატურის პოლიტიზაციის პროცესის დასაბამიდან მრავლად იწერება პოლიტიკური ლექსები ვიეტნამზე, ფაშიზმზე და სხვ. პეტერ ვაისი ქმნის სასცენო დოკუმენტაციას — „გამოძიება“; გიუნტერ ვალრაფი სრულიად ახალი ხერხებით ცდილობს დასავლეთ გერმანიის სინამდვილის გამომზეურებას — იძიებს, იკვლევს და წარმოაჩენს კიდეც გვიანი კაპიტალიზმის წარმოების სფეროებში არსებულ სოციალურ დაპირისპირებებს.

დასავლეთ გერმანიის მრეწველობაში დაწყებულმა გაფიცვებმა, რურის აუზსა და რაინზე მემადაროელთა დაღუპ-

ვამ თვალნათლივი გახადა, რომ „კლასთა ბრძოლა არ დამთავრებულა“, რაც კიდევ უფრო მეტად ამკაცრებდა მმართველი წრეების მხრიდან გატარებულ აღმკვეთ ღონისძიებებს, ხელს უწყობდა საგანგებო კანონების ამოქმედებას, დემოკრატიული და სოციალური მონაპოვრების ყოველმხრივ ხელყოფას. ყოველივე ამან კი მემარცხენე ინტელიგენცია (როგორც მათ მემარჯვენეები უწოდებდნენ) იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს საზოგადოება კრიზისებისაგან დაუზღვეველია.

შინაგანი და გარეგანი კრიზისების სიმპტომთა გამწვავებამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტელიგენციის პოზიციაზეც იქონია გავლენა. ისტორიული საკითხების მიმართ განსხვავებულმა თვალთახედვამ მემარცხენეებსა და მათ ჟურნალებშიც პოვა გამოხატულება. მთლიანობაში კი ორი ჟურნალის ერთდროული დაარსება თავისთავად მეტყველებს დასავლეთ გერმანიაში ინტელიგენციის შეხედულებათა დიფერენციაციაზე. პოლიტიკურ დისკუსიებზე მწერლები — პეტერ ვაისი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, გიუნთერ გრასი, მარტინ ვალზერი და სხვები — საჯაროდ პაექრობენ მწერლის „ანგაჟემენტზე“,[206] სოციალისტური ბანაკისადმი დამოკიდებულებაზე, სტუდენტურ დემონსტრაციებზე და სხვ. პეტერ ვაისისაგან განსხვავებით ენცენსბერგერი, მართალია, ვერ ურიგდება მსოფლიოში გამეფებულ სოციალურ დისპროპორციასა და ექსპლუატაციას, მაგრამ თანამედროვე ინტერნაციონალური პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ საყრდენად სოციალიზმს არ მიიჩნევს. ის არ ემხრობა რომელიმე რეალურად არსებულ ისტორიულ ძალას. პეტერ ვაისის პოზიციას კი თანამედროვე ძალთა თანაფარდობის სრულიად სხვაგვარი შეფასება უდევს საფუძვლად. ის არსებული კონფლიქტების გადაწყვეტას მხოლოდ სოციალიზმში ხედავს და ჩაგრული ქვეყნების გათავისუფლების გზად ერთადერთი პოლიტიკური ფორმაცია — სოციალიზმი ესახება.[207] ენცენსბერგერი თავისუფლების სიმბოლოდ სოციალიზმის აღიარებას

გმირულ ილუზიად მიიჩნევდა და თავიდანვე წინასწარმეტყველებდა, რომ ადრე თუ გვიან ეს მრწამსი იმედგაცრუებაში გადაიზრდებოდა.

გ. გრასის პოზიცია მჭიდროდ უკავშირდებოდა გერმანიის სოციალისტურ პარტიას, ის სწორედ ამ პარტიის საარჩევნო კამპანიაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. გრასი ერთ-ერთი იმათგანია,[208] რომელმაც 1965 წლის დეკემბრის „ვიეტნამის რეზოლუციას" ხელი არ მოაწერა. მართალია, მისთვის ისევე როგორც სხვა მწერლებისათვის, ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა საზოგადოებისა და პოლიტიკური რეალობისადმი გამოკვეთილი პოზიციის დაკავება, მაგრამ ამავე დროს გლობალური პრობლემის გადაწყვეტას საზოგადოების არც ერთ ფენას არ უკავშირებდა და საერთოდ, მისი შემოქმედება, როგორც ამბობენ, ბურუსითაა მოცული. ბევრს მიაჩნია, რომ გრასი საკუთარ თვალსაზრისს კი არ აფიქსირებს, არამედ ფუჭ რიტორიკაში იძირება.[209]

მარტინ ვალზერი თავის სტატიებში ორივე ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძირეულ საკითხებს უტრიალებს. ის აანალიზებს ენცენსბერგერსა და ვაისს შორის დაპირისპირების საფუძველს, ასევე გრასის განდგომის მიზეზებს და საკუთარ დასკვნებს გვთავაზობს.

წინააღმდეგობამ თვით „კიურბისკერნის" რედაქციაშიც შეაღწია. საქმე ეხებოდა ბუნდესტაგის არჩევნებში მონაწილეობასა და ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციას. ჟურნალის გამომცემლებს შორის ურთიერთდაპირისპირება კარსუნკესა და ქრისტიან გაისლერის გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ჟურნალის ფურცლებზე ინტერვენციის შესახებ მასალა სადისკუსიოდ უნდა გამოეტანათ. ეს იყო „კიურბისკერნის" პირველი სერიოზული მარცხი, რადგან საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების ძალადობის მიმართ ჟურნალის თავშეკავებული პოზიცია საზოგადოებისათვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტები-

სა და საბჭოთა კავშირის მიმართ დამოკიდებულების სწორი გეზით წარმართვას ჟურნალი „კიურბისკერნი“ მომდევნო წლებში გარკვეულწილად შეეცადა და საბჭოთა მონაპოვრების პროპაგანდასთან ერთად არაერთგზის დაუთმო საკმაო ადგილი საპირისპირო მოსაზრებებსაც, კრიტიკის გაჟღერებით.

თავიდან კი, როგორც ჩანს, რედაქციისათვის მიუღებელი იყო საბჭოთა სისტემაში ნაკლოვანებების ძიება და წამოტივტივება. მით უფრო, რომ ჟურნალი ახალდაარსებული გერმანიის კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, ხოლო ჟურნალის ერთ-ერთი გამომცემელი — ჰანეს შტუცი გკპ-ს დამფუძნებელთა წევრი იყო. ვინაიდან იმ დროისათვის განსხვავებულ აზრს არსებობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, რედაქცია ჯერ გაისლერმა დატოვა, ხოლო შემდეგ მას კარსუნკემაც მიჰბაძა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი, როგორც ავტორები, ისევ უბრუნდებიან „კიურბისკერნს“.

ეს განხეთქილება, რა თქმა უნდა, არ გამორჩენია „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგს“ და 1968 წლის 19 ნოემბრის №270-ში კიდევაც გამოეხმაურა სტატიით — „კიურბისკერნი“, სადაც მთლიანობაში დადებითადაა ჟურნალი შეფასებული, თუმცა შემპარავი კრიტიკულ-სატირული ტონი მაინც შეინიშნება. „მან (იგულისხმება „კიურბისკერნი“ — რ.დ.) თავი დამოუკიდებელ მემარცხენეთა ორგანოდ გამოაცხადა და გაბედული გამოსვლებით პირველი ნომრებიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, რითაც შეძლო ერთგულ ახალგაზრდა მკითხველთა მყარი ჯგუფის შეძენა“, — ასკვნის სტატიის ავტორი და აქვე „კიურბისკერნს“ საერთო — გერმანულ ჟურნალ „ზინ უნდ ფორმს“[210] ადარებს, ვინაიდან მასში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გერმანიის ავტორთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა, რაც მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში არც ისე იოლი მოსახერხებელი იყო. მაგ-

რამ რედაქციაში არსებულ განხეთქილებაზე საუბრისას გაზეთის ავტორი ირონიული, გამკენწლავი ტონით აცხადებს, რომ „კიურბისკერნი“ კარსუნკეს დაკარგვით შტუტცს თუ არა, შტიუცეს მაინც დაკარგავსო“.[211] ე.ი. მიანიშნებს მკითხველს, რომ პირველი სარედაქციო დაპირისპირება სერიოზული ფაქტის მიჩქმალვას მოჰყვა.

სამაგიეროდ „კურსბუხი“ არა მარტო 1968 წლის ნომრებს უძღვნის სტუდენტურ მოძრაობებს, არამედ შემდეგაც განავრცობს ამ თემას და უკვე აშკარად ამჟღავნებს საბჭოთა კავშირისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, პირუთვნელად აშუქებს სოციალისტურ ქვეყნებში არსებულ კონფლიქტებსა და პრობლემებს. მაგრამ ორივე ჟურნალი მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით როდი შემოიფარგლებოდა, საგულდაგულო განხილვის საგანი ხდება ლიტერატურის საკითხებიც.

როცა ენცენსბერგერი და მთლიანობაში „კურსბუხი“ ლიტერატურას უარყოფდა და საზოგადოებას „გერმანიის პოლიტიკის ანაბანას“ შესწავლისაკენ მოუწოდებდა, ჟურნალი „კიურბისკერნი“ სრულად ასახავდა დასავლეთ გერმანიის ლიტერატურის განვითარების პროცესებს და ყურადღებას ამახვილებდა ლიტერატურის როგორც თეორიულ ასპექტზე, ასევე თანამედროვე მხატვრული ნაწარმოებების ავკარგიანობაზე.

მიუხედავად განმასხვავებელი ნიშნებისა, ეს ორი გამოცემა იდეურად არასდროს დაპირისპირებია ერთმანეთს. აღნიშნული ჟურნალები ერთმანეთს ავსებდა და ერთ მთელს წარმოადგენდა, რისი დასტურიცაა სოციალ-პოლიტიკური მოვლენებისადმი მათი დამოკიდებულება, საერთო ავტორები და მთლიანობაში ის თემატიკა და პრობლემები, რომლის დაძლევასაც ჟურნალები ასე თავგამოდებით ემსახურებოდნენ.

ჟურნალების ინტერესთა არეალის განსაზღვრას გაცილებით აიოლებს საგანგებო თემატიზაციის ხერხი, ანუ თემატური ნომრების არსებობა. „კურსბუხი“ თემატურ კლასიფი-

კაცის იწყებს 1968 წლიდან, ხოლო „კიურბისკერნი“ – ძირითადად 1971 წლიდან. 1968 წლიდან „კურსბუხის“ თემებია: „რევოლუცია ლათინურ ამერიკაში“ (1968-11); „გაურკვეველი საგანგებო მდგომარეობა“ (1968-13); „სტუდენტობა და ძალაუფლება“ (1968-13); „მომავლის კრიტიკა“ (1968-14); „ლიტერატურა, კულტურის რევოლუცია“ (1968-15); „კულტურის რევოლუცია“ (1968-16); „ქალი, ოჯახი, საზოგადოება“ (1969-17); „კუბა“ (1968-18); „ანარქიზმის კრიტიკა“ (1969-19); „ესთეტიკური საკითხების გარშემო“ (1970-20); „კაპიტალიზმი გფრ-ში“ (1970-21); „მდგომარეობა ჩრდილოეთ ამერიკაში“ (1970-22); „სოციალიზმზე გადასვლა“ (1971-23); „პოლიტიზაცია: კრიტიკა და თვითკრიტიკა“ (1971-25); „კლასთა ბრძოლები იტალიაში“ (1971-26); „ფსიქიკის გასაჭირი“ (1972-28); „სოციალიზმი, როგორც სახელმწიფო ძალაუფლება“ (1972-30); „სახელმწიფო ძალა და რეფორმიზმი“ (1973-31); „წამების ფაქტები გფრ-ში. პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა“ (1973-32); „ეკოლოგია და პოლიტიკა, ანუ ინდუსტრიალიზაციის მომავალი“ (1973-33). გარდა ამისა, იბეჭდება თემატური ნომრები, რომლებიც ეძღვნება ბავშვებს, სწავლის სისტემას, სატრანსპორტო მიმოსვლას, ბურჟუაზიას, ფულსა თუ დაქირავებული შრომის საკითხებს, ყოველდღიურობას და ა.შ.

„კიურბისკერნი“ 1970 წლის მე-4 ნომრიდან სთავაზობს მკითხველს პირველ თემატურ ნომერს საერთო სათაურით – „ფუტუროლოგია. ვინ გეგმავს მას და ვისთვის?“ მომდევნო თემებია: „ქალთა ემანსიპაცია“ (1971-1); „ახალი თაობა – ძველი წყობა“ (1971-2); „ტელევიზია“ (1971-3); „სპორტი-ოლიმპიადა“ (1971-4), „წერა – რისი, როგორ, ვისთვის?“ (1972-1); „თავისუფალი დრო“ (1972-2), „ლიტერატურა“ (1972-3), „დამოკიდებულება კულტურის ინდუსტრიაზე“ (1972-4), „საბჭოთა კულტურა დღეს, სსრკ-ს 50-ე წლისთავზე“ (1973-1); „თეატრი 1973 წელს, ეძღვნება ბერტოლტ

ბრეხტს“ (1973-2), „დემოკრატიული ამერიკა აშშ-ის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (1973-3); „რეალიზმი, ამოცანები და პრობლემები“ (1973-4), „ბავშვები და ახალგაზრდობის ლიტერატურა“ (1974-1), „დოკუმენტაცია და ფიქცია“ (1974-2), „ჩილე — მებრძოლი ლათინური ამერიკა“ (1974-3), „კულტურა და ერი. გფრ-ის 25 წლისთავი“ (1974-4), „ნაყოფიერი გამოცდილება. „კიურბისკერნის“ 10-წლისთავი“ (1975-4), „უტოპია“ (1975-1), „წინააღმდეგობის ლიტერატურა“ (1975-2), „სამშობლო და რევოლუცია“ (1975-3) და ა.შ.

ერთი შეხედვით, ჟურნალების თემატიკა ბევრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, გარდა იმისა, რომ თითოეული თემისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია.

ჟურნალების თემატიზირება სრულებითაც არ გულისხმობს, რომ მათ გამოკვეთილი თემები მანამდე არ გააჩნდათ. ორივე ჟურნალი თავიდანვე მიჰყვებოდა თემატურ მრავალფეროვნებას და ყველაზე საჭირბოროტო საკითხების გამომზეურების კურსს.

„კურსბუხი“ დღესაც წარმატებით განაგრძობს თავის მოღვაწეობას, რაც არ ითქმის ჟურნალ „კიურბისკერნზე“, რომელიც არსებობის 22 წლისთავზე დაიხურა. თუმცა ჟურნალმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მისიას. მან ცალკეული ხარვეზებისა თუ აშკარა შეცდომების მიუხედავად, უზარმაზარი როლი შეასრულა გერმანიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## საგანგებო კანონები, პროფესიების აკრძალვა და ვიეტნამის თემა

დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად ბრძოლას და რიგ შემთხვევებში დემოკრატიულ ძვრებს ხელისუფლება აღიქვამდა, როგორც გარედან მართულს.

მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს საგანგებო კანონების შემოღება და, შესაბამისად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. ყოველივე ამან უფრო მეტად გააღრმავა ხელისუფლებასა და პროგრესულ თუ დემოკრატიულ ფენებს შორის დაპირისპირება: უდავოა ისიც, რომ ეს მოვლენები, პირველ ყოვლისა, უნდა ასახულიყო დემოკრატიული მიმართულების „კურსბუხსა“ და „კიურბისკერნში“. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ენცენსბერგერი ამ მოვლენების შუაგულში იდგა, მონაწილეობდა ანტიდემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ ყველა აქციაში, მის ჟურნალში ეს პროცესები მკაფიოდ არ ასახულა. „კურსბუხი“ მაშინ უფრო გლობალური პრობლემებით იყო დაკავებული.

1967-68 წლებში დასავლეთ გერმანიაში ბუნდესტაგის მიერ მუშავდება „საგანგებო კანონები“ კონსტიტუციაში შესწორების შესატანად. „საგანგებო კანონები“ ითვალისწინებდა ე.წ. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში პოლიციის ძალის გამოყენებას, „სერიოზულ შემთხვევებში“ კი ფედერაციის სასაზღვრო ნაწილებისა და ბუნდესვერის სამხედრო ძალის ჩარევასაც. ამ ფაქტმა და არსებულმა მოვლენებმა საბოლოოდ გამოააშკარავა სისტემის ანტიდემოკრატიული არსი და საგრძნობლად შეარყია მმართველი წრეების ავტორიტეტი. 1967-68 წლების სტუდენტობის აღელვების მიზეზიც ხომ ვიეტნამი, საგანგებო კანონები და ნეოფაშიზმი იყო.[212] ბევრი მწერალი, რომელიც მანამდე იმედის თვალით შესცქეროდა ხელისუფლებას, ქვეყანაში მიმდინარე ანტიდემოკრატიულმა ტენდენციებმა საბოლოოდ გამოაფხიზლა და აქტიურად ჩააბა

მღელვარე ცხოვრების რიტმში. საგანგებო კანონების შემოღებამ და დემოკრატების უკიდურესმა დევნამ მათზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. ომის შემდგომი პერიოდის მათი იდეალები „თავისუფალ დემოკრატიულ წყობას" შეეჯახა. ეს დაპირისპირებები უფრო მეტად გამწვავდა, როცა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა აშშ-ს მიერ ვიეტნამში მოსახლეობის ჟლეტის ფაქტები. ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ გერმანიაში ნეოფაშიზმმაც უკვე აქტიურად იჩინა თავი. მთელი საზოგადოება ალსდგა, იმართებოდა სპეციალური კონგრესები, სხდომები, სადაც ყველა თავის აზრს გამოთქვამდა და ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევდა სახელმწიფოებისგან მსგავს ანტიდემოკრატიულ ქმედებებს.

ჯერ კიდევ 1966 წლის 30 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტში გამართულ კონგრესს, დევიზით – „დემოკრატია საგანგებო მდგომარეობაშია" – ფედერაციული გერმანიის არაერთი მეცნიერი, ხელოვანი და თითქმის ყველა მწერალი ესწრებოდა. „საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება, ლეგალურობის სამოსელში გახვეული ტოტალიტარული სახელმწიფოა, ფორმალური დემოკრატიის ფასადს ამოფარებული დიქტატურა",[213] – გაისმოდა მათ გამოსვლებში.

კონგრესის დასკვნით ნაწილში სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: ერნსტ ბლოხი, ჰელმუტ რიდერი და ჰანს მაგნუს ენცესბერგერი, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ საყოველთაო დემოკრატიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონგრესის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე სხვა მწერლებთან ერთად, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერიც იყო, რატომღაც მას ამ მწვავე მოვლენებისათვის თავისი ჟურნალის ფურცლები არ დაუთმია. თუმცა კონგრესზე გამოსვლაში მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია: – ჩვენს დემოკრატიას არ სჭირდება საგანგებო კანონები. მას აქტიური დემოკრატები სჭირდება.[214]

„კურსბუხისაგან" განსხვავებით, „კიურბისკერნის" 1967

წლის პირველი ნომერი თითქმის მთლიანად ეძღვნება მთავრობის მიერ საგანგებო კანონების შემოღების მცდელობას. შემდგომშიაც, მემარცხენეთა შეურიგებელი ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად არამარტო ცალკეულ პუბლიცისტურ სტატიებშია გამოხატული. თითოეული არაკონსტიტუციური გამოხდომის წინააღმდეგ „კიურბისკერნი" თემატურ ნომრებს გამოსცემს: „დამოკიდებულება კულტურის ინდუსტრიის მიმართ" (1972-2), „კულტურა და ერი" (1974-4), „ახალგაზრდობა და უმუშევრობა" (1974-6), „ადამიანის უფლებები და დასაქმებულთა მდგომარეობა" (1977-3), „ისტორია და აწმყო" (1978-2), „უსაფრთხოდ კი შევდივართ მე-4 ათწლეულში?" (1979-4), „ლონისძიება — დემოკრატია" (1982-1) და სხვ.

პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება და ჟურნალი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ „მასობრივი დემონსტრაციები, გამოსვლები მიჩნეული იყო ქვეყანაში „მშვიდობის" დარღვევად, გაფიცვები ინათლებოდა „გარედან მომართულ კლასთა ბრძოლად", პროგრესული მოღვაწეები დაცინვით „პინჩერებად" იწოდებოდნენ; მეცნიერები, რომლებიც სისტემას აკრიტიკებდნენ — „მარქსისტულ დემაგოგებად". ვინც ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ გამოდიოდა, ვინც დემოკრატიას მოითხოვდა განათლების სფეროში თუ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ვინც ბოიკოტს უცხადებდა შპრინგერის რეაქციულ, პროვოკაციულ პრესას — ბონის მმრთველი წრეებისათვის წარმოადგენდნენ „საგანგებოს", მათი მოქმედება — ნორმიდან გადახრის აქტს".[215]

განსაკუთრებით მწვავედ და მტკივნეულად აღიქმებოდა ეს გარემოება მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. დემოკრატიის შემლახავი კანონების შემოღება მათთვის უდიდეს საფრთხეს წარმოშობდა, რადგან ეს კანონები უცილობლად დამკვიდრდებოდა, ვინაიდან ფაშიზმი დასავლეთ გერმანიაში ჯერ სრულად არ იყო დაძლეული, ხოლო ნეოფაშიზმი უკვე მყარად

იკიდებდა ფეხს. მიუნხენში ერთმა ფრანგმა ნეოფაშისტმა მორიგ დისკუსიაზე კიდეც განაცხადა: „გერმანია ფაშიზმის სამშობლოს უწინდებურად განასახიერებსო“.[216] ხოლო შტრაუსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნავს ჟურნალი, გფრ-ის ხელისუფლება მართლაც ნაცისტურ მემკვიდრეობაზე აღზევდა. მართალია, ჰიტლერი აღარ არის, მაგრამ ხელისუფლებამ იცის და გრძნობს, ვის აამოს, ვისი ინტერესით იმოქმედოს, რათა ფინანსური დახმარება უწინდებურად დაუყოვნებლივ მიიღოს. რეაქციის ხელში, ნათქვამია ჟურნალში, ცხოვრების დიალექტიკა დემაგოგიურ ტრიუკებში იბლანდება და მათი სურვილისდა მიუხედავად, ცხოვრების ირონიით, საკუთარ თავს თავადვე ააშკარავებს. მათი პოზიცია აშკარად რევანშისტულია, როცა თავის მხრივ რევანშისტულს უწოდებენ საბჭოთა კავშირს.[217]

გფრ-ში ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე გაკეთებული პროგნოზით ჟურნალი ადგენს, რომ ამ სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური გზა, მისი არჩევანი, რაც საკუთარი კონსტიტუციის ღალატის ტოლფასია, ნეოფაშისტური ყაიდის ავტორიტარული სახელმწიფოსაკენ სვლაა.[218] როცა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ-სოციალისტურ კავშირს დასჭირდათ ნეონაციონალიზმი, კიდეც ჩამოაყალიბეს გერმანიის ნაციონალისტური პარტია ნეოფაშიზმის აღსაზევებლად და ანტიკომუნიზმის დასათესად. ქდკ/ქსკ პოლიტიკის ჰიბრიდი — გნპ (გერმანიის ნაციონალისტური პარტია — რ.დ.), დასავლეთ გერმანიის ნეოფაშიზმის კატალიზატორია და თანდათანობით აფართოებს თავის რიგებს. ზემოქმედებას ახდენს დეგრადირებულ ამომრჩევლებზე და ვითომდა „პატიოსნების დამკვიდრებით“ და „წესრიგის დაცვის“ ლოზუნგით მანიპულირებს.

სტატიაში „ბრძოლისაკენ“, რომელიც ჟურნალის რედაქციის მოწოდებაცაა, ავტორი გარკვეულწილად ბრალს დებს გერმანიის სოციალ-დემოკრატებსაც. „აშკარაა, რომ გამოჩენი-

ლი სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებს ნეონაციონალიზმის საკითხში გვერდს უმაგრებენ. ყოფილა შემთხვევებიც, რომ ნიურნბერგის პროცესზე სოციალ-დემოკრატები ბრალდებულებს ხელს აფარებდნენ". აქ ავტორი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის შეხედულებასაც იშველიებს. იასპერსი საგანგებო კანონებს 1933 წელს მიღებულ კანონმდებლობას ადარებს და წერს: „ხალხი, რომელიც მსგავს სიტუაციაში სამოქალაქო ომს არ იწყებს, არ არის თავისუფალი".[219] 1933-1945 წლების გახსენებით, ჟურნალი, რა თქმა უნდა, იზიარებს იასპერსის მოსაზრებას. თუმცა აქვე შეახსენებს მკითხველს: როცა გერმანია ტირანიამ მოიცვა, სამოქალაქო ომი ძირშივე იქნა ჩახშობილი, ხოლო ისინი, ვინც ამ ომს სათავეში ედგნენ — დახოცილნი. დანარჩენები კი საკონცენტრაციო ბანაკებში გამწესებული ან იძულებით ემიგრირებული. „საგანგებო კანონები, ბურჟუაზიის მხრიდან ფაქტობრივად მზადყოფნაა ცალმხრივი სამოქალაქო ომის საწარმოებლად. ბურჟუაზიამ იცის, რომ კლასობრივი ბრძოლა იგეგმება".[220] ამ დროს მას ერთადერთი გზა რჩება — ახალი ტიპის ფაშისტური დიქტატურა, — ვკითხულობთ ჟურნალში.

ამიტომაც მოსახლეობის იმ ფართო ფენას, რომელიც საგონებელშია ჩავარდნილი — არ იცის რა მოიმოქმედოს, არ იცის რას შეცვლის პროტესტი, კრიტიკა, დემონსტრაცია — გაერთიანებისაკენ მოუწოდებს ჟურნალი. „კიურბისკერნი" მასების თვითშეგნების ამაღლებას ცდილობს, რომ თითოეული, ინდივიდია თუ კოლექტივი, მზადყოფნაში იყოს, თავის თავზე აიღოს მოქმედება და გულუბრყვილოდ არ ელოდოს, რომ მის საქმეს სხვა გააკეთებს. თავად თუ არ შევცვალეთ, არაფერი შეიცვლება, — აღნიშნავს ავტორი.

ამ შემთხვევაში სტატიის ავტორი მარკუზეს შეხედულებების იმ პუნქტს იზიარებს, რომლის მიხედვითაც შემეცნების განვითარება და ზრდა ყველა პოლიტიკური ნებისა და აქცი-

ის წინაპირობაა და უაღრესად რთული და ხანგრძლივი პედაგოგიური პროცესია. არ არსებობს მზა რეცეპტები ამ ამოცანის გადასაჭრელად, შეიძლება მხოლოდ მეთოდური მითითებებით ოპერირება და საბრძოლველად გადაწყვეტილების მიღება. ავტორის აზრით, დემოკრატიისათვის ბრძოლა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

ჯგუფების, ფენებისა და კლასების გამიჯვნაზე საუბრისას ჟურნალში ყურადღება მახვილდება არსებული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზეგავლენაზე, რომელმაც ეს ჯგუფები, ფენები და კლასები აქცია არა თვითშეგნების ამაღლების ობიექტად, არამედ დამახინჯებული შემეცნების მქონე კონსუმენტებად. ვინაიდან გფრ-ში, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების პირობებში ჯანსაღი აზრის გამოთქმა გამორიცხული იყო, ამიტომაც მოსახლეობის ფართო მასების კონსოლიდაციისა და მათი რიცხობრივი ზრდისათვის ჟურნალი აუცილებელ პირობად მიიჩნევს ახალი საკომუნიკაციო საშუალებების სტრუქტურების შემოღებისათვის ბრძოლას. თუმცა „კიურბისკერნისათვის" ისიც ნათელია, რომ ხშირად საკომუნიკაციო საშუალებების იდეური მიმართულება იკვეთება ისევ და ისევ დაინტერესებული მხრიდან მასმედიაში კაპიტალის კონცენტრაციით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პოლიტიზაციის პროცესმა უკვე 60-იანი წლებიდან მრავალი მემარცხენე ორგანიზაციებისა და პარტიული დაჯგუფებების ჩამოყალიბება განაპირობა, რასაც გფრ-ის მთავრობის მწვავე რეაქცია მოჰყვა.[221] პოლიტიზაციის პროცესს მთავრობა ავტორიტარული რეჟიმით დაუპირისპირდა, ფედერაციის მხარეებში დაწესდა საზოგადოებრივი სამსახურების პოლიტიკური კონტროლი. PEN-ცენტრის, მწერალთა კავშირისა და გერმანისტთა კავშირის პროტესტის მიუხედავად, ბუნდესლანდის პრემიერ-მინისტრის მიერ 1972 წ. გამოიცა „რადიკალური ბრძანება",[222] რამაც ახალგაზრდა თაობებში შიში დათესა

და საკმაოდ შეასუსტა მათი პოლიტიკური შემართება. 1976 წლიდან ცენზურაც გამკაცრდა. იგი მხოლოდ 1980 წელს მოიხსნა. მაგრამ მწერლებმა თავიანთ თავზე აიღეს ცენზურის „მოთოკვა“ და ე.წ. თვითცენზურით გამოხატეს პირადი დამოკიდებულება. მაგ., ბიოლმა 1974 წ. გამოსცა „კატარინა ბლუმის დაკარგული ღირსება“, ხოლო პეტერ ხოტევიცმა ამ მოვლენებს უპასუხა რომანით — „გარიჟრაჟის ბატონები“.

„კიურბისკრენი“, როგორც დემოკრატიული ორგანო, თავს მოვალედ თვლიდა, სისტემატური გამოხმაურებით დაეგმო ეს კანონი, რომელიც „პროფესიების აკრძალვას“ შეეხებოდა და რაც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების დისკრედიტაციას ითვალისწინებდა.

ჟურნალის თემატური ნომრის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „ახალი სულიერი ინკვიზიციის მიერ დაწესებულია საეჭვო პირებზე თვალთვალი. ეს ადამიანები ჯერ რეგისტრაციას გადიან, შემდეგ კი მათ სამსახურიდან ითხოვენ, უკვე ათი წელია, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პროფესიის აკრძალვა ბოგინებს“.[223] საქმე ისაა, რომ პრემიერ-მინისტრის მითითებით ყველა მოსამსახურე ვალდებულია შეავსოს ფორმულარი და პასუხი გასცეს არაერთ კითხვას, მათ შორის, სად ცხოვრობდა ბოლო ხუთი წლის მანძილზე. შემდეგ ეს ფორმულარი სხვადასხვა ინსტანციებში მუშავდება და მხოლოდ 6 თვის შემდეგ მოდის პასუხი. უმრავლეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უარყოფითი. რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულმა პირებმა უნდა დატოვონ სამსახური.

მოსამსახურეები იდევნებოდნენ სახელმწიფო სამსახურიდან, მათ ეკრძალებოდათ ადამიანის ძირითადი უფლება — შრომის უფლება. ეს შეეხო არა მარტო კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც. არც 60-იანი წლების დასასრულის სტუდენტური მოძრაობის მონაწილეები იყვნენ ამ მხრივ გა-

მონაკლისნი. ჟურნალის ერთ-ერთი ავტორისათვის პროფესიის აკრძალვა და ბომბი ერთ ჭრილში განიხილება. იგი განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ ადამიანები, ვისაც ეს კანონი შეეხო, ფიზიკურად გადარჩნენ. „აქედან გამომდინარე, პროფესიის აკრძალვა, ანუ ბომბი ზედმიწევნით ჰუმანურია",[224] — ირონიულად ასკვნის ჟურნალი.

დასავლეთ გერმანიის ოფიციალურ წრეებს მწვავე და აშკარა სოციალური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, ზოგჯერ უხდებოდათ კიდეც მოქნილი პოლიტიკური კურსის გატარება და მანევრირება. ამიტომაც დროდადრო ისინი უმნიშვნელო დათმობებზე მიდიოდნენ. მთავრობის მიერ ნაბოძები დათმობების მიუხედავად, „კიურბისკერნი" გამუდმებით უტევს მმართველ წრეებს, გმობს მათ ანტიდემოკრატიულ კურსს.

თუ საგანგებო კანონებზე მსჯელობისას ინტელექტუალებს შორის სრული თანხმობა იყო, ვიეტნამის თემასთან დაკავშირებით, რომლის გარშემოც მკვეთრი პოზიციები გამოიხატა ჟურნალ „კურსბუხსა" და ყველაზე თვალსაჩინოდ ენცენსბერგის პუბლიცისტიკაში, ერთსულოვნება როდი სუფევდა. პირველად ეს, საჯაროდ გამოიკვეთა 1967 წლის 27 სექტემბერს მიუნხენის ახალ გალერეაში ვიეტნამისადმი მიძღვნილ „გერმანელ მხატვართა საპროტესტო გამოფენაზე". აქ გფრ-ის ინტელიგენციის პოზიცია ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ჩარევაზე გარკვეულწილად დაიყო. სწორედ ამ გამოფენაზე გაიჟღერა მარტინ ვალზერის სიტყვებმა: „გფრ, პორტუგალიასა და ესპანეთთან ერთად, ერთადერთი დასავლეთევროპული სახელმწიფოა, რომელიც ვიეტნამში აშშ პოლიტიკას მხარს უბამს".[225]

მწერალთა თავშეკავებისა და აზრთა დიფერენციაციის პოლიტიკური საფუძველი ის იყო, რომ „თავისუფალი სამყარო" ვიეტნამში კომუნიზმის წინააღმდეგაც იბრძოდა. ნიშანდობლივია, რომ ვიეტნამის საკითხში ორივე ჟურნალის პო-

ზიციები ემთხვევა. მათთვის ესაა დაპყრობითი თუ არა, უთუოდ უსამართლო ომი, რომლის არეკვლაც თანამედროვე გერმანელთა აზროვნებაში სხვადასხვა ლიტერატურული გამოსახვითი ფორმებით მოხდა. გერმანელების მწვავე რეაქციას ვიეტნამის ომზე სარჩულად ისიც ედო, რომ მათმა თანამემამულეებმა რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო ცივილიზაცია უსასტიკესი ომის მსხვერპლად აქციეს.

ამიტომაცაა საყურადღებო ის რაკურსი, რომელიც მშობლიური ენისადმი ინტელიგენციის უპატივცემულობის ტენდენციის მომძლავრებას წარმოაჩენს.

ომის შემდგომ წლებში დასავლეთ გერმანიის მწერლობა სკეპტიკურად განეწყო გერმანული ენის მიმართ, რადგან ამ ენაზე ფაშისტები მეტყველებდნენ და ფაშისტურ ლიტერატურას ქმნიდნენ. მწერლებს უნდოდათ ავთენტიკური, თვითმყოფადი, არაიდეოლოგიზირებული ენის შექმნა, ანუ სრულიად გასადავებული ყოფითი ენისა. კალმოსანი ინტელიგენცია ეძიებდა ახალ, განსხვავებულ ენობრივ ფორმებსა და შესატყვისებს. ამგვარი მცდელობა ყველაზე მეტად პოეზიაში გამოვლინდა. ზოგი დიალექტიზმების[226] დამკვიდრებასაც კი ნერგავდა. მთავარი პრინციპი იყო შემდეგი: არაიდეოლოგიზირებული ენა ორიგინალური უნდა ყოფილიყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალ „კურსბუხის“ ერთ-ერთი სიახლე მხატვრულ ლიტერატურაზე უარის თქმა იყო (გავიხსენოთ ლოზუნგი — „სიკვდილი ლიტერატურას“). ჩვენი აზრით, ამ ფაქტთან სიღრმისეული კავშირი აქვს ჟურნალის მესვეურთაგან ფაშისტთა მიერ თვითმიზნურად გამოყენებული გერმანული ენის ერთგვარ დათრგუნვასაც; მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი მიდგომა მშობლიური ენისადმი შინაგანი პროტესტის ძალზე ზედაპირული გამოხატვაა.

ენა შეუცვლელი კატეგორიაა ყველა ერისათვის. გერმანული ენა არ შეიძლებოდა რომელიმე დაჯგუფების, პარტიისა და თუნდაც ფაშისტური მმართველობის კუთვნილებად გადაქ-

ცეულიყო. გერმანულ, ვითომდა ფაშისტურ, ენასთან დაკავშირებული ლოზუნგი უფრო სპონტანური, აფექტური განწყობის გამოვლინება იყო, რომელსაც ინტელექტუალური გონი ვერ შეისისხლხორცებდა. მართლაც, ეს ლოზუნგი დღემოკლე გამოდგა და მალე ჩაბარდა ისტორიას. ხოლო ფაშიზმთან ბრძოლის ყველაზე ქმედითი ფორმა მწერლების მხრიდან ისევ საპროტესტო სიტყვა გახდა და არა ენის უარყოფა. მძაფრი, მამხილებელი, პირუთვნელი სიტყვა, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურული ხერხებითა და ფორმებით გამოისახებოდა, ყველაზე მწვავე იარაღი გამოდგა.

ჟურნალებში ლიტერატურულ-თეორიულ და მეცნიერულ სტატიებთან, პუბლიცისტურ ესეისტიკასთან ერთად სხვადასხვა ლიტერატურული ფორმებიც გამოიყენება – იქნება ეს მოწოდება, ინტერვიუ თუ სიტყვით გამოსვლა. გარდა ამისა, ისეთი თემები, როგორიცაა ვიეტნამის ომი, ფაშიზმი, ნეონაციზმი თემატიზირდება ლექსებში, თეატრალურ პიესებში და მცირე პროზაში.

ინფორმაციის დამუშავება და მხატვრული ინტერპრეტაცია, ლიტერატურული ხერხებისა და მხატვრული სახეების ნაირგვარობა, რომელსაც ჟურნალების ავტორები მიმართავდნენ, მიზნად ისახავდა ამა თუ იმ პოლიტიკური ინფორმაციის, მოვლენისა თუ პრობლემისადმი განსაკუთრებით გაელვივებინა და სწორად მიემართა მკითხველის ყურადღება, აუდიტორიისათვის ებიძგა გამოკვეთილი პოზიციის ჩამოყალიბებისა და გამოვლენისაკენ.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფ. ფერლინგეტის ფიქციონალური პროზაული ტექსტი. ეს ლატენტური, პოლისემიური ტექსტი ფორმით სხვა ტექსტებისგან აბზაცებისა და სასვენი ნიშნების დაუცველობით განსხვავდება, ხოლო შინაარსობრივად მას ახასიათებს ირონიული თუ სარკასტული ფიქციონალობა, რომელიც სინამდვილესთან შეთამაშების საშუალებას იძლევა. ყოველ შემთხვევაში, ეს შემპარავი სტი-

ლი ტექსტში ასახული თემის მრავალმნიშვნელობასთან ერთად, ძირითადი ინფორმაციის აღქმის წინაპირობაცაა მკითხველისათვის.

ფ. ფერლინგეტის მსგავსად მიმართავს ირონიას რაინჰარდ ლეტაუც, რის მეშვეობითაც ის ზედმიწევნით გვიხატავს ვიეტნამის ომის ერთ-ერთი ამერიკელი სტრატეგის სახეს. ამავე ხერხით ახდენს ის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოცვის პროექცირებასაც. ლეტაუ სარკასტულად ამხელს ვიეტნამელების მიმართ ამერიკელების პათოლოგიურ დამოკიდებულებას, ოსტატურად ძერწავს ბრიყვი დამპყრობლების ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ამერიკელი გენერალი, მიუხედავად იმისა, რომ უძლეველი ჯარი ჰყავს, ვიეტნამელთა სამხედრო დაჯგუფების კვალს ვერ აგნებს. მაღალჩინოსანი ამერიკელის მთელი საჯარისო დანაყოფი ერთადერთ გაქცეულ ვიეტნამელს მისდევს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი დაბალი ტანისა და სირბილის მანერით აღიქმება მტრად. მირბის ამერიკელი გენერალი, მას ჯარისკაცები მისდევენ და როცა ჰგონიათ, რომ მსხვერპლი მოიმწყვდიეს, ვიეტნამელი უეცრად შემობრუნდება და შესძახებს, მტრები ხომ არა ხართო. „ამაზე მდევრებს სიცილი წასკდებათ, კბილებს დაკრეჭენ, სახე მოეღრიცებათ, სიცილ-სიცილით ეტყვიან, ხომ არ შეგეშინდაო და ხითხითით გაუყვებიან გზას ბორცვს იქით“.[227] ვითომდა მიამიტური შეძახილით მოხერხებული ვიეტნამელი ფსიქოლოგიურად განაიარაღებს მდევრებს და თავს გადაირჩენს. ხოლო ახორხოცებული ჯარისკაცები მისი მოქმედების ფონზე საკმაოდ უხირ და ჭკუამოკლე სალდაფონებად აღიქმებიან.

ასეთივე თავისებურია ერთ-ერთი ამერიკელი ჩინოსნის შეხვედრა „მტერთან“: — მე ფელდმარშალი ვარ, — ამბობს ფელდმარშალი და სამხრეებზე ირტყამს ხელს“.[228] მას მხოლოდ ამით შეუძლია მიუთითოს თავის ადამიანურ პატივზე, ღირსებასა და გამორჩეულობაზე. როგორი აბსურდულიცაა

ვიეტნამის ომი, ისეთივე აბსურდულები არიან ამ ომის მწარმოებელი სამხედროები. აი, როგორ აზროვნებს და მეტყველებს ერთ-ერთი მათგანი თავის ამალასთან ერთად ფიქციონალურ თხზულებაში:

„– ეს ხე... – ამბობს გენერალი და მაშინვე ჯდება.

– მე ფოთოლი... – ამბობს ლეიტენანტი.

ახლა მაიორი დგება. ის იცდის, ვიდრე ჯარისკაცები ისვენებენ. შემდეგ საჩვენებელ თითს ასწევს, გაიხედავს და იტყვის: „ოჰ, ქუდი". ტაშისცემა ყოველი მხრიდან.

– შეწყვიტეთ, – დაიღრიალებს ფელდმარშალი. – ლი, ლუ, ა, ო.

მას ყველა თავს უკრავს".[229]

თითქოს სრული უაზრობაა, მხოლოდ სიტყვების გროვაა. ასეცაა, ეს ხომ ნონსენსია, რომელიც შესანიშნავად მიესადაგება უაზრო, აბსურდულ ომს. ტექსტში ყველგან იგრძნობა რ. ლეტაუს გროტესკული პაროდია ამერიკელ სამხედროზე, რომელსაც მტრის ხატი აქვს შექმნილი ჩრდილოეთ ვიეტნამელის სახით.

მაგრამ ლეტაუს უბადლო მწერლურ ოსტატობას აქვს უნარი თვით ამერიკელზევე გადმოანაცვლოს მტრის ხატი. მასთან კომიკური ხერხების უხვი გამოყენება როდი ნიშნავს ამერიკის მიერ წარმოებული ომის და ზოგადად ყველანაირი ომის დამანგრეველი მნიშვნელობის, მის საშინელებათა დაკნინებას. მწერლებს შესანიშნავად ესმით, რომ მათ მიერ გამოძერწილი გროტესკული სახეები კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს იმ მოსალოდნელ უბედურებას, რომელიც ნებისმიერ ომს მოაქვს.

რამდენადაც ფართოდ იშლება ვიეტნამის ომის აბსურდულობის თემა, ის იმდენადვე ინტეგრირდება გფრ-ის ყოველდღიურობაში, იჭრება ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში და ფედერალური გერმანიის ყოფაში:

„– მათ პატიმრები უნდათ გაკოჭონ, თავი მოჰკვეთონ!

მიწას დაანარცხონ...

ცოცხალი არსებები კიდევ თუ ჰქვიათ, გაფატრონ.

არაფერი ჩანს, მხოლოდ გუგუნი ისმის, ჯუნგლებს თვითმფრინავმა გადაუფრინა, ისიც მხოლოდ მისმა ჩრდილმა, შემდეგ კი ცეცხლის ალი...

შესქელებული ბენზინი ტანს ეკვრის, აალდება და ჭამს კანს.

— წყეულიმც იყავით!

და მივყვებით ერთმანეთს ჩაკეტილ მაგისტრალებზე“.[230]

გიუნტერ ჰერბურგერის ამ „პროზაულ“ ლექსთან არის კავშირში და აზრობრივად მასთან გადაჯაჭვულ სტროფებს შეიცავს იურგენ ბეკერის გარითმული, გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით გამოთქმული ლექსი ვიეტნამის ომზე.

ფერლინგეტისა და ლეტაუს მსგავსად, ირონიას, როგორც მოვლენის აღწერის საშუალებას, დონალდ ბარტელმიც მიმართავს. უკიდურესი გესლით გადმოსცემს ბარტელმი ფიქციონალურ სტატიაში შეხვედრას ამერიკელ უფროს ინჟინერთან, რომლის დევიზია „არაფერი მექანიკური ჩემთვის არაა უცხო“.[231] მოვალეობის გრძნობით შეპყრობილი ინჟინრის სულიერი მენტალიტეტისათვის ომი მისაღები და სასურველია საკუთარი ტექნიკის უპირატესობის გამოსაცდელად და დასადგენად. საცდელ უბნებში უამრავი ადამიანის მსხვერპლად გაღება მისთვის ნორმაა. უფროსმა ინჟინერმა იცის, რომ ამერიკა, ჯერ ერთი, ვერ დაამთავრებს ვიეტნამის ომს, რადგან ეს მარცხის ტოლფასი იქნება. ამერიკა ომის წამგებიან ტექნიკას როდია დაუფლებული. და მეორეც, ვიეტნამის ომი უმთავრესად თავდაცვისა და მუდმივმოქმედების საშუალებას აძლევს ამერიკულ ტექნიკას.[232]

ჟურნალებში უამრავი მასალაა ლირიკული თუ პროზაული ქმნილების სახით, სადაც არ არის დაცული გრამატიკული ნორმა, არ არის სასვენი ნიშნები და არც ასომთავრული ასოები იხმარება. ბევრი ავტორი უარს ამბობს ესთეტიკურ

გამომსახველობით საშუალებებზე. მაგრამ, სტილური თავისებურების მიუხედავად, ისინი შინაარსობრივი დატვირთვის სიღრმითა და ემოციური ზეგავლენით იპყრობენ აუდიტორიას.

ხშირად ასეთი ტექსტები ეძღვნება ბუნდესტაგის მიერ საგანგებო კანონების მზადებას, პროფესიების აკრძალვას, დემოკრატიული უფლებების შელახვას, მთლიანობაში მიმართულია ნებისმიერი რეაქციული გამოვლინების წინააღმდეგ. ლიტერატურულ ტექსტებში იმდროინდელი ვითარება შედარებულია ფაშიზმის პერიოდთან.[233] თითქოსდა ქაოტურად გადმოღვრილი სიტყვები საოცარ გამომსახველობას ინარჩუნებენ და საკმაო ძალით ზემოქმედებენ მიუხედავად მათი, ასე ვთქვათ, უსახური ფორმისა.

ორივე ჟურნალი — „კურსბუხი“ და „კიურბისკერნი“ დაარსებიდანვე ამახვილებს ყურადღებას ისეთ საჭირბოროტო თემებზე, როგორიცაა ფაშიზმი, ნეოფაშიზმი და ნეონაციზმი. უპირველეს ყოვლისა, შუქდება გერმანიაში გამართული ე.წ. „ოსვენციმის პროცესების“ შედეგები და შთაბეჭდილებები.

ბევრი მწერლისათვის, ვინც ამ პროცესებს ესწრებოდა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ომის შემდგომ თაობას წარმოადგენდა, საშინელი აღსაქმელი აღმოჩნდა ის ფაშისტური დანაშაულობანი და ქმედებები, რაც იმ პერიოდის გერმანიაში ხდებოდა. გამოირკვა, რომ ნიურნბერგის პროცესს ისეთი ზემოქმედება არ მოუხდენია, როგორც ოსვენციმის პროცესებს, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ ის პროცესი მაინც უცხოთა ხელდასმით იმართებოდა.[234]

მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის სრულიად უცნობი იყო ის შემაძრწუნებელი ფაქტები, რაც ოსვენციმის პროცესების დროს გამოაშკარავდა. ამიტომაც აღიქმებოდა ყოველივე ასე მწარედ, მით უმეტეს, რომ გერმანიის ნაციონალისტური პარტია ისევ ცდილობდა თავისი პოზიციების გამაგრებას, ხოლო დასავლეთ გერმანიის პრესა საგულდაგულოდ აღიარებდა რა სოციალიზმის გზას შეცდომად, ისევ ფაშიზმისკენ იხრებოდა, თუკი კრიზისიდან გამოსვლის სხვა საშუალება არ გამოიძებნებოდა.[235] ეს იყო უმთავრესი მიზეზი ორივე ჟურნალის გააქტიურებისა და ამასთან ისიც, რომ ბევრი ჟურნალისტი ფულის გამო ღალატობდა თავის პრინციპებს და დამქირავებლის ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედებდა ან სამსახურის დაკარგვის შიში ძლევდა. მაშინ საკმარისი იყო რაიმე გადაბრუნებული სიტყვა, რომ „შავ სიაში“ აღმოჩენილიყვნენ, კერძოდ შპრინგერთან“[236]. ამის გამო ჟურნალი „კიურბისკერნი“ იმდროინდელ ჟურნალისტიკას უძველეს პროფესიას — პროსტიტუციას ადარებდა. „კურსბუხისა“

და „კიურბისკერნის“ ავტორები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავიანთი სამართლიანი ხმა მიეწვდინათ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის და წინ აღდგომოდნენ ამ მოვლენებს. ამ მხრივ განსაკუთრებული შემტევითობითა და შეუპოვრობით უფრო „კიურბისკერნი“ გამოირჩეოდა. ალბათ იმიტომ, რომ დასავლეთ გერმანიის მედიაში ფაშიზმი კომუნიზმთან იყო გაიგივებული.[237] ხოლო „კიურბისკერნი“ კომუნისტური სისტემის მიმართ სიმპათიას ამჟღავნებდა და მკვეთრად მიჯნავდა ფაშიზმისაგან. ფაშიზმისა და ნეონაციზმის თემა ბოლომდე გაჰყვება ჟურნალს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ჟურნალების დაარსებამდე, 1965 წლის 14-15 მაისს გდრ-ში ბერლინსა და ვაიმარში გამართულ მწერალთა შეხვედრას, რომელიც ჰიტლერული ფაშიზმისაგან გათავისუფლების 20 წლისთავს მიეძღვნა, დასავლეთ გერმანიიდან არც ერთი მწერალი არ გამოხმაურებია და არც დასწრებია. მიუხედავად იმისა, რომ მოსაწვევი ბარათები 52 ქვეყნის 186 ავტორს დაეგზავნა, შეხვედრას მხოლოდ პეტერ ვაისი დაესწრო. იგი ამ დროისათვის უკვე ცნობილი მწერალი და დრამატურგი იყო. აღსანიშნავია, რომ მისმა პიესამ — „მარატი“ — გერმანიის ომის შემდგომ დრამატურგიაში ბრეხტის შემდეგ პირველად დაიმსახურა საერთაშორისო მოწონება. პეტერ ვაისის მიერ იქ წარმოთქმული მოკლე სიტყვა საბაბი შეიქნა იმისათვის, რომ მას პრესის მეშვეობით ყოველი მხრიდან თავს დასხმოდნენ. ვაისის ყოველი გამოსვლა უკვე ეჭვს ბადებდა ოფიციალურ წრეებში სოციალიზმისადმი მისი მკვეთრად გამოხატული დადებითი პოზიციების გამო. პრესა მისი ტექსტის ფალსიფიცირებას ახდენდა. მწერალს საშუალება არ ჰქონდა საპასუხო წერილის გამოქვეყნებისა, უბრალოდ, არ უბეჭდავდნენ. ვაისის წინააღმდეგ ამხედრებული იყო არა მარტო შპრინგერის პრესა, არამედ მთელი მემარჯვენე ჟურნალ-გაზეთები: მიუნხენის „ნაციონალ-ზოლდატენ ცაიტუნგი“, ჰანოვერის „დოიჩე

ვოხენცაიტუნგი“. არც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გაზეთი — „დოიჩე მონატსბლატ“ ჩამორჩებოდა სხვებს.

გასაკვირი არ არის, რომ პეტერ ვაისის სახელის გარშემო ატეხილი აურზაურის განეიტრალება სიმართლის თქმით თავის თავზე „კიურბისკერნმა“ აიღო. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გდრ-ში ფაშიზმისაგან განთავისუფლების 20 წლისთავზე პეტერ ვაისის სიტყვასთან ერთად ჟურნალ „კვიკის“ კორესპონდენტის (რომელმაც ვაისის საპასუხო წერილი უყურადღებოდ დატოვა) მატიას ვალდენის სიტყვებიც მოიყვანა: „როგორც ჩვენ ვესხმით თავს დასავლეთის სამყაროში სიცრუის იდეოლოგიას, ასევე უნდა თავს ვესხმოდეთ და ვაკრიტიკებდეთ სოციალისტურ სამყაროში ყოველივე იმას, რაც ძირითადი პრინციპების დოგმად გამოცხადებისა და უძრაობისაკენაა მიმართული“.[238]

კარგი იქნებოდა, ჟურნალი უფრო ღრმად ჩასწვდომოდა თავის ფურცლებზე მოყვანილი ზოგიერთი მაკომპრომეტირებელი ციტატების არსს და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მახინჯი მხარეებიც გაეთვალისწინებინა, მაგრამ ის, რომ არასოდეს უცდია სხვისი აზრის მიჩქმალვა თუ ფალსიფიცირება, უდავოდ დადებით მომენტად უნდა ჩაეთვალოს „კიურბისკერნს“, თუნდაც კომუნიკაციის სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით.

ნიშანდობლივია, რომ „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ პირველივე ნომრებში ფაშიზმის თემა მთელი სიმწვავითაა წამოწეული. აქ ხომ ისეთი ცნობილი გერმანელი მწერლების სახელები გაიჟღერებს, როგორებიცაა მარტინ ვალზერი და პეტერ ვაისი. „კურსბუხის“ დოსიე-2-ში რუბრიკით — „ჩანახატები პროცესიდან“, მოთავსებულია პეტერ ვაისის „ფრანკფურტული ნაწყვეტები“ და მარტინ ვალზერის — „ჩვენი ოსვენციმი“.[239]

„ფრანკფურტულ ნაწყვეტებში“, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო პეტერ ვაისის დრამას „დაკითხვა“,[240] ოსვენ-

ციმის პროცესებზე დასწრების დროს გაგონილი და ნანახი სტენოგრაფიული სიზუსტითაა აღქმული და სამ მომენტს ასახავს: რაც ბანაკში ხდებოდა, რაც ფრანკფურტში ხდებოდა და რაც იმ ადამიანების შეგნებაში მოხდა, ვინც ამ პროცესების თვითმხილველი იყო. რაც შეეხება ვალზერის წერილს „ჩვენი ოსვენციმი“, მასში ფაშიზმისა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოვლენილი სისასტიკეების ძირფესვიანად გააზრების საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს გერმანელი ერის საერთო, კოლექტიური დანაშაულია. ამაზე წერილის სათაურიც თვალნათლივ მიგვანიშნებს. ვალზერი იყო პირველი, ვინც გერმანულ ცნობიერებაში საერთო, კოლექტიური დანაშაულის კომპლექსი დაამკვიდრა.[241]

ჟურნალ „კიურბისკერნი“ დაარსებიდანვე უპირისპირდება გერმანიაში იმ დროისათვის წარმოჩენილ ნეოფაშიზმს. ფაშიზმის გადმონაშთებისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მისთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა, რადგან ნეოფაშისტური პარტიის საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენა და რიცხობრივი ზრდა უშუალოდ ემთხვევა ჟურნალის დაარსების პერიოდს. ჟურნალის რედაქცია ხედავდა, რომ გფრ-ის ნეოფაშისტური მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შემდეგ (1964 წ), ვითარდებოდა როგორც დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის რეაქციული ძალების პოლიტიკური რეზერვი.[242] მას თანაუგრძნობდნენ და გულუხვად აფინანსებდნენ დასავლეთ გერმანიის მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიები. ნეონაციზმის იდეოლოგიის გავრცელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა შპრინგერის საგაზეთო კონცერნი.

„კიურბისკერნის“ დამსახურება მდგომარეობდა იმაში, რომ ის არ სჯერდებოდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის აგიტაციასა და ყოველდღიური, შენიღბული მოქმედების შეფასებას, არამედ ააშკარავებდა, ღრმად სწვდებოდა მის ფა-

რულ ზრახვებს და დროულად ავლენდა მის კავშირს ფაშისტურ იდეოლოგიასთან. ჟურნალი ხაზს უსვამდა, რომ ნეოფაშიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ტრანსფორმაციულობა და ისტორიული სიტუაციებისადმი ადაპტირება, რაც განსაკუთრებით ართულებდა მის წინააღმდეგ ბრძოლას.[243]

ფაშიზმთან ნეოფაშიზმის აშკარა იდეოლოგიური კავშირის გამოვლენით ჟურნალი მეტად ხელსაყრელ პოზიციას იკავებდა მასთან რთულ და ძნელ ბრძოლაში, ვინაიდან ჰიტლერული ფაშიზმი მთელ მსოფლიოში დისკრედიტირებული იყო. „კიურბისკერნისათვის“ ამ საკითხში დამახასიათებელი იყო უკიდურესი შემტევითობა. ითვალისწინებდა რა ისტორიულ გამოცდილებას, ის საზოგადოებას მოუწოდებდა ნეოფაშიზმზე გადამწყვეტი იერიშის მიტანას მანამდე, სანამ იგი მოსახლეობის გარკვეული ფენების დეზორიენტაციასა და თავისი ძალების მობილიზაციას შეძლებდა.

უდგებოდა რა საკითხს კლასობრივი პოზიციებიდან, ჟურნალი არწმუნებდა მკითხველს, რომ თვით გერმანიის კაპიტალისტური ყოფიერება შეიცავდა ნეოფაშიზმის აღზევების ობიექტურ პირობებს. „შეიძლებოდა კი სხვა რამ სასიკეთო მოჰყოლოდა ამ საზოგადოებას, თუ არა გერმანული იმპერიალიზმის კლასიკური პოლიტიკის გაგრძელება, მხოლოდ სხვა მეთოდებით“, — ვკითხულობთ „კიურბისკერნში“.

ჟურნალში გატარებული აზრი მიუთითებს იმაზე, რომ გფრ-ში ომის შემდგომ ლიკვიდირებული ფაშიზმის ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური საყრდენის შენარჩუნებას რესტავრირებულმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სისტემამ შეუწყო ხელი. დასავლეთ გერმანიის რესტავრაციის პერიოდის სიღრმეში ჩაწვდომით ჟურნალი ამტკიცებს, რომ დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიას, რომელიც ანტიკომუნიზმს ემსახურებოდა, სასწრაფოდ დასჭირდა ე.წ. „განახლების სურვილის“ მოშველიება, რათა ამით თავიდან

აეცილებინა საჯარო დისკუსიები, სადაც მიმდინარეობდა მსჯელობა კერძო საკუთრების, წარსულისა და აწმყოს სოციალური სტრუქტურების გარშემო. ჟურნალის აზრით, „განახლების სურვილი", რითაც გერმანული ბურჟუაზია საკუთარ წყობას დემოკრატიულად ასაღებდა, სინამდვილეში მისი არსებობის შესანარჩუნებლად მოგონილი პოლიტიკური ალიბი იყო.

ამრიგად, დასავლეთ გერმანიაში ფედერაციული სახელმწიფოს დაარსება იმთავითვე შეიცავდა ურთიერთდაპირისპირებებს, რაც ყველაზე უფრო გამოიკვეთა ნაციზმის ანტიკომუნისტურ ანდერძსა და „განახლების სურვილში".[244] ფაქტობრივად, ყველაფერი ეს, როგორც ჟურნალი აღნიშნავს, ვაიმარის რესპუბლიკისა და მესამე იმპერიის კლასთა სტრუქტურის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა. ნეონაციზმის გააქტიურებაში „კიურბისკერნი" თავიდანვე ობიექტურ მიზეზებს ხედავს. ეს კარგად ჩანს პეტერ ვაისის სიტყვებში: „შეიცვალა კი რამ ამ საზოგადოებაში... თვით სისტემას დასჭირდა ისინი და წამოატივტივა კიდეც".[245]

ამდენად, ობიექტური ვითარებისა და პირობების ხელშეწყობით, იწყება დასავლეთ გერმანიაში ნეონაცისტების გააქტიურებაც რაშიც დიდ როლს თამაშობს პრესაც. რეაქციული პრესის ფურცლებზე თავს იჩენს წარსულში ცალკეული ნაცისტური აქციების გამართლება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „დოიჩე ნაციონალ უნდ ზოლდატენცაიტუნგი", რომლის მლიქვნელობასა და ცინიზმს საზღვარი არ უჩანდა. ჟურნალის გადმოცემით, ისინი ალმერთებდნენ ნაციზმისდროინდელ თანამდებობის პირებს, რესპექტაბელური პროფესიის მქონეთ, როგორებადაც მიაჩნდათ ლიუბკეს, აუგშტეინს — მოსამართლეები, ოფიცრები და სხვ. ნაციონალისტების გაგებით, ისინი თურმე გერმანელი ხალხის წინაშე მხოლოდ თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ ნაცისტურ იმპერიაში. ეს პირები პრესის ფურცლებზე აშკარად ქადაგებდნენ მსგავსი რესპექ-

ტაბელური ბატონების ღირსებასა და პატიოსნებას. აკრიტიკებდნენ მხოლოდ და მხოლოდ პროფესიულ ჯალათებსა და პროლეტარებს. დასავლეთ გერმანიაში უკვე 100-მდე გამოცემა არსებობდა, რომლებიც აფრქვევდნენ იდეებს ფაშიზმის თემაზე.

რესტავრაციის პერიოდს თავიდანვე არასაიმედო და არასასიკეთო ელფერი დაჰკრავდა, რაც წარსულის გაფეტიშებას უფრო ჰგავდა, ვიდრე მის დაძლევასო, — განგაშის ზარს შემოჰკრავს ჟურნალი და შეტევაზე გადადის.

მაშინ, როდესაც გფრ-ში რეაქციულ პრესას ხელს არ აძლევს ისტორიის გახსენება, დეზინფორმაციას ეწევა და ყოველმხრივ ცდილობს დაამახინჯოს ფაქტები, „კიურბისკერნის" რედაქცია მოქმედებს იმ მრწამსით, რომ ფაქტების გვერდის ავლა, ისტორიის უარყოფა ყოვლად დაუშვებელია. „არ შეიძლება მეხსიერებიდან ამოიშალოს ის, რაც მოხდა... განა შეიძლება შემოქმედებითად მივუდგეთ საქმეს, პრაქტიკაში განვახორციელოთ იდეები, თუ იმის შეგნება, რაც მოხდა, მინელდება. ეს ხომ თავიდან მოიტანს ფარულ პოლიტიკურ დანაშაულს?"[246] — სამსჯავროზე გამოაქვს საკითხი ჟურნალის მთავარ რედაქტორს.

იმ პოლიტიკოსებისა და იდეოლოგების საპირისპიროდ, რომლებიც თავისებურად უდგებოდნენ ისტორიულ მემკვიდრეობას, „კიურბისკერნი" ვერ ურიგდება, რომ გფრ-ში კარგ ტონად ითვლება ისტორიის ისეთ ასპექტში წარმოდგენა, თითქოს არც კი ყოფილა ფაშისტური ბნელეთი. თითქოს მან მხოლოდ წამით გაიელვა, როგორც არასასიამოვნო ეპიზოდმა, რომელსაც არსად და არაფერზე დაუმჩნევია თავისი კვალი.

ალბათ, ამიტომაც დასჭირდა რედაქციას თავისი ჟურნალის ფურცლებზე ჰიმლერის მოსაზრების მოყვანა, რომლის მიხედვით, ფაშიზმით უნდა ამაყობდეს კიდეც გერმანია. ეს გამონათქვამი ჟურნალისათვის იმდენად აბსურდულია, რომ მას უკომენტაროდ ბეჭდავს. მაგრამ მასში ისეთი შემაძრწუ-

ნებელი არგუმენტებია მოყვანილი, რაც აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა გერმანიაში ნაციზმის ომისშემდგომ ქომაგებს და მისი რეაბილიტაციით დაინტერესებულ ზოგიერთ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსს.

საჟურნალო სტატიებში აღშფოთება გამოითქმოდა იმის გამო, რომ ადენაუერის მიმდევარი ლუდვიგ ერხარდი თანდათან უფრო მეტი ინტენსიურობით მიჯნავდა კონსტიტუციაში საზეიმოდ დეკლარირებულ უფლებებსა და ამ პრინციპების ცხოვრებაში რეალურად გატარების პერსპექტივას. ვინც სოციალური სამართლიანობის საკითხებით იყო დაინტერესებული და კაპიტალიზმს აკრიტიკებდა, მაშინვე ხდებოდა ცილისწამების ობიექტი და ბრალი ედებოდა ანტიდემოკრატიულობაში. სწორედ ასეთი მეთოდების გამოყენებით იყო დისკრედიტირებული ყველა დემოკრატიული მოძრაობა. ამიტომაც ილაშქრებდა „კიურბისკერნი" ასე მწვავედ იმ ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვოდნენ არა ფაშიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად, არამედ ნაციზმის დროინდელი ბოსებისა და გენერლების რეაბილიტაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით, „კიურბისკერნს" საილუსტრაციოდ მოჰყავს 1957 წლის 5 აპრილის „დი ფრანკფურტერ რუნდშაუში" გამოქვეყნებული მასალა, სადაც მართალია არასრული, მაგრამ საკმაო მოცულობის სია იყო გამოქვეყნებული ყოფილი გენერლების, პროკურორების, დირექტორებისა და სხვა იმდროინდელი წარმომადგენლობისა, რომლებიც კვლავ დაინიშნენ მაღალ თანამდებობებზე. როგორც ჟურნალი ამბობს, გფრ-ში ბევრი სხვა „სახელმოხვეჭილიც" დაუბრუნდა თავის ადგილს.

„კიურბისკერნში" გერმანიის სხვადასხვა კომუნიკაციური საშუალებებიდან უამრავი ასეთი მასალა ემცნო საზოგადოებას. პუბლიცისტურ სტატიებში ასევე დასახელებულია არაერთი გამოცემა, სადაც წამოყენებულია მოთხოვნა ნიურნბერგის პროცესზე გასამართლებული ომის დამნაშავეებისა და

ფაშიზმისდროინდელი სამხედრო მეურნეობის ხელმძღვანელე-ბის სამუშაო ადგილებზე აღდგენაზე. მაგრამ ჟურნალი ფარ-დას ხდის თითოეულ პირთა სასტიკ დანაშაულებრივ ქმედე-ბებს. ოსვენციმის „ინდუსტრიული გაერთიანების დირექტო-რისა და შეიარაღების სამინისტროს" ქიმიური იარაღის სამ-ხედრო მიზნებისათვის გამოყენების სპეციალური კომისიის თავმჯდომარე —ოტო ამბროსი საწამლავი გაზისა და ბაქტე-რიოლოგიური ომის მომზადებისათვის გაწეული პირუთვნელი სამსახურისათვის, საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრების გამოყენებისათვის ე.წ. „კვლევითი სამუშაოებისათვის" და-ჯილდოებულ იქნა გერმანიის საპატიო ნიშნით, ე.წ. „რაინ-დის ჯვრით", ხოლო 1954 წლიდან ის კვლავ ჩვეულებრივ განაგრძობს მოღვაწეობას და იკავებს ადგილს სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე.[247]

ამ დროს „კიურბისკერნი" თანამედროვე სიტუაციას წარ-სულთან კავშირში განიხილავს. შეურიგებელ ბრძოლას უც-ხადებს იმათ, ვინც წარსულის მიჩქმალვას, ან უბრალოდ, მის დავიწყებას ქადაგებს. „სანამ ვილჰელმის იმპერიიდან მე-სამე რეიხამდე და გფრ-ის დაარსებამდე, ამ საუკუნის გერმა-ნიის ისტორიული მომენტები არ გამოაშკარავდება, სანამ სკოლებს, უნივერსიტეტებსა და კომუნიკაციის საშუალებებს ჰიტლერის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა არ მიე-წოდება, სანამ კრიტიკა სიმპტომატური არ იქნება, სანამ და-სავლეთ გერმანიის მოქალაქეს არ ეცოდინება საკონცენტრა-ციო სახელმწიფოთა სისასტიკე, რომ 1933 წლიდან დახაუს ბანაკის აკაბით როგორ გაიჩვია ხელი და მიაყოლა მაიდანე-კის, ოსვენციმის, ტრებლინკას ბანაკები, სანამ ბურჟუაზიული წარმომავლობის გიმნაზისტი არ გააცნობიერებს ყოველივეს და დასავლეთ გერმანიის გაზეთის მკითხველს სწორი ინ-ფორმაცია არ მიეწოდება, მანამ დასავლეთგერმანელი საზო-გადოება მსხვერპლად შეიძლება შეეწიროს გერმანელ იმპერი-ალისტურ პოლიტიკას".[248]

თავის მხრივ „კიურბისკერნი" არა მარტო დახაუზე, არამედ სხვა უამრავ შემაძრწუნებელ მასალასა და ფაქტებზე მოუთხრობს მკითხველს. თუნდაც დახაუში, როგორც ყველა ბურჟუაზიული გაზეთი იუწყებოდა, — 1933 წ. პირველ რიგში უნდა მოეთავსებინათ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, პროფკავშირების წევრები და მემარცხენე ინტელიგენცია.

ჟურნალი ომის შემდგომი პერიოდის განხილვით იძიებს ნეონაციზმის აღმოცენების მიზეზებს: „მაშინ, როცა ერთნი ჰიტლერული ფაშიზმისაგან გათავისუფლებას ზეიმობდნენ, მეორენი ცხარედ მისტიროდნენ წაგებულ ომს, გერმანიის დიდი იმპერიის დაცემას",[249] — აღნიშნავს ის.

„კიურბისკერნი" ნეოფაშისტური პროპაგანდის გაშლას შეშფოთებით ადევნებს თვალყურს და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მილიონობით ხალხი უყურებს ფილმებს, სადაც გაიდეალებულია ჰიტლერი და მისი დამქაშები, იბეჭდება ცნობილი ნაცისტების მემუარები. „დაიწყო ნეონაცისტური და ნაციონალისტური დემაგოგიის მასობრივი გავრცელება, რომელიც ითვალისწინებს თავისი გამოცემითა და ტირაჟით მოსახლეობის ფართო მასებზე ზემოქმედებას",[250] — გაისმის ჟურნალიდან. ეს ის პერიოდია, როცა წამოტივტივდნენ ჰიტლერის თანამდგომი პირები და აღზევებას იწყებენ ნაციონალურ-სოციალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი ავტორები. „შვებიშე ცაიტუნგის" პოლიტიკური მიმომხილველი ვილჰელმ პლეიერი, რომელიც თავის დროზე ხოტბას ასხამდა ჰიტლერს, 1945 წელს კვლავაც მოუწოდებდა ცოცხლად დარჩენილ ხალხს ფიურერისათვის მსხვერპლის გაღებისაკენ. პლეიერი — ნდპ-ს მუდამ აქტიური ორატორი, პარტიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ყრილობებზე გაიძახოდა: „მე ვიცი მხოლოდ გერმანია და სხვა არაფერი დედამიწაზეო".[251]

ჟურნალი გვერდს ვერ უვლის ნაცისტური წარსულისადმი ნოსტალგიით გამსჭვალული სხვა მემარჯვენე რადიკალების (გფრ-ში ნეონაცისტებს „მემარჯვენე რადიკალებს" ან

„მემარჯვენე ექსტრემისტებს“ უწოდებენ, — რ.დ.) მოღვაწეობას. მათ შორისაა ავსტრიელი რეაქციონერი ჟურნალისტი კურტ ციზელი. თავისი თანამემამულის, ადოლფ ჰიტლერის სწორუპოვარი თაყვანისმცემელი კურტ ციზელი, ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე, გერმანიაში გადადის და იქ ნაცისტურ პრესაში იწყებს აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. კურტ ციზელი ახალგაზრდობიდანვე ირიცხებოდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში. აგრესიული კონსერვატორის ყოველი გამოსვლა ნდპ-ს ყრილობებზე აპლოდისმენტებით მთავრდებოდა. თურმე მისი დემაგოგიური ლექციები გასაოცრად იპყრობდა მსმენელთ.

აშკარა დემაგოგიის პრინციპებზე დამყარებული ციზელის გამოსვლების კრიტიკულად განხილვისას „კიურბისკერნს“ მოჰყავს ჰაინრიხ ბიოლის სიტყვები, რომლებიც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ფაშიზმის აპოლოგეტის სახეს: „ციზელი წყლის ნაყვის ისეთი დიდოსტატია, რომ მის თეზისებში სიმართლის რაიმე ელემენტის დაჭერაც კი შეუძლებელიაო“.[252]

ანტიფაშისტური ბრძოლისათვის „კიურბისკერნი“ სხვადასხვა პროპაგანდისტულ საშუალებებს მიმართავს. ჟურნალი ცდილობს ღრმა ემოციური დატვირთვა მისცეს ფაშისტური წარსულის ამსახველ ეპიზოდებს. იანკერის მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდში ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გოგონას ეკითხებიან: არჩევანი რომ გქონდეს, რას ინატრებდი, რა გინდოდა ყოფილიყავი? — ძაღლი, — უპასუხებს გოგონა. ბავშვიც კი ხედავდა, რომ ბანაკში ძაღლები გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ოსვენციმის კომენდანტს მართლაც უყვარდა ძაღლები, განაგრძობს ავტორი, — თუმცა, მას არა მარტო ძაღლები, ბავშვებიც უყვარდა, განსაკუთრებით ბოშა ბავშვები. „ჩემი უსაყვარლესი პატიმრებია“, — ამბობდა კომენდანტი მათზე. მაგრამ ამ „სიყვარულს“ მისთვის ხელი არ შეუშლიაო, რომ 1944 წლის ზაფხულში ისინი

საკვამლე მილში გაეტარებინა.[253]

„კიურბისკერნი“ უხვად იშველიებდა მსგავს შემაძრწმუნებელ ფაქტებს, მაგრამ გრძნობდა, რომ მარტო მკითხველის ემოციების გამოწვევა საკმარისი არ იყო ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომაც ჟურნალში მოყვანილია აგრეთვე ისტორიული ფაქტები, გაანალიზებულია წარსულისა თუ თანამედროვე მოვლენები.

ჟურნალის ერთ-ერთი ფუძემდებელი კლაუს კონეცკი ბონის პოლიტიკის გასაკრიტიკებლად იძიებს დასავლეთ გერმანიის ომის შემდგომი პერიოდის დოკუმენტებს, ძირფესვიანად და დოკუმენტურად იკვლევს მასალებს, იმ ისტორიულ-პოლიტიკურ წანამძღვრებს, რაც დაედო საფუძვლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსებას.

„კიურბისკერნის“ რედაქცია თანამედროვეობისა და წარსულის მოვლენების გაანალიზებასთან ერთად, ნეოფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროდ მიიჩნევს ანტიფაშისტური ბრძოლის ტრადიციების გახსენებას. ჟურნალის 1975 წლის მე-2 ნომერი მთლიანად „ბრძოლის ლიტერატურას“ მიეძღვნა, სადაც დიდ ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოვლენად აღიქმება ისეთი დიდი თანამემამულეების მანამდე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების პუბლიკაცია, როგორებიცაა: კლაუს მანის „ბრძოლა ახალგაზრდა ადამიანისათვის“, იოჰანეს ბეხერის „ფაშიზმის პოლიტიკური და მორალური განადგურება“ და ალფრედ ანდერშის „რუხი დღიურის ჩანაწერები“. მათში ირეკლება ფაშიზმის პერიოდის დრამატიზმით აღსავსე ისტორიები და მათი ავტორისეული აღქმა. მთელი სერიოზულობითაა გაანალიზებული ფაშიზმის ძირები და, რაც მთავარია, მათ ნაწარმოებებში გამოკვეთილია ანტიფაშისტური ბრძოლის პათოსი.

კლაუს მანის[254] „ბრძოლა ახალგაზრდა ადამიანისათვის“, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, წაკითხულ იქნა 1935 წელს პარიზში, ინტერნაციონალ მწერალთა პირ-

ველ კონგრესზე. კონგრესი მიძღვნილი იყო თემისადმი — „ომისა და ფაშიზმისაგან კულტურის დაცვა“. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა ერთადერთი დოკუმენტია, რომელსაც თვით კლაუს მანის რემარკები ახლავს თან.

„კიურბისკერნში“ კლაუს მანის მოხსენების პუბლიკაცია მრავალმხრივაა საინტერესო. შემთხვევითი არაა, რომ ჟურნალი მას ვრცელ შესავალს უკეთებს და ნათლად წარმოსახავს კლაუს მანის მოღვაწეობას. განსაკუთრებით იმ პეროდში, რომელიც აღნიშნულ გამოსვლას უძღოდა წინ.

კლაუს მანი დიდ იმედებს ამყარებდა ინტერნაციონალ მწერალთა პირველ კონგრესზე. კონგრესი მიმდინარეობდა 1935 წლის 21-25 ივნისამდე. 37 ქვეყნიდან მოწვეული დელეგატებიდან მოხსენებით გამოდიოდა თითქმის ყველა მსოფლმხედველობისა და მიმართულების მწერალი. დღის წესრიგში არსებული შვიდი თემიდან, კლაუს მანი კონგრესის გახსნის მე-4 დღეს გამოდიოდა მოხსენებით, თემაზე — ჰუმანიზმი. ამავე დღეს, მოხსენებით წარსდგებოდნენ: მწერალი ჰაინრიხ მანი, კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ორატორი, ანდრე ჟიდი და ახალგაზრდა ფრანგი ლიტერატორი რენე გრეველი. ამ უკანასკნელთან კლაუს მანს უკვე ათი წლის მეგობრობა აკავშირებდა. კონგრესზე ძირითადად წარმოდგენილი იყო ორი ბანაკი, სიურეალისტებისა და რეალისტების, რომელთა შორის მაშინ ფრიად გამწვავებული იყო ურთიერთობა. რენე გრეველი ამ დროს უფრო სოციალისტური დაჯგუფებისაკენ იხრებოდა, თუმცა მისი პოლიტიკური შეხედულებები ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული. კონგრესის წინა საღამოს რ. გრეველს, სიურეალიზმის თეორიის შემქმნელ ანდრე ბრეტონსა და ილია ერენბურგს შორის მოხდა დრამატული შეტაკება. რის შემდეგაც სასოწარკვეთილი რენე გრეველი თავს იკლავს.

„კიურბისკერნი“ კონგრესზე მომხდარ ამბებზე შემთხვევით არ ამახვილებს ყურადღებას. მართლაც წარმოუდგენელი

იყო, როდესაც ასეთი საფრთხე კარს იყო მომდგარი, ფროიდიზმის მომხრენი ლიტერატურულ საკითხებზე ეკამათებოდნენ სოციალისტური რეალიზმის მომხრეთ. ამით ჟურნალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მსგავსი განხეთქილებები მხოლოდ ასუსტებდა ანტიფაშისტურ ბრძოლას.

კლაუს მანმა მხოლოდ სხდომის დაწყების წინ შეიტყო მეგობრის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ. კონგრესი მისთვის ნერვული შოკით დაიწყო. ამ ამბავმა გადააწვეტინა კ. მანს პოლიტიკური შინაარსის მოხსენებით[255] გამოსვლა.

ჟურნალის მიხედვით, გრეველის ტრაგიკულ სიკვდილს სოციალური მიზეზი ედო საფუძვლად. გრეველმა თავი მოიკლა არა იმიტომ, რომ ბრეტონთან და ილია ერენბურგთან კონფლიქტი მოუვიდა, არამედ თვით გარემომცველი სამყარო იყო იმდენად აუტანელი, რომ მასზე მომაკვდინებლად მოქმედებდა. საქმე ისაა, რომ ცოტა მოგვიანებით კლაუს მანსაც იგივე ბედი ეწია, მსგავსმა იმედგაცრუებამ იმსხვერპლა კლაუს მანიც. მისთვის შეუძლებელი გახდა სხვა პრობლემებთან ერთად ამდენი წინააღმდეგობების ერთად აღქმა და გადალახვა. 14 წლის შემდეგ კლაუს მანიც იკლავს თავს. მისთვის ყველაზე ძნელი ასატანი გახდა ის, რომ ჰიტლერის დამარცხების შემდეგ ახალგაზრდობა კიდევ უფრო მეტად იყო დაბნეული და ვერ ხედავდა პოლიტიკურ გამოსავალს. თავად კი აღარც ძალა და აღარც უნარი გააჩნდა ძველებური შემართებით ბრძოლისა და აღარც მოთმინება ეყო, დალოდებოდა ნათელ მერმისს.

ცხადია, ჟურნალისათვის მეტად მნიშვნელოვანია ეს ფაქტები, ვინაიდან იმ მკაცრი დღეების, მწარე გამოცდილებების მსხვერპლი გერმანიის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი გახდა.

ჟურნალი „კიურბისკერნი" სხვადასხვა პერიოდში ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი თხზულებების საგანგებო თავმოყრით, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პრობლემის სერიო-

ზულობაზე, რომ ისევ მწვავედ დგას საკითხი, რომ გადაუდებელია ფაშიზმის გადმონაშთებისა და ნეონაციზმის წინააღმდეგ აქტიური გალაშქრება.

საგულისხმოა, რომ გერმანელ ხალხს მაშინ ფაშიზმის მიმხრობით წარმოდგენაც არ შეეძლო, რომ ბოროტებაში იღებდა მონაწილეობას,[256] რაც შეიძლება იოზეფ გებელსის დამსახურებაც იყო. მისი დევიზი ხომ ასე ჟღერდა: „ტყუილმა დიდხანს უნდა გასტანოს, რომ ყველამ დაიჯეროს".[257] ხოლო ომის შემდეგ, როდესაც მთელი დასავლეთ გერმანიის პრესა საგულდაგულოდ აღიარებდა სოციალიზმის გზას შეცდომად და კრიზისიდან გამოსვლის სხვა საშუალება თუ არ მოიძებნებოდა, ისევ ფაშიზმისკენ ეჭირა თვალი, გასაგებია, თუ რა რთულ ვითარებაში უხდებოდა „კიურბისკერნს" თავისი იდეების გატარება.

# კომუნიკაციის მასობრივი საშუალებების კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის პროცესი და მათი შედეგები

დასავლეთ გერმანიაში 1960-70-იან წლებში არსებული წინააღმდეგობები კულტურის სფეროსაც შეეხო. კულტურის მოღვაწენი, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ცენზურის გამკაცრებისა და დემოკრატიული უფლებების შეზღუდვის გამო. კომუნიკაციის მასობრივი საშუალებების კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია საფრთხეს უქმნიდა მათ სოციალურ უზრუნველყოფას.[258]

ჟურნალ „კიურბისკერნისათვის" ამ ეტაპზე აუცილებელი იყო მშრომელი მოსახლეობის ინტერესების დაცვა, ბრძოლა დემოკრატიული რეფორმებისათვის. ჟურნალს ამავე დროს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ წარმოების კონცენტრაციის შედეგად გამოწვეული მოსამსახურეების სამუშაოდან დათხოვნის, ხელფასის შემცირების, პროფესიების აკრძალვისა თუ ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ დემოკრატიული კავშირის გაფართოებით. ყველა ეს პროცესი, აქტუალურ სიტუაციებთან კავშირში, უნდა ასახულიყო არა მარტო ჟურნალის, არამედ ავტორთა და საერთოდ, მწერალთა შემოქმედებით საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ გფრ-ის მმართველი ძალები კარგა ხანს წარმატებით ახერხებდნენ, შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლად აზროვნებისა და სულიერი თავისუფლების ილუზია, თანამედროვე პროცესების განვითარება თითოეულ მწერალს სულ უფრო მეტად აპირისპირებდა სინამდვილესთან. ის გამუდმებით ეჯახებოდა სირთულეებს. თავისი ცოდნის, გამოცდილებისა თუ შეხედულების მკითხველამდე მიტანას ბევრი რამ ელობებოდა წინ. ძლიერდებოდა კულტურის ინდუსტრიის თანამშრომელთა და მთელ რიგ ავტორთა შეურიგებელი დამოკიდებულება შესაბა-

მის საორგანიზაციო სტრუქტურებთან, დღის წესრიგში მწვავედ დგებოდა პიროვნების, აზროვნების დამოუკიდებლობის მოთხოვნები.

აშკარა იყო, „მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და ყველაზე თავისუფალი საზოგდოებრივ-ეკონომიკური წყობის ქვეყანაში", ბურჟუაზიული პროპაგანდის თანახმად, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ღრმა კრიზისი. კრიზისებთან მიმართებაშია მოყვანილი გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველკვირეული გაზეთ „ცაიტიდან" \1966 წ.\ კანცლერის სიტყვები: „გამორიცხული არ არის კონიუნქტურის ვარდნა. როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს ასეთი პერსპექტივა, პანიკა უსაფუძვლოა. უნდა გვახსოვდეს: თუ რამდენიმე კვირით 100000-ზე მეტი მოსამსახურე უმუშევარი დარჩება, ამას როდი აქვს მნიშვნელობა. მთავარი სხვაა — იმპულსი მივცეთ ეკონომიკის განვითარებას, მის ზრდას და ამგვარად თავიდან ავიცილოთ კრიზისის საფრთხე". კანცლერის გამონათქვამი მტკიცე არგუმენტია, რომ კრიზისი ნამდვილად ჰადგა და რაოდენ უმნიშვნელოა მთავრობისათვის, თუ ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა.[259]

კონცერნების შექმნისა და მათგან მომდინარე ნეგატიური შედეგების კრიტიკული განხილვა „კიურბისკერნის" საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა. ხოლო ავტორთა ბრძოლა შრომითი პირობების მეტ-ნაკლებად გასაუმჯობესებლად, ხელშეკრულებების დასახვეწად, ხელფასისა და პენსიების გასადიდებლად, კომუნიკაციის მასობრივ საშუალებებთან მიმართებაში თანასწორუფლებიანობის მისაღწევად — არა მარტო საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და სახელშეკრულებო გაუმჯობესებისათვის ბრძოლაა, არამედ მთლიანობაში მასმედიის მონოპოლიზირებით საზოგადოებისათვის მასობრივი კულტურის თავსმოხვევის ალკვეთის ცდებია.[260]

დასავლეთ გერმანიის საგამომცემლო საქმიანობისა და კომუნიკაციის მასობრივი საშუალებების იმჟამინდელი კონ-

ცენტრაცია ჟურნალისტიკის, მწერლობის დეგრადაციად აღიქმება. კონცერნების ბატონობის ინსტრუმენტად აღიარებული გონების ინდუსტრია მიმართული იყო არა მარტო ეკონომიკური რენტაბელურობისათვის, არამედ უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ინფორმაციათა შინაარსობრივ შერჩევაზეც.

ასევე აღშფოთებაა გამოხატული გერმანელ დამქირავებელთა ფედერალური კავშირის პროგრამის მიმართ და ჟურნალი თავის ფურცლებზე აქვეყნებს 1974 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ განაცხადს – „ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები", რომელშიც ნათქვამია: „ყველა მემარცხენე ძალებს, განსაკუთრებით გკპ-სა და პროფკავშირებს, ასევე სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მშრომელი მოსახლეობის სახელით მოითხოვენ რეფორმებს, გამოეცხადებათ დაუნდობელი ომი, რადგან რეალურად წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება მხოლოდ უმცირესობას როდი ეკუთვნის. ეს საერთო სოციალური კუთვნილებაა. პროფკავშირების არაკანონიერი მოთხოვნები ხმის უფლებაზე მიიღება კონსტიტუციის წინააღმდეგ ქმედებად. კაპიტალსა და შრომას შორის დაპირისპირება, რომელიც უკვე გასულ საუკუნეშივე მოძველდა, აღარ შეეფერება სინამდვილეს. ვერც ერთი სოციალისტური რეცეპტი ვერ შეძლებს წარსულისა და თანამედროვეობის სირთულეების მოგვარებას და მასთან გამკლავებას, თუ არა ჩვენი საბაზრო-ეკონომიკური წყობა. თავისუფლება და კერძო მეწარმეობა ერთია".[261]

ჟურნალის აზრით, აქ აშკარადაა გამოთქმული მსხვილი კაპიტალის პრეტენზია ეკონომიკურ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სფეროებში ერთპიროვნულ ძალაუფლებაზე, რითაც ამ საეჭვო პროგრამაში გამოხატული აზრი „მაინ კამპფის" სტილს უტოლდება.

კულტურის ინდუსტრიის კონცენტრაციამ წარმოშვა ხელფასსა და ჰონორარზე დამოკიდებულთა დაპირისპირება კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა მონოპოლიებთან. კონცერ-

ნების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და უპირისპირდებოდა არა მარტო მწერლობა, არამედ წარმოებისა და კულტურის მრავალ სფეროში დასაქმებული ადამიანები.[262]

მთავარი ის იყო, რომ დასავლეთ გერმანიაში კონცერნების შექმნას ერთიმეორეს მიყოლებით მოჰყვა საშუალო და მცირე გამომცემლობათა და პრესის ორგანოების დახურვა. შედეგად უმუშევარი დარჩა, ან საგრძნობლად შეუმცირდა ხელფასი უამრავ მუშა-მოსამსახურეს, ახალგაზრდობას, ინტელიგენციას და მთლიანად საშუალო ფენას. ეს პროცესი რადიკალური უმცირესობის სიცოცხლის— უნარიანობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. მონოპოლისტურ-კაპიტალისტური სტრუქტურის გაძლიერებას მათთვის ექსპლუატაციის ზრდის გარდა არაფერი მოჰქონდა. შესაბამისად კი მცირდებოდა მათი სოციალური უზრუნველყოფის შანსები.[263]

საქმე ისაა, რომ არც ერთი პარტია არ ცდილობდა კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა სოციალური მდგომარეობის საკითხი განსახილველად დაესვა ბუნდესტაგში. არადა დაუსაქმებელი რჩებოდნენ მწერლები, გრაფიკოსები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, ოპერატორები, მხატვრები, მსახიობები — ითრგუნებოდა ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი. აქედან გამომდინარე, არც რაიმე სასიკეთო ძვრები იყო მოსალოდნელი, ვერც პროგრესის გზით წარიმართებოდა კულტურა. უკვე ინტელიგენციის სოციალური და პოლიტიკური მიმართება წარმოების საშუალებების მფლობელებისადმი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა მუშათა კლასის სოციალურ სტატუსს. ობიექტურ გარემოებას ისინი მუშა-მოსამსახურეებთან სოლიდარობამდე მიჰყავდა.

„კიურბისკერნი" ამიტომაც უჭერდა მხარს და თვლიდა, რომ გარდაუვალი იყო პროფკავშირების დაარსება, რომელმაც შემდგომ განმსაზღვრელი როლი შეასრულა არა არტო მუშა-მოსამსახურეების, არამედ მთლიანად კულტურის სფეროში მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის სოციალური

უზრუნველყოფის საქმეში.

საგანგებოდ გამოეხმაურა ჟურნალი 1969 წ. კიოლნში გერმანიის მწერალთა კავშირის დაარსებასაც, რომლის პრეზიდენტი იყო დიტერ ლატმანი. მწერალთა კავშირის პროგრამაში ნათქვამი იყო: „პრაქტიკულად მწერალთა კავშირი იღვწის დემოკრატიის, უმთავრესად, აზრის თავისუფლებისათვის... მწერალთა კავშირი უთუოდ წამოაყენებს მოთხოვნებს და იმ პროცესების განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას, რომლის მიზანია საზოგადოების დემოკრატიზაცია“.[264] მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა 1970 წლის ნოემბერში, შტუტგარტში გაიმართა, ბიოლის დევიზით — „განკიცხულთა გაერთიანება“.

ჰაინრიხ ბიოლი ლოზუნგით — „ბოლო მოეღოს მორჩილებას“,[265] — გაცილებით ადრე მოუწოდებდა მწერლებს სოლიდარობისა და გაერთიანებისაკენ. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ მწერლები ეხსნა ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან. ბიოლის გამოსვლა ყოველთვის იწვევდა უდიდეს რეზონანსს. შემდგომში, უკვე როგორც საერთაშორისო მწერალთა კავშირის — პენ-ცენტრის თავმჯდომარე, ბიოლი კიდევ უფრო მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას და თავგამოდებით უჭერდა მხარს პუბლიცისტებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო დემოკრატიულ კავშირს.

ჟურნალ „კიურბისკერნის“ კრიტიკული თვალთახედვის არეში პრესის საერთო მძიმე მდგომარეობასთან ერთად ექცევა გფრ-ის რიგი გამომცემლობები, რომლებიც უხვად ავრცელებდნენ ტრივიალურ ლიტერატურას, გზას ულობავდნენ და სირთულეებს უქმნიდნენ ჭეშმარიტად დემოკრატ მწერლებს.

საზოგადოებისათვის მეტად საშიშ მოვლენად აღიქმებოდა სერიული რომანების გამოცემა, რომელთაც არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნდათ. ტრიავიალური გამოცემების მთელ ამ ფაბრიკაციას დადგენილი წესები ჰქონდა. კერ-

ბოდ, არსებობდა შემდეგი შეთანხმება გამომცემლობასა და ავტორებს შორის: ტექსტში არ უნდა თქმულიყო რამე ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვებზე; ასევე არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი ტექსტილის წარმოებაში მომუშავე ქალების უმწეო მდგომარეობაზე; სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ ნებისმიერ დიდი თანამდებობის პირზე საუბარს. წიგნის სარფიანი გასაღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთგერმანელი მკითხველის მოთხოვნილებების გათვალისწინებას. წინასწარ ისაზღვრებოდა ფართო მკითხველის დონე — მისი ფანტაზიის უნარი, სურვილები, იმედები, ემოცია და სქესობრივი მიდრეკილება, ორიენტაცია. სერიული რომანების ჰონორარი დამოკიდებული იყო მის თემატიკასა და ჟანრზე, იქნებოდა იგი სასიყვარულო, კრიმინალური თუ ვესტერნი. ასეთი სახის ლიტერატურის გამოცემას ემსახურებოდა „ჰაენე", „ბასტაი". მიუნხენის გამომცემლობა „მოევიგი" ჯარისკაცთა სათავგადასავლო შტამპებს ამკვიდრებდა და დიდი ტირაჟით უშვებდა ე.წ. „ლანდსერ-ჰეფტეს", რითაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გული ჰქონდა მოგებული. ასეთ სუროგატებს ისინი წარმოადგენდნენ დიდი პოლიტიკური პათოსის შემცველ ლიტერატურად, სინამდვილეში კი ყოველივე ემსახურებოდა საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების გამყარებას.[266]

დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარი სამ მსხვილ კონცერნს ეპყრა, ხოლო საგამომცემლო პროდუქციის შინაარსს, თემასა თუ სტრუქტურას კონცერნების მფლობელები განსაზღვრავდნენ. გონების ინდუსტრიის მაგნატებს შორის პირველ ადგილზე იყო შპრინგერის გამომცემლობა, რომლის წლიური კაპიტალბრუნვა 920 მილიონ მარკას შეადგენდა. მეორე ადგილზე — ბერტელსმანის კონცერნი, რომლის კაპიტალი წელიწადში 700 მილიონ მარკას ითვლიდა. შემდეგ სახელდებოდა გრიუნერ უნდ იარის, ჰოლცბრინკისა და სხვათა კონცერნები.

ამ კონცერნებიდან უმთავრესი გიგანტი მაინც შპრინგერის კონცერნი იყო. უმსხვილესი საწარმო ყოველკვირეულად 45 მილიონ გაზეთსა და ჟურნალს გამოსცემდა. ყოველდღიური პრესიდან შპრინგერის მოგების წილი 88,7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მთლიანად ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების გასაღებიდან მას 30 პროცენტი წილი ერგებოდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ აქსელ შპრინგერის პროდუქციას ყოველდღიურად გფრ-ის ყოველი მესამე ოჯახი კითხულობდა. მისი „ბილდ-ცაიტუნგი", რომელიც 4,8 მილიონი ეგზემპლარი გამოდიოდა, მმართველი წრეების ყველაზე ერთგული გაზეთი იყო. „კიურბისკერნის" მიხედვით მას პირველი ადგილი ეჭირა ფაქტების მიჩქმალვისა და ფალსიფიცირების, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების საქმეში. „კიურბისკერნის" სტატიებიდან ვრწმუნდებით, რომ მასში მრავლად იყო ესესელების რეაბილიტაციის მცდელობებიც. „ბილდის" მოცულობის 50-60 პროცენტი განცხადებებს, სათაურებსა და სურათებს ეკავა. დანარჩენი 40-50 პროცენტი კი, როგორც ერთმა სოციოლოგმა აღნიშნა — „აკვიატებული აზრების კორიანტელი" იყო, თავისი ყურით მოტანილი ფრაზებითა და მაცდუნებელი, „შთამაგონებელი" საკითხებით შევსებული.

„კიურბისკერნი" შპრინგერის კონცერნს მონოპოლისტური კაპიტალიზმის დემაგოგიურ ფრთას უწოდებს. „ბილდი" კი მისთვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ორგანოა, რომელიც ინფორმაციის გავრცელების ნაცვლად, ყველაფერს ქვენა ემოციებზე აგებს. ემოციები კი მოსახლეობის 80 პროცენტის ინტერესების სიმულირებას ახდენს.

ჟურნალში ასევეა გაკრიტიკებული რუდოლფ აუგშტაინის პრესა. მისი ჟურნალი „შპიგელი" თითქოს ლიბერალური და ნეიტრალურია, მაგრამ ამავე დროს გაბატონებული აზრის ანარეკლია. ის წარსულის ნიველირებას მარჯვნიდან ცდილობს, ამასთან ერთად უწყინარობას, ნეიტრალობას „მოხდენილად" თამაშობს,[267] — ვკითხულობთ ჟურნალში.

გერმანიის ინტელიგენცია აღშფოთებას გამოთქვამს და უნდობლობას უცხადებს შპრინგერს, ბერტელსმანსა და ჰოლცბრინკს. ისინი ვერ ეგუებიან და კრიტიკულ პარალელს ავლებენ კაცობრიობის მატერიალურ, სულიერ და კულტურულ ფასეულობაზე მოთხოვნილებასა და იმ კულტურულ ერზაცს შორის, რომელსაც ეს კონცერნები სთავაზობენ მასებს.

## ამერიკანიზაციის პრობლემა

დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული კულტურის ფორმირებისა და განვითარების საქმეში მიზანშეწონილად მიიჩნევა ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის მიერ გერმანიის კულტურის ოკუპაციის შედეგების განსაზღვრა. აღნიშნულ საკითხზე ჩაღრმავება იწყება იმპერიალისტური სახელმწიფოების, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციული კაპიტალიზმის საერთაშორისო კურსის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოვლენით.

ამერიკის თემას ცალკეული სტატიების გარდა, ჟურნალ „კიურბისკერნში“ მთელი ნომერიც ეძღვნება.[268] ნომერში დაწვრილებითაა მიმოხილული ამერიკის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა, ამასთანავე, ყურადღება აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე უფრო მეტად საკუთარ ქვეყანასთან მიმართებაშია გამახვილებული.

ჟურნალი განიხილავს იმპერიალისტური სახელმწიფოების საერთაშორისო კურსს კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებით, როგორიცაა კაპიტალის კონცენტრაცია, კაპიტალის დაბანდება უცხო ქვეყნებში, გასაღების ბაზარსა და გავლენის სფეროებში პირველობისათვის ბრძოლა. ჟურნალის ავტორები ცდილობენ დასავლეთ გერმანიის კულტურის ინდუსტრიალიზაცია ამ პროცესების ზეგავლენით ახსნან.

პუბლიცისტურ სტატიებში გამოვლენილია ამერიკული კაპიტალის დასაბანდებლად აშშ ინფორმაციულ-პროპაგანდისტული მონოპოლიების საერთაშორისო საქმიანობა, რომელიც აირეკლა ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოებულ ამერიკულ პოლიტიკაში და რომელიც მიმართული იყო არა მარტო აშშ-ს გავლენის გასაძლიერებლად, არამედ კაპიტალისტური სისტემის გასამყარებლადაც. ავტორების მიერ მკაფიოდაა წარმოჩენილი ინფორმაციის მასობრივი საშუალებების,

საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ინსტრუმენტის, არსი. სტატიის ავტორების აზრით, საჭირო იყო ფარდა აეხადათ სიყალბისათვის და გაეფანტათ ის ილუზიები, რაც ასე უხვად ვრცელდებოდა კომუნიკაციის საშუალებებით. იქვე ისახებოდა მათთან დაპირისპირების გზებიც.

„კიუბისკერნი" თავს მოვალედ თვლის, გამოააშკარაოს ამერიკული კაპიტალის შეჭრა გფრ-ის კულტურის სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ, გფრ-ის მრავალ გამომცემლობაში, კერძოდ, გრიუნერ უნდ იართან, ბერტელსმანთან, როვოლტთან და სხვ., ამასთანავე, ახალი ამბების სააგენტოსთან და კინოკორპორაციებთან. 473 ამერიკული ფირმიდან და საწარმოდან, რომლებითაც 1966 წლიდან მოფენილია მაინის ფრანკფურტი, 16 — ახალი ამბების სააგენტო და გამომცემლობაა, 9 — კინოსაზოგადოება, 29 — სხვადასხვა საწარმო, ამასთანავე 19 სარეკლამო და „პაბლიკ რილეიშენ"-ის სააგენტოა.

ჟურნალში სხვადასხვა წყაროებიდან მოყვანილია უამრავი ციფრობრივი მონაცემი ამერიკული კაპიტალის დაბანდებისა და ზეგავლენისა გფრ-ის მასობრივ კულტურაზე. ვითარდებოდა ელექტრონიკისა და ელექტროინდუსტრიის ამერიკული კონცერნები. იქმნებოდა ვიდეო და სატელიტური თანამგზავრული სისტემები, რომლებიც ფართოდ ავრცელებდნენ ფონო, რადიო და ტელეპროდუქციას, კომიკსებსა თუ მულტფილმებს. ყოველივე ეს აღშფოთებას იწვევდა იმის გამოც, რომ შეერთებული შტატების მონოპოლიური ბატონობა ქვეყნის წარმოებასა და ტექნიკურ განვითარებას უქადდა საფრთხეს. გფრ-ში არ დარჩენილა მეცნიერებისა და კულტურის დარგი, რომელიც აშშ-ს გავლენის სფეროებში არ მოქცეულიყო. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ვითარდებოდა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებითაც ვრცელდებოდა ისე, როგორც ამერიკელი ბოსებისათვის იყო მისაღები.

ამერიკელები ხელიდან არ უშვებდნენ შესაძლებლობას,

რათა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, როგორც სანიმუშო ქვეყნისათვის, გაეწიათ პროპაგანდა. ამავე დროს, თითქოს მცდელობას არ აკლებდნენ მშვიდობიანი დემოკრატიული გერმანიის შესაქმნელად. „სინამდვილეში კი, მათ სხვა მიზნები ამოძრავებდათ. ისინი გერმანიის რეაქციულ იმპერიალისტურ წრეებთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ. აშშ-ს რეაქციული წრეების პოლიტიკა აშკარად ატარებდა აგრესიულ კურსს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ხოლო რაც შეეხება რეფორმების გატარებას აღმზრდელობით დარგში, მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური ტენდენციების აღმოფხვრა ხდებოდა ყველაზე უხეში ფორმით. საზოგადოების ახლებური დემოკრატიული პრინციპით აღზრდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და სულ უფრო მეტად იძენდა ანტიკომუნისტურ შინაარსს. ყველაფერი ძირითადად აგებული იყო პროამერიკული ორიენტაციით, თუნდაც კინემატოგრაფში, იმის ნაცვლად, რომ კინოპროგრამაში ჰიტლერული ფაშიზმის სისასტიკეები და დანაშაულებრივი ქმედებები ეჩვენებინათ, რამდენიმე სააგიტაციო ფილმის დემონსტრირების შემდეგ, დასავლეთ გერმანიის პუბლიკა მთლიანად „ჰოლივუდის იაფფასიანმა და მავნე პროდუქციამ დაიპყრო“.[269]

მაგრამ ამერიკაზე, როგორც უნაკლო ქვეყანაზე, წარმოდგენის შენარჩუნებას და ომის შემდგომ პერიოდში გფრ-ის კულტურაზე აშშ-ს უზარმაზარ გავლენას განაპირობებდა ის, რომ ყველა ხერხით ყალიბდებოდა აზრი, ვითომდა ამერიკელი „განმათავისუფლებლები“ უაღრესად კეთილშობილური მიზნებით მოევლინენ ქვეყანას. ისინი ანტიფაშისტური ლოზუნგებითა და ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამამკვიდრებლების სახელით ნდობას იხვეჭდნენ მოსახლეობის უმრავლესობაში. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მართლაც მოელოდა სიახლეებს, ისინი მართლაც ფსიქოლოგიურად განეწყვნენ, რომ ყველაფერი თავიდან დაეწყოთ.

ხალხში რომ ასეთი სულისკვეთება სუფევდა, მშვენივრად

ადასტურებს ჟურნალ „რუფის“[270] სტატიებიც, სადაც ახალგაზრდა თაობის ავტორები დიდ იმედებს ამყარებდნენ დენაფიკაციასა და საზოგადოების ახლებურად აღზრდაზე.

ჟურნალ „რუფს“, რომელიც ამერიკელების ლიცენზიით დაარსდა და 1946-47 წლებში გამოდიოდა მიუნხენში, სათავეში ჩაუდგა ალფრედ ანდერში და ჰანს ვერნერ რიხტერი. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის თექვსმეტივე ნომერმა, რომელმაც გამოსვლა მოასწრო, იმთავითვე წამოაყენა მოსაზრება ევროპის გაერთიანებაზე. მაშინ ახალგაზრდა მწერლებს სჯეროდათ, რომ ეს გაერთიანებული ევროპა სოციალისტური იქნებოდა. სოციალიზმი მათთვის ყველაზე საჭირო და აუცილებელი საზოგადოებრივი წყობა იყო მშვიდობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან თორმეტწლიანი იზოლაციის შემდეგ ეს გზა მათთვის ყველაზე მისაღები გახდა.

განახლების სურვილმა მაშინ ჟურნალ „რუფის“ რედაქციასაც აუშალა ფანტაზია და ათქმევინა: „ამერიკა, სულიერი თავისუფლების შენარჩუნების უნარითა და თავისი ორასწლოვანი რესპუბლიკური ტრადიციით, შეძლებს ევროპის განახლების მოთავედ იქცეს“.[271] მაგრამ მიუხედავად ამერიკის მისამართით გამოთქმული კომპლიმენტისა, ჟურნალმა მხოლოდ 10 თვეს იარსება და ამერიკელების მიერ აიკრძალა სწორედ მაშინ, როცა მისმა ტირაჟმა 120 000 ეგზემპლარს მიაღწია.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ჟურნალ „რუფში“ (საგულისხმოა, რომ ჟურნალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თომას მანიც იყო), მის გამომცემლებთან — ცნობილ მწერალ ალფრედ ანდერშთან და ერიხ ვერნერ რიხტერთან ერთად, იყვნენ გიუნთერ გრასი, ჰაინრიხ ბიოლი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი და სხვები. ისინი პირველად პუბლიცისტიკაში მოვიდნენ, ხოლო 1947 წელს, ჟურნალის დახურვის შემდეგ, მწერლობაში გაერთიანდნენ. ამიტომაც დაერქვა მათ „ჯგუფი-47“. ბუნებრივია, ეს სახელმოხვეჭილი

მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ანტიფაშისტურ, ჰუმანისტურ, ჭეშმარიტ დემოკრატიულ ტრადიციებს ამკვიდრებდნენ. და ამ დროს, ასეთი ძლიერი შემადგენლობის მქონე ჟურნალი არსებობის ადრეულ ეტაპზევე იხურება.

„კიურბისკერნის“ თემატურ ნომერში – „მეორე (ანუ დემოკრატიული – რ.დ.), ამერიკა აშშ-იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ – უხვადაა მოშველიებული ამერიკელი პოლიტოლოგებისა და მეცნიერების გამოკვლევები აშშ საგარეო პოლიტიკაზე, იმ კურსზე, რასაც ამერიკა უცხო ქვეყნებში ავითარებდა.

ჟურნალის ერთ-ერთი სტატიის ავტორი ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით ხელოვნების სფეროში აშშ-ს აქტიურობის ნამდვილ მიზნებს იძიებს და ადგენს, რომ მიზეზთა მიზეზი „საბჭოთა მხარის პროპაგანდასა და მის ზეგავლენასთან დაპირისპირებაა. „დემოკრატი“ ამერიკელი ხალხის მიერ სხვა ხალხებზე ჩამოყალიბებულ აზრში შესწორების შეტანა, თითქოსდა მისი უფრო გაადამიანურებაა. ამით უნდა შექმნილიყო წარმოდგენა შეერთებული შტატების სრულყოფილებაზე და ამ ქვეყანას ნდობა უნდა მოეხვეჭა მსოფლიო-პოლიტიკური წინამძღვრის როლის დასასაკუთრებლად“.[272]

მართალია, ამერიკამ გფრ-ის კულტურის სფეროში ჩადებული უხვი ინვესტიციებით უდიდეს გამომცემლობებთან და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებებთანაც დაამყარა კონტაქტი, მაგრამ მის იმპერიალისტურ ზრახვებს მაინც გფრ-ის არაერთი პოპულარული გაზეთი აღუდგა წინ. 1972 წლის დოკუმენტური ხელოვნების გამოფენაზე ამერიკელების მიერ წარმოდგენილ „ფოტორეალიზმს“, რომელიც რეკლამის წყალობით სხვებზე დომინირებდა, „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ კორესპონდენტმა კარლ კრონმა „ნაგავი“ უწოდა და „სანაგვე ხელოვნებას“ მიაკუთვნა. „სიმართლე ის არის, რომ ეგრეთ წოდებული „რეალიზმის“ უახლესი, მდარე, უხარისხო სურათები მოდის იქიდან, ანუ ამერიკული სანაგვიდან“,[273] – აღშფოთებას ვერ მალავს ავტორი.

„კიურბისკერნი“ საგანგებოდ იკვლევს და კრიტიკულად განიხილავს დასავლეთ გერმანიაში ამერიკის სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საქმიანობას. აშშ სამხედრო ხელისუფლების გაზეთი „ნოიე ცაიტუნგი“, რომლის ტირაჟი 1,6 მილიონს აღემატებოდა, 1945 წლიდან ყურადღებას ამახვილებდა არა ახალ ამბებსა და უკანასკნელ ცნობებზე, არამედ მთლიანად გარე სამყაროზე, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებზე. იგივე მეორდებოდა სხვა ამერიკულ გამოცემებში, ილუსტრირებულ ჟურნალებში, რომლებიც დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა. აშშ-ს საინფორმაციო სააგენტო „იუსიას“, რომელიც 1953 წ. დაარსდა, თეთრი სახლიდან ჰქონდა დავალებული, შემდეგი: „კომუნიკაცური ტექნიკის საშუალებით დაემტკიცებინა სხვა ეროვნების ხალხებისათვის, რომ აშშ მიზანი და პოლიტიკა თანხვდენილია თავისუფლებისაკენ მათი ლეგიტიმური სწრაფვისა, პროგრესისა და მშვიდობის დამამკვიდრებელი და ხელშემწყობია“.[274] ყოველივეს აგვირგვინებს ჟურნალში მოყვანილი ნელსონ როკფელერის სიტყვები: „ჩვენ, ამერიკელები, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოვირჩევით, რაც ჩვენთვის ზეციური კურთხევითაა მონიჭებული. თითოეულმა ჩვენგანმა ყველა დანარჩენ ხალხებზე მეტად უნდა ითანამშრომლოს სხვებთან, რაც შეგვიძლია კიდეც ჩვენი დემოკრატიული წყობის მადლით. ჩვენ შეგვწევს უნარი დავეხმაროთ სხვა ქვეყნების ხალხებს, შევუქმნათ მათ ლამაზი ცხოვრება — და ყოველივე ჩვენს ურთიერთინტერესებშია[275].

მაგრამ, დრო სულ სხვა რამეს უჩვენებს. კერძოდ, რა მიზანს ემსახურებოდა და რა როლი ითამაშა ამერიკამ გფრ-ის კულტურისა და ხელოვნების სფეროში. „კურსბუხისაგან“ განსხვავებით, რომელიც შეერთებულ შტატებს ვიეტნამის ომისა და მესამე სამყაროსთან მიმართებაში განიხილავს, „კიურბისკერნი“ აშშ საერთაშორისო პოლიტიკას საკუთარი

ქვეყნის მიმართ გატარებული ღონისძიებების ჭრილში აშუქებს და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აშშ-ს, როგორც „თავისუფალი სამყაროს“ წინამძღვარს, მხარს უჭერდნენ გფრ-ის სახელმწიფო თუ კერძო-მონოპოლისტური წრეები. ამ მხრივ არც სოციალ-დემოკრატების მთავრობაში მოსვლის შემდეგ შეცვლილა რამე. ჟურნალში მოყვანილია 1972 წელს ბოსტონში, ე.წ. „მარშალის გეგმის“[276] 25 წლისთავთან დაკავშირებით, გფრ-ის კანცლერის ვ. ბრანდტის გამოსვლის ტექსტი, სადაც ის თვითკმაყოფილებით საუბრობდა „მათი პარტნიორობის მიმართ სიმპათიასა და მათ საიმედოობაზე“.[277] და ეს მაშინ, როცა აშშ პოლიტიკის კრიზისის, დოლარის კურსის დაცემის დროა და როცა ვიეტნამის წინააღმდეგ ომში დამნაშავეობა უმაღლეს წერტილს აღწევს.

საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა გფრ-ის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი ინფორმაციები ამერიკის შესახებ, რაც მოსწავლეთა ცნობიერებაზე პროპაგანდისტულ თავდასხმად, გათვლილ ზემოქმედებად, ახალგაზრდა თაობის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გონების დამუშავებად აღიქმებოდა.

კულტურის სფეროში ამერიკელი ატაშეს მაიერის მითითებით, „სასკოლო სახელმძღვანელოებში მაქსიმალურად გამოკვეთილი და მკვეთრად ხაზგასმული უნდა ყოფილიყო „აბენდლანდის“[278] კულტურის განვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული წვლილი“,[279] — აღინიშნება ჟურნალში.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები გფრ-ში მოწოდებული იყვნენ „დემოკრატიისაკენ გზის გასაკაფად“, დასავლეთ გერმანიაში თავს იჩენს ანტიამერიკანიზმისა და ანტიიმპერიალიზმის ორად გაყოფილი კრიტიკა — მარქსისტული და ბურჟუაზიული. „კიურბისკერნის“ ავტორი კასპარ მაასე, რომელიც სტატიის სახელწოდებას — „გფრ-ის კულტურის ამერიკანიზაცია?“ — კითხვით ფორმას აძლევს, ბურჟუაზიული

კრიტიკიდან განსაკუთრებით გამოჰყოფს ნეონაცისტურ ანტიამერიკანიზმს, რასაც მისივე განმარტებით საფუძვლად უდევს ნაციონალისტური დივერსია. მისი აზრით, ნეონაცისტები იმ დასავლეთგერმანულ კაპიტალზე საკუთარი გავლენის გამყარებას ცდილობდნენ, რომლის მფლობელებიც ზრუნავდნენ თავისი პოლიტიკური პოზიციის გამაგრებას აშშ-სთან. ნეონაცისტებისთვის ძნელი იყო იმასთან შეგუება, რომ შეერთებული შტატების მონოპოლიის გამო, მათ საყრდენი მოეშალათ ევროპასა და დასავლეთ გერმანიაში.

ნეოფაშისტური პარტიის ერთ-ერთი წევრი თავის სანიმუშო გამოსვლაში აღნიშნავდა: „ენა, რომლითაც ისინი (ამერიკელები — რ.დ.) მეტყველებენ, მოედინება ამერიკული განგსტერული წრეებიდან, მუსიკა ჯუნგლებიდან, მათი ცეკვები კი ეპილეპტიკების გულყრას მიაგავს“.[280] საჟურნალო სტატიებში არაერთი გამოცემაა ციტირებული, სადაც ამერიკანიზმის წინააღმდეგაა გამოთქმული მოსაზრებები. გფრ-ში უამრავი წიგნი გამოიცა, რომელშიც დაფიქსირებულია როგორც ერთი, ასევე მეორე თვალსაზრისი.

მარქსისტული კრიტიკიდან „კიურბისკერნი“ განსაკუთრებით გამოჰყოფს გუნარ მატიეზენის — „აშშ-ის თანამედროვე დასავლეთევროპულ პოლიტიკას“, რომელიც „დი ველტმაც“ გადმობეჭდა. მატიაზანი ფედერაციულ რესპუბლიკას განიხილავს, როგორც საიმედო საყრდენს ევროპაში აშშ პოლიტიკისათვის. ის აღნიშნავს: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ყველაზე მნიშვნელოვანი თვალია ამერიკის გავლენის სფეროთა დიადემაში. ის რომ ამოვარდნილიყო, არ დარჩებოდა ქვეყნად ადგილი, საიდანაც ვადაზე ადრე არ გამოისტუმრებდნენ ამერიკას“.[281]

ორივე კრიტიკული მოსაზრების ციტირებისა და ანალიზის შემდეგ, ჟურნალში დასკვნა ყალიბდება: „ის, რაც გფრის კულტურაში აშშ-დან შემოდის, ისევე დაყოფილია კლასებად, როგორც თვით აშშ და გფრ“.[282] კულტურის იმპორტში

არ შედიოდა არც ერთი პროგრესული ამერიკელი მწერალი და მუსიკოსი. აშშ კულტურის იმპორტის ყველაზე მცირე ნაწილი იყო გაჯერებული დემოკრატიული სულისკვეთების ჰუმანური ნაწარმოებებით. ის, რაც ამერიკას სხვა ქვეყნებში შეჰქონდა, კულტურის ნგრევას უფრო ჰგავდა. ამაზე მეტყველებდა სექსზე და ძალადობაზე დამყარებული კონცეფციები, რომლებიც გფრ-ში ფილმების, ტელევიზიისა და ლიტერატურის მეშვეობით აღწევდა. ჟურნალის ავტორები საგანგებოდ გამოჰყოფენ ყოველივე ამის შედეგად წამოჭრილ უკიდურესად ანტირაციონალურ და ადამიანის ფსიქიკის დამანგრეველ პრობლემებს, როგორიცაა ახალგაზრდობის მანია და გატაცება ნარკოტიკებით, ფსევდოკულტურით თუ მისტიკით.

ავტორების აზრით, ასეთი შედეგი მოსდევს ამერიკული მზა მოდელების სხვა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მექანიკურად გადმოტანას და დამკვიდრებას. ამ ფონზე საჭირო იყო კულტურის განვითარების უფრო კანონზომიერი გზის არჩევა და დასახვა.

# დასკვნა

გერმანიაში მოღვაწე მრავალ თანამედროვე სახელმოხვეჭილ შემოქმედთაგან წიგნში ცალკე გამოიკვეთა იურგენ ჰაბერმასის, ჰერბერტ მარკუზეს, პუბლიცისტების ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის, გიუნთერ ვალრაფის, ჰაინრიხ ბიოლისა და მარტინ ვალზერის მოღვაწეობა, რომლებმაც ცხოვრების უდიდესი მონაკვეთი შეალიეს ანტიდემოკრატიულ გამოვლინებებთან ბრძოლას. როგორც მასშტაბური მოაზროვნეები, ისინი გლობალურ ჭრილში იკვლევდნენ საკუთარი ქვეყნის პრობლემატიკას და გამოკვეთილ პუბლიცისტურ ჟღერადობას სძენდნენ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილ საკითხებს.

გერმანიის „ახალ მემარცხენეთა" მოძრაობის წინამძღოლმა, სახელგანთქმულმა პოეტმა ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა — მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ჟურნალ „კურსბუხს" — ერის განმანათლებლის, მისი მობილიზებისა და კონსოლიდაციის ერთ-ერთი ინიციატორის როლი ითავა. მის პუბლიცისტიკაში გამოხმაურება ჰპოვა გერმანიის ცხოვრების ყველაზე პრიორიტეტულმა პრობლემებმა. ნაშრომში საკმაო ადგილი ეთმობა ენცენსბერგერის რიგ სტატიებს, რომლებმაც უაღრესად დადებითი როლი შეასრულეს და გავლენა მოახდინეს არა მარტო გერმანიის, არამედ სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ აზროვნებაზე, ვინაიდან პუბლიცისტი გერმანიის საზოგადოების წინააღმდეგობრივ განვითარებას საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ სივრცეში განიხილავდა და ამ თვალსაწიერიდან ეძიებდა პრობლემებიდან თავდახსნის გზებს, რაც მისაღებ ანალოგად აღიქმებოდა არაგერმანელი საზოგადოებრიობისთვისაც. თუმცა თვით ენცენსბერგერს შესანიშნავად ესმოდა, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების ზოგადი კანონების სირთულე და არსებული მწირი თეორიები ვერ გამოდგებოდა ორიენტირად ერთადერთი და

ჭეშმარიტი თეორიულ-პრაქტიკული პროგრამის შესამუშავებლად. საკუთარ დასკვნებშიაც ამ პუბლიცისტს არ გააჩნდა პრეტენზიები, რომ იგი შეცდომებისაგან დაზღვეული თეორეტიკოსია ან მასშტაბური პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრის ერთადერთი მიმნიშნებელი. მაღალი რანგის პუბლიცისტს არ ძალუძს ბრმად მისდიოს ერთხელ და სამუდამოდ აკვიატებულ თეორიებს. მისი პუბლიცისტიკა დროის პერმანენტული ცვალებადობის შესაბამისად განიცდის ტრანსფორმაციას. იგი ხანდახან კიდეც სცილდება „ახალ მემარცხენეთა“ იდეოლოგიას, რადგან, როგორც თავისუფალი შემოქმედი, არასოდეს ექცევა დოგმების ტყვეობაში. ენცენსბერგერი დაუცხრომლად ეძიებდა და პოვებდა კიდეც რიგ საკითხთა უმნიშვნელოვანესი ასპექტების გათვლისა და გადაწყვეტის გზებს და აქედან გამომდინარე, იგი უთუოდ იმსახურებს იშვიათი პუბლიცისტ-პროგნოზისტის „სტატუსს“.

გიუნთერ ვალრაფი მსოფლიოს მასშტაბით კარგა ხანს აღიქმებოდა ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ, მოუსყიდველ, სკანდალურ და პოპულარულ ჟურნალისტად. ამ პუბლიცისტმა ჟურნალისტიკაში მოსვლისთანავე დაიწყო წერა მისი პირადი კეთილდღეობისათვის მეტად სახიფათო, ე.წ. „ფარულ“ თემებზე და იმთავითვე დაუპირისპირდა ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ წრეებს, სამრეწველო თუ ფინანსურ მაგნატებს. არ დარჩენილა გერმანიის სინამდვილეში საპაექროდ „საჩოთირო“ საკითხთა სფერო, იქნებოდა ეს პროფესიების აკრძალვის კანონი, შპრინგერის ანტიდემოკრატიული პრესა, ბუნდესვერის რევანშისტული ტენდენციები, ბუნდესტაგის დანაშაულებრივი კანონმდებლობა თუ ნეონაციზმის საფრთხე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომ ყოველივე ვალრაფის მძაფრი, მამხილებელი პუბლიკაციის „მსხვერპლი“ არ გამხდარიყო. ეს პუბლიცისტი თავისი რეპორტაჟებითა და ნარკვევებით გფრ-ის ლიტერატურაში დოკუმენტალიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია, ხოლო მისი შემოქმედებითი კრედო მრავალსახოვანი შე-

მოქმედებითი მეთოდებით რეალიზდება, რომელთაც ერწყმის ბრეხტისეული ხუთი მონაცემი — გამბედაობა, ჭკუა, ტალანტი, საკუთარი აზრი და ჟურნალისტური ეშმაკობა. ვალრაფის გამორჩეული წარმატების საიდუმლო მოვლენის „შიგნით, სიღრმეში შეჭრის“ პრინციპში ძევს, რომელიც გულისხმობს ჟურნალისტისთვის საინტერესო პროცესში მისი უშუალო მონაწილეობით მოპოვებული ფაქტების გამომზეურებას და ვალრაფისეული უჩვეულო და ნაირგვარი მეთოდებით მოქმედებას. კერძოდ, იგი არ ერიდება ფაქტის პროვოცირებას, ავანტიურის გზას, გამოგონილი გვარებითა და ე.წ. „მასკარადული“ ხერხებით ოპერირებას და ა.შ. სწორედ სრულიად ახლებურმა ჟურნალისტურმა ხედვამ და სრულიად ორიგინალური ხერხებით მანიპულირებამ, ამასთან, რა თქმა უნდა, შეურიგებელმა პუბლიცისტურმა პოზიციამ, იგი სრულიად ახალი ტიპის ჟურნალისტად ჩამოაყალიბა, რომლის თავისებური სტილი საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობაში „ვალრაფის ფენომენის“ ტერმინად დამკვიდრდა.

მარტინ ვალზერი იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ბოლომდე უცხადებდა სოლიდარობას ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას, ხოლო ლიტერატორებს ანტიმონოპოლისტურ კავშირში გაერთიანებას და რეალისტური ლიტერატურის აღორძინებისკენ მოუწოდებდა. მისი შემოქმედებითი მრწამსი რეალურ ცხოვრებას ეფუძნება და მხატვრული ასახვის ერთადერთ ფორმად რეალიზმს მიიჩნევს, ვინაიდან თვლის, რომ თავს უფლებას ვერ მისცემს, ზედმიწევნით ობიექტურად არ დახატოს გარემო და „მშრალი ინფორმაციის მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლად დარჩეს“. ჭეშმარიტმა ჰუმანისტმა და დემოკრატმა მწერალმა თავისი შემოქმედებითი კრედო სრულად გააცხადა პუბლიცისტიკაში. მან გაილაშქრა „კულტურის ინდუსტრიის“ წინააღმდეგ და საზოგადოების გარდაქმნის მძლავრი ბერკეტი ლიტერატურის კონსტრუქციულ ბუნებაში დაინახა. ვალზერმა პუბლიცისტური პათოსით გამ-

სჭვალული და იმავდროულად მამხილებელი სატირული სტატიები უძღვნა კალმოსნებს, რომლებსაც „მიავიწყდათ“ ლიტერატურის ისტორიული როლი, დამკვეთის ნების მორჩილ აღმსრულებლად იქცნენ და ხელი შეუწყვეს ფსევდოლიტერატურული სუროგატების მომრავლებას. რეალიზმზე მსჯელობისას ვალზერი განამტკიცებს მოსაზრებას, რომ რეალისტური ლიტერატურა დასაყრდენს პოულობს არაილუზორულ, ჭეშმარიტ სინამდვილეში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეალობა მწერლობამ სარკესავით უნდა აირეკლოს. მისთვის რეალისტური ლიტერატურის დანიშნულება საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციების კრიტიკული ასახვაა. ვალზერმა ჯერ კიდევ მაშინ გაითქვა სახელი და მის პუბლიკაციებს საყოველთაო რეზონანსი მოჰყვა, როცა გამოაქვეყნა „კურსბუხში“ ოსვენციმის პროცესის ამსახველი წერილი „ჩვენი ოსვენციმი“. სწორედ ამ პუბლიკაციას მოჰყვა გერმანიის საზოგადოების საერთო შოკი, რომელიც უთუოდ განაპირობა ვალზერის მძაფრმა და მგზნებარე, მკაცრად მამხილებელმა ტონმა. მან ბოლომდე გააშიშვლა ფაშიზმის არსი, ესესელების ბარბაროსული ქმედებები, ხოლო ფაშიზმის, როგორც მოვლენის, ხელშეწყობაში მთელ გერმანელ ერს დასდო ბრალი და თითოეულს პირადი დანაშაულის კომპლექსი ჩამოუყალიბა. „კოლექტიური დანაშაულის“ ცნება ვალზერმა დაამკვიდრა, რომელიც დღემდე სდევს გერმანელ ერს. ასევე ვალზერს ეკუთვნის წერილების სერია ნეონაციზმის თუ ნეოფაშიზმის მომძლავრების საფრთხეზე. პუბლიცისტი ნეონაციზმში ძალადობის ძველი და ახალი ტენდენციების ორგანულ კავშირს ჭვრეტს და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს გერმანელ ხალხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიცისტის პროფესიული ოსტატობა სრულად ვლინდება წერის ორიგინალურ მანერასა და სტილში, რომელიც მრავალრიცხოვანი სატირული ხერხებით არის გაჯერებული.

წიგნში მიმოხილულია დასავლეთ გერმანიის ყველაზე

ურთულეს და წინააღმდეგობით სავსე პერიოდში (მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები) მოღვაწე უდიდესი გერმანელი მოაზროვნეების მსოფლმხედველობითი კონცეფციები და ამ პერიოდში დაარსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების „კურსბუხისა“ და „კიურბისკერნის“ ოცწლიანი შემოქმედება, გაანალიზებულია მათი იდეური მიმართულება და მთლიანად სამოქმედო გეზი. აღნიშნული ჟურნალების ფუნქციის, აქტუალობისა და ისტორიული მნიშვნელობის დადგენისთან ერთად შესაძლებელი გახდა მათი პუბლიკაციების თემატური თავმოყრით, კლასიფიკაციით, იდეური გამთლიანებით, უმთავრესი საზრისის სიღრმისეული წვდომა და ძირეული პრობლემატიკის მასშტაბის ხაზგასმა.

გერმანული სინამდვილის მრავალწახნაგოვანი პრობლემატიკის ასახვასთან ერთად ამ პერიოდულმა ორგანოებმა გარდამტეხი ზემოქმედება მოახდინეს ერის ფსიქიკურ წყობაზე, მძლავრი ბიძგი მისცეს საზოგადოებრივი ცნობიერების ახლებურ ფორმირებას და ხშირ შემთხვევაში შეძლეს კიდეც საზოგადოებრივი აზრის ახალი გეზით წარმართვა.

ჟურნალების ავტორები, სახელმოხვეჭილი პუბლიცისტები არა მარტო შეურიგებელ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ და მიუთითებდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური სფეროს ნეგატიურ გამოვლინებებზე, არამედ სახავდნენ ყოველივე მანკიერისა და ნაკლოვანის აღმოფხვრისა და გადაუდებელი პრობლემების გადაჭრის გზებსაც.

განსხვავებული მსოფლმხედველობისა და კონცეფციის მიუხედავად, ჟურნალები ერთმანეთს ავსებდნენ და თავიანთ გარშემო იკრებდნენ არსებული სინამდვილისადმი კრიტიკულად განწყობილი პროგრესული ინტელიგენციის მთელ პლეადას, რითაც უდიდესი წვლილი შეჰქონდათ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სრულყოფასა და გაჯანსაღებაში. ორივე ჟურნალი მოწოდებული იყო, მთელი ძალისხმევით ებრძოლა ქვეყნის თავისუფალი განვი-

თარებისა და უკეთესი მერმისისათვის. ამ გამოცემებმა იტვირთეს საგანმანათლებლო მისია და ესწრაფვოდნენ ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, ქვენაინსტინქტების აღმოფხვრას, მორალურ განწმენდას და ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებას, ვინაიდან მათი მტკიცე მრწამსით, საზოგადოების ცვლილების უმთავრესი ფაქტორი პიროვნული ზნესრულობაა.

ფაქტობრივად ორივე ჟურნალი გამოსავალს ნებისმიერი წყობის, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის მექანიკურ შეცვლაში კი არ ხედავდა, არამედ საზოგადოების თითოეული წევრის სულიერი კათარზისით ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში, რაც საწინდარი იქნებოდა პროგრესული, ჰუმანური სისტემის შენებისა.

ჟურნალების პუბლიკაციებიც უმთავრესად რიგითი ადამიანების სულიერი სამყაროს დეტალურ გამოკვლევას, პიროვნების შინაგანი განცდებისა და ემოციების წარმოჩენას ისახავენ მიზნად, რადგან ავტორებს მიაჩნიათ, რომ მწერლის მოღვაწეობის ქვაკუთხედია ადამიანის უფლებების პიროვნული ღირსებისა და უკეთესი მომავლის გარანტიის დაცვა.

გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად, ორივე ჟურნალი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიტერატურათმცოდნეობაში, კრიტიკასა და პრესაში ერთობლივად მოიხსენიება ყველაზე ინტელექტუალურ ბეჭდვით ორგანოებად.

საერთოდ, ორივე ჟურნალის ავტორთა შემოქმედებითი მეთოდებისა და ხერხების არსენალი ერთობ ტევადია. ძალზე ხშირად პუბლიკაციების გამომსახველობის გასაძლიერებლად მასალას აგებენ როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური პრინციპით, თხრობის ქარგა ვითარდება ფაქტობრივ მასალაზე თუ მხატვრულ გამონაგონზე, ასოციაციურ ელემენტებზე და სატირულ ანალოგიებზე, მოულოდნელობის ეფექტსა და კურიოზულ შემთხვევითობაზე. ხშირად მიმართავენ სატირულ-იუმორისტულ ხერხებს — ირონიას, სარკაზმს, სატი-

რულ ჰიპერბოლას, გროტესკსა თუ პაროდიას. პუბლიცისტური სატირა განსაკუთრებით ბასრ და მამხილებელ ტონს სძენს მათ ჟურნალისტურ ნამოღვაწარს.

უთუოდ მცდარი იქნება წარმოდგენა, რომ მთავრობისათვის სკანდალურად ცნობილი, ხოლო საზოგადოებისათვის ყველაზე გაბედული, უანგარო, უკიდურესად პრინციპული და შეუვალი პუბლიცისტების ცხოვრება მშვიდი და აუმღვრეველი იყო. არ შეიძლება შეუფასებელი დარჩეს ამ პუბლიცისტების მოქალაქეობრივი თავგანწირვა, მათი მხრიდან პირადულის სრული იგნორირება, როცა საქმე საზოგადო მოუწესრიგებლობას ეხება. ავტორები უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებოდნენ კრიტიკის მიზანში ამოღებული გავლენიანი ოლიგარქების, პოლიტიკანებისა და პლუტოკრატებისაგან. უდიდესი მონოპოლისტური გაერთიანებების „შავი" ბიზნესის ფაქტებით მხილებას, სამხედრო სტრუქტურების ძალისმიერი პოლიტიკის გამოაშკარავებას, მმართველი წრეების დადანაშაულებას ისინი ვერ შეძლებდნენ და ვერც რეპრესიებს გადაურჩებოდნენ, რომ სრულიად მარტონი ყოფილიყვნენ და საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერა არ ჰქონოდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში მოღვაწე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალების სიცოცხლისუნარიანობა, მანკიერებათა დაძლევის წინაპირობის მომზადება თუ წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის პრაქტიკული შედეგიანობა დიდად იყო განპირობებული გერმანიაში უკვე დემოკრატიული საწყისების არსებობით, ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხით. საზოგადოება უკვე მომზადებული იყო დემოკრატიული აზროვნებისთვის და საპროტესტო მოძრაობის აზვირთების შიშით, მმართველ წრეებს დათმობებზე წასვლას, კანონმდებლობის შერბილებას აიძულებდა.

„კურსბუხი" დღემდე განაგრძობს თავის მოღვაწეობას. მაგრამ მან ყველაზე ელიტარული ჟურნალის იმიჯი სწორედ 60-70-იან წლებში დაიმკვიდრა. გერმანიაში მიმდინარე ყველა

